- 946. მოკლეს ილია** (ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ) [ნოტები და სიმღერის ტექსტი]. _ ჟურ. “ნიშადური”. _ 1908, 23 მარტი, №34, გვ. 16.
- 947. მჭედლიშვილი ი.** დაობლდა ვარდი: [ლექსი ილიას მკვლევლობის გამო]. _ ჟურ. “ნიშადური”. _ 1908. _ №60.
- 948. ნავთლულელი შ.** მთაო წმინდაო: [ლექსი წაკითხული ილია ჭავჭავაძის საფლავზე 2 მარტს]. _ ჟურ. “ნიშადური”. _ 1908. _ 9 მარტი, №30, გვ. 6
- 949. ნაკაშიძე ნინო.** ყველას ვისაც უყვარს ილია ჭავჭავაძე. _ გაზ. “დროება”. _ 1908. _ 5 დეკ, №15, გვ. 2.
- ავტორი მოუწოდებს საზოგადოებას, გაითვალისწინონ ილიას ჰუმანისტური პრინციპები, მისი თვალსაზრისი ადამიანის სიკვდილით დასჯის შესახებ და გამოვიდნენ ილიას მკვლევების შეწყალების მოთხოვნით.
- 950. 31 აგვისტოს,** დღეს სრულდება ერთი წელიწადი ილიას მკვლევობიდან: [მეთაური წერილი]. _ ჟურ. “ჩვენი კვალი”. _ 1908. _ 31 აგვ, №15, გვ. 1-2.
- 951. პაშა.** გაზაფხული (ილიასებური): [ლექსი]. _ გაზ. “ნიშადური”. _ 1908. _ 1 ივნ. №46.
- ლექსი შექმნილია ილიას ლექსის “გაზაფხულის” მოტივზე.
- 952. პირველი წლისთავი** ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებისა მთაწმინდის ეკლესიის გალავანში. _ ჟურ. “მათრახი”. _ 1908. _ 7 სექტ. №7, გვ. 2.
- 953. ჟურ. “ჩვენი კვალის”** რედაქცია აქვეყნებს წერა-კითხვის საზოგადოების პროგრამას, თუ როგორ უნდა წარიმართოს ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამო 27 ოქტომბერს საარტიტო საზოგადოების თეატრში. _ ჟურ. “ჩვენი კვალი”. _ 1908. _ 5 ოქტ. №20, გვ. 313.

954. რობაქიძე გრიგოლ. აკაკი და ილია (ნაწყვეტი წერილიდან). – ჟურ. “ფასკუნჯი”. – 1908. – №5.

წერილის აღნიშნულ ნაწყვეტში ავტორი ერთმანეთს ადარებს ქართული მწერლობის ორ გოლიათს და წერს: “აკაკისა და ილიას დაპირისპირება მეტად ძნელია, მათი მხატვრული ბუნება სულ სხვადასხვაა”. ავტორის აზრით, მათი შეპირისპირება ასე წარმოგვიდგება: “აკაკი მსუბუქია, ილია მძიმე. აკაკი დაჰქროლავს, მიიმართვის. აკაკი სჩქეფს, ილია დუღს. აკაკი ჰქმნის და არ ცდილობს; ილია ცდილობს და ჰქმნის. აკაკიმ არ იცის და სთხზავს; ილია სთხზავს და იცის. აკაკი შეჰქმნის და მიზანს შემდეგ იხილავს, ილია ჯერ მიზანს ხედავს და მერე შეჰქმნის. აკაკი ბუნებრივია; ილია უფრო “ხელოვნურია”. აკაკი იქ, სადაც სულს შეუბერავს და წააქცევს, ილიას ძლიერი მოჰქნევს სჭირდება.”

955. სადღეისოდ. ილიას ფონდის შესახებ. – ჟურ. “ნიშადური”. – 1908. – 15 ივნისი, №48.

წერილი წარმოადგენს პასუხს იაკობ გოგებაშვილის №20-ში გამოქვეყნებულ წერილზე, რომელშიც საყვედური იყო გამოთქმული ქართველი საზოგადოების მიმართ ილიას ფონდისადმი უსულგულო დამოკიდებულების გამო. წერილში ჩამოთვლილია, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ამ ფონდისათვის და როგორ იქნა იგი გამოყენებული.

956. სასამართლო. ილია ჭავჭავაძის მოკვლა. (28 და 29 ნოემბერს კავკასიის სასამართლომ განიხილა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე). – გაზ. “ალი”. – 1908. – 2 დეკ. №24. – გვ. 3.

957. სასამართლო. ილია ჭავჭავაძის მოკვლა. – გაზ. “დროება”. – 1908. – 30 ნოემბ. №11, გვ. 2, №12, გვ. 2-3.

დაწვრილებით არის წარმოდგენილი თუ როგორ აღწერეს სასამართლო პროცესზე ილიას მკვლელებმა ეს ფაქტი. აქვე მოცემულია მოწმეთა ჩვენებები.

958. საუკეთესო პატივისცემა. – აღმანახი “აკაკი”. – 1908, მე-2 გამოცემა.

აღმანახი ბეჭდავს საზოგადოების მოთხოვნას ილია ჭავჭავაძის მკვლელებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის შეცვლის შესახებ.

959. (სამაგლიშვილი გიორგი) ივერიელი. ილია ჭავჭავაძის ხსოვნას: [ლექსი]. – ჟურ. “შინაური საქმეები”. – 1908. – №18, გვ. 3.

960. სოფ. ახალქალაქში ეკატერინე გაბაშვილის და სხვათა თაოსნობით გაიმართა წარმოდგენა დრამისა “ბატონი და ყმა”. – ჟურ. “ჩვენი კვალი”. – 1908. – 27 ივლ, №10, გვ. 158.

961. (სურგულაძე) პ. ილია ჭავჭავაძის ფონდი. – ჟურ. “განათლება”. – 1908. – №1, გვ. 125-140.

წერილის ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ილიას ფონდისათვის შეგროვილი თანხა უნდა მოხმარდეს ეროვნული ლიტერატურის განვითარებას. ჟურნალის რედაქცია არ ეთანხმება ავტორს და მიიჩნევს თანხა გამოყენებული იქნას მდაბიო ხალხის განათლებისათვის.

962. სხვადასხვა ამბები. – ჟურ. “ჩვენი კვალი”. – 1908. – 22 ივნ., №5, გვ. 71.

ცნობა იმის შესახებ, რომ წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზე განიხილეს ილია ჭავჭავაძის საფლავზე ძეგლის დადგმის საკითხი.

963. სხვადასხვა ამბები. – გაზ. “ჩვენი კვალი”. – 1908. – 30 აგვ. №11. გვ. 16.

გამოქვეყნებულია ცნობა, რომ სათავადაზნაურო ბანკმა ილიას ძეგლის ასაგებად გამოჰყო თანხა 2500 მანეთის ოდენობით.

964. სხვადასხვა ამბები. _ ჟურ. "ჩვენი კვალი". _ 1908. _ 7 სექტ. №16, გვ. 251.

ცნობა იმის შესახებ, რომ ტფილისის ქალაქის საბჭოს 9 სექტემბრის კრებას განსახილველად წარედგინება ილია ჭავჭავაძის სახელობაზე ქალაქში სკოლის დაარსების საკითხი.

965. სხვადასხვა ამბები. _ ჟურ "ჩვენი კვალი". _ 1908. _ 19 ოქტ. №22, გვ. 345.

ჟურნალი საზოგადოებას აუწყებს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ წინასწარი გამოძიება დასრულდა.

966. სხვადასხვა ამბები. _ ჟურ. "ჩვენი კვალი". _ 1908. _ 2 ნოემბ, №24, გვ. 380.

ქუთაისელ მოღვაწეთა მიერ 27 ოქტომბერს ილიას ფონდის სასარგებლოდ გამართული საღამო.

967. ფოფხამე ვლ. ცხოვრება და მწერლობა. _ ჟურ. "შინაური საქმეები". _ 1908. _ 7 სექტ. №18. გვ. 1-2.

ავტორი მკითხველ საზოგადოებას უზიარებს თავის შეხედულებას ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით. იგი წერს: "ილია ჭავჭავაძის უეცარმა და მხეცურმა სიკვდილმა თავის დროზე აღძრა და ააღელვა საზოგადოთ მთელი კავკასია და კერძოდ მთელი საქართველო და ჩვენც ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ეხლა მაინც გავუზიაროთ ჩვენი შთაბეჭდილებანი ჩვენი ახალი ჟურნალის მკითხველებს ქართული მწერლობის ასეთი სამწუხარო დანაკლისის გამო". წერილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ილიას მხატვრულ შემოქმედებასა და მისი მოღვაწეობის მთელ არეალს.

968. ფურცელამე ანტონ. (მისი 50 წლის დღესასწაულის გამო). _ გაზ. "დროება". _ 1908. _ 26 ნოემბ. №7, გვ. 2-3.

მიუხედავად იმისა, რომ წერილი აკაკი წერეთლის იუბილეს ეძღვნება, მასში ილია ჭავჭავაძის პიროვნებასაც დიდი ადგილი ეთმობა. ავტორი წერს: "ძვირად თუ რომელსამე პოეტის სახელს ჰქონია ამგვარი მომხიბლავი ძალა ხალხის გონებაში, რაც ამ სახელს. აკაკი!.. ილია! აი ორი სახელი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტკბილად ჰხიბლავდა და ამაყებდა შემეცნებული ქართველის გულს!"

969. ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა და დრამატული დასი საზოგადოებას გაზეთის საშუალებით აუწყებს 2 მარტს ილიას სულის მოსახსენიებელ პანაშვიდის გადახდის შესახებ. _ გაზ. "აზრი". _ 2 მარტი. _ №27, გვ. 1.

970. ქართული ეროვნული ხელოვნება. _ ჟურ. "ნიშადური". _ 1908. _ 23 მარტი, №34.

ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ძეგლის პროექტის ფოტოსურათი, რომელიც უნდა დაიდგას მამადავითზე (ავტორი იაკობ ნიკოლაძე).

971. ქუთაისის ქრონიკა. _ ჟურ. "ჩვენი კვალი". _ 1908. _ 19 ოქტ. №22, გვ. 355.

ქრონიკაში ნათქვამია, რომ ქუთაისის საზოგადოება ემზადება ილია ჭავჭავაძის საღამოს გამართვისათვის, რომელსაც უხელმძღვანელებენ დავით კლდიაშვილი, პ. ყიფიანი და სხვები.

972. (შმერლინგი ოსკარ). ძველი ცოდვა: [კარიკატურა]. _ ჟურ. "ნიშადური". _ 1908. _ №40.

კარიკატურაზე გამოხატულია: ჟურ. “მოგზაურის” რედაქციიდან მისგანვე შექმნილ “ჭორებში” ჩაფლული ფილიპე მახარაძე ტელეფონით დავალებას აძლევს საგურამოში მყოფ შეიარაღებულ უცნობს.

973. (ცნობა). – ჟურ. “ნიშადური”. – 1908. – №30-40.

ჟურნალის ყოველ მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ “ნიშადურის” ხელის მომწერებს სააღდგომოდ დაურიგდებათ ნობათად ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი და “ნიშადურის კრებული” (მეორე წიგნი).

974. (დიმისტარაშვილი) კორტოხა. ილია ჭავჭავაძეს: [ლექსი]. – ჟურ. “ნიშადური”. – 1908, 30 აგვ. №59.

975. წარუბოცელი სირცხვილის წლისთავი. – ჟურ. “ნიშადური”. – 1908. – 30 აგვ. 59, გვ. 2_ხელმოწერა: ია.

წერილში გამოხატულია ილიას მოკვლით გამოწვეული სინანული. “რაც დრო გავა, რაც უფრო მოვშორდებით 30 აგვისტოს 1907წ. სამარცხვინო აქტს, მით უფრო მეტის ძლიერებით, მეტის შეგნებით და აღშფოთებით, უსაზღვრო ზიზღით აღბეჭდილი იქნება ქართველთა გულსა და ხსოვნაში ის უმაგალითო “ხამობა”, რამაც იმსხვერპლა ჩვენი ილია.

976. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა მოსახლეობას აუწყებს, რომ მთაწმინდაზე 2 მარტს გადახდილი იქნება წირვა და სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი. – გაზ. “აზრი”. – 1908. – 2 მარტი, №27, გვ.1.

977. წლის თავი. – გაზ. “შურდული”. – 1908. – 2 სექტ. №1. _ხელმოწერა: ე.

ილიას მოკვლის ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ ამ წერილში ავტორი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მგოსნის სიკვდილი პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი პოლიტიკური მიზნების საშუალებად გამოიყენეს. წერილის ავტორი გულისხმობს ჟურნალ “ნიშადურში” გამოქვეყნებულ წერილს, სადაც გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ილია მოკვლეს მისმა პარტიულმა მოწინააღმდეგეებმა.

978. В Тифлисе: [განცხადებები]. – გაზ. «Кавказ». – 1908. – 24 ავგ.

ილია ჭავჭავაძის სიკვდილიდან ერთი წლისთავის გამო ქშწკგ საზოგადოების ინიციატივით წმ. დავითის ეკლესიაში ჩატარებული პანაშვიდისა და ლიტურგიის შესახებ.

979. В честь И. Чавчавадзе. – გაზ. «Закавказское обозрение». - 1908. –26 окт. – с. 3.

განცხადება 27 ოქტომბერს თბილისის თეატრში ილია ჭავჭავაძის დაბადების დღის აღსანიშნავი საღამოს ჩატარების შესახებ.

980. Вечер Ильи Чавчавадзе [в Телави]. – გაზ. «Закавказское обозрение». - 1908. –31 окт. – с. 3.

განცხადება ქშწკგ საზოგადოების ინიციატივით 27 ოქტომბერს თბილისში ილია ჭავჭავაძის დაბადების დღის აღსანიშნავი საღამოს ჩატარების შესახებ.

981. Вечер в память И.Г. Чавчавадзе. – გაზ. «Закавказское обозрение». - 1908. –31 окт.

ილია ჭავჭავაძის დაბადების დღის აღსანიშნავი საღამოს ჩატარების შესახებ ბათუმში.

982. Грузинский спектакль. – გაზ. «Закавказье». – 1908. – 16, 17 янв.

თბილისის თეატრში გამართული ახალი წარმოდგენის, “ბატონი და ყმის”, შესახებ, რომელიც შ. დადიანმა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების გადაკეთებით შექმნა.

- 983. Дело об убийстве к. И.Г. Чавчавадзе:** Информация о слушании дела в Кавказском военно-окружном суде при открытых дверях. - газ. «Закавказское обозрение». - 1908. - 29 нояб. - с. 2.
- 984. Дело об убийстве к. И.Г. Чавчавадзе:** [Информация о завершении дела в скором будущем]. - газ. «Закавказье». - 1908. - 2 марта.
ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ეჭვიტანილთა დაკავების შესახებ.
- 985. К годовщине смерти кн. И.Г. Чавчавадзе:** [информация газеты о мероприятиях , намеченных к 31 августа]. - газ. «Закавказье». - 1908. - 28 авг., с. 2-3.
გაზეთის ინფორმაციის თანახმად 31 აგვისტოს დილის 10 საათზე ქმწკვ საზოგადოების ინიციატივით გაიმართება მწერლის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი და ლიტურგია; ქალაქის მმართველობის დადგენილებით სავალდებულოა მმართველობის სრული შემადგენლობის დასწრება პანაშვიდზე; თბილისის გამგეობა რუსეთის დუმის წინაშე დააყენებს საკითხს, რომ თბილისის ერთ-ერთ სკოლას მიენიჭოს ილია ჭავჭავაძის სახელი; გროვდება ძეგლის ასაგები თანხა.
- 986. Каргаретели И.** Характеристика грузинских народных песень, их виды и культурно-общественное значение. - газ. «Закавказское обозрение». - 1908. -2 нояб. - с. 2- 3.
ქართული ხალხურ მუსიკის ხასიათზე მსჯელობისას ავტორს თავისი მოსაზრებების დასტურად მოაქვს ილია ჭავჭავაძის გამონათქვამები და მაგალითები მისი ნაწარმოებებიდან; უწოდებს მას XIX “საუკუნის უდიდეს პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს”.
- 987. Объявление о розыске Гиголы он же Георгий Петрович Бербичашвили, он же Тадиашвили.** Приметы: 30 лет, ср. роста, полного телосложения, волосы, усы, борода русые, лицо рябоватое. Всякий, кому известно местонахождение обязан сообщить. Тиф. окружной суд. - газ. «Кавказ». - 1908. - 13 сект.
- 988. Озургеты:** О проведении вечера в честь И. Чавчавадзе. - газ. «Закавказское обозрение». 1908. -31 окт. - с. 3
- 989. Помещик и крепостной.** - газ. «Закавказье». - 1908. - 24 янв., с. 1.
თბილისის დრამატული ქართული თეატრის სპექტაკლის (“ბატონი და ყმა”) პრემიერის შესახებ, რომელიც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით შექმნა შ. დადიანმა.
- 990. Правление общества распространения грамотности среди грузин.** - газ. «Кавказ». - 1908. -31 авг.
ცნობა ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული დაღუპვიდან ერთი წლისთავზე 31 აგვისტოს ჩატარებული პანაშვიდისა და ლიტურგიის შესახებ.
- 991. Правление тифлисского дворянского земельного банка.** . - газ. «Кавказ». - 1908. - 31 авг.
ცნობა 31 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთი წლისთავთან დაკავშირებით თბილისში ჩატარებული პანაშვიდის შესახებ.
- 992. Судебная хроника:** дело бывшего редактора газеты «Исари» Валериана Гуния. - газ. «Закавказское обозрение». 1908. - 3 окт. - с. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ვალერიან გუნის მიესაჯა 7 დღით თავისუფლების აღკვეთა და 10 მანეთი ჯარიმა იმისათვის, რომ მან გაზეთ “ისარში” (1908წ., 23 თებ.) გამოაქვეყნა ილიას მკვლელობაში ერთ-ერთი ეჭვმიტანილის, გ. ხიზანიშვილის ჩვენება, სადაც იგი ასახელებს მკვლელობის დამკვეთებს და შემსრულებლებს.

- 993. Тифлисская жизнь:** [О чтениях произведения И. Чавчавадзе «Рассказ нищего» г-жей Н.Б. Кипиани в аудитории общества народных развлечений]. – газ. «Закавказье». – 1908. – 29 янв., с. 2.

ქრონიკაში აღნიშნულია, რომ მხატვრული კითხვა ანშლაგით მიმდინარეობდა.

- 994. Тифлисская жизнь:** [Хроника дня]. – газ. «Закавказье». – 1908. – 24 янв., с.3.

თბილისის დრამატული ქართული თეატრის სპექტაკლის (“ბატონი და ყმა”) პრემიერის შესახებ, რომელიც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით შექმნა შ. დადიანმა.

- 995. Тифлисская жизнь:** [Хроника дня]. – газ. «Закавказье». – 1908. – 27 янв., с. 3.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ნ.ბ. ყიფიანმა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები “გლახის ნამბობი” წაიკითხა ხალხური გასართობების საზოგადოების აუდიტორიაში.

- 996. Тифлисская жизнь:** Сообщение о выдаче аванса правлением общества грамотности скульптору Як. Николадзе для приготовления моделей магильного памятника И.Г. Чавчавадзе. – газ. «Закавказье». – 1908. – 14 февр., с.2.

ინფორმაციაში მითითებულია, რომ ილიას საფლავის ძეგლის მოდელები დამზადდება თბილისში, ხოლო თვით ბიუსტი – პარიზში, ი. ნიკოლაძის სახელოსნოში.

- 997. Тифлисская жизнь:** [Сообщение о переведении из кутайской тюрьмы Ерм. Долидзе, подозреваемого в убийстве И. Чавчавадзе, в метехский замок]. – газ. «Закавказье». – 1908. – 7 февр., с. 3.

განცხადებაში უარყოფილია ილიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი დოლიძის სიკვდილის ფაქტი ქუთაისის ციხეში და აღნიშნულია, რომ იგი გადმოყვანილია მეტეხის ციხეში.

- 998. Тифлисская жизнь:** Сообщение о посещении членами правления об-ва грамотности на горе св. Давида могилы И. Чавчавадзе. – газ. «Закавказье». – 1908. – 7 февр., с.3.

განცხადებაში უარყოფილია ილიას საფლავის მოუვლელობის ფაქტი. აღნიშნულია, რომ ქმწგ საზოგადოების წევრებთან ერთად მოქანდაკე ი. ნიკოლაძეც იმყოფებოდა, რომელსაც ძეგლის აგების პროექტის შესრულება ჰქონდა დავალებული.

- 999. Тифлисская жизнь:** Информация о похищении сбора с благотворительного вечера в честь И. Чавчавадзе в Озургетах двумя студентами. Сообщение газ. «Батумсий голос». – газ. «Закавказское обозрение». – 1908. – 2 нояб. – с. 3

- 1000. Тифлисская жизнь:** Информация о проведении концерта с участием В. Сараджишвили сбор с которого предназначен для фонда И. Чавчавадзе. – газ. «Закавказское обозрение». – 1908. – 21 нояб. – с. 2

- 1001. Убийцы И.Г. Чавчавадзе уже доставлены в Тифлис.** – газ. «Закавказье». – 1908. – 16 февр., с. 2.

ქრონიკაში აღნიშნულია, რომ ილიას მკვლევლები უკვე გადმოყვანილნი არიან თბილისში. გვარები არ სახელდება. მოყვანილია მკვლევლების განცხადება, რომ ისინი არ ელოდნენ ასეთი ხმაურის ატეხვას ილიას მკვლევლობის შემდეგ და იყვნენ ძალიან განცვიფრებული ამ ფაქტით.

1002. Хаханов, А. Князь И.Г. Чавчавадзе, как этнограф. – [Б.М.]. - 1908. – 14 с.

1003. Хаханов А. Педагогический журнал «Ганатлеба»: Библиография: О выходе в свет 1-го номера грузинского научно-педагогического журнала. – газ. «Закавказье». – 1908. – 29 янв. – с. 3.

ბიბლიოგრაფიაში განხილულია ჟურნალის შინაარსი, კერძოდ: ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებები, რომლებიც ამოკრებილია სხვადასხვა ნაწარმოებიდან; ხაზგასმულია ილიას “უცნაური ამბავის” გამოყენება რედაქციის მიერ, რომელიც, ავტორის აზრით, დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ქმნის; საუბარია ეკ. გაბაშვილის “ფიქრებისა და მოგონებების” შესახებ და ა.შ.

1909

1004. ვაჟა-ფშაველა. შენდამი (ვუძღვნი ილია ჭავჭავაძის ხსოვნას): [ლექსი]. – აღმანახი “ერთობა”. – 1909. – №1, გვ. 1-2.

იგივე: წიგნ.: ვაჟა-ფშაველა. ცრემლები. თბ., 1909.

1005. მიმდინარე წლის... (ცნობა). – ჟურ. “იალქანი”. – 1909, №6, გვ.13. ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ ფულის შეგროვების შესახებ.

1006. Амираджиби С.В. Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе: (краткая биография). – в кн.: Сборникъ стихотворенийъ грузинскихъ поэтовъ \ въ русскомъ переводе княгини С.В. Амираджиби. – М., Тип. В.М. Саблина, 1909. – с. 54.

1007. Poinson Ch., Gobetchia M. [Lettre sur la literature georgienne]. – rev. “Mercure de France”. – 1909. 16 juillet.

ვრცელ წერილში ზოგადად მიმოიხილულია ქართული ლიტერატურა, ძირითადი ადგილი კი ეთმობა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

1910

1008. ბაქრაძე ვ. “განდეგილის” გასამართლება. – გაზ. “ჩვენი გაზეთი”. – 1910. – №62

1009. განდეგილის გასამართლება. – ჟურ. “სხივი”. – 1910. – №15, გვ.15.

ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის პოემის “განდეგილის” მთავარი გმირის ლიტერატურული გასამართლების შესახებ.

1010. ვაჟა-ფშაველა. ილიას საღამო: [ლექსი]. – გაზ. “სახალხო გაზეთი”. – 1910. – 4 ნოემბ. №149, გვ.2

1011. ვაჟა-ფშაველა. ქურდის თავზე ქუდი იწვის. – გაზ. “სახალხო გაზეთი”. – 1910. – 6 ნოემბერი, №151, გვ.3.

ვაჟა-ფშაველა ეხმაურება გაზეთ “საქმის” 1910წ. №84-ში მოთავსებულ (გრ. უროტაძის) წერილს, რომელშიც ავტორმა ქუთაისში გამართულ ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოზე ილია ჭავჭავაძე შავრაზმელად მოიხსენია.

1012. ილია ჭავჭავაძის ძეგლი. – ჟურ. “ნაკადული” (მოზრდ). – 1910. – №9. – გვ. 21-22.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იაკობ ნიკოლაძის პროექტით მთაწმინდაზე განზრახულია ილია ჭავჭავაძის ძეგლის დადგმა.

1013. (უროტაძე გრ.) ღალა. ილია ჭავჭავაძის საღამო ქუთაისში. – გაზ. “საქმე”. – 1910. – №84

1014. «Грузинские писатели». кн. вторая \ сост. И. Гомелаури: библиография. – газ. «Закавказье». – 1910. – 5 сент.

ინფორმაციაში ნათქვამია, რომ გამოვიდა ახალი წიგნი “ქართველი მწერლები”, რომელშიც შევიდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლისა და სხვათა ნაწარმოებები.

1015. К-ри Мих. С панихиды [годовщины трагической смерти И. Чапвчавадзе]. – газ. «Закавказье». – 1910. – 31 авг.

სტატიის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს ხალხის სიმცირეს ილიას პანაშვიდზე მისი გარდაცვალებიდან მესამე წლისთავზე.

1016. Панихида на могиле поэта кн. И.Г. Чавчавадзе. – газ. «Закавказье». – 1910. – 31 авг.

გაზეთი აქვეყნებს ინფორმაციას ილიას პანაშვიდის ჩატარების შესახებ. მიმოიხილავს აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმულ სიტყვას პანაშვიდის შემდეგ, რომელიც, გაზეთის რედაქციის აზრით, სამართლიანად საყვედურობს ქართულ ინტელიგენციას მათი ინდიფერენტული განწყობილების გამო საქართველოს საუკეთესო შვილების მიმართ.

1017. Правление «общ-ва распространения грамотности ср. груз. населения: [Сообщение об отслужении литургии и панихиды в связи с трехлетней годовщины трагической кончины незабываемого поэта Ильи Григорьевича Чавчавадзе в храме св. Давида]. – газ. «Закавказье». – 1910. – 29 авг.

1018. [Сообщение телавского филиала общ-ва распространения грамотности ср. груз. населения об отслужении панихиды в годовщину трагической смерти лучшего сына Грузии Ильи Чавчавадзе 29 авг. в телавском кафедральном соборе]. – газ. «Закавказье». – 1910. – 26, 27 авг.

1911

1019. აბაშიძე კიტა. თ-დი ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: აბაშიძე კიტა. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. ტომი I. – ქუთაისი, თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობა წიგნის მაღაზიის გამოცემა, 1911. – 274გვ.

წიგნის VI ნაკვეთში საუბარია ილია ჭავჭავაძის როლზე ქართულ საზოგადოებაში პროგრესული იდეების დამკვიდრების საქმეში. ავტორი მიიჩნევს, რომ ილიას გამოჩენამდე ქართველ ერს თითქმის არავითარი პროგრესული იდეალი არ გააჩნდა. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები შეებრძოლნენ ჩვენი საზოგადოების მაშინდელ მამამთავრებს და ქართველი საზოგადოება სრულიად ახალ გზაზე დააყენეს, მიძინებულ ერს იდეალი დაუსახეს.

1020. აბაშიძე კიტა. ილია ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი (ოთარაანთ ქვრივი და პლატონ კარატაევი). – წიგნ.: აბაშიძე კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული

ლიტერატურის შესახებ. ტომი I. ქუთაისი, თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობა წიგნის მაღაზიის გამოცემა, 1911. _ 274გვ.

ავტორი ერთმანეთს ადარებს ილიას ოთარაანთ ქვრივსა და ლევ ტოლსტოის რომანის “ომი და მშვიდობის” ერთ-ერთ პერსონაჟს პლატონ კარატაევს. ავტორი მიიჩნევს, რომ პლატონ კარატაევისაგან განსხვავებით, რომელიც მორჩილად უხრის ქედს უსამართლო ბედს და ამაში ხედავს ცხოვრების სიბრძნეს, ოთარაანთ ქვრივი ილია ჭავჭავაძეს გამოყვანილი ჰყავს ბოროტების წინააღმდეგ მედგარ მებრძოლად.

1021. ახალციხელი. ილიას საფლავზედ. _ გაზ. “თემი”. _ 1911. _ 5 სექტ. №35, გვ. 2.

წერილში გამოთქმულია გულისტკივილი და გულისწყრომაც გარდაცვალების ოთხი წლისთავზე ილიას საფლავთან ხალხის მცირე რაოდენობის შეკრების გამო.

1022. გ-კა. სალიტერატურო საღამო. _ გაზ. “მნათობი”. _ 1911. _ №32.

ავტორი უპირისპირდება კ. აბაშიძის მოსაზრებას, რომლითაც მან ილია ჭავჭავაძე დაიცვა ბ. ბოსლეველის ბრალდებისაგან. ბ. ბოსლეველს მიაჩნდა, რომ “განდეგილი ილიას პესიმიზმის ხატებაა”, რასაც ეთანხმება წერილის ავტორიც.

1023. გ-კა. “განდეგილი” ილია ჭავჭავაძისა ბ-ნი კ. აბაშიძის წერილის გამო. _ გაზ. “მნათობი”. _ №52, 53.

ავტორი ილია ჭავჭავაძის პოზიციის შესახებ ეკამათება კ. აბაშიძეს და დასკვნის სახით აცხადებს, რომ ილია ჭავჭავაძე განდეგილს თანაუგრძნობს და თავისი ნაწარმოებით ადასტურებს განდგომილობას.

1024. თბილისი, 31 ოქტომბერი (მეთაური წერილი). _ გაზ. “თემი”. _ 1911. _ 31 ოქტ. №43, გვ. 1.

სარედაქციო წერილში დახასიათებულია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი, რომელსაც მოწამეობრივი ხასიათი ჰქონდა და არ შეეძლო არ მიექცია მაღლიერი ქართველი ერის შეგნებული ნაწილის ყურადღება. და, აი ამიტომაც მისი დაბადების დღეს, 27 ოქტომბერს ერის მოწინავე ნაწილმა დააწესა დღესასწაული “ილიას დღე”. წერილის დიდი ნაწილი ეთმობა მოწოდებას შემდგომში ამ დღესასწაულის ღირსეული აღნიშვნისათვის, რათა ყველამ კარგად შეიგნოს და გაითვითცნობიეროს ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობა ქართველი ერისა და საერთოდ საქართველოსათვის.

1025. თორაძე ა. აკაკისა და ილიას შემოქმედება. _ გაზ. “კოლხიდა”. _ 1911. _ 1 მაისი, №28.

წერილში ზოგადად დახასიათებულია აკაკისა და ილიას გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე და ფასდაუდებელი ღვაწლი მშობელი ხალხის წინაშე.

საუბარია, აგრეთვე, ილიასა და აკაკის შემოქმედებით პარალელებზე.

1026. რუშაველი ფ. კიდევ ილია ჭავჭავაძის “განდეგილის” შესახებ. _ გაზ. “თემი”. _ 1911. _ 12 დეკ. №49, გვ. 2-3..

პოლემიკა გამოწვეულია კიტა აბაშიძის კრიტიკული წერილით გაზ. “მნათობი” (1911, №№52, 53) “განდეგილის” შესახებ გამოქვეყნებული ვინმე გ-კას მოსაზრებაზე.

ავტორი სწერს: “გ-კას ვერ გაუგია პოემის აზრი, ამიტომ იგი თვითონ გამოთქვამს თავის მოსაზრებას “განდეგილის” შესახებ. დიახ, ცხოვრებიდან გასვლა ნადირის და ქარის საქმეა და არა ადამიანისაო, გვეუბნება პოემა...”

ასეთია პოემის დედა-არსი და ჩემის აზრით შემცდარია ის, ვინც ასკეტიზმისადმი სიმპატიას დასწამებს. ვინც იცის ილიას ნაწარმოები, მისი მსოფლმხედველობა, ის ამას ვერ დასწამებს ავტორს”.

1027.სამოქალაქო პანაშვიდი წიწამურში. _ გაზ. “თემი”. _ 1911. _ 17 ოქტ. №41, გვ.1-2.

გაზეთში მიმოხილულია “სახალხო გაზეთში” დაბეჭდილი ნ. ძიძიგურის წერილი, რომელშიც საუბარია მასწავლებელ წითლიძის, მღვდელ ჯალიაშვილის და წინამძღვრიანთკარის მოწაფეების მიერ გადახდილ ილიას სულის მოსახსენებელ პანაშვიდზე.

1028.ჯორჯაძე არჩილ. თხზულებანი. წიგნი პირველი: ეროვნული პრობლემის გარშემო. _ ტფ., 1911. _ 271გვ.

წიგნის 228-ე გვერდზე ქვეყნდება 1905 წლის 1 აპრილს სათავად-აზნაურო კრების მონაწილეთა, მათ შორის ილია ჭავჭავაძის, მიერ წარმოთქმული სიტყვების ფრაგმენტები, რომლებიც საქართველოს ავტონომიის საკითხებს ეხება.

1912

1029.გ-რი. ჩვენებური “ურა” პატრიოტები; “დეკუტატის არჩევანი”. _ აღმანახი. 1912. _ №2, გვ 7-8.

წერილში უარყოფილია ფედერალისტების ბრალდება, თითქოს ილია ჭავჭავაძის გაუთავებელმა კრიტიკამ და მასთან ბრძოლამ შექმნა ატმოსფერო, რამაც განაპირობა მისი მკვლელობა.

1030.ილიას საღამო ბაქოში _ გაზ. “სახალხო გაზეთი”. _ 1912. _ 31 ოქტ. №737, გვ. 2.

საღამოს მოკლე ანგარიში. აქ გაიმართა ილიას დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ 29 აგვისტოს ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ილიას გარდაცვალების ხუთი წლისთავის წირვა და სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, ხოლო 30 აგვისტოს პანაშვიდი გაიმართება წიწამურში.

1031.ილიას საღამო ოდესაში. _ გაზ. “სახალხო გაზეთი”. _ 1912. _ 7 ნოემბერი.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 28 ოქტომბერს ოდესაში მყოფი ქართველების თაოსნობით გაიმართა ილიას მოსახსენიებელი საღამო.

1032.ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა. _ გაზ. “სახალხო გაზეთი”. _ 1912. _ 26 სექტ. №707, გვ. 2.

გაზეთი აცნობს საზოგადოებას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული.

1033.ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა. _ გაზ. “სახალხო გაზეთი”. _ 1912. _ 20 ნოემბერი, №754.

გაზეთი აქვეყნებს ანგარიშს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის შესახებ.

1034.ისარი. ილიას საღამო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში _ გაზ. “სახალხო გაზეთი”. _ 1912. _ 18 ნოემბერი. _ №753, გვ. 3.

- 1035. ლეონიდე გიორგი.** ორი მსხვერპლი. ილია ჭავჭავაძეს და დიმიტრი ყიფიანს: [ლექსი]. – ჟურ. “განათლება”. – 1912. – №9. – გვ. 704
- 1036. ჩიანელი დია.** ილიას საღამო ხარკოვში. – გაზ. “სახალხო გაზეთი”. – 1912. – 10 ნოემბერი, №746.
 გაზეთი იუწყება, რომ ქ. ხარკოვის ქართულმა სათვისტომომ გადაიხადა ილია ჭავჭავაძის იუბილე-საღამო.
- 1037. წერეთელი ალ.** ილია ჭავჭავაძე როგორც პოეტი ხელოვანი. – გაზ. “სახალხო გაზეთი”. – 1912. – 24 ნოემბერი, გვ.2-3; 25 ნოემბ. გვ. 3-4.
 წერილში ავტორი ილიას შემოქმედებას განიხილავს, როგორც პოეტი_ხელოვანის ნაღვაწს და არგუმენტების მოშველიებით აქარწყლებს იმ კრიტიკოსთა აზრს, რომლებიც ილიას მხატვრულ შემოქმედებას სუსტად მიიჩნევენ. წერილში განხილულია პოემა “დიმიტრი თავდადებული”, “განდეგილი”, “აჩრდილი”, “კაკო ყაჩაღი”, და რამდენიმე ლექსი.
- 1038. წულუკიძე მ.** “განდეგილი” ილია ჭავჭავაძისა. – გაზ. “თემი”. – 1912. – №80, 81.
 ავტორი მაღალ შეფასება აძლევს პოემას და მიაჩნია, რომ იგი თავისი მნიშვნელობით მსოფლიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს უტოლდება.
- 1039. Грузинский вечер в Юрьеве.** – газ. «Закавказье». – 1912. – 18 февр.
 წერილი ეხება იურიევის (რუსეთი) სტუდენტების მიერ მოწყობილ ქართულ მხატვრულ-ლიტერატურულ საღამოს. აღწერილია დარბაზის მორთულობა და ყვავილებითა და სიმწვანით შემკული თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის პორტრეტები.
- 1040. Мачабели М.** Обзор печати. – газ. «Закавказье». – 1912. – 9 марта.
 ავტორი საჯარო ბოდიშის მოხდას სთხოვს არჩილ ჯორჯაძეს “სახალხო გაზეთში” გამოქვეყნებული წერილის გამო, რომელიც ეხება მ. მაჩაბლისეულ ინფორმაციას ილია ჭავჭავაძის, თითქოსდა, დადებითი დამოკიდებულების შესახებ სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით.
- 1041. Мачабели М.** Предводителям и депутатам грузинского дворянства Тифлисской губернии: Запрос.. – газ. «Закавказье». – 1912. – 15 марта.
 ვრცელ მიმართვაში სხვა საკითხებთან ერთად ავტორი უარყოფს ილია ჭავჭავაძის მიმართ შეურაცხყოფელ გამონათქვამებს 1909 წელს პეტერბურგში სათავადაზნაურო საბჭოს სხდომაზე. იგი აღნიშნავს და ადასტურებს თავის ღრმა პატივისცემას ქართველი თავადაზნაურებისა და ილია ჭავჭავაძის მიმართ.
- 1042. Нацвалов (Мировой посредник):** 75-летняя годовщина рождения Ильи Чавчавадзе. – газ. «Закавказье». – 1912. – 28 окт.
 ინფორმაცია სიღნაღში ილიას დაბადებიდან 75 წლისთავზე პანაშვიდის გადახდისა და ამ შემთხვევის გამო ნაცვლიშვილის მიერ გამოგზავნილი დეპეშის შესახებ.
- 1043. Панихида по кн. И.Г. Чавчавадзе.** – газ. «Закавказье». – 1912. – 31 авг.
 გაზეთი აქვეყნებს ინფორმაციას ილიას მოსახსენიებელი პანაშვიდის გადახდის შესახებ მკვლელობიდან 5 წლისთავზე ქაშუეთის ეკლესიაში წკვ საზოგადოების ინიციატივით. პანაშვიდს ესწრებოდნენ საზოგადოების წევრები, გაზეთ “სახალხო გაზეთის” თანამშრომლები და სხვა. ინფორმაციაში ნათქვამია, აგრეთვე, რომ პანაშვიდი გადაიხადეს წინამურთანაც.

1044. Сочинения Ильи Чавчавадзе: [Объявление о подписке издания сочинений И. Чавчавадзе в дорогом переплете Михаилом Гедеванишвили]. - газ. «Закавказье». - 1912. - 6, 11, 13, 18, 20, 25 июля, 1, 24, 26, 29, 30 авг., 26, 28, сент., 5, 17 окт.

გაზეთი აქვეყნებს ინფორმაციას მიხეილ გედევანიშვილის მიერ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის შესახებ.

1045. Чолокаев Д. (Князь, помощник председателя). 75-летняя годовщина рождения Ильи Чавчавадзе. - газ. «Закавказье». - 1912. - 28 окт.

ინფორმაცია სიღნაღში ილიას დაბადებიდან 75 წლისთავზე პანაშვიდის გადახდისა და ამ შემთხვევის გამო თავად ჩოლოყაშვილის მიერ გამოგზავნილი დეპეშის შესახებ.

1046. III. Д. К юбилею артистки М.М. Сапаровой-Абашидзе. - газ. «Закавказье». - 1912. - 19 янв.

ძირითად საკითხთან ერთად საუბარია, აგრეთვე, ქართული დრამატული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, რომელთა დამაარსებლებად სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად დასახელებულნი არიან დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე. აღნიშნულია საზოგადოების დამსახურება ქართული დასისა და დრამატურგიის განვითარების საქმეში.

1913

1047. (აბაშიძე კიტა). ერთი პილატეთაგანი. ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე! _ ქუთაისი: ს. გერსამიას გამოცემა, 1913. _ 48 გვ.

იგივე: (აბაშიძე კიტა). ერთი პილატეთაგანი. ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე! _ გაზ. "ერი". _ 1913.

წერილის დაწერის მიზეზი გახდა ილიას მკვლელობიდან რამდენიმე წლის შემდეგ იმ ცილისწამების გამეორება, რომლითაც ამართლებდნენ მის მკვლელობას. წერილის ავტორი ილიას მკვლელობაში ბრალს დებს საკუთარ თავსაც, როგორც ერთ-ერთ წევრს "პილატეების ერისა" რომელმაც ასეთი მკვლელობა დაუშვა. წერილი იწყება ქრისტეს ჯვარცმისა და ილიას მოწამებობრივი სიკვდილის შედარებით. ავტორი ასაბუთებს, რომ ილიას უფრო სასტიკად მოექცნენ მისი მკვლელები, ვიდრე ქრისტეს. წერილში წარმოდგენილია მთელი ისტორია იმისა, თუ საიდან და როდის დაიწყო ბრძოლა "მესამე დასელებმა", ილიას და მისი ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ.

1048. ახალი ამბავი. ილიას სახელობის ბიბლიოთეკა. _ გაზ. "სახალხო გაზეთი". _ 1913. _ 18 დეკ. №1071, გვ. 1.

1049. ახალი ამბავი (ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდად შეგროვდა 1500 მანეთზე მეტი) _ გაზ. "სახალხო გაზეთი". _ 1913. _ 3 დეკ. №1058. გვ. 2.

1050. ახალი ამბავი (სოფელ ყვარელში ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის შესაკეთებლად ახალი კლუბის საგანგებო კრებამ დაადგინა გადადოს 400 მან.). _ გაზ. "სახალხო გაზეთი". _ 1913. _ 8 დეკ. №1063, გვ. 3.

1051. ახალი ამბავი. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა _ გაზ. "სახალხო გაზეთი". _ 1913. _ 5 დეკ. №1060.

თხზულებათა კრებულის ნაწილი გამოიცა, ნაწილი კი აგვიანებს იმის გამო, რომ მკაზმავე ვერ ასწრებს.

1052. ახალი აშხავი _ ილიას სახსოვრად. _ გაზ. "სახალხო გაზეთი". _ 1913. _ 7 ნოემბ. №1037, გვ. 2.

გაზეთი ბეჭდავს განცხადებას, რომ ილიას ნაწერების გამომცემელმა მ. გედევანიშვილმა წერა-კითხვის საზოგადოებას ილიას კაბინეტის მოსართავად გაუგზავნა მხატვარ გრინვესკის მიერ შესრულებული ყველა ნახატი, რომლებიც მოთავსებულია ახალ საგანგებო გამოცემაში.

1053. გაბაშვილი რევაზ. ილია ჭავჭავაძე და ფილიპე მახარაძე. _ ჟურ. "კლდე". _ 1913. _ №29.

წერილი მიმართულია სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ავტორის აღშფოთებას იწვევს ილიას მკვლელობიდან ექვსი წლის შემდეგ იმ ადამიანებისა და ჯგუფების გააქტიურება, რომლებიც თითქმის ამართლებდნენ ამ მკვლელობას. "ფილიპე მახარაძე და მისი ამქარნი იმეორებს იმავე ცილისწამებას. ჩვენ იძულებულნი ვართ ვიფიქროთ, რომ შემქმნელნი ილიას მკვლელობის იდეისა და დამბადებელნი სწორედ სოციალ-დემოკრატები არიან".

1054. გამსახურდია კონსტანტინე. მცირე შეკითხვა (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საყურადღებოდ). _ გაზ. "სახალხო გაზეთი". _ 1913. _ 8 დეკ. №1063, გვ. 3.

მოსკოვში მყოფი კ. გამსახურდია შემთხვევით იგებს, რომ ვინმე ბაქრაძეს განუზრახავს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა რუსულად, რომელიც ეღირება 18 მანეთი. წერილის ავტორი წერა-კითხვის საზოგადოებას სთხოვს, სასწრაფოდ შეატყობინონ, ხომ არ აუღია ბატონ ბაქრაძეს რუსულად გამოცემის უფლება, რათა დროულად გაიგონ რა მოსაზრებით აპირებს ხსენებული პირი ილიას ნაწერების გამოცემას.

1055. (განცხადება). _ გაზ. "განთიადი". _ 1913. _ 25 აგვ. №20.

გაზეთ "თემის" თანამშრომლებმა: ვ. მალაქიაშვილმა, იასამანმა, ბ. გელაზანიამ და გ. ტაბიძემ პროტესტის ნიშნად დატოვეს გაზეთი, რადგან არ ეთანხმებოდნენ ილიას მკვლელობასთან დაკავშირებულ საკითხთან გაზეთის პოზიციას. მათ განაცხადეს: "ჩვენ სრულებით ვეთანხმებით გაზ. "თემის" წინააღმდეგ მიმართულ მუშათა საპროტესტო წერილების აზრს, ქართულ პრესაში საერთოდ და კერძოდ "თემში" არაკორექტულ პოლემიკას ილიას მკვლელობის გამო, ამიტომ ხსენებულ გაზეთში თანამშრომლობას დღეიდგან თავს ვანებებთ."

1056. ქართული პრესა. _ გაზ. "განთიადი". _ 1913. _ №6. _ გვ. 1.

რუბრიკაში "ქართული პრესა" რედაქცია ეხმაურება გაზეთ "თემის" №135-ში ნომერში გამოქვეყნებულ მოწინავე წერილს, რომელშიც გაკვირვებაა გამოხატული მის მიმართ გამოთქმული პროტესტის გამო. "განათლების" რედაქცია მიიჩნევს, რომ გრიგოლ დიასამიძემ ("თემის" რედაქტორი) შეცდომა დაუშვა ფილიპე მახარაძესთან კამათის დროს, როცა ერთი მხრივ, ილიას წინააღმდეგ გამოქვეყნებულ ფაქტებს ჭორი უწოდა, მეორე მხრივ კი იქვე წამოაყენა წინადადება, გამოეკვლიათ ილიას გლეხებთან დამოკიდებულების საკითხი.

1057. [სარედაქციო წერილი]. _ გაზ. "განთიადი". _ 1913. _ №6. _ გვ. 1.

გაზ. “განთიადის” გამოხმაურება “სახალხო გაზეთისა” და “ბათუმის გაზეთს” შორის მიმდინარე პოლემიკაზე ილიას განდიდების მიმართ განსხვავებული თვალსაზრისის გამო.

1058.საპროტესტო წერილები. _ გაზ. “განთიადი”. _ 1913. _ №7, 11.

გაზეთის რამდენიმე ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს სახვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი საპროტესტო წერილები გაზეთ “სახალხო გაზეთის” ირგვლივ “შემოკრებილი ჯგუფის” მიმართ, რომლებიც, წერილის ავტორთა თქმით, ქვეყანაში მომხდარ ყველანაირ სისამაგლეს, მათ შორის ილიას მკვლელობასაც, მიაწერენ “მესემედასელებს”.

1059.გოგიჩაიშვილი ფილიპე. უკვდავი ბოროტება. _ გაზ. “სახალხო გაზეთი”. _ 1913. _ №892.

წერილი მიმართულია სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ავტორი მათ უწოდებს ილიას მკვლელებს, ხოლო ფილიპე მახარამეს ამ უკვდავი ბოროტების იდეოლოგს _ “საქართველოს ჰეროსტრატეს”. ავტორი აღშფოთებულია იმის გამოც, რომ ფ. მახარამე კვლავ აგრძელებს წერას და კამათს ამ უკვდავი ბოროტების გარშემო.

1060.დედარიანი სეით. საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. _ ჟურ. “განათლება”. _ 1913. _ №8. _ გვ. 588-589; №9. _ გვ. 659-670; №10. _ გვ. 762-768

1061.დიმ. ჯაშის მოხსენება. დ. სამტრედია: [ინფორმაცია]. _ გაზ. “იმერეთი”. _ 1913. _ №59. _ გვ. 3.

წერილში ნათქვამია, რომ 1913 წლის 10 აგვისტოს, შაბათს, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში ილია ჭავჭავაძის ნამოურავალმა დიმიტრი ჯაშმა წაიკითხა მოხსენება ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ მიუდგომლად აღწერდა ორივე მიმართულების ჯგუფის საქციელს და უარყო ხმები, რომ იგი რომელიმე მიმართულების დავალებით მოეწყო ილიასთან სამუშაოდ. დ. ჯაშმა ისაუბრა, თუ როგორ მომზადდა ნიადაგი ილიას მოკვლისათვის, რომელიც, მისი თქმით, ორი წლით ადრე იყო დაგეგმილი, მაგრამ არ განხორციელდა, რადგან ილია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და ხშირად იმყოფებოდა პეტერბურგში.

1062.ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა. _ გაზ. “სახალხო გაზეთი”. _ 1913. _ 29 ოქტ. №1029, გვ. 1.

განცხადება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის განზრახულებათა შესახებ.

1063.ილია ჭავჭავაძის საფლავზე ძეგლის კურთხევა. _ გაზ. “თემი”. _ 1913. _ 6 მაისი, №122.

გაზეთი აქვეყნებს ცნობას მთაწმინდაზე 5 მაისს ილიას ძეგლის კურთხევისა და პანაშვიდის გადახდის შესახებ. პანაშვიდამდე სიტყვები წარმოთქვეს ეპისკოპოსმა ანტონმა, დავით კარიჭაშვილმა, ხოლო პანაშვიდის შემდეგ _ აკაკი წერეთელმა, რის შემდეგაც მანვე ჩამოხსნა საბურველი ძეგლს. წერილში ჩართულია აკაკის სიტყვა და მისივე “ნუ მოწამლავთ მოხუცის გრძნობას.”

1064.ლვისტი არტურ. მოგონება ილია ჭავჭავაძეზე. _ ჟურ. “განათლება”. _ 1913. _ №5. _ გვ. 361-368

- 1065. ლეჩუმელი რ.** ცილისმწამებლებს (ილია ჭავჭავაძის საფლავზე): [ლექსი]. – გაზ. “ჩვენი წყარო”. – 1913. – №8-18, 12 მაისი, გვ.12.
 ლექსში ავტორი ცდილობს გამოხატოს ილიას მოკვლით გამოწვეული გულისტკივილი, თუმცა ლექსის მთელი პათოსი მიმართულია მათ წინააღმდეგ, ვინც ილიას მკვლელობაში მარქსისტებს ადანაშაულებს.
- 1066. ნაკაშიძე ი.** სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა. ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. – ჟურ. “ნაკადული” (მოზრდილთათვის). – 1913. – №5, გვ. 38-42.
 წერილის ავტორი გულისტკივილით საუბრობს იმ დიდ დანაკლისზე, რაც ქართულმა საზოგადოებამ განიცადა ილიას ტრაგიკული აღსასრულის გამო.
 იგი აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის საფლავზე შეიძლება ასეთი წარწერის გაკეთებაც: “მოწინავე მოღვაწენი იმიტომ გვტოვებენ ამ წუთი-სოფელში, რომ მათი ძვირფასი საქმე განვაგრძოთ, მათ ნაწერებში მჩქეფარი უკვდავი გრძნობა დაჩაგრულ ხალხს ვრცლად მოვფინოთ.”
- 1067. რუს-იმერელი [იურკევიჩი ვიქტორ].** ილიას ხსოვნას: [ლექსი]. – ჟურ. “განათლება”. – 1913. – №5. – გვ. 544-545
- 1068. საზოგადოების საყურადღებოდ.** – გაზ. “სახალხო გაზეთი”. – 1913. – 8 დეკემბერი, №1063, გვ. 3.
 ილია ჭავჭავაძემ, თავისი ქონება და სახლი თბილისში უანდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. სახლის ვალისაგან გათავისუფლება ვერ მოხერხდა და ბოლოს შეუძლებელი გახდა მისი გადახდა. ბანკი აღარ იცდიდა და იძულებული იყო კერძო პირისთვის მიეყიდა სახლი. ამ გარემოებამ შეაშფოთა საზოგადოება, პოეტის ყველა თაყვანისმცემელი და გამოითქვა სურვილი დახმარებოდნენ ქ. შ. წ. გ. ს გამგეობას და ფულის შეკრება ეკისრათ, რათა სახლი გათავისუფლებულიყო ვალისგან.
- 1069. ფ. მ. [მახარაძე ფილიპე].** მეორე მხარესაც მოვუსმინოთ! – გაზ. “ჩვენი წყარო”. – 1913. – №5-15. – 21 აპრილი, გვ. 7-9, გაგრძელება №6-16, 28 აპრილი, გვ. 5-7.
 წერილის დაწერის კონკრეტული მიზეზი იყო ია ეკალაძე-ცინცაძის, ბ. ლასხიშვილის და ფ. გოგიჩაიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილები, რომლებშიც ისინი ბრალს დებდნენ “მოგზაურს” 1905 წელს ვ. ნ-ს წერილის – “საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება” – გამოქვეყნების გამო. ფ. მ. ცდილობს ახსნას, თუ რატომ გამოაქვეყნა ეს წერილი “მოგზაურმა” და, ამავე დროს, ბრალს დებს ფედერალისტ-ავტონომისტებს, რომ მათ ფაქტიურად ვერ დაიცვეს ილია ჭავჭავაძე მძიმე ბრალდებებისაგან.
- 1070. ქიქოძე გერონტი.** ილია ჭავჭავაძე - მგოსანი და მოაზროვნე. – გაზ. “სახალხო გაზეთი”. – 1913. – №887.
 ავტორი აანალიზებს ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებას და აცხადებს, რომ “ილია ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში, როგორც ფორმის ისე შინაარსის მხრივ, დიდი მრავალფერადობა და ცვალებადობა გამოაშკარავა, მაგრამ ამ გარემოებას მისი მხატვრული სტილის მთლიანობა ოდნავადაც არ დაურღვევია. პირიქით, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ ახალ მწერალთ შორის ლიტერატურული სტილის შემუშავებაში ბარათაშვილის გარდა არავის არ მიუძღვის ისეთი დიდი ღვაწლი, როგორც კაცია-ადამიანის?!” და “განდეგილის” ავტორს.“
- 1071. წულუკიძე მ.** ილია ჭავჭავაძე. – გაზ. თემი”. – 1913. – №147.

წერილის ავტორი აცხადებს, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი და ხელოვანი, მთელ ერს ეკუთვნის, მაგრამ, როგორც მწერალი-მოაზროვნე, ის არ არის მთელი ერის სულიერი ცხოვრების, მისი მიმართულების გამომხატველი. ავტორის აზრით, ილიამ “ოთარაანთ ქვრივით” გამოხატა ორი დაპირისპირებული წოდების შერიგების სურვილი, რითაც ფაქტიურად უარყო კლასობრივი ბრძოლა.

1072. წულუკიძე მ. ჩატეხილი ხიდი. _ გაზ. თემი”. _ 1913. _ №148.

წერილის ავტორი აგრძელებს პოლემიკას ილია ჭავჭავაძის “ოთარაანთ ქვრივის” გარშემო და აცხადებს, რომ წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდის გამთელების სურვილი ძველი ურთიერთობების აღდგენას

1073. ხახანაშვილი ალექსანდრე. აკაკი წერეთელი. _ წიგნ.: ხახანაშვილი ალ. ქართული სიტყვიერების ისტორია. XIX საუკუნე / დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. _ თბ., 1913. _ გვ. 134-54.

აკაკის შემოქმედების განხილვისას ნარკვევის ავტორი საუბრობს აკაკისა და ილიას შემოქმედებებში უმთავრეს მოტივთა თანხვედრებზე. კერძოდ, პოეტის დანიშნულების თვალსაზრისზე, ქართველი ქალის გმირული ხასიათის აკაკისეულ და ილიასეულ დასურათხატებაზე და სხვა.

1074. ხახანაშვილი ალექსანდრე. ილია ჭავჭავაძე. _ წიგნ.: ხახანაშვილი ალ. ქართული სიტყვიერების ისტორია. XIX საუკუნე / დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. _ თბ., 1913. _ გვ. 85-114.

წიგნში მიმოხილულია ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, მისი პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. ნაჩვენებია ილიას შეხედულებები სოციალური თუ ეროვნული საკითხებისადმი.

1075. ხახანაშვილი ალექსანდრე. ილია ჭავჭავაძის ხანა. _ წიგნ.: ხახანაშვილი ალ. ქართული სიტყვიერების ისტორია. XIX საუკუნე / დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. _ თბ., 1913. _ გვ. 81-85.

წიგნის ამ მონაკვეთში საუბარია XIX საუკუნის 60-იანი წლების შესახებ, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ქართულ საზოგადოებაში. ავტორი ამ ეპოქას უწოდებს ილია ჭავჭავაძის ხანას, რადგან ეს ძვრები სწორედ მისი წინამძღოლობით ასპარეზზე გამოსულ ახალ თაობასთან არის დაკავშირებული.

1076. (ჯაჯანაშვილი არჩილ). ჯ-შვილი. ჩატეხილი ხიდი _ გაზ. “სახალხო გაზეთი”. _ 1913. _ 31 ოქტომბერი, №1031, გვ. 2-3.

ავტორი უპირისპირდება მ. წულიკიძისა და სხვების მოსაზრებებს, თითქოს ილია ჭავჭავაძემ “ოთარაანთ ქვრივში” უარი თქვა წოდებრივი უთანასწორობის მოსპობისათვის ბრძოლაზე და დაპირისპირებულ წოდებათა შერიგება სცადა. მისი აზრით, ილიას მიზანი იყო არა მარტო ადამიანის სოციალური ბორკილებიდან გათავისუფლება, არამედ პიროვნული მთლიანობის აღდგენა. “ოთარაანთ ქვრივში” კარგად გამოჩნდა, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდგ თავადასა და გლეხს შორის ხიდი მაინც ჩატეხილი დარჩა, რომელსაც აღდგენა სჭირდებოდა.

1077. Беридзе Ш. Непонятый гений: Илья Григорьевич Чавчавадзе, как поэт-гражданин: Жизнь и творчество писателя, 1837-1912: Реф., чит. в актовом зале Харьковского университета 4 нояб. 1912 г., на лит. вечере, по случаю 75-лктие

со дня рождения поэта \ Студ. Ш. Беридзе. – Харьков: Тип. М.И. Левина, 1913. – 22 с.

1078. Натиев Д. Обитель св. Давида в Грузии, место погребения А.С. Грибоедова, И.Г. Чавчавадзе и других, с 17-ю иллюстрациями. изд. третье. – Тфл.: тип. канц. наместника Е.И.В. на Кавказъ, 1913. – 48с.

წიგნის 21-22-ე გვერდებზე წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მოკლე მიმოხილვა, რომელსაც ახლავს მისი საფლავის ფოტო.

1914

1079. აბაშიძე კიტა. ილია ჭავჭავაძე (კრიტიკული მიმოხილვა). – წიგნ.: ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. ტ. I. – თბ.: მიხ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914. – გვ. LXXXVII-GXVIII.

წიგნში ვრცლად და დეტალურად არის მიმოხილული ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

1080. ახალი ამბები: გაზ. “აზრი”. – 1914. – 9 მაისი, №48. – გვ. 2.

მცირე ინფორმაციაში ნათქვამია, რომ გაზეთის რედაქციამ დიდი ჯიხანიშიდან მიიღო წერილი, რომელშიც გამოხატულია აღშფოთება “მამულიშვილთა” ხულიგნური საქციელის გამო, როცა მათ ხელი შეუშალეს პ. გელეიშვილს ლექციის – “ილია ჭავჭავაძე როგორც პოეტი და პუბლიცისტი” – წაკითხვის დროს.

1081. ახალი ამბები: გაზ. “აზრი”. – 1914. – 11 მაისი, №50. – გვ. 1.

რუბრიკაში “პრესა” გამოქვეყნებულია ხელმოუწერელი წერილი, სადაც გამოთქმულია აღშფოთება “მამულიშვილთა” მიერ პ. გელეიშვილის ლექციის – “ილია ჭავჭავაძე როგორც პოეტი და პუბლიცისტი” – ჩაშლის გამო.

1082. აღ. ჟ-ნი. როგორი უნდა იყოს კრიტიკა? – გაზ. “აზრი”. – 1914. – 24 მაისი, №60. – გვ. 1-2.

წერილში ავტორი ამართლებს პ. გელეიშვილს და მიაჩნია, რომ მას უფლება ჰქონდა თავისი აზრები გამოეთქვა ილია ჭავჭავაძის შესახებ. იგი ადანაშაულებს ქუთაისში პ. გელეიშვილის ლექციის დროს მომხდარი არეულობის მოთავეებს და მათ უწოდებს ცრუ “მამულიშვილებს”.

1083. გედევანიშვილი მიხეილ. გამომცემლისაგან. – წიგნ.: ჭავჭავაძე ი. თხზულებანი ტ. I. – თბ.: მიხ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914. – გვ. 1-4.

1084. [განცხადება]. – გაზ. “აზრი”. – 1914. – 22 აპრ., №33. – გვ. 1.

განცხადებაში წერია: “27 აპრილს ქუთაისში პ.პ. გელეიშვილი ქართულ ენაზე წაიკითხავს ლექციას: ი. ჭავჭავაძე როგორც მხატვარი და პუბლიცისტი. პროგრამაშია: 1) ილია ჭავჭავაძე, როგორც საქართველოს ცხოვრების გამომხატველი თავის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში. 2) ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მდგომარეობა XIX საუკუნეში. 3) ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. 4) ფილოსოფია ხმლისა და გუთნისა. 5) ხმალი და გუთანი და მათი ურთიერთული დამოკიდებულება. 6) თავად-აზნაურობა, როგორც ისტორიული მატარებელი ხმლისა და მფარველი და ბურჯი მამულისა. 7) გლეხკაცობა როგორც მიწის მუშა და მარჩენალი სამშობლოსი. 8) სოციალური კონცეპცია ი. ჭავჭავაძისა. 9) სახელმწიფოს ორი დედაბოძი: თავად-აზნაურობა და გლეხკაცობა. 10) ი.

ჭავჭავაძე გლეხების მიწით განთავისუფლების წინააღმდეგი. 11) სინდისი, როგორც ორი წოდების შემაერთებელი დასამაბამი. 12) ჩატეხილი ხიდი. 13) ცდა ჩატეხილი ხიდის აღსადგენათ. 14) იდეალიზაცია ძველი ფეოდალური საქართველოსი. 15) ბატონ-ყმობის ურთიერთობის არსებობის უარყოფა საქართველოში. 16) ფეოდალები. თავადები – მამებია და გლეხები – კი შვილები. 17) ილია ჭავჭავაძე, როგორც მეთაური ჩვენში ბატონ-ყმობის უარყოფელთა სკოლისა და ამ სკოლის საფუძვლის ჩამყრელი. 18) ძველი და ახალი. 19) მართობა ილია ჭავჭავაძისა და მისი სულიერი დრამა. 20) სიკვდილი პოეტისა. 21) დახასიათება პოეტისა. 22) დასკვნა.

1085. გელეიშვილი პეტრე. ილია ჭავჭავაძე როგორც პოეტი და პუბლიცისტი. ლექცია პ. გელეიშვილისა. – თბ., 1914. – 200 გვ.

წიგნში ილია ჭავჭავაძე დახასიათებულია, როგორც რეაქციონერი მემამულე, ხოლო მისი შემოქმედება გამოცხადებულია, როგორც რეაქციული და ანტიხალხური.

1086. გელეიშვილი პეტრე. ილიას სოციალური შეხედულება (პ. გელეიშვილის ლექცია). – გაზ. “თემი”. – 1914. – №161.

ავტორი შეეცადა საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ ილია ჭავჭავაძე გლეხთა მიწით განთავისუფლების წინააღმდეგი იყო. ამის დასტურად მან მოიტანა 250 მებატონის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც ისინი გლეხთა მიწით განთავისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამ სიაში ეწერა ვინმე “კნიაზ ილია ჭავჭავაძეც”. პ. გელეიშვილი მას აიგივებს მწერალ ი. ჭავჭავაძესთან.

1087. გელეიშვილი პეტრე. კიდევ ერთხელ. (III) – გაზ. “აზრი”. – 1914. – 3 ივნ., №67. – გვ. 2.

წერილი ეხება ქუთაისში ჩატარებული ლექციის დროს მომხდარ არეულობას, როდესაც მას არ მისცეს ლექციის გაგრძელების საშუალება. პ. გელეიშვილი ბუნებრივად მიიჩნევს ილია ჭავჭავაძის კრიტიკას და არეულობის მომწყობებს ადანაშაულებს ხულიგნობაში.

1088. გელეიშვილი პეტრე. მცირე შენიშვნა. – გაზ. “აზრი”. – 1914. – 5 ივნ., №69. – გვ. 2.

ავტორი ეხმაურება გაზეთ “თემში” (26 მაისი, №178) მის საპასუხოდ დაბეჭდილ წერილს, რომელშიც გაბათილებულია პ. გელეიშვილის მტკიცება, თითქოს ილია ჭავჭავაძე გლეხების მიწიანად განთავისუფლების მოწინააღმდეგე იყო.

აქვეა მინაწერი P.S., რომელშიც იგი აცხადებს, რომ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით მას აეკრძალა ილია ჭავჭავაძეზე ლექციების წაკითხვა არა მარტო ქუთაისში, არამედ ქუთაისის გუბერნიაშიც.

1089. დევდარიანი სეით. საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკუნის სიტყვაკაზმულ მწერლობაში. – ჟურ. “განათლება”. – 1914. – №1, გვ. 1-13.

წერილში განხილულია XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართულ მწერლობაში საზოგადოებრივისა და ინდივიდუალიზმის ურთიერთობის საკითხი.

ავტორი თვლის, რომ ამ პერიოდის ქართული მწერლობა დატვირთულია პუბლიცისტიკით და აღნიშნავს: “...ამ ტენდენციამ ბევრი რამ დააკლო ილიას და აკაკის პოეტურ შემოქმედებას, და უმეტესად ილიას. ილია უფრო მეტად

გაეტაცნა პუბლიცისტიკას პოეზიაში და თუ ილია პოეზიაშიც პუბლიცისტიკობდა, აკაკი პუბლიცისტიკაში პოეტობდა. წერილში აკაკის “თორნიკე ერისთავის” და ყაზბეგის “მოდღვრის” გარდა განხილულია ილიას “განდეგილი”.

1090. დავიწყებული – ილიას მამული ყვარელში. – გაზ. “თემი”. – 1914. – 31 მარტი, №169. – გვ. 3.

ავტორის მიზანია, საზოგადოების ყურადღება მიაპყროს ილია ჭავჭავაძის მამულის მოვლა-პატრონობის აუცილებლობის საკითხს.

1091. [დიასამიძე გ.] გლეხთა განთავისუფლების საქმე და ილია ჭავჭავაძე. – გაზ. “თემი”. – 1914. – 26 მაისი, №178.

გაზეთის სარედაქციო წერილში გაბათილებულია პეტრე გელეიშვილის საბუთი, თითქოს ილია ჭავჭავაძე არ ემხრობოდა გლეხთა მიწიანად განთავისუფლების საკითხს. ნაჩვენებია ილიას საწინააღმდეგოდ წამოყენებული ბრალდების სრული უსაფუძვლობა.

1092. ვინ იყო ილია ჭავჭავაძე (ამოღებულია ჟურნალ “მიწიდგან”). – გორი, 1914. – 15 გვ.

ბროშურას არ ჰყავს ავტორი. მასში გამოთქმულია დიდი გულისტკივილი ილიას ტრაგიკული სიკვდილის გამო. მოცემულია მწერლის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზი. ავტორი ხაზგასმით განიხილავს ილიას სწორედ იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც დაგმობილია სოციალური უსამართლობა, გამოხატულია მშრომელი ადამიანებისადმი პატივისცემა. ავტორი აცხადებს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამართლება სამარცხვინო ფაქტია.

1093. [ინფორმაცია]. – გაზ. “იმერეთი”. – 1913. – 14 აგვ., №123. – გვ. 1.

წერილში გამოხატულია აღშფოთება იმის გამო, რომ საზოგადოებაში აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის სახელს აუგად მოიხსენიებენ, მით უმეტეს მაშინ, როცა ახლოვდება ილიას დალუპვის მეექვსე წლისთავი.

1094. კოტეტიშვილი ვახტანგ. ილია ჭავჭავაძე. – ჟურ. “ნაკადული” (მოზრდ.). – 1914. – №9. – გვ. 43-52.

წერილში მიმოხილულია ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება.

1095. როსტომაშვილი-ჭავჭავაძე ე. [მოწოდება]. – გაზ. “კლდე”. – 1914. – 20 აპრ.

ავტორი საუბრობს ილიასეული სახლკარის სავალალო მდგომარეობაზე ყვარელში და მისი მოვლა-პატრონობის აუცილებლობაზე.

1096. [მ. ტ-ძე] ტოროშელიძე მალაქია. ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი. – სამტრედია: “ვ. ხარებავა და ამხ.” წიგნის მალაზიის გამოცემა, 1914. – 42 გვ.

წიგნში ილია ჭავჭავაძე დახასიათებულია როგორც რეაქციონერი, ანტიხალხური ბუნების პიროვნება. ამავე პათოსითაა განხილული მისი შემოქმედებაც.

1097. სან-საე. პ. გელეიშვილის ლექცია ილია ჭავჭავაძეზე. – გაზ. “თემი”. – 1914. – 3 თებ., №161.

ავტორი კრიტიკულად განიხილავს პ. გელეიშვილის ლექციას “ილია ჭავჭავაძე როგორც პოეტი და პუბლიცისტი”. მის მთავარ ნაკლად კი მიიჩნევს

საქართველოს ისტორიაში მხოლოდ უარყოფით მომენტებზე აქცენტის გაკეთებას.

1098. ქიქოძე გერონტი. პოეზია და სინამდვილე. – გაზ. “სახალხო ფურცელი”. – 1914. – №15.

ავტორი საუბრობს სინამდვილისადმი შემოქმედთა დამოკიდებულების შესახებ. იგი წერს: “ყველაზე დიდი პრინციპიალურად მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ, სინამდვილის დაპყრობაში რუსთაველის შემდეგ ბარათაშვილმა და ი. ჭავჭავაძემ გადასდგეს.”

1099. ყიფშიძე გრიგოლ. ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფია. – წიგნ.: ჭავჭავაძე ი. თხზულებანი ტ. I, მიხ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914. – გვ. I-LXXXVI.

1915

1100. აბაშიძე კიტა. ილია და აკაკი (მოდღვარი და წინასწარმეტყველი). – წიგნ.: ორი სიტყვა. – თბ., 1915. – 24 გვ.

წიგნში დაბეჭდილი ეს წერილი ავტორის მიერ მოხსენებად იყო გათვალისწინებული აკაკის მოსახსენებელ დილაზე 1915 წლის 23 მარტს, მაგრამ მომხსენებლის ავადმყოფობის გამო მისი წაკითხვა არ მოხერხდა. წერილში ნაჩვენებია, რომ ილიასა და აკაკის სახელები ქართველი ერისათვის განუყრელი და განუშორებელია და, როგორც ავტორი ამბობს, “ეს ორი სახელი დიდ მოძღვართა ქართველი ერის გენიოსობამ, ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების ქარტეხილმა ერთად შეაკავშირა, შესჭიდა.” “საერთო თვისება, არსებითი ხასიათი ილიასა და აკაკის მწერლობისა არის მოძღვრება და წინასწარმეტყველება.”

1101. აბრამიშვილი მ. გატეხილი პიროვნება (აკაკის სამარადისო ხსოვნას). – გაზ. “სამშობლო”. – 1915. – 28 ივლ, №140, გვ. 2-3.

აკაკისადმი მიძღვნილ წერილში ავტორი საუბრობს ილია ჭავჭავაძის შესახებაც. იგი წერს: “ილია ძლიერი ნებისა და ფხიზელი გონების პიროვნება იყო. მას სურდა, არა მარტო საქართველოს ეროვნული სახე აღედგინა, არამედ თავისი პიროვნებაც ფართოდ გაეშალა, მისი სიტყვა ხშირად ძლიერი, მოურიდებელი და დამოუკიდებელი იყო... ილიამ და აკაკიმ შექმნეს ეროვნული სახე ჩვენი, დროთა ტრიალში დამტვრეული, მაგრამ თავისი ინდივიდუალური პიროვნება კი დაჰკარგეს, მათ მოგვცეს ეროვნული სახე თავისი პიროვნების უარყოფით. ილია პიროვნების შენარჩუნების ბრძოლის ველზე დაეცა ვერაგულად”

1102. ვაჟა-ფშაველა. – ჟურ. “განთიადი”. – 1915. – №13, გვ. 1-4.

ჟურნალის მე-3 გვერდზე აღნიშნულია, რომ ილია ჭავჭავაძემ ვაჟა-ფშაველას ჰონორარი სტრიქონობით დაუნიშნა, რომელსაც პერიოდულად უზრდიდა ხოლმე.

1103. ვაჟა-ფშაველა. ღია წერილი ბ. ზ. ჭიჭინაძის გამო. – გაზ. “სახალხო ფურცელი”. – 1915. – 19 აპრ, №262, გვ. 3.

საუბარია ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ავტორი ეკამათება ზაქარია ჭიჭინაძეს ამ ორი პიროვნების ურთიერთობის არასწორად გაშუქების გამო.

- 1104. კველიძე ვ.** სიტყვა აკაკის შემოსვენებაზე ქაშვეთის ეკლესიაში 5 თებერვალს 1915წ. _ გაზ. “თემი”. _ 1915. _ 23 თებ, №208, გვ.3.
 სიტყვაში მოხსენიებულია ილია ჭავჭავაძე: “ერთი მეორეზე ხელიდან გეცლება საუკეთესო შვილები! დაკარგე შენი დიმიტრი ყიფიანი, მაგრამ გეგულეობდა ილია ჭავჭავაძე. მოგიკლეს ილია, სამაგიეროდ შეჰხაროდი აკაკის. დღეს კი გემშვიდობება აკაკიც, ის მიდის იქ, სადაც განისვენებენ დიმიტრი და ილია.”
- 1105. ნიკოლაძე ნიკო.** კრიტიკა: აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე დღესასწაულებზე 9 ივნისი, 1889 წელს. _ ჟურ. “განთიადი”. _ 1915. _ №9. _ გვ. 26-29.
 პასუხი გაზეთ “ტიფლისსკი ლისტოკში” გამოქვეყნებულ წერილზე, რომელშიც გაკრიტიკებულია ნ. ნიკოლაძის ფელეტონი ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შესახებ.
- 1106. სო-ლი.** ხარფუხის კლუბში. _ ჟურ. “თეატრი და ცხოვრება”. _ 1915. _ №44, გვ.15.
 ჟურნალში გამოქვეყნებულია მასალა ხარფუხის კლუბში ილიას ხსოვნის საღამოს გამართვის შესახებ.
- 1107. ტაბიძე ტიცინ.** მოჯამაგირე და ბოჰემა. _ გაზ. “საქართველო”. _ 1915. _ №173.
 ავტორს მოჰყავს ქართველ და უცხოელ პოეტთა ბოჰემური ცხოვრების მაგალითები. ავტორი ამ შემთხვევაში მიმართავს და საუბრობს “მოჯამაგირეებზე”, რომლებიც ლიტერატურული ცხოვრების პარალელურად იძულებულნი იყვნენ ჩვეულებრივი მოკვდავებით ემუშავათ. “დიახ, ჩვენ გვყავდნენ და გვყვანან დიდი მოჯამაგირეები. თქვენ წარმოგიდგენიათ ბაირონი ბანკის კანტორაში?” _ კითხულობს ავტორი და იქვე პასუხობს: “რასაკვირველია არა! მაგრამ ილია ჭავჭავაძემ თავის დროის, ნების, ნიჭის ნახევარი ამ გარეშე საქმეს მოახმარა. ის მარჯვენა, რომელიც წერდა “აჩრდილს” და “კაკო ყაჩაღს” ცეცხლოვან სტრიქონებს, მთელი დღეები ფურცლავდა ბეჯითად კანტორის წიგნებს.”
- 1108. ფანცხავა იაკობ.** იძულებითი განმარტება. _ ჟურ. “განთიადი”. _ 1915. _ №1. _ 1 იანვ., გვ. 20-26; №5. _ 1 მარტი, გვ. 17-20.
- 1109. ფაშალიშვილი ს.** მამისმკვლელნი: ლექსი ი. ჭავჭავაძეს. _ ჟურ. “თეატრი და ცხოვრება”. _ 1915. _ №45, გვ. 8.
- 1110. ჭუბაბრია გ.** მოქალაქეობრივი ჰანგები ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში. _ პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის შრომათა კრებული. _ 1915.
- 1111. ხომლედი [ფანცხავა რომანოზ].** კრიტიკა. ილია ჭავჭავაძე, როგორც ლირიკოსი-პოეტი. _ ჟურ. “განთიადი”. _ 1915. _ №11. _ გვ. 25-31.
 გაგრძელება: ჟურ. “განთიადი”. _ 1915. _ №12. _ გვ. 21-25;
 გაგრძელება: ჟურ. “განთიადი”. _ 1915. _ №13. _ გვ. 1-4;
 გაგრძელება: ჟურ. “განთიადი”. _ 1915. _ №14. _ გვ. 13-18;
 გაგრძელება: ჟურ. “განთიადი”. _ 1915. _ №15. _ გვ. 15-20;
 გაგრძელება: ჟურ. “განთიადი”. _ 1915. _ №16. _ გვ. 18-22;
 გაგრძელება: ჟურ. “ცხოვრება”. _ 1915. _ №1. _ გვ. 25-27;
 გაგრძელება: ჟურ. “ცხოვრება”. _ 1915. _ №2-3. _ გვ. 27-31;
 გაგრძელება: ჟურ. “ცხოვრება”. _ 1916. _ №1. _ გვ. 17-21.

წერილების სერიაში ვრცლად არის მიმოხილული ილიას შემოქმედება და მოღვაწეობა, მისი შეხედულებები ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე, ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ. მოცემულია ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია და დახასიათებულია მისი შემოქმედების ძირითადი მომენტები. ცალკეულ მონაკვეთებში ავტორი აანალიზებს ილიას ნაწარმოებების (მაგალითად, “დიმიტრი თავდადებული”, “დედა და შვილი”, “განდეგილი”) თემატიკასა და ლიტერატურულ-ესთეტიკურ მხარეს, მწერლის პუბლიცისტურ მემკვიდრეობას.

ავტორის აზრით, “უკვდავი ილია ჭავჭავაძე ბევრად უფრო მაღლა დგას, როგორც ბელეტრისტი, ვიდრე ლირიკოსი-მგოსანი”.

1112. ხომლელი [ფანცხავა რომანოზ]. ჩვენი ახალი ლიტერატურის ისტორიიდან. – ჟურ. “განთიადი”. – 1915. – №8, გვ. 20-23.

წერილში საუბარია ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობის შესახებ. აქვე მოყვანილია ნაწყვეტი ნიკო ნიკოლაძის წერილიდან, სადაც იგი აცხადებს, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დასაბრუნებლად მან დიდი წვლილი გასწია.

1916

1113. ბახტაძე ილია. ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. – ჟურ. “ცხოვრება”. – 1916. – №6, გვ. 11-16.

წერილში საუბარია ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის გამწვავებული ურთიერთობის შესახებ.

1114. ხომლელი [ფანცხავა რომანოზ]. ილია ჭავჭავაძე და ხონელი. – ჟურ. “ცხოვრება”. – 1916. – №10, გვ. 19-21.

წერილში საუბარია ილია ჭავჭავაძისა და ილია ხონელის (ბახტაძის) შორის გართულებულ ურთიერთობის შესახებ. ავტორის თქმით, ილია ხონელი და მასთან ზოგიერთი მწერალი და მოღვაწე გულით მოწადინებული იყვნენ ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდი საერო მწერალი, სრულიად ჩამოსცილებოდა ბანკს და მთელი თავისი ენერჯია მხოლოდ და მხოლოდ ქართული მწერლობისათვის მოეხმარა. ამიტომ იყო, რომ ილია ხონელი ბანკის თავმჯდომარედ ივანე მაჩაბელს უჭერდა მხარს და არა ილია ჭავჭავაძეს, რაც იწვევდა ილია ჭავჭავაძის უკმაყოფილებას.

1115. ხომლელი [ფანცხავა რომანოზ]. კრიტიკა. ილია ჭავჭავაძე, როგორც ლირიკოსი პოეტი. – ჟურ. “ცხოვრება”. – 1916. – №1, გვ. 17-21.

წერილში მიმოხილულია ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ილიას პოემა “განდეგილის” შესახებ გამოთქმული მოსაზრებები.

1116. (ხუნდაძე) სილოვან. კრიტიკული შენიშვნები. აკაკი და ილია. – ჟურ. “თეატრი და ცხოვრება”. – 1916. – №48.

წერილში ავტორი კრიტიკულად აფასებს საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, თითქოს აკაკის ბუნებრივი ნიჭი აქვს მგოსნობის, ხოლო ილიას არაბუნებრივი “ხელოვნური”. ამასთან ავტორი არასწორად და უსაფუძვლოდ მიიჩნევს ილიასა და აკაკის შედარებას რუსთაველთან და ამბობს: “მე წინააღმდეგი ვარ იმისა, ვისმე რუსთაველობა ვაკუთვნოთ. მაგრამ თუ

მაინცდამაინც გნებავთ ილიასა და აკაკის შორის არჩევანი მოვახდინოთ ჩვენი დროის რუსთველობაში, არჩევანი ილიას უნდა ხვდეს, ხოლო არადანი აკაკის.

1917

1117.(გამსახურდია კონსტანტინე) აბაშისპირელი ვ. ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე. _ გაზ. "სახალხო ფურცელი". _ 1917. _ 21 მარტი, №824, გვ. 2; 22 მარტი, №825, გვ. 2; 29 მარტი, №830, გვ. 2-3.

ავტორის კვლევის ობიექტია, როგორც თვითონ წერს: "ილია ჭავჭავაძე პუბლიცისტი," "ილია ჭავჭავაძე პირველი პიონერი ქართული სალი ნაციონალიზმისა," "პირველი მენერგე ეროვნული იდეებისა."

წერილში ავტორი საუბრობს არჩილ ჯორჯაძის შესახებ. ავტორი ამ ორ მოღვაწეს უწოდებს მკლავმაგარ მედროშეს ჩვენი სოციალური ცხოვრებისა, ორ ძალოვან მესაჭეს ქართული აზროვნების გენიისა. ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ილიამ არჩილი "ვერ იცნო" და მასზე სარკაზმით შეზავებული ფელეტონიც კი გამოაქვეყნა. მაგრამ თვით არჩილ ჯორჯაძემ ილია ყველა მის თანამედროვე კალმოსნებზე მაღლა დააყენა და დააფასა.

1118.ლეისტი არტურ. მოგონება ილია ჭავჭავაძეზე. _ ჟურ. "განათლება". _ 1917. _ №3. _ გვ. 177-179; №4-5. _ გვ.241-247.

1918

1119.ლეისტი არტურ. მოგონება ილია ჭავჭავაძეზე. _ ჟურ. "განათლება". _ 1918. _ №1.

1120.ჭიჭინაძე ზაქარია. ილია ჭავჭავაძის აზრები "ვეფხისტყაოსნის" შესახებ. _ ჟურ. "რუსთაველი". _ 1918. _ №2, გვ. 5-6.

წერილში საუბარია ილიას შეხედულებაზე "ვეფხისტყაოსნის" შესახებ.

პოემის გმირთა ხასიათისა და ცხოვრების წესის გამო ილიას "ვეფხისტყაოსანი" მიაჩნდა ორიგინალურ, ქართულ ნაწარმოებად და არა სპარსულიდან თარგმნილად.

1121.ხუნდაძე სილოვან. აკაკი წერეთელი. _ ქუთაისი, 1918. _ 151 გვ.

აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვისას ავტორი წიგნის თითქმის ყველა თავში _"სამშობლოს სიყვარული," "თანამედროვე ქართველობა," "პოეტის რაობა-დანიშნულება," "გლეხობის საკითხი," "პირადული და შემოქმედებითი ტემპერამენტი" და სხვა _ პარალელს ავლებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესაბამის მახასიათებლებთან.

1919

1122.გაფრინდაშვილი ვ. შენიშვნები ლირიკაზე. _ ჟურ. "მეოცნებე ნიამორები". _ 1919. _ №3.

ლირიკაზე საუბრისას ავტორი მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძეს. ავტორი წერს: "ლირიკა მონოლოგია...ხანდახან ერთი ლირიკული კვნესა გადასწონის მრავალტომიან რომანს..." ილია ჭავჭავაძის "ტყემ მოისხა ფოთოლი" არის შედეგრი, რომელსაც ვერ შეედრება ვერც მისი "განდეგილი".

1123. ლეისტი არტურ. ილია ჭავჭავაძე თბილისში: [მოგონება ილია ჭავჭავაძეზე]. დასასრული. _ ჟურ. "განათლება". _ 1919. _ №1. _ გვ. 56-63

1124. ხუნდაძე სილოვან. ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. VI. ილია ჭავჭავაძე. _ ქუთაისი: მერანი, 1919. _ 79 გვ.

სახელმძღვანელოში დეტალურად არის განხილული ილიას ცალკეული ნაწარმოებები, რომელიც მისი შემოქმედების შემსწავლელთათვის არის განკუთვნილი.

ილიას ღვაწლის შეფასების შემდეგ ავტორი წერს, რომ იგი იყო საუკეთესო შვილი მე-19 საუკუნის ქართველი ერისა, ქართველების დარაჯი და დამცველი შინა და გარე მტრებისაგან სიტყვითა და კალმით, მთელი ერის დამამშვენებელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

1920

1125. ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფია). _ წიგნ.: ჭავჭავაძე ი. სარჩობელაზედ. _ თბ, 1920. _ გვ. 5-6.

ასეთივე ბიოგრაფია წამმღვარებული აქვს ამ წელს გამოცემულ ილიას ნაწარმოებებს: "განდეგილს," "კაკო ყაჩაღს," "ოთარაანთ ქვრივს."

1126. ილიასათვის. _ გაზ. "ერთობა". _ 1920. _ №14.

გაზეთში გამოქვეყნებულია განცხადება, რომ კვირას, 18 იანვარს დილის 11 საათზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ინიციატივით მამადავითის ეკლესიაში ჩატარდა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. ყიფიანის ხსოვნის აღსანიშნავი პანაშვიდი და წირვა. წირვა გადაიხადა ეპისკოპოსმა ლეონიდემ. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. დაესწრნენ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები, დამფუძნებელი კრების წევრები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

1921

1127. გომართელი ივანე. გასული (1920 წლის) სიტყვაკაზმული მწერლობა. _ ჟურ. "ცისარტყელა". _ 1921. _ №14. _ გვ. 59-95.

ავტორი მიმოიხილავს წინა წლის გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ამავე დროს, მსჯელობს ლექსის შინაარსისა და ფორმის რაობაზე. მისი აზრით, ლექსს სხეულიც აქვს და ტანისამოსიც. მისი სხეული აზრია, ხოლო ტანისამოსი _ გარეგანი მოკაზმულობა, ფორმა. იგი წერს: "ახლო წარსულში ჩვენს პოეზიას ჰქონდა დიდი ნაკლი: გარეგნობას, ტანისამოსს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა." ავტორი სწორედ ამ კონტექსტში მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძეს და აცხადებს, რომ "ილია დატვირთულია ამ ნაკლით."

1922

1128. არსენიშვილი ა. გამოგონილი საუკუნეები. _ გაზ. "ბახტრიონი". _ 1922. _ 1 ივლისი, №1.

ქართულ პოეზიაზე საუბრისას ავტორი ილიას პროზას ადარებს ბალზაკის შემოქმედებას. იგი ილიაზე წერს: "ეს შემოქმედი მეტად ქართული ბუნების

მატარებელი და გამომხატველია თავისი ცხოვრების მთელი საქმით... თავისი პროზით. მისი “გლახის ნაამბობის” სტილი დიდი დაძლევაა ქართული პროზისა. თუ ილიამ, როგორც ბალზაკმა, ვერ “გამოიგონა საუკუნე,” ვერ შექმნა “ადამიანური კომედიის” მასშტაბები, მან “გლახის ნაამბობით” შექმნა იმდენად ტკბილი და დამატყვევებელი ქართული, რომ მას თამამი უფლება აქვს XIX საუკუნის პოეზიის ბატონებს გაუსწორდეს.”

1129. გამსახურდია კონსტანტინე. ილია ჭავჭავაძე. _ გაზ. “ლომისი”. _ 1922, 17, IX. _ №3, გვ. 2-3.

ავტორი ეხება ილიას პიროვნებას. იგი წერს: “თუ საქართველოს მასშტაბით მივალთ ილიასთან, აქ ყველაზე უწინ მისი პიროვნება გეცემათ თვალში. არც ერთ ქართველ მწერალს გასულ საუკუნეში ისეთი ლოდიკურად გამიჯნული და მტკიცე მსოფლმხედველობა არა ჰქონია, როგორც ილია ჭავჭავაძეს. გარდა ამისა ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა ის, რაც მის საუკუნეში არამც თუ არც ერთ ქართველ მწერალს, არცერთ ქართველს არა ჰქონია, ეს იყო პიროვნება.”

1130. გამსახურდია კონსტანტინე. იაკობ ნიკოლაძე. _ გაზ. “ლომისი”. _ 1922. _ 10 დეკ. №15.

იაკობ ნიკოლაძის შემოქმედების 25 წლისთავის საიუბილეო წერილში ავტორი უმაღლეს შეფასებას აძლევს მის მიერ შექმნილ ილიას ძეგლს მთაწმინდაზე_”მგლოვიარე საქართველოს” და გამოთქვამს სურვილს, მოასწროს იგი ღმერთმა, რომ იაკობ ნიკოლაძე “მომღიმარე საქართველოს” ძეგლს აგებდეს მეორე დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის მიტოვებულ საფლავზე.

1131. ვაჟა-ფშაველა. ილია ჭავჭავაძის სახსოვრად; ილიას საღამო: [ლექსები]. _ წიგნ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. ტ. I. _ თბ., 1922

1132. ზედგენიძე ნ. ძეგლები ტფილისში. _ ”გ. ტაბიძის ჟურნალი”. _ 1922. _ №1, გვ. 12.

თბილისში განლაგებული ძეგლების დახასიათებას ავტორი იწყებს იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული ილია ჭავჭავაძის ძეგლით “მწუხარე საქართველო”. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ამ ძეგლს.

1133. იაშვილი პაოლო. პოეტი საქართველოში. _ გაზ. “ბახტრიონი”. _ 1922. _ 1 ივლ. №1.

“თუ საქართველოს პოეტების ქვეყანა ერქვა, რამდენი იყო ნამდვილი პოეტი?” _ კითხულობს ავტორი და მოიხსენიებს ბარათაშვილს, ორბელიანს, ვაჟა-ფშაველას, რუსთაველს, აკაკის, ილიას. “სასიხარულოა, რომ ილია ჭავჭავაძე სიკვდილამდის დევის ფეხებზე იდგა, მაგრამ განა პოეზიის სისხლით იყო სავსე ეს ფეხები? ილიას უშველა დიდმა ჭკუამ და გრანდიოზულმა ნებამ.”

1134. ილიას საფლავზე (12 სექტემბერს თხუთმეტი წლისთავი გარდაცვალებიდან) _ გაზ. “ლომისი”. _ 1922. _ 17 სექტ. №3.

გაზეთში გამოქვეყნებულია კათოლიკოს ამბროსის, ვ. ბარნოვის და კ. გამსახურდიას მიერ ილიას საფლავთან წარმოთქმული სიტყვების მოკლე შინაარსი.

1135. ილიას ნაწერების გამოცემა. _ გაზ. “ბახტრიონი”. _ 1922. _ 18 სექტ., №11, გვ. 3.

ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ მიხეილ გედევანიშვილს განზრახული აქვს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მეორე ტომის გამოცემა.

- 1136. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა II და III ტომების გამოცემა.** _ გაზ. “ზახტრიონი”. _ 1922. _ 13 ნოემბ. №19, გვ. 4.
წერილში ნათქვამია, რომ მიხეილ გედევანიშვილმა მიმართა სახკომსაბჭოს თხოვნით, რათა დაუბრუნდეს მის მიერ 1914 გამოცემული ი. ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომის დივიდენდი 3000 მანეთის (ოქროთი) ოდენობით II და III ტომების გამოცემის ხარჯების დასაფარავად.
- 1137. ლაისტი არტურ.** საგურამო. _ გაზ. “ზახტრიონი”. _ 1922. _ 18 სექტ, №12, გვ. 2.
ავტორი იხსენებს ეპიზოდებს ილია ჭავჭავაძის სახლ-კარის მშენებლობისა და აქ მოწყობილ წვეულებების შესახებ.
- 1138. ლეონიძე გიორგი.** ილია ჭავჭავაძე. _ გაზ. “ზახტრიონი”. _ 1922. _ 11 სექტ. №10, გვ. 1.
ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის თხუთმეტი წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში საუბარია მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრეს მომენტებზე.
- 1139. ილია ჭავჭავაძის პანაშვიდი.** _ გაზ. “ზახტრიონი”. _ 1922. _ 18 სექტ, №11, გვ. 3.
გამოქვეყნებულია ცნობა 12 სექტემბერს მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებელი პანაშვიდის ჩატარების შესახებ.
- 1140. მა-რა.** _ გაზ. “ლომისი”. _ 1922. _ 18 თებ. №25, გვ. 3.
ავტორი იხსენებს ჟურნალ “კავშირში” (1922, №15, 16) გამოქვეყნებულ ს-ანის წერილებს ილია ჭავჭავაძის შესახებ და მიუთითებს, რომ აქ გამოჩნდა ის ღრმა ცვლილება, რომელიც მოხდა ქართველი ხალხის ერთ ნაწილში ილიას ლიტერატურული მოღვაწეობის დაფასების მხრივ. იყო დრო, როცა ილიას სამწერლო მოღვაწეობას სახელს უტეხდნენ, ს-ანი თავისი წერილებით კი “მჭევრმეტყველურად ამტკიცებს რამდენად შემცდარი, რამდენად დაბრმავებული იყო ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული “კრიტიკა”. წერილის ავტორი თვლის, რომ ს-ანის წერილებით გვიან, მაგრამ მაინც ობიექტურად შეფასდა ილიას ღვაწლი.
- 1141. მჭედლიშვილი ი.** ილიასა და აკაკის საფლავზე: [ლექსი]. _ წიგნ: მჭედლიშვილი ი. _ ლექსები. წიგ. I _ თბ., 1922. _ გვ. 87.
- 1142. ორბელიანი გრიგოლ.** წერილები ილია ჭავჭავაძესთან. _ გაზ. “ზახტრიონი”. _ 1922. _ 3 დეკ. №21, გვ. 2.
ქვეყნდება გრიგოლ ორბელიანის ილიასადმი გაგზავნილი ორი წერილი:
ჩემო ბატონო, კნიაზ ილიავ! 18 მაისი 1879_ხელმოწერა: თქვენის ბრწყინვალეებისა მორჩილი მოსამსახურე თ-დი გრიგოლ ორბელიანი;
ჩემო მოწყალეო ბატონო კნიაზო ილია! 2 ნოემბ. 1879_ხელმოწერა: თ. გრიგოლ ორბელიანი.
წერილები გამოაქვეყნა და შენიშვნები დაურთო გ. ლეონიძემ.
- 1143. ს.[დედარიანი ს.].** კაცია-ადამიანის მგოსანი ილია ჭავჭავაძე (15 წელიწადი სიკვდილის შემდეგ_30 აგვისტო, 1907-1922 წწ.). _ ჟურნ. “კავშირი”. _ 1922. _ №15. _ გვ. 26-32; №16, გვ. 58-64.
წერილის ავტორი მსჯელობს ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე და გამოკვეთს მის მთავარ მამოძრავებელ იდეას. იგი თვლის, რომ ილიას მსოფლმხედველობაში მეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნებას, პიროვნულ მისწრაფებებს, ვიდრე საზოგადოებრივი წესწყობილების ფორმებს.”

ილია გრძნობდა, რომ ბატონყმობის გაუქმება, საზოგადოებრივი წესწყობილების შექმნა თავისთავად ვერ მოგვცემს ამქვეყნიურ სამოთხეს, ვერ გარდაქმნის “კაცს” “ადამიანად”. “სამოთხის შენების” საფუძველი თვით ადამიანის გულში, მის სურვილში დევს.

1144. ხუნდაძე სილოვან. შოთა რუსთაველი (ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო) – ქუთაისი, 1922. – 200 გვ.

წიგნის ერთი მონაკვეთი ეხება აკაკისა და ილიას კამათს “ვეფხისტყაოსანზე.”

1923

1145. არსენიშვილი ა. ჩალურსმული ოცნება. – გაზ. “ქართული სიტყვა”. – 1923. – 9 დეკ. №4.

ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილ ამ წერილში ავტორი პარალელს ავლებს ილია ჭავჭავაძესთან. “თუ ილია ჭავჭავაძე ქართული მე-19 საუკუნის დამძიმებული ფიქრია... ალექსანდრე ყაზბეგი უთუოდ მისი ოცნება.”

“... ჩვენ მოწმენი ვართ ეხლა ილიას იკონოგრაფიის ჩასახვის. იგი დაწყებულია. ჩვენ ვიცით მთავარი ხაზები “ილიადის” ან ილიანასი”. თანამედროვენი იწყებენ მისი დროის ლაბორატორიის ანალებს... მაგრამ თანამედროვენი თითქმის ვერაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ, თუ როგორ გარდიქცა პანთეონის ნანგრევად ის, ვინც დაიმსხვრა იკაროსივით.”

1146. გომართელი ივანე. პოეზიის გარშემო. – ჟურ. “თეატრი და ცხოვრება”. – 1923. – №1, გვ. 3.

პოეზიის შესახებ მსჯელობისას ავტორი სხვა დიდ მგოსნებს შორის ახსენებს ილიასაც: “ილია, აკაკი, ვაჟა დიდი მგოსნები არიან მხოლოდ იმის გამო, რომ ცრემლსა და გოდებაში აპოლოლო და დიონისო არ ჩაახრჩეს.”

1147. კოტეტიშვილი ვახტანგ. სიტყვის დაპყრობა. – გაზ. “რუბიკონი”. – 1923. – №4.

ავტორი საუბრობს ქართული სალიტერატურო ენის შესახებ, ქართული სიტყვის ძლიერების შესახებ. მისი თქმით, ქართული სიტყვა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში დაკნინდა და მხოლოდ ილია ჭავჭავაძის გამოჩენის შემდეგ დაიწყო მისი ხელახალი აღორძინება. იგი წერს: “... მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეში ქართულ სიტყვას რიხი ეკარგება... ამოდ სწუხდა გრ. ორბელიანი ენის წახდენას. მას ისიც ვერ გაეგო საიდან მოდიოდა მტერი და ამრეხილი ლეოპარდივით ეძგერა დარიალიდან მომავალ ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც მოჰქონდა დიდი რისხვა. ი. ჭავჭავაძემ ჩამოიტანა ქართულ მწერლობაში ხევის ყინვა, ქუხილი და სიწმინდე. მას აქეთ დაიწყო ქართული სიტყვის ფასის აწევა.”

1148. ლეისტი არტურ. მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე. – წიგნ.: ლეისტ ა. საქართველოს გული. – ტფ.: სახელმწ. გამ-ბა, 1923. – გვ. 1-56

1149. ლეონიძე გიორგი. ილია ჭავჭავაძის ხელნაწერები. – გაზ. “რუბიკონი”. – 1923. – 11 მარტი. – №7, გვ. 1.

წერილში ავტორი გამოთქვამს წუხილს, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი შემოქმედება შეუსწავლელია და აყენებს საკითხს “რათა მომავალ სრულ თხზულებათა გამოცემაში სრულიად აღსდგეს ყველა ნაწერების ტექსტი და კანონი. მისი სიკვდილის მერე ჩვენ არ ვიცით რა ბედში იმყოფება მის არქივში

დატოვებული მასალები, ტექსტები და სურათები, რომლებიც იყო შემზადებული მომავალი II და III ტომებისათვის. მწერალთა კავშირები ეხლავე უნდა შეუდგნენ ამ გაბნეული მასალების შემოკრებას და გადმოტანას ხელოვნების სასახლეში, სადაც შეიძლება მოეწყოს ჭავჭავაძის მუზეუმი” – წერდა გ. ლეონიძე.

1150. ტაბიძე ტიციან. დადაიზმი და ცისფერი ყანწელები. – ჟურ. “მეოცნებე ნიამორები”. – 1923. – №10, გვ. 12-16.

წერილის ავტორი ეხება თანამედროვე ლიტერატურულ მიმდინარეობებს და ამავე დროს, საუბრობს მთელ ქართულ მწერლობაზეც. იგი ახსენებს ილია ჭავჭავაძესაც და თავისებურ შეფასებას აძლევს მის შემოქმედებას: “... რუსთაველის შემდეგ მთელ მწერლობაში მოსჩანდა მხოლოდ ილია ჭავჭავაძე. მართალია ის იდგა, როგორც დარიალი, მას ეხეთქებოდა ყოველი შესაძლებლობა ქართული კულტურის ასახვისა, ის იყო ავტორი პროზის, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, ბანკირი, ორატორი, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, პოლიტიკოსი და კიდევ სხვა, აგრეთვე პოეტიც, უფრო გამართლებული წიწამურით, მაგრამ ყველაფერი ეს არ იძლეოდა „pass.”

1151. ტაბიძე ტიციან. ირონია და ცინიზმი. პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში. – ჟურ. “მეოცნებე ნიამორები”. – 1923. – №9, გვ. 8-11.

ავტორი საუბრობს ქართველ პოეტთა მსოფლმხედველობაზე. იგი განსაკუთრებით გამოჰყოფს ილიას და წერს: “ილია ჭავჭავაძე 70-იან წლებში კომუნის დამარცხების დროს მაინც გრძნობს ანალოგიებს, სხვა პოეტებისათვის კი პოლიტიკური ანალოგიაც არ ყოფილა... მთელი ტრაგიზმი ქართული პოეზიის ის იყო, რომ პოეტები ჩამორჩნენ მშობლიურ პრიმიტივის და ევროპის რადიუსი ყოველთვის უარდა გვერდით ტფილისს. თუ ილიასათვის არ არსებობდა ეს პრობლემა, მით უმეტეს ეს არ იყო აკაკისათვის, იმიტომ უნდა ითქვას მთელი მეცხრამეტე საუკუნის არა მარტო პოეზიის, არამედ ყველა იდეოლოგია მარტო ილია ჭავჭავაძემ გადაიტანა.”

1924

1152. დევიდარიანი სეით. ოქტომბერი და ინტელიგენცია. – ჟურ. “მნათობი”. – 1924. – №6. – გვ. 225-236.

წერილის დასაწყისი მთლიანად ეძღვნება ილია ჭავჭავაძეს. ავტორი იხსენებს, რომ ილიას გარდაცვალებიდან 15 წლისთავის გამო მან გამოაქვეყნა ჟურნალ “კავშირში” ვრცელი წერილი, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა დიდი მწერლის ღვაწლს. ამის შემდეგ მამია ორახელაშვილმა თავის მოხსენებაში მუშების კრებაზე ეს წერილი დაასახელა, როგორც ერთ-ერთი მაგალითი იმისა, რომ ქართველი ინტელიგენცია ვერ ურიგდება საბჭოთა ხელისუფლებას. მ. ორახელაშვილმა ილიას უწოდა “ნაციონალისტი მწერალი”, ხოლო მისი ქება მიიჩნია საბჭოთა ძალაუფლების გაკიცხვად. ავტორის მიზანია, დაიცვას ილია ასეთი ბრალდებებისაგან. მას საილუსტრაციოდ მოაქვს რამოდენიმე სტროფი “აჩრდილიდან”, აგრეთვე, პარიზის კომუნისადმი მიძღვნილი ლექსი და აცხადებს: “ამ სტრიქონების დამწერს ვერ ეთქმის ნაციონალისტი. ეს ცოდვა ი. ჭავჭავაძეს თან ახლდა როგორც პუბლიცისტს, პოლიტიკურ მოაზრეს, მაგრამ როგორც პოეტს იმას არ

უჭირდა საერთაშორისო მსოფლმხედველობის მალლობზე ასვლა. ის უგალობდა ერს და “შრომის სუფევას”. სტიქია მისი შემოქმედების მიდიოდა ეროვნულ ფარგლებიდან მსოფლიო ფარგლებში, მისი ეროვნული წუხილი ექსოვებოდა მსოფლიო წუხილს.”

1153. კალაძე რ. ეგნატე ნინოშვილის ისტორიული დანიშნულება და მისი პიროვნების მნიშვნელობა. _ ჟურ. “მნათობი”. _ 1924. _ №7-8. _ გვ. 285-292.

წერილის დასაწყისში ავტორი მიმოიხილავს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და აღნიშნავს: “60-იანი წლების “მოღვაწეებმა”... ილია ჭავჭავაძის ხელოვნებით ერთი მხრით, მეორე მხრით პოეტ აკაკის მგოსნობით საქართველოს მკვდარი პოლიტიკური მდგომარეობის ხელოვნური “აღდგენა” სცადეს რადაცნაირი ნაციონალური ოპორტუნიზმით და ბიუროკრატიული ლიბერალიზმის იმედით... 1887 წელს თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის “ჩატეხილი ხიდის” შეკეთება-გამთელება მოინდომა... ილია ჭავჭავაძემ... მან გაზეთ “ივერიის” საშუალებით ბურჟუაზიულ ტენდენციას ომი გამოუცხადა, პრესის მონოპოლიაც ხელში აიღო, რადგან გაზ. “დროება” შეჩერდა და ბურჟუაზიული ინტელიგენციაც თავის გავლენის ქვეშ დააყენა.”

1154. მაჩაბელი ტ. პარიზის კომუნა და მწერლობა. _ ჟურ. დროშა”. _ 1924. _ №10. _ გვ. 16-18.

წერილში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძე ქართული პოეზიის სახელით პირველად მიესალმა პარიზის კომუნას. მან იგრძნო კომუნის ტრაგედია, როგორც დაჩაგრული ერის შვილმა და “გამოიტირა კომუნის დამარცხება მეტად შინაარსიანი ლექსით,” (წერილში მოყვანილია ამ ლექსის ორი სტროფი.)

1155. მახარაძე ფილიპე. საუბარი სხვადასხვა საგნებზე. _ წიგნ.: მახარაძე ფ. თბუღლებათა კრებული: წერილები სხვადასხვა საკითხებზე / რედ.: ს. ჩიხლაძე. _ ტფ.: სახელგამი, 1924. _ გვ. 267-277.

აღნიშნულ გვერდებზე ავტორი აკრიტიკებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობის პერიოდში. აქვეყნებს საზოგადოების ანგარიშებს და მიუთითებს დარღვევებზე. ავტორი ეხება, აგრეთვე, ილიას ეროვნულ ეკონომიკურ პროგრამას, რომელსაც ბურჟუაზიულს უწოდებს: “იგი (ილია) ჰქადაგებდა, რომ ჩვენი ხსნა მამა-პაპეულ მეურნეობაშია, რომ გლეხები სოფლებიდან ქალაქში არ გადასახლდნენ, რადგან იმ შემთხვევაში დიდი მამულების პატრონები უმუშა-ხელოთ დარჩებიან. ილია ჭავჭავაძე ჰქადაგებდა თავად-აზნაურობისათვის მეტი უფლება-უპირატესობის მინიჭებას. ილია ჭავჭავაძე იყო ნატურალური მეურნეობის დამცველი და თავადაზნაურობის მეზაირალტრე”.

1156. მუშები და გლეხები კაპიტალისტების და მემამულეთა წინააღმდეგ. _ წიგნ.: მეცნიერულ-პოპულარულ და პოლიტიკურ საუბართა კრებული / ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი. _ ტფ.: ს.ა.კ.კ. ცეკას გამოცემა, 1924. _ 99გვ.

წერილში მემამულეთა ბატონობისა და გლეხის დუხჭირი ცხოვრების დასახასიათებლად მოყვანილია ილია ჭავჭავაძის “კაცია-ადამიანი?”, კერძოდ, ლუარსაბ თათქარიძის ოჯახის ავლა-დიდების აღწერა [“ლუარსაბი ბუხებს

ითვლიდა ჭერზე, მაგრამ ამ დროს მისი ყმები შრომობდნენ და ბატონიც მათი შრომის ნაყოფით ცხოვრობდა”].

1157. ნიკოლაძე ნიკო. მოგონებანი სამოციან წლებზე. _ ჟურ. “კავკასიონი”. _ 1924. _ №3-4. _ გვ. 81-105.

მოგონებებში ავტორი 85-ე გვერდზე ახსენებს ილია ჭავჭავაძეს.

1158. (სონღულაშვილი ირ.) ჰეროსტრატოსი: (მოთხრობა). _ ჟურ. “დროშა”. 1924. _ №6. _ გვ. 3-5. ხელმოწერა: იროდიონ სონღული.

მოთხრობაში ავტორს, სავარაუდოდ, “ჰეროსტრატოსად” გამოყვანილი ჰყავს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მოთავე ფილიპე მახარაძე.

1159. ჭიჭინაძე ზაქარია. პარიზის კომუნა და ქართველი საზოგადოება. _ ჟურ. “დროშა”. _ 1924. _ №10. _ გვ. 22-24.

პარიზის კომუნის მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაზე საუბრისას ავტორი იხსენებს ილიასაც: “ილია ჭავჭავაძემ ლექსიც კი უძღვნა. ამ ლექსს “პარიზი” ჰქვია და იქ ასეთი სტრიქონებია:

“კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.”

1160. ჯაში უ. ცოტა რამ პირველი გაფიცვის შესახებ თბილისის სტამბებში (1898-1907წწ.). _ ჟურ. “ჩირაღდანი”. _ 1924. _ №12-13. _ გვ. 9.

წერილში აღნიშნულია, რომ ილია ჭავჭავაძემ გაზეთის მდივნის ა. ახნაზაროვის მეშვეობით პოლიციას დააპატიმრებინა “ივერიის” სტამბის გაფიცვის მონაწილე ასოთამწყობი. აქვე ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ “...ი. ჭავჭავაძეს საზოგადოდ სომხის ერი სძულდა, მაგრამ როგორ მოხდა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით და ნდობით უყურებდა ა. ახნაზაროვს, როგორც სომეხს და მთელი რედაქციაც მის სრულ განკარგულებაში იყო იმ ხანებში, ეს რაღაც გაუგებრობას იწვევს...”

1925

1161. გომართელი ივანე. ილია ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება. _ ჟურ. “ახალი კავკასიონი”. _ 1925. _ №1-2, გვ. 244-264.

წერილში წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ვრცელი მიმოხილვა. ავტორი თავდაპირველად ახალიზებს იმ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, შემდეგ კი მწერლის თხზულებებს განიხილავს იდეურ მხატვრული თვალსაზრისით.

1162. გომართელი ივანე. “ჯაყოს ხიზნები” და ჩვენი ცხოვრება. _ გაზ. “ახალი გზა”. _ 1925. _ №17, გვ. 2-3.

წერილის დასაწყისში ნაჩვენებია, თუ როგორ არის გადაწყვეტილი თავადური ინტელიგენციისა და გლეხობის ურთიერთკავშირი ი. ჭავჭავაძის “ოთარანთ ქვრივისა” და მ. ჯავახიშვილის “ჯაყოს ხიზნებში.” ავტორი წერს: “თეიმურაზი იგივე არჩილია ილია ჭავჭავაძისა, ხოლო თუ არჩილი არ გვეჩვენება ისე უზადრუკად, დონდლოდ იმიტომ, რომ ის დამოკიდებულია მეფის წყობილებაზე. თავად-აზნაურობის ბატონობა იმის საფუძველს

შეადგენს და ამიტომ ისიც ბატონია. თეიმურაზს კი ეს საფუძველი გამოაცალა რევოლუციამ და ამიტომ გამოაშკარავდა მისი უბადრუკობა, სიმჩვარე. ილია ჭავჭავაძეს ემინოდა ამ რევოლუციის. მას უნდოდა წოდებათა შეთანხმება, მორიგება, ჩატეხილი ხიდის გამრთელება.”

1163. გორგაძე ს. ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან. მეორე საფეხური (1860-1875). _ ჟურ. “მნათობი”. _ 1925. _ №3, გვ. 186-204.

წერილის ეს ნაწილი მთლიანად ეძღვნება ი. ჭავჭავაძის როლს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ყოველმხრივი რეფორმის საკითხის დასმას და მისი ცხოვრებაში დანერგვის ისტორიას.

1164. დევდარიანი სეით. მარქსიზმი და ხელოვნება. _ ჟურ. “მნათობი”. _ 1925. _ №1. _ გვ. 234-244.

წერილში სხვა მწერლებთან ერთად ნახსენებია ილია ჭავჭავაძეც. ავტორი უარყოფითად აფასებს ილიას ღვაწლს! იგი წერს: “ი. ჭავჭავაძეს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდვა მიუძღოდა იმ წყობილებაში, რომელმაც წარმოშვა “კაკო ყაჩაღები” და ამ ცოდვას ის აღიარებს, როცა სწერს:

“ნიავო, ჩემო ნიავო,
ნუ სჩაგრავ ტყეში კაკოსა.”

1165. კალაძე რ. 1905 წელი და ქართული მწერლობა. _ ჟურ. “მნათობი”. _ 1925. _ №11-12, გვ. 272-284.

ძირითად საკითხთან ერთად ავტორი ეხება 60-იანი წლების მწერლების პროგრამა-ტაქტიკას, მათ დამოკიდებულებას რუსეთის მსხვილი ბიუროკრატიის მიმართ და აღნიშნავს: “1905 წელს ჩვენში მოესწრენ... 60-იანი წლების დიდი მწერლები: ილია, აკაკი, ანტონ ფურცელაძე და სხვები, მაგრამ მეორე თაობის (ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვა) პროგრამა-ტაქტიკა სხვა იყო: ბანკი და ლოიალური ლიბერალიზმი_ეს იყო პროგრამა. რუსეთის მსხვილი ბიუროკრატიის წინაშე მლიქვნელობა, მისი ზეიმი, “ქართველური” გამასპინძლება_ეს იყო მათი ტაქტიკა.”

1166. კალაძე რ. აკაკი. _ ჟურ. “მნათობი”. _ 1925. _ №2. _ გვ. 187-195.

წერილი დაწერილია აკაკის გარდაცვალებიდან ათი წლისთავის გამო. მასში ერთი მხრივ, კრიტიკულად არის შეფასებული აკაკის პოეზია, რომელსაც ავტორი თანამედროვე ეტაპზე ჩამორჩენილს უწოდებს, (ამავე კონტექსტში ახსენებს ავტორი ილია ჭავჭავაძესაც. იგი წერს: “საქართველოს მეორე ძველმა ფეოდალურმა გვარმაც, ჭავჭავაძეების გვარმა მოგვცა თავის დროზე არანაკლები სახელგანთქმული მგოსანი_ილია, მაგრამ პროლეტარულმა რევოლუციამ დღემდე იგი დავიწყებას მისცა.” რატომ? _კითხვას სვამს ავტორი და იქვე პასუხობს _ ”ამის სრულიად დამაკმაყოფილებელ პასუხს მოგვცემს ჩვენი ამ ორი დიდი მგოსნის ორი ლექსის შედარება: პოეზიის დანიშნულება და მგოსნის როლი ცხოვრებაში. ... აკაკი თავს კოლექტივის თანასწორუფლებიან წევრად სთვლის... თავს ხალხის მეგობრად სახავს, ხოლო ილიას კი იმავე ხალხის (ერის) ავტორიტეტად, მბრძანებელ ორგანიზატორად მოაქვს თავი. ეხლა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რატომ შეიყვარა აკაკი მთელმა ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ხოლო ილია კი არა.” წერილს აქვს მინაწერი, რომ მასში გამოთქმული მოსაზრებების ნაწილს რედაქცია არ ეთანხმება.

1166¹. კოტეტიშვილი ვახტანგ. ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია. მე-XX – დღევანდლამდე. ნაწილი მე-II. – ქუთაისი, 1925. – გვ. 100-162.

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და შემოქმედებას. იგი ილიას უწოდებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცენტრალურ ფიგურას, რომელთანაც იკრიბებოდა საკითხთა ჯაჭვის ყველა რგოლი. იგი აანალიზებს ილიას შეხედულებებს სოციალურ და ეროვნულ საკითხებზე, ქართველ ხალხზე, ადამიანის დანიშნულებაზე და ა.შ.

წერილში დიდი ადგილი ეთმობა ილიას შემოქმედებას. ავტორის აზრით, ქართული რეალისტური პროზა სწორედ ილიამ შექმნა, XIX საუკუნის პირველ ნახევარი კი მოსამზადებელი პერიოდი იყო. ილიას ენას ახასიათებს შინაგანი რიტმი, მისი მოთხრობები აზრებით არის გაჯერებული, რომლებიც სადა სასაუბრო ენით არის გადმოცემული.

1166². კოტეტიშვილი ვახტანგ. მე-60 წლები, როგორც ახალი პერიოდის დასაწყისი ქართულ ლიტერატურაში: თერგდალეულები და სალიტერატურო კრიტიკის აღორძინება. – წიგნ.: კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია. მე-XX – დღევანდლამდე. ნაწილი მე-II. – ქუთაისი, 1925. – გვ. 75-100.

ნარკვევში ავტორი მსჯელობს თერგდალეულების მოღვაწეობის იმ მხარეზე, რომელიც ქართული სალიტერატურო კრიტიკის აღორძინებას ეხება. იგი განსაკუთრებით გამოჰყოფს ილია ჭავჭავაძეს და აცხადებს, რომ ილია იყო პირველი ქართველი კრიტიკოსი, რომელმაც ლიტერატურა აზროვნების საგნად აქცია.

1167. ჭიჭინაძე ვ. ალიტერაცია ქართულ შაირში და “ვეფხისტყაოსნის” პრობლემა. – ჟურ. “მნათობი”. – 1925. – №5-6. – გვ. 220-261.

ალიტერაციაზე მსჯელობისას ავტორი ეხება აკაკისა და ილიას შემოქმედებას და წერს, რომ “აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ალიტერაციით გამართული ლექსები და ცალკე სტრიქონები მხოლოდ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენენ.” წერილის ავტორს თავისი მოსაზრების საილუსტრაციოდ მოაქვს რამდენიმე მაგალითი ამ ორი პოეტის შემოქმედებიდან.

1168. ხომლედი [ფანცხავა რომანოზ]. ქართული ლიტერატურა. (თავები) IV, VI, VIII. – ჟურ. “ახალი გზა”. – 1925. – №16, გვ. 9-10; №18, გვ. 6-7; №20, გვ. 7-9.

წერილის IV თავში აღნიშნულია, რომ 1861 წელს ჟურნალ “ცისკარში” დასტამბული ილიას პირველივე კრიტიკული გამოსვლით, ილიას მიერ ჟურნალ “საქართველოს მოამბის” დაარსებით საქართველოში იწყება ახალი პერიოდი, რომელსაც ავტორი უწოდებს ილია ჭავჭავაძის პერიოდს. იგი აღნიშნავს, რომ “საქართველოს მოამბე” იყო პირველი ევროპული ჟურნალი საქართველოში, რომელმაც პირველმა ატეხა მკაცრი და ულმობელი კრიტიკა დრომოჭმული ძველისადმი. მომდევნო თავებში მიმოიხილულია ილიას ჟურნალისტური მოღვაწეობა 1877-1886 წლებში. წერილის დასასრულს აღნიშნულია “ივერიის” (როგორც ჟურნალისტის, ასევე გაზეთის) ნაკლი, რომ მას თავის არსებობის მანძილზე არ ჰქონია კრიტიკული განყოფილება.

1169. გელიეშვილი პეტრე. ჩვენი ახლო წარსულიდან, მასალები “მესამე დასის” ისტორიისათვის. – ჟურ. “მნათობი”. – 1926. – №8-9 (28-29). – გვ. 240-266.

წერილის დაწერის მიზანი, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, არის მიაწოდოს მკვლევარებს მასალები “მესამე დასის” წარმოშობის შესახებ. ავტორი თავისებურად ხსნის ი. ჭავჭავაძისა და “მესამე დასელთა” დაპირისპირებას. იგი წერს, რომ ილია გაეცნო მათ პროგრამას და მიხვდა, რომ “მართლა დაბადებულა ახალი ძალა, რომელიც ომს უცხადებს მთელ ქართულ ნაციონალისტურ აზროვნებას და სრულიად წინააღმდეგ მიმართულებას აძლევს მას.”

1170. გიორგაძე გრიგოლ. “თერგ-დალეულნი”. – წიგნ.: გიორგაძე გ. ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში. – ტფ., 1926. – გვ. 191-194.

ილია ჭავჭავაძე ბატონყმური ურთიერთობის შესახებ.

1171. კაპანელი კონსტანტინე. ქართული სული ესთეტიურ სახეებში. წიგნი პირველი – ტფ., 1926. – 111 გვ.

წიგნში ავტორი აანალიზებს ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. მისი მიზანია, განსაზღვროს, თუ როგორ არის მათში წარმოდგენილი ქართული ხასიათი, ტემპერამენტი, სული. წიგნის მეოთხე თავი “სოციალური პრობლემები” ეთმობა ილია ჭავჭავაძეს. ავტორი მსჯელობს იმ ნაწარმოებებზე, რომლებშიც ჩანს ილიას პოზიცია და შეხედულებები სოციალური საკითხებისადმი. პოემა “აჩრდილის” განხილვისას ავტორი აცხადებს, რომ ილია უმღერდა რევოლუციას და მისი რეაქციონერად გამოცხადება დიდი შეცდომა იყო. ავტორი ბოლოს დასკვნის სახით აცხადებს: “ილია ჭავჭავაძე მხატვარია გარკვეული სოციალური განცხადების და სული მისი თითქმის გარბის წრიულ კოსმიური რომანტიზმიდან სოციალურ ეპოსში, სადაც იგი დგას როგორც უძლეველი ტიტანი, მებრძოლი თავის ერისათვის, მისი ისტორიული რენესანსისათვის, მისი ლამაზი, კარგად დაწყობილი ცხოვრებისათვის.”

1172. მახარაძე ფილიპე. მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები (ბოლოსიტყვა წარმოთქმული ქართულ მწერალთა კავშირის ყრილობაზე). – წიგნ.: მახარაძე ფ. თხზულებათა კრებული ტომი V, სახელმწიფო გამოშვება, 1926, გვ. 253.

სხვა საკითხებთან ერთად ავტორი ახსენებს ი. ჭავჭავაძესაც და მიაკუთვნებს მას იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც “სწერდნენ მუშა ბოქულაძეზე, სწერდნენ ბორკილების დამტვრევაზე, პარიზის კომუნაზე და სხვა, ვერ იცავდნენ ბოლომდე ლოგიკას... 1905 წელს, როდესაც გლეხკაცობა აზვირთებული იყო, ილია ჭავჭავაძე ისე იქცეოდა, როგორც უბრალო მემამულე.”

1173. მახარაძე ფილიპე. საიუბილეო ბროშურა. მცირე შენიშვნა ბ-ნ მეგახლავარძის წიგნაკის გამო (თ. ილ. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი). – წიგნ.: მახარაძე ფ. თხზულებათა კრებული. ტომი V – ტფ.: სახელმწ. გამ-ბა, 1926. – გვ. 91-98.

ავტორი აკრიტიკებს მიხეილ ნასიძის (მეგახლავარ) წიგნს “თ. ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.” იგი თვლის, რომ ნასიძე გადაჭარბებით აფასებს ილიას ღვაწლს, რომ ი. ჭავჭავაძის შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სრულებითაც არ იყო პროგრესული მოვლენა.

1174. ჟურული ვ. მთაწმინდიდან წიწამურამდე: [ლექსი]. – ჟურ. “ქართული მწერლობა”. – 1926. – №4-5, გვ. 71-73.

1175. ქიქოძე გერონტი. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. რეფორმიზმი და რომანტიკა. – ჟურ. “ქართული მწერლობა”. – 1926. – №1, გვ. 17-19.

ავტორის მიზანია გაარკვიოს, თუ რა იყო ის ძირითადი, რითაც ეს ორი შემოქმედი ასე პოპულარული გახდა ქართულ საზოგადოებაში. იგი წერს, რომ ორივენი მეზრდოლი ტემპერამენტით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ “ილია ჭავჭავაძე” სოციალური რეფორმატორი იყო ამ სიტყვის უღრმესი მნიშვნელობით. ეს შეურიგებელი რეფორმისტული სული მან ყველა დარგში გამოიჩინა. ავტორი პარადოქსად მიიჩნევს, რომ სწორედ მისმა სულიერმა მემკვიდრეებმა, მესამე დასელებმა ის თითქმის რეაქციონერად გამოაცხადეს. ავტორი თვლის, რომ დიდად დასაფასებელია ი. ჭავჭავაძის მოქალაქეობრივი გამბედაობა, რადგან მან, არისტოკრატიის წარმომადგენელმა, შეძლო კავშირი გაეწყვიტა საკუთარი სოციალური წრის ტრადიციებთან.

1176. ხუროძე ვ. ბიბლიოგრაფია (ვახტანგ კოტეტიშვილი. “ქართული ლიტერატურის ისტორია.” მე-19 საუკ. ნაწ. II გამომც. “მეცნიერება საქართველოში”, 1925, 291 გვ. ფასი 2 მანეთი). – ჟურ. “მნათობი”. – 1926. – №10-11 (30-31) გვ. 251-253.

რეცენზენტი მიმოიხილავს ვ. კოტეტიშვილის წიგნს, აღნიშნავს მის დადებით და უარყოფით მხარეებს. წიგნის ერთ-ერთ დიდ ნაკლად მიაჩნია, ილიას შემოქმედების შეფასება. იგი თვლის, რომ ავტორმა ამ საკითხში მარცხი განიცადა, რადგან ვერ დაასაბუთა, თუ რატომ თვლიდა ილიას დიდ მწერლად. ასევე, არ აჩვენა ილიას სოციალური პროგრამა, მისი კონსერვატიზმი, “ვერ შეამჩნია, კონსერვატიზმზე დამყნობილი გლეხის ნაროდნიკული იდეალიზაცია და სხვა.”

1927

1177. აბაშიძე გრ. ილია ჭავჭავაძე და ახალგაზრდა მწერლები. – ჟურ. “ჩვენი თაობა”. – 1927. – №5-6. – გვ. 30-34.

1178. ად-ლი ვ. როგორ არ უნდა იწერებოდეს ინტელიგენციის ისტორია – ამხ. ს. ხუნდაძის “ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში” გამოსვლის გამო – ჟურ. “მნათობი”. – 1927. – №2, გვ. 240-246.

რეცენზიის სათაურშივე ჩანს რეცენზენტის კრიტიკული დამოკიდებულება ს. ხუნდაძის წიგნის მიმართ. იგი ბევრ საკითხში არ ეთანხმება ავტორს, მათ შორის, 60-იანი წლების მოღვაწეთა შეფასებაში. კრიტიკოსი თვლის, რომ “მამათა” და “შვილთა” ბრძოლა და ერთი წოდების შიგნით ბრძოლა იყო არა ორ სხვადასხვა ფენას შორის წინააღმდეგობა. “შვილებს” არ გააჩნიათ რაიმე რეალური პროგრამა. რეცენზენტი თვლის, რომ ავტორი უსაფუძვლოდ აპოლოგეტობს.

1179. ბ-ლი ვ. ილია ჭავჭავაძე, კაპანელი და “კომუნისტის” კრიტიკოსი მო-ლი (კ. კაპანელის “ქართული სული ესთეტიურ სახეებში”-გამოსვლის გამო). – ჟურ. “პროლეტარული მწერლობა”. – 1927. – №1, გვ. 109-115.

რეცენზენტი კრიტიკულად უდგება ილია ჭავჭავაძის ღვაწლის კონსტანტინე კაპანელისეულ შეფასებას. იგი აცხადებს, რომ წიგნში ილია

გამოყვანილია მარქსისტული შეხედულებების მქონე მწერლად, თუმცა სინამდვილეში იგი ვერ გამოვიდა თავისი კლასის ინტერესების ჩარჩოდან. იგი არა თუ ქადაგებს სოციალისმს, არამედ მთელი ძალით ეწინააღმდეგება მას.

რეცენზიის ბოლოს ავტორი აკრიტიკებს გაზეთ “კომუნისტის” კრიტიკოსს მო-ლის, რომელსაც დადებითი რეცენზია გამოუქვეყნებია ვ. კაპანელს ამ წიგნზე. ავტორი თვლის, რომ “კომუნისტის” კრიტიკოსს შეცდომაში შეჰყავს მკითხველი საზოგადოება.

1180. ბერეჟიანი სიმონ. ილია ჭავჭავაძე. _ გაზ. “თეთრი გიორგი” (პარიზი). _ 1927. _ №9.

1181. ქართული მწიგნობრობის ისტორიისათვის (მასალები ნიკ. მიწიშვილის რედაქციით). _ ჟურ. “ქართული მწერლობა”. წელიწადი მეორე. _ 1927. _ ოქტ., №10.

ჟურნალის 118-ე გვერდზე საუბარია ილია ჭავჭავაძეზე, რომელმაც 1863 წელს დააარსა პირველი ქართული ყოველთვიური ჟურნალი ”საქართველოს მოამბე”.

1182. ქ. რ. [რაჭველიშვილი ქრისტეფორე]. ბიბლიოგრაფია (კონსტანტინე კაპანელი. ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. წ. პირველი. ქართული ლიტერატურა. თემატური ანალიზი სოციოლოგიური თვალთახედვით ზ. 6×10. გვ. 258. ფ. 2მ-60კ.). _ ჟურ. “მნათობი”. _ 1927. _ №7. _ გვ. 245-246.

რეცენზენტი დადებითად აფასებს ვ. კაპანელის წიგნს. იგი მთლიანობაში იზიარებს ავტორის მიერ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასებას, მაგრამ არ ეთანხმება მას “განდევლის” ანალიზის დროს. რეცენზენტი წერს, რომ ავტორი იძლევა “განდევლის” გულუბრყვილო განმარტებას მისი თქმით, “განდევლი” ეხება ქრისტიანობის დამახასიათებელ კოლიზიას: სულისა და მატერიის შეჯახებას, ვ. კაპანელი კი ამ საკითხს მეტად ამარტივებს.

1183. ხუნდაძე სიმონ. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. ტომი პირველი _ ტფ.: სახელგამი, 1927. _ 250გვ.

წიგნის მე-2 თავში, რომელსაც ეწოდება “60-იანი წლების ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენცია”, ავტორი საუბრობს იმ სოციალურ და ეკონომიკურ საფუძვლებზე, რომელშიც აღმოცენდა 60-იანი წლების ქართული ლიბერალიზმი. იგი აცხადებს, რომ 60-იანი წლების ახალი თაობის წარმომადგენელთა და უპირველესად, ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ჩანს როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მისწრაფებები, ისე თავადაზნაურული იდეოლოგიის ნაშთები და სოციალისტური აზროვნების ელემენტები. ამ მოსაზრების დასაბუთების მიზნით ავტორი განიხილავს ილიას მთელ შემოქმედებას.

1184. ხუნდაძე სიმონ. ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში. _ ტფ.: სახელგამი, 1927. _ 125 გვ.

წიგნის ერთ-ერთ თავში _ “ქართული ლიბერალიზმი” _ ავტორი საუბრობს ილია ჭავჭავაძეზე, როგორც 60-იანი წლების ქართველი ლიბერალიზმის საუკეთესო წარმომადგენელზე. იგი წერს, რომ “ილია, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, ვერ იშორებს თავიდან სავსებით თავადაზნაურულ იდეოლოგიას, მაგრამ ცდილობს შეუთანხმოს იგი ახალ ცხოვრების ქროლვას და შეარიგოს მომავალი წოდება ახლად მომავალ

პროგრესულ ძალას, გამოაბას სასიკვდილოდ გამზადებული თავად-ახნაურობა ეკონომიკურად მომქმედი სოციალური კლასის გემს.”

1928

1185. ა[სათიან]ი ლ. ლიტერატურული ტრადიცია და ძიება. – ჟურ. “მემარცხენეობა”. – 1928. – №2. – გვ. 58-59.

წერილში სხვა საკითხებთან ერთად ავტორი ახსენებს ილია ჭავჭავაძესაც: “... აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე იმიტომ იყვნენ თავისი ეპოქის უდიდესი სიტყვის ოსტატები, რომ თანამედროვე თემატიკა დაამუშავეს შესაფერისი მეტყველებითი საშუალებებით და შესაბამისი ფორმალური ხერხებით...”

1186. ასათიანი ლევან. თანამედროვე ლიტერატურა და კლასიკოსები. ილია ჭავჭავაძე და “ცისკარი”. – ჟურ. “ქართული მწერლობა”. – 1928. – №12. – გვ. 96-104.

წერილში ნათქვამია, რომ “თერგდალეულთა” თაობამ ილიასა და აკაკის მეთაურობით თავდაპირველად თანამშრომლობა დაიწყო იმ დროს გამომავალ ჟურნალ “ცისკართან”. მაგრამ ამ ჟურნალში ძირითადად ქვეყნდებოდა “მაღალი სტილით” დაწერილი პუბლიკაციები, რაც ახალგაზრდა მოღვაწეებისთვის მიუღებელი იყო. ავტორი წერს: “ახალგაზრდა ავტორებმა შეგნებულად უარყვეს ტრადიციული ოსტატობა და წამოაყენეს საკუთარი მეთოდები მხატვრული ფაქტების კეთებისა.” წერილში აღწერილია ილიასა და “ცისკრის” ურთიერთობა.

1187. გაწერელია აკაკი. ახალი ლექსალობის შესახებ. – ჟურ. “მემარცხენეობა”. – 1928. – №2. – გვ. 29-34.

თხრობითი ლექსის ტიპზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ლექსის საქართველოში დამკანონებლები არიან ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი და სხვები. თხრობითი ლექსის მხატვრული შესრულების მაგალითად მას მოჰყავს “კაკო ყაჩაღი,” “აჩრდილი,” “გამზრდელი” და სხვა პოემები.

1188. ვაჟა-ფშაველა. ილია ჭავჭავაძის სახსოვრად: [ლექსი]. – წიგნ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ტ. 1. – 1928.

1189. ზანდუკელი მიხეილ. თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში (ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევის ცდა). – ტფილისი: უნ-ტის გამოცემა, 1928_318 გვ.

წიგნში შეფასებულია თერგდალეულთა როლი ქართული კულტურის აღორძინების საქმეში. განხილულია რამდენიმე საკითხი: თერგდალეულნი 1861 წლამდის; “მამათა” და “შვილთა” მსოფლმხედველობა და მათი ბრძოლის ხასიათი; თერგდალეულები “საქართველოს მოამბეში”, ეროვნული საკითხი თერგდალეულთა შემოქმედებაში; თერგდალეულთა დამოკიდებულება ბატონყმობასთან; ხალხოსნური მიმართულების ელემენტები თერგდალეულთა შემოქმედებაში; თერგდალეულთა შემოქმედების რღვევა და მისი მიზეზები.

1190. ჯავახიშვილი მიხეილ. ახალი სალიტერატურო ქართულისათვის. – ჟურ. “მნათობი”. – 1928. – №11-12. – გვ. 219-241.

ავტორი საუბრობს, თუ როგორ ხდებოდა ახალი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრება. იგი აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის დიდ დამსახურებას ამ საქმეში. ავტორის თქმით, “ამ ადამიანმა თანაბარი მიჯნები ჩაუყარა ახალ ლიტერატურას და ახალ ქართულსაც.” წერილში აღწერილია “მამათა” და “შვილთა” ბრძოლა ენის საკითხებზე.

1929

1191. ქიქოძე პლ. ვის ხელშია, კლასიკოსები. _ ჟურ. “მნათობი”. _ 1929. _ №4. _ გვ. 135-150.

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ კლასიკურ მწერლობას დიდი ზეგავლენა აქვს მკითხველთა ფართო მასებზე, ამიტომ საჭიროა მათ ნაწარმოებებს მიეცეს მარქსისტული, კომუნისტური ინტერპრეტაცია. ამ ჭრილში განიხილავს იგი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასაც. ავტორი წერს, რომ, მართალია, უკვე გამომუშავებულია ილიაზე მარქსისტული შეხედულება (ფ. მახარაძე, პ. გელეიშვილი და სხვა), მაგრამ კარგი იქნებოდა მისი ნაწარმოების გამოცემა კერძო გამომცემელთა ხელში არ მოხვედრილიყო და მარქსისტული კომენტარები მაინც მისცემოდა მათ. აქვე იგი ასახელებს იმ კრიტიკოსებს, რომლებიც, მათი აზრით, არასწორად აშუქებენ ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას.

1930

1192. ბიბინეიშვილი ბარონ. “კვალი” და კამათი ი. ჭავჭავაძესთან. _ წიგნ.: ბიბინეიშვილი ბ. მეოთხედი საუკუნის მანძილზე. მე-2 შესწ. გამოცემა. _ ტფ., 1930. _ გვ. 15-16.

წიგნის ავტორი, ბოლშევიკი და ფ. მახარაძის მომხრე, მოკლედ საუბრობს “კვალის” დამოკიდებულებაზე ილია ჭავჭავაძის მიმართ და მიაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძე ხელს უშლიდა ახალი ცხოვრების დაწყებას.

1931

1193. ბენაშვილი დ., შავგულიძე შ., ნაროუშვილი ფრ., ქიქოძე პ. ბოლშევიზმი თუ სოციალ-ფედერალიზმი? _ წიგნ.: ბრძოლა კლასიკოსებისათვის _ ტფილისი: სახელგამი, 1931, გვ. 78-98.

წერილში გატარებულია აზრი, რომ სამოციანელები არა თუ ილაშქრებდნენ ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ, არამედ ცდილობდნენ მის გაუმჯობესებას. ავტორებს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება მიაჩნია იმის საილუსტრაციოდ, რომ “ფედერალური ლიბერალები... ფეოდალიზმის, ფეოდალური კლასის და მისი ინტელიგენციის გადარჩენის მიზნით ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის “შეგუებას” ცდილობდნენ.” წერილში გაკრიტიკებულია ის ლიტერატორები, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს მიიჩნევდნენ ბატონყმობის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლად.

1194. ბიბინეიშვილი ბარონ. “კვალი” და კამათი ი. ჭავჭავაძესთან. – წიგნ.: ბიბინეიშვილი ბ. მეოთხედი საუკუნის მანძილზე. მე-3 შვეს.-შესწ. გამოცემა. – ტფ., 1931. – გვ. 15-16.

წიგნის ავტორი, ბოლშევიკი და ფ. მახარაძის მომხრე, მოკლედ საუბრობს “კვალის” დამოკიდებულებაზე ილია ჭავჭავაძის მიმართ და მიაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძე ხელს უშლიდა ახალი ცხოვრების დაწყებას.

1195. გაწერელია აკაკი. ჟანრის შესახებ. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1931. – 21 დეკ., გვ. 4.

წერილში მოხსენებულია “მამათა და შვილთა ბრძოლა”. ი. ჭავჭავაძის სახელი ნახსენები არ არის, მაგრამ შინაარსობრივად მას ეხება. ციტატა წერილიდან: “მე-19 საუკ. ქართულ მწერლობაში, ახალი სოციალური ძვრების წყალობით მოხდა ძველი სისტემის შეცვლა ახლით. ეს ფაქტი აღინიშნა “მამათა და შვილთა” ცნობილი ბრძოლით. გრიგოლ ორბელიანი სწყევლიდა ახალი ლიტერატურული სისტემების თავის ჩენას.”

1196. კაპანელი კონსტანტინე. გარდატეხის პერიოდი. ილ. ჭავჭავაძე. – წიგნ.: კაპანელი კ. ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი. – თბ., 1931. – გვ. 148-179

ავტორი აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძეს მოღვაწეობა მოუწია მკვეთრი სოციალური ცვლილებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდატეხის პერიოდში. მისი თქმით, “ილია ჭავჭავაძემ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ფეოდალური არისტოკრატის მაგიერ საქართველოში შემოდიოდა ახალი კლასი, რომელსაც შემოჰქონდა ყველაფერი, რაც მაშინასა და კაპიტალს მოაქვს”. მის “ერონული მთლიანობის იდეას მესამე დასი ფილიპე მახარაძისა და ნოე ჟორდანიას მეთაურობით უპირისპირებდა ისტორიული კანონის აუცილებლობას და მუშათა კლასის შემოქმედებით პერსპექტივას, რომელიც მარქსიზმის თვალთახედვით პირდაპირ გამომდინარეობდა კაპიტალისტურ წარმოებიდან და რომელსაც ილია ჭავჭავაძე არ აქცევდა ყურადღებას”.

1197. კაპანელი კონსტანტინე. ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: კაპანელი კ. ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი. – თბ., 1931. – გვ. 180-181.

ავტორის აზრით, ილია ჭავჭავაძის ”ესთეტიური იდეალია სოფელი და გლეხი თავისი პრიმიტიული ყოფა-ცხოვრებით, მარტივი აზრებით და გულუბრყვილო განცდებით”. მისი “შემოქმედებითი ტენდენცია თითქოს გაურბის ქალაქს, მრეწველობას და ელტვის სოფელს, გლეხს, მიწას; ილია ჭავჭავაძის ესთეტიური კონცეპცია თავდება გეოპოლიტიკით, მიწისა და გლეხის იდეალით.

1198. მახარაძე ფილიპე. მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში. – წიგნ.: ბენაშვილი დ., შავგულიძე შ., ნაროუშვილი ფრ., ქიქოძე კ. ბრძოლა კლასიკოსებისათვის – ტფილისი: სახელგამი, 1931. – გვ. I_XVIII.

წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი მიესალმება ახალგაზრდა პროლეტარული ავტორების მიერ ამ კრებულის გამოცემას. იგი წერს, რომ მანამდე ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა ჩაბარებული ჰქონდათ მუშათა კლასისათვის სრულიად უცხო ელემენტებს, რომლებმაც კერპად გაიხადეს ილია ჭავჭავაძე. ავტორი შესავალი წერილის დიდ ნაწილს უთმობს როგორც თვით ილია ჭავჭავაძის, ასევე მის შესახებ დაბეჭდილი დადებითი ხასიათის ნაშრომთა კრიტიკას.

1199. ქიქოძე პ. ვის ხელშია კლასიკოსები. – წიგნ.: ბენაშვილი დ., შავგულიძე შ., ნაროუშვილი ფრ., ქიქოძე პ. ბრძოლა კლასიკოსებისათვის – ტფილისი: სახელგამი, 1931, გვ. 5-33.

ავტორი თვლის, რომ მშრომელ მასებზე კლასიკური მწერლობის მავნე ზემოქმედების შესუსტების მიზნით საჭიროა მათი მარქსისტული, კომუნისტური კრიტიკა, კომუნისტური ინტერპრეტაცია. კლასიკოს მწერლებიდან, რომლებიც, მისი აზრით უარყოფითად მოქმედებენ პროლეტარებზე, ავტორი ასახელებს ილია ჭავჭავაძესაც.

1932

1200. ამირეჯიბი შალვა. ილია ჭავჭავაძე – ჟურნ. “სამშობლო” – პარიზი, 1932, №12

1201. ბენაშვილი დ., ნატროშვილი გ., ჟღენტი ბ. ორგანოტროპიზმის ფილოსოფია საბჭოთა სკოლებში. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1932. – 11 თებ, გვ. 3.

წერილში მოცემულია ფილოსოფოს კ. კაპანელის წიგნის “ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისის” კრიტიკა, რომელშიც კაპანელს ილია მოხსენებული ჰყავს “ტიტანური გამძლეობის” მქონე მლაღადებლად კლასთა უთანასწორობის შესახებ. ავტორების აზრით, “ილია ჭავჭავაძის ასეთი შეფასება სოციალ-ფედერალისტური სიყალბეა და ეწინააღმდეგება სინამდვილეს.”

1202. ბენაშვილი დ., ნატროშვილი გ., ჟღენტი ბ. ყურადღება ლიტ. სახელმძღვანელოებს: სოციალ-ფედერალიზმის მორიგი ეპიგონი. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1932. – 21 თებ, გვ. 4.

სტატიაში გაკრიტიკებულია ს. გაჩეჩილაძის სახელმძღვანელო “სამუშაო წიგნი ლიტერატურაში,” რადგან მასში ილია ჭავჭავაძე აღიარებულია საზოგადოებაში ახალი იდეების შემომტანად, ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლად. ავტორთა აზრით, უნდა აიკრძალოს აღნიშნული სახელმძღვანელო, რადგან, როგორც წერილშია აღნიშნული, “ამხ. გაჩეჩილაძის მავნე წიგნი ხელს უშლის ჩვენი პროლეტარული ახალგაზრდობის კლასიკურ აღზრდას.”

1203. ბიბინეიშვილი ბარონ. “კვალი” და კამათი ი. ჭავჭავაძესთან. – წიგნ.: ბიბინეიშვილი ბ. მეოთხედი საუკუნის მანძილზე. მე-4 შვეს.-შესწ. გამოცემა. – ტფ., 1932. – გვ. 13-14.

წიგნის ავტორი, ბოლშევიკი და ფ. მახარაძის მომხრე, მოკლედ საუბრობს “კვალის” დამოკიდებულებაზე ილია ჭავჭავაძის მიმართ და მიაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძე ხელს უშლიდა ახალი ცხოვრების დაწყებას.

1204. ბუაჩიძე ბენიტო. ამხ. ბენიტო ბუაჩიძის სიტყვა წარმოთქმული საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის VI პლენუმზე. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1932. – 21 იან, გვ. 2.

ბ. ბუაჩიძე თავის გამოსვლაში აკრიტიკებს მ. დუდუჩავას და ს. ხუნდაძის კონცეფციას ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შესახებ. იგი წერს: “რეაქციონერ მწერლებთან ბრძოლა იყო და არის ჩემი მუშაობის უდიდესი საგანი.”

1205. ბუაჩიძე ბენიტო. წერილი რედაქციის მიმართ. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1932. – 11 თებ, გვ. 4.

გამოხმაურება ფ. მახარაძის “კომუნისტში” (№248) გამოქვეყნებულ წერილზე ბენიტო ბუაჩიძის მიმართ. ბუაჩიძე ამართლებს თავის პოზიციას ილიასთან დაკავშირებით. იგი წერს: “ილია ჭავჭავაძე არ იყო მებრძოლი ბატონყმობის წინააღმდეგ, არამედ ის იყო თავადაზნაურობის მოწინავე, ჭკვიანი წარმომადგენელი, ე. ი. ყველაზე ძლიერი და მძაფრი რეაქციონერი.”

1206. გამსახურდია კონსტანტინე. ილია ჭავჭავაძე: [მოგონებიდან]. – გაზ. ”ლომისი”. – 1932. – 17 სექტ., №3

1207. ვისია ეს აზრები? – გაზ. “მუშა”. – 1932. – 6 მარტი.

გაზეთში გამოქვეყნებულია პროლეტარულ მწერალთა ერთი ჯგუფის კოლექტიური წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ: ბ. ბუაჩიძე, ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, პ. საყვარელიძე. წერილის ავტორები ეხმაურებიან გაზეთ “ახალგაზრდა კომუნისტში” (1932 წ. 3 თებ.) გამოქვეყნებულ ფრ. ნაროუშვილის ლექსს “თავადი ილია ჭავჭავაძე” და არა თუ აკრიტიკებენ მას, არამედ კიდევ უფრო აღრმავებენ მასში გამოთქმულ აზრებს და ახალ-ახალ ბრალდებებს თხზავენ ილიას წინააღმდეგ. წერილის დასაწყისში მოწონებულია ნაროუშვილის პოზიცია, მაგრამ შემდეგ საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ნაროუშვილი ბოლომდე ვერ ჩასწვდა ილიას მემამულურ ბუნებას. მათი აზრით, “ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი, პუბლიცისტი, სახელმწიფო მოღვაწე, მემამულე, თავადაზნაურობის იდეოლოგი იყო, მისი მოწინავე, საუკეთესო, ჭკვიანი და მოხერხებული მებრძოლი. ეს კი ნიშნავს, რომ ის მძაფრი რეაქციონერი იყო.” მთავარი ბრალდება, რაც პროლეტარულ მწერალთა ჯგუფმა წამოუყენა ფრ. ნაროუშვილს იყო ის, რომ იგი “შეუგნებლად იმეორებს მებრძოლი შოვინისტური პარტიების გესლიან პროვოკაციას. სწორედ ფედერალისტები, ნაციონალ- დემოკრატები, პროლეტარიატისადმი კლასიკური ზიზლით აღსავსენი ამტკიცებენ, რომ “ერის ბელადი” ილია ჭავჭავაძე მოკლეს მარქსისტებმა, მშვიერი კლასის ბელადებმა.”

1208. კედია სპირიდონ. ილია ჭავჭავაძე (ერთი თვალის გადავლებით). – “საქართველოს გუშაგი”. – პარიზი. – 1932. – №1

1209. მესხი ს. გამოცანებისა და კიდევ გამოცანების შესახებ. – ”მნათობი”. – 1932. – №8-9, გვ. 202.

1210. ნაროუშვილი ფრიდონ. თავადი ილია ჭავჭავაძე: [ლექსი] – გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”. – 1932. – 3 თებ.

იგივე: ჟურ. “პროლეტარული მწერლობა”. – 1932. – №1-2. – გვ. 148-149.

ნაროუშვილის ამ ლექსში გატარებულია აზრი, რომ ილიას, როგორც ტიპურ მემამულეს, კლავენ არა მარქსისტები, არამედ მის მიერვე დაჩაგრული გლეხები, რომლებიც იძულებული გახდნენ გაყაჩაღებულიყვნენ.

1211. ნოზაძე ვიქტორ. ილია და დამოუკიდებლობის საკითხი. – ჟურნ. “კავკასიონი” (პარიზი). – 1932. – №8

1212. პროზის საწარმოო თათბირი. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1932. – 24 აპრ. – გვ. 1-2.

გაზეთის რედაქცია აქვეყნებს ინფორმაციას მწერალთა კავშირში ჩატარებული თათბირის შესახებ. აქვე დაბეჭდილია თათბირზე გამომსვლელი მწერლების სიტყვები, რომლებშიც გამოჩნდა განსხვავებული დამოკიდებულება ქართული კლასიკური მწერლობისადმი. მაგალითად, კ.

გამსახურდია თავის გამოსვლაში ამბობს: “მე არ ვმაღავ, რომ მე მაქვს გურამიშვილიდან, ჭავჭავაძიდან, ორბელიანიდან და აზნაურობიდან გამოყოლილი ცოდვები, ჩემთვის ძნელია ამ ცოდვებიდან თავის დაღწევა.”

1213.საქ. საბჭ. მწერლების საგანგებო ყრილობა: კამათი ამხ. გ. ყურულიშვილის მოხსენების გარშემო. _ გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. _ 1932. _ 12 ივლ, გვ. 2.

ყრილობაზე გამომსვლელი პ. ჩხიკვაძის სიტყვაში მოხსენებულია ილია. მომხსენებელი აკრიტიკებს კ. გამსახურდიას ილიას “უსუსურ პოლიტიკოსად” მოხსენიების გამო. ციტატა მომხსენებლის სიტყვიდან: “თუ ის (ილია) ძლიერი იყო შემოქმედებაში, ის გაცილებით უფრო ძლიერი და ჭკვიანი იყო როგორც პოლიტიკოსი.” ამავე ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ილიას ახსენებს ტ. ტაბიძე. ციტატა: “ჩვენ ნაციონალიზმის გავლენის ქვეშ ვართ. ხალხს, რომელიც გაიზარდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე, გვაქვს ეს გავლენა.”

1214.ფირცხალავა სამსონ. ილია ჭავჭავაძე თავის პოეზიაში (მისი გარდაცვალების 25 წლისთავის გამო). _ გაზ. “დამოუკიდებელი საქართველო”. _ 1932. _ (სექტემბერი). _ გვ. 12-14

1215.ქიაჩელი ლეო. ჰ და ს ზმნებში ხმარების ნორმის დადგენისათვის. (პროფ. აკაკი შანიძის მოხსენების გამო). _ გაზ. “ლიტ. გაზეთი”. _ 1932. _ 12 ივნ. გვ. 2.

წერილი ეხება ახალი ქართული ენის შექმნის საკითხს. აქვე მოხსენებულია ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ენაში კახური დიალექტი შეჰქონდა.

1216.ყურულიშვილი გ. ამხ. გ. ყურულიშვილის საბოლოო სიტყვა საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობაზე. _ გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. _ 1932. _ 25 აგვ. გვ. 2.

სიტყვაში დიდი ადგილი ეთმობა ი. ჭავჭავაძეზე მსჯელობას. გამომსვლელი აკრიტიკებს კ. გამსახურდიას, რომელსაც უთქვამს “ილია პოლიტიკური მოღვაწე კი არა, მხოლოდ მწერალი იყო.” გამომსვლელი ასაბუთებს ილიას პოლიტიკურ მოღვაწეობას და აღნიშნავს, რომ ილიას პოლიტიკური მოღვაწეობა გარკვეული მსოფმლხედველობის მატარებელი იყო.

1217.შ. ჭ. გამომცემლობა “ფედერაცია”. _ გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. _ 1932. _ 11 აპრილი, გვ. 3.

საინფორმაციო წერილი ეხება ახლად დაარსებული გამომცემლობის “ფედერაციის” საქმიანობას. გამომცემლობამ განაახლა დროებით შეჩერებული წიგნების ბეჭდვა, მათ შორის ილია ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებულის მეთერთმეტე ტომი.

1218.ბველი ბრძოლა ახალ ფორმებში (პასუხად ილია ჭავჭავაძის თანამედროვე ჭირისუფლებს). _ გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”. _ 1932. _ 9 მარტი.

ეს წერილები გამოქვეყნდა პროლეტარულ მწერალთა კოლექტიური წერილის “ვისია ეს აზრები?” (გაზეთი “მუშა”, 1932, 6 მარტი) საპასუხოდ. მას ხელს აწერენ: ნ. ზომლეთელი, პ. ჩხიკვაძე, პ. ქორიძე, გრ. ბუხნიკაშვილი, ფრ. ნაროუშვილი, გ. ნატროშვილი, ივ. ჯაფარიძე, გ. ლომიძე, დ. ბენაშვილი, შ. შავგულიძე, გ. მდივანი. ისინი უპირისპირდებიან პროლეტარული მწერლების მიერ წამოყენებულ ბრალდებას იმის შესახებ, რომ “ფრ. ნაროუშვილი შეუგნებლად იმეორებს მეზრძოლი შოვინისტური პარტიების გესლიან პროვოკაციას,” თითქოს ილია ჭავჭავაძე მოკლეს მარქსისტებმა.

წერილის ავტორები აცხადებენ, რომ პროლეტარული მწერლების აზრები ფედერალისტთა აზრების გაგრძელებაა: “თქვენ აგრძელებთ ძველ ბრძოლას ახალ ფორმებში, რომ ამ ბრძოლაში თქვენი აზრები კონტრევოლუციონური ფედერალიზმის რესტავრაციის კიდევ ერთ ამკარა ცდას წარმოადგენს.”

1219. ხუნდაძე სიმონ. დავით კლდიაშვილის “მემუარები,” გვ. 373, 1932 წ. სახელგამი: [რეცენზია]. _ გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. _ 1932. _ 14 მარტი, გვ. 2.

რეცენზიაში აღნიშნულია: “ი. ჭავჭავაძემ მხოლოდ ოთხგვერდიანი ავტობიოგრაფია დაგვიტოვა.”

1220. ხუნდაძე სიმონ. სერგეი მესხის კერძო წერილები. _ ჟურნ. “მნათობი”. _ 1932. _ №8-9. _ გვ. 202.

მეცხრე წერილში სერგეი მესხი ახსენებს ილიას პამფლეტებს “გამოცანები-იგი ადრესატს წერს: თფილისში ჰყვავის... ლიტერატურა. ორი ისეთი ხელნაწერი პამფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შეძრა...”

1221. ჯავახიშვილი მიხეილ. დისკუსია. _ ჟურ. “მნათობი”. _ 1932. _ №1-2. _ გვ. 232-235.

სიტყვაში, რომელიც ავტორმა წარმოთქვა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციაში გამართულ დისკუსიის დროს, იგი სხვა საკითხებთან ერთად ახსენებს ილია ჭავჭავაძესაც. იგი წერს, რომ ილიას ნიჭთან ერთად “მას გამოუღეველი შრომის უნარი მოეპოვებოდა და უმთავრესად ამ უნარის წყალობით გაავსო მან მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი.” სიტყვის სხვა მონაკვეთში ავტორი ილიას ანატოლ ფრანსთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს. ფრანსის შემოქმედებაში არ ასახულა მუშების და გლეხების ცხოვრება. ილია ჭავჭავაძე კი, ავტორის თქმით, “პოლიტიკურად გაცილებით უფრო მარჯვნივ იდგა ვიდრე ფრანსი, მაგრამ მან შეჰქმნა “კაკო ყაჩაღი”, “კაცია ადამიანი?”, “გლახის ნაამბობი” და ბევრი იმგვარი ნაწარმოები, რომელზედაც ჩვენი ახალი თაობა იზრდება.”

1222. ჯავახიშვილი მიხეილ. სიტყვა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველ პლენუმზე. _ გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. _ 1932. _ 26 იანვარი. _ №2.

თავის გამოსვლაში სხვა საკითხებთან ერთად მომხსენებელი შეეხო გაზეთ “სალიტერატურო გაზეთს”, რომელსაც უსაყვედურა ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი უპატივცემულობა: “25 წელი შესრულდა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან. გაზეთს ეს არ აღუნიშნავს, ორი სიტყვითაც არ უხსენებია. შეიძლება ეს მომხდარიყო რომელიმე რესპუბლიკაში?”

... მე რომ თქვენ ადგილზე ვიყო დაწვერდი წერილს... ილიაზედაც დავწერდი, თუმცა მასაც რეაქციონერს ეძახით. მაგრამ მის ლექსებზე ახალგაზრდობა იზრდება. თუ დღევანდელი ცხოვრებიდან აქამდე ვერ ვხედავდი დამეწერა რამე, ეს იმის მიზეზი იყო, რომ მხოლოდ გუშინ დავასრულე თარგმნა “არსენასი”.

1223. ზანდუკელი მიხეილ. თერგდალეულნი. – წიგნ: ზანდუკელი მიხ. ახალი ქართული ლიტერატურა. II. – ტფ., 1934. – გვ. 254-350.

ავტორი გადმოსცემს თერგდალეულთა ჯგუფის გამოსვლას ქართული მწერლობის სარბიელზე და დასძენს, რომ ეს არის უდავოდ დიდი მოვლენა არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზროვნებისა და მისი კულტურული ცხოვრების ისტორიაში. თერგდალეულთა იდეებს, მათ ხედვას მომავლისაკენ და მისწრაფებებს კარგად აყალიბებს თერგდალეულთა ბელადი ილია ჭავჭავაძე ლექსში “პოეტი”.

1224. ზანდუკელი მიხეილ. ილია ჭავჭავაძე. წიგნ: ზანდუკელი მიხ. ახალი ქართული ლიტერატურა. II. – ტფ., 1933 [ყდაზე 1934]. – გვ. 254-350.

ავტორი საუბრობს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ხასიათზე, მისი პოეზიის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. იგი ილიას მსოფლმხედველობას განიხილავს XX საუკუნის 30-იანი წლების შესაბამისი იდეოლოგიური თვალსაზრისით და წერს, რომ მას ჰქონდა არასწორი წარმოდგენა კლასთა შორის უთანასწორობის მოსპობის გზებზე. “ოთარაანთ ქვრივის” ანალიზის დროს ავტორი აცხადებს, რომ “სწორედ აქ მჟღავნდება სუსტი ადგილი ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა”, რადგან “გათანასწორებისაკენ შეიძლება წავიდეთ კლასთა შორის ბრძოლის გამწვავების და არა შერიგების გზით.”

მთლიანობაში წიგნის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ილიას შემოქმედებას და აღნიშნავს მის დიდ დამსახურებას ქართული კულტურის შესახებ.

1225. კულიკი ი. მთლიანობის შექმნის დემონსტრაცია: საკავშირო ორგკომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ: ამხ. ი. კულიკის მოხსენება საქ. საბჭოთა მწერლების პლენუმზე. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1933. – 11 იანვ. გვ. 1, 2.

მოხსენებაში გამომსვლელი ეხება ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. აღნიშნავს ი. ჭავჭავაძის გარშემო მიმდინარე დაპირისპირებას მწერალთა შორის. გამომსვლელის აზრით, “ჭავჭავაძის ნაწარმოებები არ გამოხატავენ თანამედროვე იდეოლოგიას, მაგრამ მისი რამოდენიმე ნაწარმოების ჩართვა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შესაძლებელია”.

1226. მელაძე ვ. გაკვრით კლასიკოსებზე. – ჟურ. “მნათობი”. – 1933. – №1. – გვ. 153-176; №11, გვ. 164-184.

ავტორი გამოდის იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომ “თერგდალეულები” ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ბატონყმობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ აზრის დამამკვიდრებლად იგი მიიჩნევს არჩილ ჯორჯაძეს, კიტა აბაშიძეს და საერთოდ ფედერალისტებს. ავტორი აცხადებს, რომ მიუხედავად ფ. მახარაძის მიერ მათი შეხედულების უარყოფისა, მაინც გამოჩნდა ისეთი ხალხი, რომლებიც გამოდიან “გაკოტრებული იდეოლოგიისა და რეაქციონურ მსოფლმხედველობის დამცველებად.” ასეთ კრიტიკოსთა შორის იგი ასახელებს მიხეილ ზანდუკელსაც. წერილში ნახევარზე მეტი ადგილი ეთმობა ილია ჭავჭავაძის შესახებ მ. ზანდუკელის შეხედულებების კრიტიკას.

1227. რადიანი შ., თაბუკაშვილი შ. ილია ჭავჭავაძე: (ბიოგრაფია) – წიგნ: ლიტერატურული ქრესტომათია. ათწლეულების IX ჯგუფისა და ტექნიკუმების

II კურსისათვის. მეორე ნაწილი – ტფილისი: სახელმწ. გამომცემლობა, 1933. – გვ. 3-4.

1228. სულავა ა. ფილიპე მახარაძე როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი – [თბილისი]: ფედერაცია, 1933. – 65 გვ.

იგივე: ჟურ. “მნათობი”. – 1933. – №1-2. – გვ. 193-214.

წიგნში ავტორი საუბრობს ფილიპე მახარაძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ფ. მახარაძე ებრძოდა “ქართული ინტელიგენციის რეაქციონურ-ნაციონალისტურ ჯგუფებს.” ავტორი მიმოიხილავს მის იმ წერილებს, რომლებშიც ილია ჭავჭავაძე გამოცხადებულია რეაქციონერ მწერლად, მებატონეთა კლასის ტიპურ წარმომადგენლად.

1229. ხუნდაძე სიმონ. ივანე მაჩაბელი. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1933. – 6 აგვ. გვ. 4.

წერილში საუბარია ივანე მაჩაბლის მოღვაწეობაზე, მის დამოკიდებულებაზე ი. ჭავჭავაძის მიმართ. “მაჩაბელი უწუნებს ჭავჭავაძეს მოღვაწეობას, რომ ცუდად მუშაობს, ზარმაცობს, საბანკო საქმის არაფერი ესმის...”

1230. ხუნდაძე სიმონ. ილია ჭავჭავაძის კერძო წერილები და ავტობიოგრაფია. – ჟურ. “მნათობი”. – 1933. – №8-9. – გვ. 267-286.

ჟურნალი აქვეყნებს ი. ჭავჭავაძის წერილებს გ. სულხანიშვილისადმი, ნინო აფხაზისადმი, კ. ლორთქიფანიძისადმი, პეტრე უმიკაშვილისადმი, ნიკო ნიკოლაძისადმი. წერილებს თან ახლავს ს. ხუნდაძის შენიშვნები.

1934

1231. ამირეჯიბი შალვა. ისტორია საქართველისი და უდარდელი კაცის ისტორია. – გაზ. “საქართველოს გუმაგი”. – პარიზი, 1934, №7.

წერილში უარყოფითად არის შეფასებული ნოე ჟორდანიას მოღვაწეობა და მისი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის მიმართ.

1232. ბერია ლავრენტი. ამხ. ლავრენტი ბერიას სიტყვიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობაზე. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1934. – 31 იანვ, გვ. 1.

გამომსვლელი მიმოიხილავს კომუნიზმის მშენებლობის მიღწევებს. ციტატა: “დიდი მიღწევები გვაქვს ქართველი კლასიკოსების გამოცემის საქმეში. გამოცემულია და იცემა შ. რუსთაველის, ე. ნინოშვილის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის და სხვათა ნაწარმოებები.”

1233. გამსახურდია კონსტანტინე. ქართული ენის მაგისტრალური ხაზი. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1934. – 24 მაისი, გვ. 3.

სტატიაში სხვადასხვა მოსაზრებებთან ერთად, ასეთი თვალსაზრისიც არის მოცემული: “მე აბსოლიტურად ვეწინააღმდეგები იმ რეფორმას, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ეწეოდა. ასევე ვეწინააღმდეგები ქართული ენის გაიმერლების ტენდენციას...”

1234. ზანდუკელი მიხეილ. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. – წიგნ.: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია: პროგრამა და მეთოდური მითითებანი. შედგენილი მიხ. ზანდუკელის მიერ. – ტფილისი, 1934. – გვ. 8-10.

პროგრამა შედგენილია განათლების სახალხო კომისარიატის დაუსწრებელი პედაგოგიკის სტუდენტებისათვის.

1235. ლასხიშვილი გიორგი. მემუარები (1885-1915). – ტფ.: პოლიტკატორდელთა საზ-ბის გამოცემა №9, 1934. – 306გვ.

მოგონებებში დიდი ადგილი ეთმობა ილია ჭავჭავაძესთან ურთიერთობას.

1236. მგელაძე ვლასა. ილია ჭავჭავაძის მოკვლა 1907წ. – წიგნ.: 26 მაისი – პარიზი, 1934.

1237. მიწიშვილი ნიკოლო. ქართული ენა. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1934. – 30 აპრ, გვ. 4.

სტატიაში ავტორი ეხება დისკუსიას მწერალთა შორის ქართული ენის შესახებ. გამოთქმულია მწერლის თვალსაზრისი ამ საკითხის ირგვლივ. ერთ-ერთი ასეთია: ციტატა: “ჩვენი ამოცანაა ახალ ქართულ ენაში მთლიანობდეს ილიას მარღვი და აკაკის სიმსუბუქე-სოციალიზმის მაჩვენებელზე გამრავლებული.”

1238. ტოროშელიძე მალაქია. ენის შესახებ. – გაზ. “სალიტერატურო გაზეთი”. – 1934. – 24 მაისი, გვ. 1.

სტატიაში მწერალი ეხმაურება დისკუსიას ენის შესახებ. აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მიმართულება, ძველი და ახალი. ძველი გრიგოლ ორბელიანის და ახალი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. “გრ. ორბელიანი, ფეოდალიზმის და თავადაზნაურობის პირწავარდნილი დამცველი, იცავდა ძველ საეკლესიო ენას, ხოლო ილია ჭავჭავაძე-იმავე თავადაზნაურობის დამცველი, მხოლოდ ახალ შეცვლილ პირობებში ექომდაგებოდა ახალ ენას.”

1239. ტოროშელიძე მალაქია. ქართული ლიტერატურა: მოხსენება მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 20 აგვისტოს. – ჟურ. “მნათობი”. – 1934. – №7-8. – გვ. გვ. 220-255.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის პრობლემებზე საუბრის წინ მომხსენებელი მოკლედ შეეხო ქართული ლიტერატურის ისტორიას და მისი განვითარების მთავარ ეტაპებს.

ჟურნალის 246-255 გვერდებზე იგი საუბრობს XIX საუკუნის 60-იან წლებზე და ილია ჭავჭავაძეზე. მისი თქმით, “ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების უდიდესი ფიგურაა, რომელიც თავისი პოეტური და პუბლიცისტური ნაწარმოებებით ძლიერ გავლენას ახდენს ქართულ ლიტერატურაზე”. მ. ტოროშელიძე ახსენებს ილიას შემოქმედების ორგვარ შეფასებას, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების კრიტიკოსები მის პუბლიცისტურ ნაწარმოებებს უპირისპირებდნენ მისსავე მხატვრულ თხზულებებს. პირველში ხედავდნენ რეაქციულ ან კონსერვატულ მიმართულებას, ხოლო მეორეში – პროგრესულს. მ. ტოროშელიძეს ორივე ეს შეფასება შეცდომად მიაჩნია. მისი თქმით, “უკანასკნელ ხანს (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის – რაპის – ხანებში) მოუნდომეს გადაყრა როგორც უვარგის ნაგავს, მის მხატვრულ ნაწარმოებებსაც და ამით იჩენდენ კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებისა და გამოყენების სრულ უუნარობას”.

მ. ტოროშელიძე ეხება ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა საკითხს და აღნიშნავს მწერლის მთავარ მიღწევებს.

1240.Торшелидзе М. Грузинская литература: доклад на первом всесоюзном съезде советских писателей. – М.: Художественная литература, 1934. – 88с.

ბრომურის 33-43-ე გვერდებზე ავტორი საუბრობს ილია ჭავჭავაძეზე, როგორც XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელზე.

1935

1241.ასათიანი ვლ. აკაკი, როგორც კრიტიკოსი. _ გაზ. “ლიტერატურული გაზეთი”. _ 1935. _ 12 თებ, გვ. 4.

სტატიაში ლაპარაკია “ვეფხისტყაოსნის” აკაკისეულ შეფასებაზე. ავტორი იმოწმებს ილიას დამოკიდებულებას “ვეფხისტყაოსნთან” დაკავშირებით. ციტატა წერილიდან: “სავსებით სამართლიანად შენიშნავდა ილ. ჭავჭავაძე, რომ აკაკიმ ამით “ვეფხისტყაოსნის” კრიტიკის ვრცელი სარბიელი, შეცდომით ან განგებ ვიწრო ფარგლებში მოაქცია.” ეს რომ ასე იყოს, მისი თხზულება პამფლეტი იქნებოდა.”

1242.ასათიანი ვლ. ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე). _ გაზ. “ლიტ. საქართველო”. _ 1935. _ 24 იანვ, გვ. 3.

წერილში განხილულია ილიას თანამედროვე კრიტიკოსთან _ ბოსლეველთან _ კიტა აბაშიძის პოლემიკა “განდეგლის” გარშემო შექმნილი უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის გამო, რაშიც კ. აბაშიძე ბოსლეველს ადანაშაულებს. მოყვანილია ციტატა კ. აბაშიძის ეტიუდებიდან “ყველა მისი (ბოსლეველის) აზრით სჯიდა ილ. ჭავჭავაძის ახალ პოემას.” წერილის ავტორი კრიტიკულად აფასებს კიტა აბაშიძისეულ მსჯელობას და მისაღებად მიაჩნია ბოსლეველის აზრი ილიას “პესიმისტური შეხედულებების” შესახებ, რომლითაც “ფეხს წინ ვერ წავდგამთ.”

1243.გომიაშვილი ვ. რეალიზმის გზით. _ ჟურ. ”საბჭ. ხელოვნება”. _ 1935. _ №5. _ გვ. 45.

მსახიობი ვასილ გომიაშვილი გამოხატავს თავის განცდებს იმასთან დაკავშირებით, რომ წილად ხვდა დიდი ბედნიერება განესახიერებინა ილია ჭავჭავაძისეული ლუარსაბის სახე სპექტაკლში “ჩატეხილი ხიდი”. იგი წერს: “ვღელავდი, როდესაც დიდი ილიას დიდი სახის სცენურ განსახიერებას მოვკიდე ხელი. ადვილი საქმე ხომ არ არის ლუარსაბის განსახიერება; ყველა კრიჭაში გიდგას, რადგან ყველა იცნობს მას, ილიას ყოველ მკითხველს თავისი საკუთარი წარმოდგენა აქვს შემუშავებული და ყველა ისინი თეატრში მოდიან საკუთარი წარმოდგენის მიხედვით ხორცშესხმული ლუარსაბი იხილონ. რამდენი ერთის მოლოდინს გაამართლებ. ზოგი ელოდება საცოდავ ლუარსაბის სიბრალულის აღმძვრელ სახეს, ზოგი მოითხოვს ილიას ეპიგრაფს მივყვე და ლუარსაბს მოყვრულად უძრახო, ზოგი კი მოელის ჩემგან გამანადგურებელი სისასტიკით, წარბმეუხრელი დაუზოგველობით აქტიორულ ენაზე ვამხილო ლუარსაბის სახით განსახიერებული მუქთახორების წოდება.” ვ. გომიაშვილმა არჩევანი გააკეთა და როგორც თვითონ წერს: “თეატრი და მასთან ერთად მეც დაუზოგველი და სასტიკი აღმოვჩნდით მუქთახორათა დახასიათებისას.”

1244. დუდუჩავა მამია. აკაკი წერეთლის ადგილი საზოგადოებრივ ბრძოლაში. _ გაზ. "ლიტ. გაზეთი". _ 1935. _ 12 თებ, გვ. 6.

სტატიაში მოცემულია აკაკის შემოქმედების შესახებ არსებული ზოგიერთი თვალსაზრისის კრიტიკა. მის მსოფლმხედველობას ავტორი უკავშირებს ილიას მსოფლმხედველობას. რედაქციის მინაწერი: "ვათავსებთ ამხ. მ. დუდუჩავას წერილს დისკუსიის წესით. განსაკუთრებით სადაოდ მიგვაჩნია აკაკის სრული იდეური გაიგივება ილია ჭავჭავაძესთან."

1245. ლეონიძე გიორგი. მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის. _ ლიტერატურული მემკვიდრეობა: [კრებული]. წიგნი I. _ ტფ., 1935. _ გვ. 546-575.

გიორგი ლეონიძე აქვეყნებს ილია ჭავჭავაძის ცნობილი გამომცემლის, მიხეილ გედევანიშვილის არქივის იმ ნაწილს, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ეხება.

1246. მანსვეტაშვილი იაკობ ჩემი წარსულიდან. ნანახი და გაგონილი: [მოგონებანი]. _ ჟურ "მნათობი". _ 1935. _ №6. _ გვ. 188-212; №10. _ გვ. 186-212; №11-12. _ გვ. 216-236

1247. მესხი დ. მოგონებანი. _ ჟურ. "მნათობი". _ 1935. _ №1. _ გვ. 140-157; №2. _ გვ. 197-204.

1248. მიწიშვილი ნიკოლო. იღბლიანი. _ გაზ. "ლიტ. გაზეთი". _ 1935. _ 12 თებ, გვ. 2.

სტატიაში მოყვანილია ამონარიდები პოეტის შეხედულებიდან სხვადასხვა მწერალთა შესახებ. ციტატა: "დრამატული წუთი აგვირგვინებს ილია ჭავჭავაძის მაღალ შინაარსიან ცხოვრების გზასაც."

1249. რაჭველიშვილი ქ. აკაკი წერეთელი. _ გაზ. "ლიტ. გაზეთი". _ 1935. _ 30 იანვ., გვ. 2.

წერილში განხილულია აკაკის შემოქმედების დეტალურად შესწავლის გზები. ნახსენებია ილიაც.

1250. სილვი ა. დისპუტი "ჩატეხილი ხიდის" გარშემო. _ ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". _ 1935. _ №5. _ გვ. 46-47.

წერილში საუბარია 1935 წლის 19 ნოემბერს თსუ-ში გამართული დისპუტის შესახებ კ. მარჯანიშვილის თეატრში დადგმული სპექტაკლის "ჩატეხილი ხიდის" (პიესის ავტ. შ. დადიანი) გამო. გადმოცემულია გამომსვლელთა პოზიციები სპექტაკლის ნაკლისა თუ ღირსების შესახებ.

1251. ქიქოძე პლ. პრობლემურ-პუბლიცისტური ლიტერატურულ კრიტიკის დასაცავად _ გაზ. "ლიტ. გაზეთი". _ 1935. _ 18 იანვ, გვ. 2.

"ლიტ. გაზეთის" მთ. რედაქტორის წერილში საბჭოთა კრიტიკის დანიშნულებაზე მოხსენებულია ილია ჭავჭავაძე შემდეგ კონტექსტში: "კიტა აბაშიძე არ წააგებდა, მოიგებდა კიდევ, თავისივე კლასის თვალთახედვით, რომ ეგნატეს შემოქმედების თავისებური ახსნა მაინც მოეცა. მაგრამ ის კლასი, რომელსაც კიტა გამოხატავდა, სრულებით არ იყო პროგრესული ძალა და არ შეემლო თუგინდ ეგნატეს მისაკუთრების ცდა მაინც ჩაეტარებინა ისე, როგორც ილიამ დავითაშვილის მისაკუთრება სცადა."

შენიშვნა: წერილში არ არის მოცემული რომელ დავითაშვილზეა ლაპარაკი. იმ ხანად ორი დავითაშვილია ცნობილი: ი. დავითაშვილი _ თვითნასწავლი პოეტი, დაიბადა ყმა გლეხის ოჯახში. ილია იყო მისი პირველი ბიოგრაფი. დავითაშვილი შიო_ლიტერატორი. ავტორი

წერილის „ჩატეხილი ხიდი“, „ოთარაანთ ქვრივი“-მ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ.”

1252. ჩაჩიბაია ვ. ზოგიერთი შთაბეჭდილება – ჟურ. „საბჭ. ხელოვნება“. – 1935. – №5, გვ. 37-40.

წერილის ავტორი თავდაპირველად გამოხატავს აღფრთოვანებას მსახიობთა ოსტატობის გამო. შემდეგ კი გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნას. მაგალითად, იგი თვლის, რომ ილიას სხვადასხვა მოთხრობის პერსონაჟთა ერთ პიესაში შემოყვანა, ერთი და იმავე ისტორიულ პერიოდში მათი მოქმედება შეცდომაა და ეს იწვევს ეპოქათა აღრევას. ეს მოთხრობები დაიწერა XIX საუკუნის სხვადასხვა ათწლეულში და პერსონაჟთა ქცევა და აზროვნება მოცემულ დროს შეესაბამება.

1253. ჯანელიძე დ. „ჩატეხილი ხიდი“. – ჟურ. „საბჭ. ხელოვნება“. – 1935. – №5. – გვ. 41-44.

რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს ვ. მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლს „ჩატეხილი ხიდი“ (შ. დადიანის პიესა) და მიაჩნია, რომ გამოთქმული კრიტიკა ეპოქათა აღრევის შესახებ არასწორია. ავტორის აზრით, „საბჭოთა თეატრის მოღვაწეობა იყო ეჩვენებინა არა მარტო 60-იანი წლების ეპოქა, არამედ ნათელეყო ილიას პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მიმართულების მარცხიც, რაც წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდის გამართლების ცდის დამარცხებაში გამოიხატა“.

1936

1254. ამისულაშვილი მ. აპრილის დამე კახეთში: [ლექსი] (ი. ჭავჭავაძის ხსოვნას). – ჟურ. „ჩვენი თაობა“. – 1936. – №5-6. – გვ. 43-44.

1255. ახნაზაროვი არტემ. ილია ჭავჭავაძე და მეფის ცენზურა. – გაზ. „ლიტ. საქართველო“. – 1936. – 31 ივლ. – გვ. 2.

წერილში ასახულია ილიას და კავკასიის ცენზორის დ. ისარლოვის შეხვედრის ამბავი.

1256. გამოფენა ილია ჭავჭავაძის ხსოვნისათვის ქუთაისში. – გაზ. „კომუნისტი“. – 1936. – 28 სექტ. – № 225

1257. გიასელი [სამხარაძე გ.] ილია ჭავჭავაძეს: [ლექსი]. – ჟურ. „ჩვენი თაობა“. – 1936. – გვ. 4

1258. დევდარიანი სეით. ილია ჭავჭავაძე. – გაზ. „ლიტ. საქართველო“. – 1936. – №13, 16 აგვ. – გვ. 2, 4.

სტატიაში ავტორი განიხილავს 20-იანი წლების მარქსისტულ კრიტიკას ილიას შემოქმედებასთან დაკავშირებით. ადარებს პუშკინისა და ჭავჭავაძის შემოქმედებას. ამტკიცებს ჭავჭავაძის შემოქმედების პროგრესულობას და ხალხურობას პუშკინის შემოქმედებასთან შედარებით. ავტორი ერთგვარად ცდილობს ახსნას ილიას მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება იმ პერიოდის აუცილებლობით.

1259. დევდარიანი სეით. ილია ჭავჭავაძე: ფილოსოფია, სოციოლოგია, ესთეტიკა. – გაზ. „ლიტ. საქართველო“. – 1936. – 15 სექტ. – გვ. 3.

ავტორი ეხება "ღვთის მადლს" ჭავჭავაძის შემოქმედებაში. მის სოციოლოგიურ მსოფლმხედველობას ორი ეპოქის შეჯახებისას, განიხილავს პოემა "აჩრდილს".

1260. ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძის სახსოვრად: [ლექსი დაწერილია 1907 წელს]. – წიგნ.: რჩეული ნაწერები / ვაჟა-ფშაველა. – თბ.: ფედერაცია, 1936. – გვ. 109-110

1261. ილია ჭავჭავაძე - საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1936. _ 21 სექტ. _ გვ. 4.

ინფორმაცია ილიას თხზულებათა საიუბილეო თარგმანების შესახებ სსრკ-ს ხალხთა ენებზე. კერძოდ: რუსულ, უკრაინულ, სომხურ, ბელორუსულ და სხვა ენებზე.

1262. ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავი. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1936. _ 8 ივნ. _ გვ.1.

გაზეთის ინფორმაცია საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის შესახებ ილიას საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით.

1263. ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1936. _ 24 მაისი.

რედაქციის ინფორმაცია საქ. მწერალთა კავშირის სხდომაზე მიღებული ღონისძიებების შესახებ ილიას 100 წლისთავის აღსანიშნავად.

1264. ილიას იუბილესათვის მზადება: ილიას კომიტეტში. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1936. _ 23 ოქტ. _ გვ. 1.

სტატიაში საუბარია ღონისძიებებზე იუბილესთან დაკავშირებით. კომისიის ხელმძღვანელია ვ. მირცხულავა

1265. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების საღამო თბილისის მაუდის ფაბრიკის კლუბებში. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1936. _ 22 ოქტ.

1266. ილიას მკვლელობა და დაკრძალვა. - გაზ. "კომუნისტი". _ 1936. _ 12 სექტ.

გაზეთის გვერდზე ქვეყნდება წერილები და სხვადასხვა მასალა ილიას მკვლელობისა და მისი დაკრძალვის შესახებ.

1267. ლეონიდე გიორგი. ილიას სურათზე: [ლექსი]. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1936. _ 24 ივლ.

1268. მ.გ. მწერალთა სახლი საგურამოში. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1936. _ 5 ივნ. წერილში საუბარია ილიას სახლმუზეუმში მწერალთა შემოქმედებითი კერის მოწყობის შესახებ.

1269. მანსვეტაშვილი იაკობ მოგონებანი: ნახული და გაგონილი / ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. – თბ.: "ფედერაცია", 1936. – 273 გვ.

მოგონებების ავტორი წიგნის მე-13 – 24-ე თავებში აღწერს 1886-1890 წლებში გაზეთ "ივერიაში" მუშაობის პერიოდს და ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრის ეპიზოდებს. აღნიშნული თავების შინაარსია:

"ოთარაანთ ქვრივის" დაწერა. ნიკო ნიკოლაძის აზრი მოთხრობაზე; ილიას ხასიათის თვისებები. ილიას ცუდი განწყობილება ი. მაჩაბელთან; ქართველ თავად-აზნაურობის თავდასხმა ილიაზე; ილიას და ნიკო ნიკოლაძის დუელი; ილიას მიერ გენერალ სუმბათაშვილის დუელში გამოწვევა; მწვავე პოლემიკა ნ. ნიკოლაძის "Остров"-თან; სხვადასხვა იარაღი მტრებთან საბრძოლველად: გამოცანები ბობოლებზე; ილიას გალაშქრება "Московские ведомости"-ის რედაქტორ კატკოვისა და განათლების მზრუნველ იანოვსკის წინააღმდეგ;

ილია კერძო ცხოვრებაში; ილია საგურამოში; ილია მესაკუთრე; ილიას სტუმრები: არტურ ლეისტი, მორფილი, მარჯორი უორდროპი; ილიას პურადობა. ილიაობა საგურამოში; ილიას მეუღლე – ოლღა თადეოზის ასული; განწყობილება ცოლ-ქმარს შორის და სხვა; ილიას ჩადგომა საადგილმამულო ბანკის სათავეში; ილიას აზრი ვანო მაჩაბელზე; ბანკის შემფასებელთა ხრიკები; და-ძმა უორდროპები ბანკის სხდომაზე; უღმობელი ბრძოლა ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის ბანკში დარჩენის გამო; ივ. მაჩაბლის ხელახალი არჩევა; ილიას გნცხადება წასვლის შესახებ; მაჩაბლის არჩევის უკანონოდ ცნობა და ილიას დაბრუნება ბანკში; ივ. მაჩაბლის უკვალოდ დაკარგვა და ძებნა; აკაკი და ილია;

1270. მეუნარგია იონა. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან. _ ჟურ. "მნათობი". _ 1936. _ № 5. _ გვ. 230-249.

წერილში ვრცლად არის აღწერილი ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავალი ეპიზოდი.

1271. ნიკოლაძე ა. ილია და ბელინსკი. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1936. _ 12 სექტ.

ავტორი საუბრობს ილიას ესთეტიკურ შეხედულებებზე

1272. რადიანი შალვა. ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება. _ ჟურ. "მნათობი". _ 1936. _ №12. _ გვ. 173-208.

წერილის პირველ ნაწილში ავტორი საუბრობს XIX საუკუნის შუა წლებში რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილში გავრცელებულ პროგრესულ იდეებზე. მათი გავლენის შესახებ ქართველ სტუდენტებზე, კერძოდ ილიაზე, რომლებმაც სამშობლოში სცადეს ამ იდეების დანერგვა.

წერილის მეორე და ძირითად ნაწილში მიმოხილულია ილიას პოეტური და პროზაული ნაწარმოებები.

1273. რაჭველიშვილი ქ. ილიას პუბლიცისტიკა; მზადება ილიას იუბილესათვის; ი. ჭავჭავაძის განყოფილება მწერალთა მუზეუმში. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1936. _ 12 სექტ. _ გვ. 3.

1274. რაჭველიშვილი ქ. ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში. _ ჟურ. "ჩვენი თაობა". _ 1936. _ №4. _ გვ. 57-64.

წერილში განხილულია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა XIX საუკუნის სამოციან წლებში. მის მიერ ჟურნალ "საქართველოს მოამბის" გამოცემა, რომლის გარშემო შემოიკრიბა ქართველ მწერალთა ახალგაზრდა თაობა.

1275. საგურამოელი გლეხების მოგონებანი. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1936. _ 12 სექტ. მოგონებები ძირითადად ილიას მკვლელობის ფაქტს ეხება.

1276. სამზადისი ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1936. _ 14 ოქტ.

ინფორმაცია ილიას სრული აკადემიური გამოცემის მომზადებისა და მისი ძეგლის პროექტზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

1277. ტაბიძე ტიციან ქართული ლიტერატურის კლასიკოსი. _ ჟურ. "მშრომელი ქალი". _ 1936. _ №11. _ გვ. 11-12.

წერილში მიმოხილულია ილიას შემოქმედების ძირითადი ასპექტები.

1278. ქიქოძე გერონტი. ილია ჭავჭავაძე. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1936. _ 30 სექტ. _ გვ. 1.

ავტორი ეხება ილიას უმართებულო კრიტიკას 20-იან წლებში. განიხილავს ილიას ბრძოლას ქართული ენისათვის, ჰუმანისტური მსოფლმხედველობისათვის და ამ ბრძოლის პროგრესულ მნიშვნელობას.

- 1279. ქიქოძე გერონტი.** ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი (რეფორმიზმი და რომანტიკა). – წიგნ.: ქიქოძე გ. წერილები ხელოვნებაზე. – თბ.: ფედერაცია, 1936. – გვ. 15-23.

ავტორს მიაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძე სოციალური რეფორმატორი იყო ამ სიტყვის უღრმესი მნიშვნელობით. ეს შეურიგებელი რეფორმისტული სული მან ყველა დარგში გამოიჩინა. მისმა შემოქმედებამ ყველა სფერო მოიცვა: ლიტერატურა, ენა, სწავლა-განათლება, პრესა, ფინანსები, ყოფა-ცხოვრება. “როცა მან საზოგადოებრივი ასპარეზი დასცალა,” საქართველო უკვე აღარ ჰგავდა 50-60-იანი წლების საქართველოს და ამ ცვლილებებში დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღოდა. ავტორის აზრით, უდიდესი პარადოქსია, რომ ილიას “უახლოესმა სულიერმა მეგვიდრეებმა, მესამე დასელების უმრავლესობამ იგი რეაქციონერად გამოაცხადა” და ნაციონალისტური სივიწროვე დააბრალა.

- 1280. ჩავლეიშვილი ალექსანდრე.** ილ. ჭავჭავაძის ესთეტიკური შეხედულებანი : [წერილი]. – ჟურ. “მნათობი”. – 1936. – №4. – გვ. 90-133.

- 1281. "ჩემი თარიარალი"** [ლექსი – რეფრენის შესახებ პუბლიკაცია ი. ბალახაშვილის]. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1936. – №12.

- 1282. ცაიშვილი ს.** ილიას და აკაკის მოსწრებული სიტყვები. – გაზ. “კომუნისტური განათლება”. – 1936. – 18 იანვ.

- 1283. ჯავახიშვილი მიხეილ.** რომანში მთავარი გმირები ზედმეტმა მასალამ მიჩქმალა. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1936. – 23 ოქტ. – №17.

წერილში, რომელიც კ. გამსახურდიას "მთავრის მოტაცებას" ეხება, მხატვრული პროზის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ "ევროპული ბელეტრისტიკის დამწყები საქართველოში ილია ჭავჭავაძე გახლავთ და სხვა არავინ".

- 1284. ჯავახიშვილი მიხეილ.** წიწამურა. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1936. – 18 ივლ. – გვ. 2.

წერილში მწერალი იხსენებს ილიას მკვლევლობის ფაქტებს. აღწერს მკვლევლობის ერთ-ერთ ორგანიზატორთან – დ. ჯაშთან შეხვედრას საგურამოში მკვლევლობის მეორე დღეს. 1910 წლის შეხვედრას ამავე პიროვნებასთან მეტეხის ციხეში. აღნიშნავს, რომ დ. ჯაში იმ ხანებში, სატახტო ქალაქების გავლენიანი გაზეთების კორესპონდენტად ითვლებოდა.

- 1285. ჯაჯანაშვილი არჩილ.** სამი შეხვედრა ილიასთან. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1936. – 24 მაისი. – გვ. 3.

წერილში აღწერილია ილიას ორი შეხვედრა გიმნაზიის მოწაფეებთან და მესამე შეხვედრა 1906 წელს თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში. წერილს ერთვის ილიას მიერ აღნიშნულ თათბირზე წარმოთქმული სიტყვის ტექსტი.

- 1286. Табидзе Тициан.** Классики грузинской литературы (И. Чавчавадзе). – газ. «Заря Востока». – 1936. – 1 ноябр.

- 1287. На языке музыки и живописи.** – газ. «Заря Востока». – 1936. – 11 ноября.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიხედვით შექმნილი მუსიკალური და ფერწერული ნამუშევრების შესახებ.

- 1288. აბაშიძე გრიგოლ.** ილია ჭავჭავაძე: [ლექსი]. _ ჟურ. "პიონერი". _ 1937. _ №5. _ გვ. 3.
- 1289. აბაშიძე გრიგოლ.** ილია ჭავჭავაძე და ახალგაზრდა მწერლები. _ ჟურ. "ჩვენი თაობა". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 30-34.
წერილში საუბარია ილიას დამოკიდებულებაზე ახალგაზრდა მწერლების მიმართ. ავტორი აღნიშნავს, რომ ილია ყურადღებას არ აკლებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს და ღირსეულს თვითონ უკვალავდა გზას. ამის მაგალითად წერილში მოყვანილია ვაჟა-ფშაველასადმი ილიას დამოკიდებულება.
- 1290. აბაშიძე გრიგოლ.** ი. ჭავჭავაძის პოეტიკის სათავეები. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 მაისი. _ გვ. 5.
წერილში გადმოცემულია თვალსაზრისი ილიას პოეტური იდეალის ჩამოყალიბების შესახებ. რუსული და დასავლური აზროვნებისა და გემოვნების ზეგავლენაზე ახალგაზრდა ილიაზე, "ცისკრის" კონსპექტის ანალიზი. ძველი ქართული პოეზიისადმი ილიას დამოკიდებულება.
- 1291. აბზიანიძე გიორგი.** პუშკინი და აკაკი. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 18 თებ. _ გვ. 2.
წერილი ეხება აკაკის დამოკიდებულებას პუშკინის მიმართ, სადაც ავტორი ილიასაც იხსენიებს. ციტატა წერილიდან: "აკაკი და ილია პუშკინს უდიდეს გენიოსად სთვლიდნენ."
- 1292. ავჩიანი ს.** ილია ჭავჭავაძე სომხურ ენაზე. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 15 მაისი.
ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა სომხური თარგმანების კრებულის გამოცემის შესახებ.
- 1293. აროსია გრიგოლ.** პოეტის დაღუპვა: [ლექსი]. _ ჟურ. "პიონერი". _ 1937. _ №5. _ გვ. 4.
- 1294. არსენიშვილი ა.** ილია ჭავჭავაძე. _ ჟურ. "ჩვენი თაობა". _ 1937. _ №5-6 _ გვ. 50-56.
წერილში განხილულია ილიას შემოქმედების ძირითადი ასპექტები, მწერლის მსოფლმხედველობა, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა.
- 1295. ასათიანი ვ.** ილია და გარიბალდი. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 8 ივნ.
ავტორი სტატიაში მსჯელობს ილიასა და გარიბალდის მსგავსებაზე. ადარებს ილიასა და გარიბალდის პიროვნებებს. "თუ გარიბალდი ხალხს ემსახურებოდა იარაღით, ილია იგივეს აკეთებდა კალმით" - ნათქვამია წერილში.
- 1296. ასათიანი ვ.** ილია ჭავჭავაძის უცნობი კონსპექტი "ცისკრის" მწერლებზე. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 აპრ. _ გვ. 3.
წერილში მოცემულია ილიას მიერ ჟურ. "ცისკარში" 1857-1863 წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებების კრიტიკული მიმოხილვა. სტატიაში მოყვანილია ნაწყვეტები კონსპექტიდან, რომელიც მაშინ არ დაიბეჭდა. ილია ენის არქაულობას უწუნებს "ცისკრის" მწერლებს და ახალ მოლექსეებს "ძველებთან" ხელოვნურ მიმსგავსებას საყვედურობს. ციტატა კონსპექტიდან:

"ეგ იმისთანა ჟურნალია, რომელიც დაგვიანებულა და უკან დარჩომია ცხოვრებასა. ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მოსჩანჩალებს, როგორც ფეხმოტეხილი ცხვარი თავის ფარასა".

1297. ასათიანი ვ. მე-60-ე წლები და ილია ჭავჭავაძე. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1937. – №5-6. – გვ. 57-72.

წერილის ძირითადი ნაწილი ეთმობა XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმოხილვას. გაანალიზებულია, თუ რა პროგრესული მიმდინარეობების ზეგავლენა განიცადეს საქართველოდან წასულმა სტუდენტებმა, რომელთა შორის ილია ჭავჭავაძეც იყო.

1298. ასათიანი ლევან. ილია ჭავჭავაძე და 60-იანი წლები. – ჟურნ. "კომუნისტური აღზრდისათვის". – 1937, №5-6. – გვ. 139-144.

წერილში საუბარია XIX საუკუნის 60-იან წლებზე, როცა ილია ჭავჭავაძემ მოუხდა აქტიურად ჩაბმულიყო საქართველოს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. განხილულია ის ძირითადი საკითხები, რომლებითაც თერგდალეულები ილიას მეთაურობით ცდილობდნენ პროგრესული იდეების დამკვიდრებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, იქნებოდა ეს ბატონყმობის საკითხი, სალიტერატურო ენის რეფორმა, ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილების საკითხი და თუ სხვა.

1299. ასათიანი ლევან. ილია ჭავჭავაძე პუშკინის მთარგმნელი. – ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". – 1937. – №1. – გვ. 33-37.

წერილში განხილულია ილიას მთარგმნელობითი მუშაობის ეტაპები, მისი ინტერესები მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშების შერჩევის თვალსაზრისით. დასახელებულია რუსული ლიტერატურიდან ილიას მიერ თარგმნილი ლერმონტოვისა და პუშკინის ნაწარმოებები.

წერილის ავტორი განმარტავს, რატომ შეჩერდა ილიას არჩევანი პუშკინის სამ ლექსზე: "ჭეშმარიტება", "ანგელოსი" და "წინასწარმეტყველი". აანალიზებს, თუ რა გამოძახილს პოულობს პუშკინის შემოქმედება ილიას მსოფლმხედველობაში.

1300. ასათიანი ლევან. პუშკინი და ი. ჭავჭავაძე. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1937. – №1. – გვ. 51-53.

წერილში საუბარია ილიას მიერ ა. პუშკინის ნაწარმოებების თარგმანებზე.

1301. აცანელი ტ. ილიასეული სახლი ყვარელში. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 2 აპრ.

ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის აღდგენა-რეკონსტრუქციის შესახებ.

1302. ახვლედიანი დ. ილია ჭავჭავაძე: [ლექსი]. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 29 მაისი. – გვ. 3

1303. ბალახაშვილი ი. ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა: ბიოგრაფიული ნარკვევი / რედ. გერონტი ქიქოძე. – თბ.: ფედერაცია, 1937. – 102 გვ.

წიგნი 17 თავისგან შედგება. მასში დაწვრილებით არის გადმოცემული ჭავჭავაძეთა გვარის გენეალოგია, ყვარლის კარმიდამოს აღწერილობა, ილიას დაბადება და ბავშვობა, მოწაფეობისა და სტუდენტობის ხანა და მისწრაფებები.

- 1304. ბალახაშვილი ი.** ილია ჭავჭავაძე და მეფის ცენზურა. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 4 აპრ.
- წერილში გადმოცემულია ცენზურის მიერ განსაკუთრებული ზედამხედველობის დაწესების შესახებ ილია ჭავჭავაძის მიმართ და მოყვანილია ილიას ნაწარმოებების აკრძალვის მაგალითები.
- 1305. ბალახაშვილი ი.** ილია ჭავჭავაძე და სამოციანი წლების პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრე. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 13-20.
- წერილში დახასიათებულია პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველ სტუდენტთა წრე და ილიას როლი ამ წრის საქმიანობაში.
- 1306. ბალახაშვილი ი.** ილია ჭავჭავაძე და პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობა. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 30 აპრ. _ გვ. 3-4.
- წერილში მოყვანილია ილიასა და კობტა აბხაზის პროტესტის ეპიზოდი უნივერსიტეტში შემოღებულ ახალ რეჟიმთან დაკავშირებით და ამის გამო უნივერსიტეტის დატოვების გადაწყვეტილების მიღება მათ მიერ.
- 1307. ბალახაშვილი ი.** ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული დებიუტი. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 30 იანვ. _ გვ. 6.
- წერილში გადმოცემულია ი. ჭავჭავაძის პირველი ლექსის დაწერის ისტორია, რომელიც 1852 წელს მიუძღვნა თავისი დისწულის, ნ. ჭავჭავაძის ვაჟის _ გიგოს დაბადებას. ლექსი სტატიაში სრულად არის მოყვანილი.
- 1308. ბარათაშვილი მ.** ილიას: [ლექსი]. - ჟურნ. "რემედას". _ 1937. _ №6-7. _ გვ. 6.
- 1309. ბარამიძე ალექსანდრე.** ილია ჭავჭავაძე _ "ვირსამიანის" წინასიტყვაობის ავტორი. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 მაისი. _ გვ. 4.
- სტატიაში ალ. ბარამიძეს განხილული აქვს ილიას მეცნიერული თვალსაზრისი "ვირსამიანის" სპარსულ წარმოშობასთან დაკავშირებით. მოყვანილია სხვადასხვა ვერსიები ნაწარმოების ორიგინალობის შესახებ, რომელთა შორის, ყველაზე მართებულად, ალ. ბარამიძე ილია ჭავჭავაძის ვერსიას მიიჩნევს.
- 1310. ბენაშვილი დიმიტრი.** ილია ჭავჭავაძე. _ ჟურ. "პიონერი". _ 1937. _ №5. _ გვ. 1-3.
- წერილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ილიას შემოქმედებას და განუმარტავს ჟურნალის პატარა მკითხველებს, თუ რით იყო ილია ჭავჭავაძე გამორჩეული სხვა მოღვაწეთა შორის.
- 1311. ბილანიშვილი ა.** ილიას: [ლექსი]. _ ჟურნ. "ოქტომბრელი". _ 1937. _ №6. _ გვ. 16
- 1312. ბობოხიძე კ.** ილია ჭავჭავაძისადმი: [ლექსი]. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 67-68
- 1313. გაბაშვილი ეკატერინე.** ილიასთან მოგზაურობა მცხეთას, ინგლისელი მწერალი ქალის მარჯორი უორდროპის შესახებდრად. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 155-158.
- მოგონებაში აღწერილია ახალგაზრდა ეკატერინე გაბაშვილის შეხვედრა ილიას ოჯახთან, გამგზავრება მცხეთაში მარჯორი უორდროპის შესახებდრად.
- 1314. გაბაშვილი ეკატერინე.** ჩემი ლიტერატურული მუშაობის ეპიზოდი. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 ივნ. _ გვ.3.

- წერილში ე. გაბაშვილი იხსენებს ილიასთან შეხვედრას და მის რჩევას – წეროს გლეხთა ცხოვრების შესახებ, გააგრძელოს მწერლობაში თავდაპირველად არჩეული გზა.
- 1315. გაბესკირია ვიქტორ.** ილია ჭავჭავაძეს: [ლექსი]. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 12 სექტ. – გვ. 3.
- 1316. "განდეგილი" ფრანგულ ენაზე.** – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 4 თებ. – გვ. 4.
გაზეთში გამოქვეყნებულია ინფორმაცია "განდეგილის" ფრანგულ ენაზე გამოცემის შესახებ. პოემა თარგმნა ე. ორბელიანმა.
- 1317. გაფრინდაშვილი ვალერიან.** ილია ჭავჭავაძე [ლექსი]. – წიგნ.: გაფრინდაშვილი ვ. ლექსები. – ტფ.: ფედერაცია. – 1937. – გვ. 94-95.
იგივე: ჟურ. "მნათობი". – 1937. – №5. – გვ. 65-68.
- 1318. გაწერილია აკაკი.** დიდი პოეტი და მოქანდაკე. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 20 მაისი. – გვ. 4.
წერილში შეფასებულია ილია ჭავჭავაძის დიდი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. "ილია ჭავჭავაძე იყო ინტელექტუალური სინდისი თავისი ეპოქისა. მან საკუთარ მხრებზე გადაიტანა მძიმე და რთული ბრძოლა ნაციონალური კულტურის დაცვისა და აყვავებისათვის" – ნათქვამია წერილში.
- 1319. გასელი.** ილია ჭავჭავაძეს: [ლექსი]. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1937. – №5-6. – გვ. 48.
- 1320. გოგიავა კლიმენტი.** "მოჰკლეს ილია!... მაგრამ ვერ მოჰკლეს! ვერა...". – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 26 მაისი. – გვ. 3.
ავტორი სტატიაში დაწვრილებით იხსენებს მკვლელობის დღეს. ბოლოს კი ასკვნის, რომ "ვერ მოჰკლეს" ილია, ვინაიდან სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი თავის თხზულებებში.
- 1321. გოგიავა კ. ბალახაშვილი ი.** ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა: [ბიბლიოგრაფია]. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 4 სექტ. – გვ. 4.
წერილში მოცემულია ი. ბალახაშვილის წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა.
- 1322. გოგიჩაიშვილი ფილიპე.** როგორ დაიწერა "ნუთუ?". – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 20 მაისი. – გვ. 5.
სტატიაში საუბარია 1905 წელს ჟურ. "მოგზაურში" გამოქვეყნებულ წერილზე, სადაც ანონიმი ავტორი ბრალად სდებს ილიას გლეხებთან სასტიკ ურთიერთობას. მოყვანილია ნაწყვეტი გაზ. "ივერიისათვის" გაგზავნილი ილიას პასუხიდან, რომელშიც ანონიმის ბრალდებებს "მტკნარ სიცრუეს" უწოდებს.
- 1323. გრიშაშვილი იოსებ.** მაჰანკალი. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 29 მაისი. – გვ. 4.
ილიას ახლად აღმოჩენილი კომედია. პუბლიკაცია, წინასიტყვაობა და კომენტარები ი. გრიშაშვილისა.
- 1324. გრიშაშვილი იოსებ.** "ილია და მებრვე". – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 20 ივნ. – გვ. 3.
ავტორი ეხება ილიას მიერ შემოღებულ ტერმინს – "მებრვე", რაც რუსული – "и таму подобный" –ს შესატყვისია. წერილში მოყვანილია ამონაწერები გაზ. "ივერიაში" გამოქვეყნებული სტატიებიდან, რომლებშიც "ივერიის" ავტორების მიერ ეს ტერმინია გამოყენებული. დასკვნაში ავტორი აღნიშნავს,

რომ განსხვავებით ილიას მიერ შემოღებული სხვა ტერმინებისაგან, როგორცაა: "უღელტეხილი", "ნაკვეთი" და სხვა, "მებრვეს" ნაცვლად, ქართულ ენაში დამკვიდრდა სულხან-საბასეული - "და მისთანა".

1325. გრიშაშვილი იოსებ. ილია და "მეფე ლირი". _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 9 მაისი. _ გვ. 3.

ნარკვევი გვაცნობს ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის მიერ შექსპირის "მეფე ლირის" ერთობლივად თარგმნის პროცესს.

1326. გრიშაშვილი იოსებ. პუშკინის ძეგლის ისტორიისათვის. - გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 18 თებ. _ გვ. 6.

წერილში მოთხრობილია, თუ როგორ გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე თბილისში პუშკინის ძეგლის გახსნას. აქვე მოყვანილია ციტატა გაზ. "ივერიაში" (1893, №133) გამოქვეყნებული ილიას წერილიდან: "შარშან ზაფხულში ძეგლი დაუდგეს რუსეთის გამოჩენილ პოეტს პუშკინს, ახლა კი საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ იფიქროს შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებათ".

1327. გუგუშვილი პაატა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 10 სექტ. _ გვ. 3,4.

წერილში ავტორი საარქივო დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით გადმოსცემს ილიას მკვლელობის ამსახველ ფაქტებს. აქვეა განხილული დ. ჯაშის ხელმძღვანელობით შედგენილი ილიას მკვლელობის გეგმა. (დ. ჯაში ილიას მოურავი იყო, რომელიც პოეტმა სამსახურში 1907 წ. ივნისში მიიღო. არ მოსწონდა და დაუწყია ახალი მოურავის ძებნა). წერილში მოთხრობილია ჯაშის ისტორიაც. მკვლელობის ხელმძღვანელებად დასახელებული არიან დ. ჯაში და ლავრენტი ასათიანი. წერილში მოყვანილია სასამართლო პროცესის განხილვაც. სტატიას ახლავს ილიას მკვლელობის "სასამართლო საქმის" ფოტო.

1328. რადიანი შალვა ილია ჭავჭავაძე, როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 29 მაისი.

ავტორი აღნიშნავს, რომ ილიას ლიტერატურულ კრიტიკას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

1329. რადიანი შალვა. ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 15 ივნ. _ გვ. 2.

წერილში განხილულია ილიას პეტერბურგის წლები. მისი, როგორც ქართველო სტუდენტების ლიდერის საქმიანობა, საქართველოში დაბრუნება და უფროს თაობასთან დაპირისპირება. ახალი სალიტერატურო ენის შექმნის საკითხები.

1330. დადიანი შალვა. ნამცეცები. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 165-170.

ავტორი იხსენებს ილიასთან შეხვედრის სხვადასხვა ეპიზოდს სამეგრელოში, თბილისში, ბანკის საქმეების განხილვისას და სხვა.

1331. ებანოძე ლ. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მოღვაწე. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 3.

წერილში მოყვანილია ნაწყვეტები ილიას ნაწერებიდან, სადაც იგი ეხება რუსეთის დამოკიდებულებას სხვა ერების და კერძოდ, საქართველოს მიმართ. ავტორს მოჰყავს ილიას სიტყვები არსებული რეჟიმის შესახებ, რომ რუსეთის ასეთმა ხელისუფლებამ "დიდხანს არ შეიძლება იბოგინოს"

- 1332. ეგნატაშვილი ვ.** "ჩატეხილი ხიდი". - გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 3.
წერილში საუბარია "ჩატეხილი ხიდის" პრობლემის შესახებ ილიას "ოთარანთ ქვრივში"
- 1333. ერთაწმინდელი ს.** დიდ ილიაზე. _ ჟურ. "პიონერი". _ 1937. _ №5. _ გვ. 9.
მოგონება ილია ჭავჭავაძის დაკრძალვასთან დაკავშირებით მთაწმინდაზე.
- 1334. ეული სანდრო.** ილიას: [ლექსი]. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 2
- 1335. ვაჟა-ფშაველა** ილია ჭავჭავაძის ხსოვნას: [ლექსი]. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 20 მაისი.
იგივე: _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 29-30.
- 1336. ვარდოშვილი ხარიტონ.** ილიას ხსოვნას: [ლექსი]. _ ჟურ. "რემედას". _ 1937. _ №6-7. _ გვ. 5-6.
- 1337. ზანდუკელი მიხეილ.** ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა (1837-1937). _ ჟურ. "კომუნისტური აღზრდისათვის". _ 1937. _ გვ. 106-117.
ავტორი ანალიზებს დიდი მწერლის ცხოვრებას და ასკვნის, რომ ილიას პოპულარობის მიზეზი გახდა მისი მრავალმხრივი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. წერილის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ კლასთა შორის "ჩატეხილი ხიდის" აღდგენის შესახებ ილიას არასწორი წარმოდგენა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ავტორის აზრით, ილია არის XIX საუკ. ცხოვრების ენციკლოპედია, ამ საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეული საკითხების მრავალმხრივი და ნიჭიერი გამომხატველი.
- 1338. თაბუკაშვილი შ.** დიდი ადამიანის ცხოვრებიდან. _ ჟურ. "პიონერი". _ 1937. _ №4. _ გვ. 3-6.
ავტორი აღწერს ეპიზოდებს ილიას ცხოვრებიდან.
- 1339. თაბუკაშვილი შ.** ილიას გულკეთილობა; ილია და ირემი; ილია და მეურმე. _ ჟურ. "ოქტომბრელი". _ 1937. _ №6. _ გვ. 11-12.
მოთხრობები ილიას ცხოვრების შესახებ.
- 1340. თავაძე ს.** ილიასადმი: [ლექსი]. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 30 აპრ. _ გვ. 3.
- 1341. თბილისი.** ილიას სამუშაო ოთახი. [ფოტო]. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ.4.
- 1342. თევზაძე ა.** შენი სახელი: [ლექსი ი. ჭავჭავაძეს]. _ ჟურ. "ჩვენი თაობა". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 47.
- 1343. ი-ძე.** ილიას პედაგოგიური აზრები. _ ჟურ. "კომუნისტური აღზრდისათვის". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 176-181.
წერილში გაანალიზებულია ილიას შეხედულებები სწავლა-აღზრდის საკითხებზე. ნათქვამია, რომ თავის ნაწერებში ილიამ გაგვიმოუქა მაშინდელი სკოლის, ზოგადად კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების მდგომარეობა, დასახა გზები განათლების საქმის გამოსაწორებლად.
- 1344. ილია რუსულად.** _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 17 მაისი. _ გვ. 4.
მოსკოვის ლიტერატურული გამომცემლობის მიერ ი. ჭავჭავაძის მოთხრობების კრებულის რუსულ ენაზე გამოცემის შესახებ.

- 1345. ილია ჭავჭავაძე.** ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის (1837-1907) / ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის საოლქო სახლი. – თბ., 1937. – 30 გვ.
შინაარსი: ილიას მოკლე ბიოგრაფია; ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მოკლე დახასიათება; ბიბლიოგრაფია.
- 1346. ილია ჭავჭავაძე:** გარდაცვალების დღიდან 30 წლისთავის გამო: . _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 10 სექტ. _ გვ.1.
რედაქცია აქვეყნებს გაზ. "პრავდაში", 1937წ. 12 სექტ. გამოქვეყნებული წერილის თარგმანს, რომელშიც განხილულია პოეტის შემოქმედება და მოღვაწეობა.
- 1347. ილია ჭავჭავაძე მუსიკის შესახებ.** - ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". _ 1937. _ №3. _ გვ. 32-34.
ჟურნალში გამოქვეყნებულია გაზ. "ივერიის" 1886 წლის 17, 18 ნოემბრის (№250, №251) მეთაური წერილები ილიას შეხედულებების შესახებ მუსიკაზე. ილიას მიაჩნდა, რომ აუცილებელია ქართული საერო და საეკლესიო სიმღერების შესწავლა ერის სულიერი კულტურის ასაღორძინებლად.
- 1348. ილია ჭავჭავაძის ახალი ბიბლიოგრაფია.** _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 4.
საუბარია ქრ. რაჭველიშვილის მიერ შედგენილი ახალი ბიბლიოგრაფიის გამოცემის შესახებ.
- 1349. ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისთვის.** _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 9 მაისი. _ გვ. 3.
სტატია იუწყება, რომ საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ილიას იუბილეს აღსანიშნავად. აქვე ჩამოთვლილია მონაწილეები და ღონისძიებები.
- 1350. ილია ჭავჭავაძის მომსწრე პირთა მოგონებები.** _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 29 მაისი.
გაზ. "კომუნისტისა" და ყვარლის რაიონული გაზეთის _ "ლენინური გზით" _ ერთობლივი ღონისძიების შესახებ რაიონში ილიას თანამედროვე ნაცნობი პიროვნებების გამოვლენისა და ამ პირთა სიების გამოქვეყნების მიზნით.
- 1351. ილია ჭავჭავაძის ლექსები და პოემები.** _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 მარტი. _ გვ. 6.
გაზეთი აქვეყნებს ცნობას გამომცემლობა "ფედერაციის" მიერ ილიას ლექსებისა და პოემების ერთტომეულის გამოცემის შესახებ.
- 1352. ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა და სოციალისტური ეპოქა.** _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 1.
გაზეთის სარედაქციო წერილი ეხება ილიას შემოქმედებით მემკვიდრეობას. მასში ნათქვამია: "ილია ჭავჭავაძე იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც ხელოვნებაში აღმოაჩინა ცხოვრება".
- 1353. ილია ჭავჭავაძის ნაწერების ახალი რუსული თარგმანი.** _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 აპრ. _ გვ. 6.
ბორის ბრიკის თარგმანების მიმოხილვა.
- 1354. ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ლექსიკონი.** _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 12 ნოემბ.

- ცნობა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ილიას ლექსიკონის შედგენის შესახებ.
- 1355.** ილია ჭავჭავაძის ობელისკი წიწამურში. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 10 სექტ. _ გვ. 1.
სარედაქციო წერილში აღწერილია ილიას მკვლევლობის ადგილას აღმართული ობელისკი. ობელისკის ავტორი - არქიტ. მ. შავიშვილი, ბარელიეფის ავტორი - მოქანდაკე ი. ნიკოლაძე. წერილს ახლავს სვეტად დადგმული ობელისკის ფოტო.
- 1356.** ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი პლენუმი. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 10 ივნ. _ გვ. 1.
გაზეთი აქვეყნებს ინფორმაციას მწერალთა სასახლეში საიუბილეო პლენუმის გამართვის შესახებ.
- 1357.** ილიას იუბილესადმი მზადება. - გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 12 აპრ. _ გვ. 6.
წერილში ნათქვამია, რომ იუბილესთან დაკავშირებით, ილიას მკვლევლობის ადგილზე, დაიდგმება 15 მეტრის სიმაღლის თეთრი მარმარილოს ობელისკი (არქიტ. მ. შავიშვილი). ამავე დროს რუსეთის ლიტ. გამომცემლობა ამზადებს წერილების კრებულს ილიას შემოქმედების შესახებ, ხოლო რუსეთის ლიტერატურის ინსტიტუტმა დასაბეჭდად მოამზადა თ. ნაკაშიძის და თ. კორძაიას მიერ შესრულებული ი. ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფია
- 1358.** ილიას მკვლევლობის მასალათა კრებული. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 10 სექტ. _ გვ. 1.
რედაქცია აქვეყნებს ინფორმაციას გამოსაცემად გამზადებული საარქივო მასალების შესახებ ილიას მკვლევლობასთან დაკავშირებით.
მასალა შეგროვილია და სისტემაში მოყვანილია პაატა გუგუშვილის მიერ.
- 1359.** ილიას მხატვრული ნაწერების კრებული: - გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 მარტი. _ გვ. 6.
გაზეთის ინფორმაცია: სახელგამმა იუბილესთან დაკავშირებით თავისი ინიციატივით გამოსცა ილიას ნაწარმოებების კრებული. წიგნი 384 გვერდს შეიცავს. დართული აქვს ფოტოები.
- 1360.** ილიას საღამოები ბათომში: [29 მაისისათვის მზადების შესახებ]. - გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 აპრ. _ გვ. 6
- 1361.** ილია ჭავჭავაძის საღამო მოსკოვსა და ლენინგრადში. - გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 22 აპრ., გვ. 4
- 1362.** ილია ჭავჭავაძის საღამოები რაიონებში. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 28 აპრ. _ გვ. 4
- 1363.** ილია ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების ახალი თარგმანები რუსულად. - გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 30 აპრ. _ გვ. 4
- 1364.** ილიას საღამო ყვარელში. - გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 5 მაისი _ გვ. 4
- 1365.** ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისათვის. - გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 9.
- 1366.** ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტში. - გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 16 მაისი.

სტატია იუწყება, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ილიას 100 წლისთავის დღესასწაულის შესახებ. აქვე ჩამოთვლილია მონაწილე პირები და ღონისძიებები.

1367. ილიას საღამო საგურამოში. - გაზ. "კომუნისტი". - 1937. - 18 მაისი. - გვ. 4

1368. ილიასადმი მიძღვნილი გამოფენა მოსკოვში. - გაზ. "ლიტ. საქართველო". - 1937 - 31 ივლ.

სარედაქციო წერილში აღწერილია ილიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც გაიმართა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში. გამოფენაზე წარმოდგენილია ფოტოდოკუმენტები, პორტრეტები, მხატვარ ალ. მანკოვის მიერ შესრულებული ილიასა და ოლღას პორტრეტები, ლიტერატურული მასალა და სხვა.

1369. ილიასადმი მიძღვნილი გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში. - გაზ. "ლიტ. საქართველო". - 1937. - 12 აპრ. - გვ. 5.

გაზეთის ინფორმაციით ილიას იუბილესთან დაკავშირებით საჯარო ბიბლიოთეკა მოაწყო ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ დიდ გამოფენას 15-ზე მეტი განყოფილებით: ილიას ბავშვობა, ილია სტუდენტი, ილია რუსეთში, ილიას ნათესავები, ვორონცოვის პერიოდი, ილიას ნაცნობ-მეგობრები და სხვა. გამოფენა გაიხსნება 20 მაისს.

1370. ილია ჭავჭავაძის იუბილე. - გაზ. "კომუნისტი". - 1937. - 23 მაისი. - გვ. 4

1371. ილია ჭავჭავაძე ოსურ ენაზე. - გაზ. "კომუნისტი". - 1937. - 27 მაისი. - გვ. 4

1372. ილია ჭავჭავაძის იუბილე. - გაზ. "კომუნისტი". - 1937. 28 მაისი. - გვ. 4.

ილიას ნაწერები სომხურ ენაზე; საიუბილეო საღამო აჭარაში; ილია ჭავჭავაძის ლექსიკონი; ილიას გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში.

1373. ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისათვის. - გაზ. "კომუნისტი". - 1937. - 30 მაისი, გვ. 2

1374. ილიას საიუბილეო საღამოები. - გაზ. "კომუნისტი". - 1937. - 18, 21 მაისი, 2, 3, 11, 14 ივნ. - გვ. 4

.ილიას საღამოები:

- აჭარის სახელმწიფო თეატრში;
- წითელი არმიის ნაწილებში;
- განათლების მუშაკთა სახლში;
- ხელოვნების მუშაკთა სახლში;
- მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალში;
- სახელმწიფო უნივერსიტეტში;
- ლაგოდებში;
- გორში;
- დუშეთში;
- სოხუმში;
- ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში;
- საგურამოში;

1375. ილიასადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო ერევნის უნივერსიტეტში. - გაზ. "კომუნისტი". - 1937. - 6 ივნ. - გვ. 3

1376. ილია ჭავჭავაძის დიდი საღამო მწერალთა კავშირში. - გაზ. "კომუნისტი". - 1937. - 8 ივნ., გვ. 4

- 1377.** ილია ჭავჭავაძის საიუბილეო გამოფენა [მხატვართა კავშირის შენობაში]. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 8 ივნ. – გვ. 4.
- 1378.** ილია ჭავჭავაძის იუბილე მოსკოვსა და ლენინგრადში. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 9 ივნ.
- 1379.** ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის იუბილე. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 2 ივლ.
- 1380.** ილია ჭავჭავაძე (1937-1907) დაბადებიდან 100 წლისთავისათვის /ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის საოლქო სახლი. – თბ.: საქართველოს კ(ბ)ცკ-ს გამ-ბა, 1937. – 30 გვ. – თავფურცელი ქართულ და რუსულ ენებზე.
- 1381.** ისიანი სევერიან. მყინვარის გოდება: [ლექსი ი. ჭავჭავაძეს]. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1937. – №5-6. – გვ. 28-29.
- 1382.** ისიანი სევერიან. ქართლის ზეიმი [ლექსები ილიასადმი]. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 29 მაისი. – გვ. 2
- 1383.** კალანდაძე გ. თერგდალეული: [ლექსი]. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1937. – №5-6. – გვ. 27
- 1384.** კაჭახიძე გ. საგურამოს გზაზე: [ლექსი]. – ჟურ. "ოქტომბრელი". – 1937. – №6. – გვ. 4
- 1385.** კეშელავა პ. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო გამოფენა. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 20 ივნ. – გვ. 4.
წერილში აღწერილია გამოფენის ექსპონატები. განხილულია წარმოდგენილი ფოტოები, ნახატები, წერილობითი მასალა. დაკრძალვასთან დაკავშირებული მასალა. გამოფენილია პოეტის ჭრილობიდან ამოღებული ტყვია.
- 1386.** კიკვიძე ი. ნამწყემსარის ნამბობი ილიას შესახებ. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 12 სექტ. – გვ. 3.
სოფ. ყარა-თავის ნამწყემსარის ალიზ ნავრუზ ოღლის ნამბობი ილიას შესახებ.
- 1387.** კოპალიანი ნ. წიწამურთან: [ლექსი]. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1937. – №5-6. – გვ. 75
- 1388.** კოტეტიშვილი ვახტანგ. ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1937. – №5-6. – გვ. 35-46.
წერილში ნაჩვენებია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ხალხურ შემოქმედებას. ავტორი წერს, რომ ილია ღრმად განიცდიდა ხალხური შემოქმედების ძალას და ყველგან, სადაც კი ეს "ხალხის გენია" მეტყველებდა, საგანგებოდ ეხმაურებოდა, უკვირდებოდა და თავისში გადმოჰქონდა ის სასიცოცხლო ელექსირი, რომელიც ამ "დავიწყებულ ქვეყანაში" ეგულებოდა."
- 1389.** კრებული ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 3 აპრ. – № 76. – გვ. 4.
გაზეთი აქვეყნებს ინფორმაციას რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ილიასადმი მიძღვნილი კრებულის გამოცემის თაობაზე.
- 1390.** ლეისტი არტურ. უკანასკნელი დღეები ი. ჭავჭავაძისა. – ჟურ. "მნათობი". – 1937. – №5. – გვ. 23-24.

არტურ ლაისტი იხსენებს საგურამოში, ილიას ოჯახში გატარებულ ერთ კვირას 1907 წლის 21 აგვისტოდან 27 აგვისტომდე. ავტორის გადმოცემით, ილია თითქოს გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას - იგი ჩვეულებრივზე უფრო მოწყენილი იყო.

1391. ლეონიძე გიორგი. ილიას სურათზე: [ლექსი]. - წიგნ.: ილია ჭავჭავაძე (1937-1907) / ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის საოლქო სახლი. - თბ., 1937. - გვ. 29

1392. მამულაშვილი ალ. ცოტა რამ ილია ჭავჭავაძეზე. - გაზ. "კომუნისტი". - 1937. - 9 მაისი. - გვ. 3.

სტატიაში ნათქვამია, რომ თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ემზადება ილიას იუბილესათვის. აქვეა მიხეილ შამანაურის მოგონება ილიას მზრუნველი დამოკიდებულების შესახებ გლეხების მიმართ.

1393. მანსვეტაშვილი იაკობ წარსულიდან. - ჟურ. "პიონერი". - 1937. - №5. - გვ. 8.

ჟურნალი აქვეყნებს იაკობ მანსვეტაშვილის - "ივერიის" ერთ-ერთი თანამშრომლის მოგონებას, რომელიც ამოღებულია მისი მემუარებიდან. ავტორი იხსენებს, თუ როგორ გამოაქვეყნა ილიამ ლექსი "ბაზალეთის ტბა" ჟურნალ "ჯეჯილში".

1394. მანსვეტაშვილი იაკობ. მოგონებიდან ილიაზე. - წიგნ.: ილია ჭავჭავაძე (1937-1907) / ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის საოლქო სახლი. - თბ. საქართველოს კპ(ზ)ცკ-ს გამ-ბა, 1937. - გვ. 25. - თავფურცელი ქართულ და რუსულ ენებზე.

1395. მარგიანი რევაზ. ყვარელში: [ლექსი]. - ჟურ. "ჩვენი თაობა". - 1937. - №5-6. - გვ. 46.

1396. მარკოზაშვილი ე. ილიას ხსოვნას: [მოსწავლის ლექსი]. - ჟურ. "ოქტომბრელი". - 1937. - №6. - გვ. 4.

1397. მახარაძე აპოლონ. ილია ჭავჭავაძე: [ლექსი]. - ჟურ. "ჩვენი თაობა". - 1937. - №5-6. - გვ. 73.

1398. მეზუკე გ. "ჩატეხილი ხიდი". - ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". - 1937. - №5. - გვ. 31-36.

რეცენზია კ. მარჯანიშვილის თეატრში დადგმული სპექტაკლის "ჩატეხილი ხიდის" შესახებ (შ. დადიანის პიესა) რეცენზენტი აღნიშნავს, რომ თეატრის არჩევანი სცენაზე ამეტყველებინა ილია ჭავჭავაძის მოთხოვნის პერსონაჟები, უეჭველად გამართლებულია, მაგრამ ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი მიდგომა გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს.

სპექტაკლის ღირსებებთან ერთად, რეცენზენტი მიუთითებს მის მთავარ ნაკლზე - ილიას დამოკიდებულებაზე კლასობრივი საკითხებისადმი, რომელიც სპექტაკლში ერთგვარად შეცვლილია ეპოქის ცვლილებების შესაბამისად.

წერილის ბოლოს ავტორი "ჩატეხილი ხიდის" დადგმას მაინც დადებით მოვლენად მიიჩნევს.

1399. მიმქრალი [მეგრელიძე ლ.] დიდი მგოსანი: [ლექსი]. - ჟურ. "ოქტომბრელი". - 1937. - გვ. 10.

1400. მეტრეველი ლ. როცა ვიყავ ცხრა წლის ბიჭი. - ჟურ. "მნათობი". - 1937. - №5 - გვ. 177-179;

იგივე: ჟურ. "პიონერი". - 1937. - №5. - გვ. 10.

ავტორი აღწერს ილიასთან შეხვედრას 1895 წ. რაფიელ ერისთავის იუბილეზე.

1401. მეუნარგია იონა. ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან / სოლომონ ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით; სამეგრელოს მუზეუმი. _ თბ.: ზარია ვოსტოკა, 1937. _ 62 გვ.

1402. მზადება ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის მოსკოვში. _ გაზ. "კომუნისტი". – 1937. _ 20 მაისი.

1403. მზადება ილიას იუბილესათვის. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 მარტი. _ გვ. 12.

სარედაქციო წერილში ჩამოთვლილია ღონისძიებები ამ დღის აღსანიშნავად: მთელ საქართველოში მოეწყობა საიუბილეო დეკადა, რომელიც 23 სექტემბერს დაიწყება. სახელგამი გამოცემს ილიას თხზულებათა 5 ტომეულს. გეგმაშია თხზულებათა გამოცემა სსრკ-ს ხალხთა და ევროპის ენებზე. თსუ გამოსცემს სპეც. კრებულს ილიას ცხოვრების შესახებ. მოეწყობა გამოფენები მხატვართა გალერეაში. მარჯანიშვილის თეატრი დადგამს ილიას ნაწერების მიხედვით შ. დადიანის პიესას "ჩატეხილი ხიდი". მოზარდ მაყურებელთა თეატრი მოაწყობს პოეტის მხატვრული ჩანაწერების კითხვას. ეროვნულ უმცირესობათა თეატრები (რუსული, სომხური, თურქული) დადგამენ პიესას "ბატონი და ყმა". კომპოზიტორები (არაყიშვილი, ბუკია, თაქთაქიშვილი) წერენ რომანსებს და მუსიკალურ პოემებს.

"კომპოზიტორის" მემკვიდრეობა შეიძენს იპოლიტოვ-ივანოვის ოპერას ილიას ნაწარმოებზე "დედა და შვილი". ამავე პოემის ტექსტზე წერს ოპერას ლ. ფალიაშვილი. კომპ. ლალინოვი წერს ოპერას "კაკო ყაჩაღი". სახკინმრეწვი გადაიღებს ფილმს ილიას ნაწარმოებების მიხედვით. გამოცხადდა კონკურსი ილიას ძეგლის ასაგებად, რომელიც დაიდგმება წიწამურთან.

1404. მჭედლიშვილი ი. მამაჩემის მოგონება ილია ჭავჭავაძეზე. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 182-183.

მოგონებაში აღწერილია ილიას საუბარი კაკაბეთელ გლეხთან, წერილის ავტორის მამასთან, სწავლა-განათლებლასა და საქართველოს მომავალზე.

1405. ნადირაძე გ. ილია ჭავჭავაძე და ხალხური მუსიკა. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 18 მაისი. _ გვ. 2.

ავტორი განიხილავს ილიას დამოკიდებულებას მუსიკისადმი. წერილს ერთვის ილიას მეგობართა მოგონებები.

1406. ნადირაძე გ. ილია ჭავჭავაძის ადამიანი. - ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 136-152.

წერილში გააანალიზებულია "თერგდალეულთა" მსოფლმხედველობა. ავტორის თვალსაზრისით ილიამ ჩამოაყალიბა ახალი ადამიანის სახე, განსაზღვრა მისი თვისებები, ადამიანის ცხოვრების აზრი, რაც მის ბრძოლასა და მოქმედებაში მდგომარეობს.

1407. ნადირაძე გ. ილიას სათაურები. - გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 3.

წერილში საუბარია ილიას სათაურების რთული სინთეზური ბუნების შესახებ, რომლებშიც ჩანს პოეტისა და მოაზროვნის მსოფლმხედველობა და მხატვრული მეტყველების სტილი. ეს, როგორც მხატვრულ, ასევე პუბლიცისტურ შემოქმედებას ეხება.

- 1408. ნატროშვილი ი.** ილიას შეხედულებანი ისტორიაზე. – ჟურ. "კომუნისტური აღზრდისათვის". – 1937. – №5-6. – გვ. 156-160.
წერილში განხილულია ილიას შეხედულებები ისტორიის მნიშვნელობაზე, რომ "ქართლის ცხოვრება" ილიას განმარტებით "მეფეთა ისტორიაა, ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული." ავტორი ასახელებს ილიას წერილებს ისტორიის საკითხებზე. აღნიშნავს ილიას თვალსაზრისს ისტორიის შესასწავლად დამხმარე მეცნიერების საჭიროებაზე, როგორცაა: არქეოლოგია, გეოლოგია, თეოლოგია, ენათმეცნიერება.
- 1409. ნემსიწვერიძე გ.** ილიას: [მოსწავლის ლექსი]. – ჟურ. "ოქტომბრელი". – 1937. – №6. – გვ. 3
- 1410. ნიკოლაიშვილი ნ.** ილია ჭავჭავაძე და აჭარა. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 10 სექტ. – გვ. 4.
სტატიაში მოყვანილია ილიას სიტყვები სხვადასხვა წერილებიდან, გამოთქმული აჭარის მიმართ. განხილულია მისი ბრძოლა აჭარის აღორძინებისა და თავისუფლებისათვის.
- 1411. ნიკოლაძე ანა.** ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 20 მაისი. – გვ. 6.
სტატიაში საუბარია ილიას წერილების შესახებ თეატრის მხარდასაჭერად. თეატრის დაფინანსებაზე 3000 მანეთის სუბსიდიით სათავადაზნაურო ბანკიდან. აგრეთვე ილიას მონაწილეობის შესახებ პირველ ლიტერატურულ საღამოში.
- 1412. ნოზაძე ვიქტორ.** ილია ჭავჭავაძე (1837-1937). – ჟურ. "ქართლოსი" (პარიზი). – 1937. – №8
- 1413. პაპავა თამარ.** ილია ჭავჭავაძე და ქართველი ქალი. – ჟურ. "ქართლოსი" (პარიზი). – 1937. – №7-8
- 1414. პიონერთა შემოქმედება.** – ჟურ. "პიონერი". – 1937. – №5. – გვ. 14-15.
ჟურნალის გვერდებზე გამოქვეყნებულია საშუალო სკოლის მოსწავლეების ლექსები და წერილები მიძღვნილი ილია ჭავჭავაძისადმი:
დიდ ილიას / რუსიკო აგლაძე!: [ლექსი];
უკვდავ მგოსანს / ო. ჭინჭარაული: [ლექსი];
უკვდავ მგოსანს / ე. ცხომელიძე: [წერილი];
ჩვენ ვსწავლობთ ილიას / პიონერთა რაზმი: [წერილი];
აქვე მოთავსებულია ილიას ნაწარმოებთა გამოცემების ყდების ფოტოასლები.
- 1415. ჟურული გიორგი.** ილიასთან შორი-ახლოს დგომით (ფურცლები ჩემი თავგადასავლის რვეულიდან). – ჟურ. "ქართლოსი" (პარიზი). – 1937. – №7-8
- 1416. ჟღენტი ბესარიონ.** ორდენოსანი საქართველო ქართულ პოეზიაში. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 10 თებ. – გვ. 2.
წერილში მოხსენიებულია ი. ჭავჭავაძე. ციტატა: "მაშინაც კი, როდესაც თავისი ქვეყნის სილამაზეს შთაგონებულად უმღეროდა, ილია ჭავჭავაძე ვერ ივიწყებდა ხალხის ჩაგვრასა და მონობის სინამდვილეს:
„კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,

იმდენად უფრო მიკვდება გული".

- 1417. რადიანი შალვა.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: რადიანი შ. ლიტერატურული მემკვიდრეობა. – მეორე შევს. და შესწორებული გამოცემა. – თბ.: ფედერაცია, 1937. – გვ. 1_62.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ილიას ბიოგრაფიას. ეხება ეროვნული საკითხის მნიშვნელობას მის შემოქმედებაში. ილიას მიიჩნევს კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლად ქართულ ლიტერატურაში.

- 1418. რადიანი შალვა.** ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა. – გაზ. "კომუნისტი". – 1937 _ 24 აპრ. – გვ. 3.

ავტორი საუბრობს ილიას ესთეტიკურ შეხედულებებზე, რომლებიც გადმოცემულია მის კრიტიკულ-საპოლემიკო წერილებში.

- 1419. რაჭველიშვილი ქ.** ილია ჭავჭავაძე (1837-1937) : ბიოგრაფიული ნარკვევი / ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი. – ტფ.: სახელგამი. – 131 გვ.: 15 ფოტო.

შინაარსი: ილიას დაბადება. ჭავჭავაძეების გვარი; ილიას სწავლის ხანა. ვორონცოვის პოლიტიკა; ილია ჰაკეს პანსიონში. ილია გიმნაზიაში; ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში; ილიას ჩამოსვლა. 60-იანი წლების საქართველო; პირველი ლაშქრობა ძველთა წინააღმდეგ "ცისკარში." ილიას ჯგუფი; "საქართველოს მოამბის გამოცემისათვის მზადება." ვის ემინოდა...; პოლემიკა "ცისკართან"...ნ. ნიკოლაძის მოწმობა; ილია და ოლღა გურამიშვილი... დაქორწინება; ილია ქუთაისში. ილია დუშეთის მომრიგებელი...; ილიას მარტოობა დუშეთში. ტფილისს გადმოსვლის ცდა. "გამოცანები" და შეტაკება გრიგოლ ორბელიანთან...; თავადაზნაურთა ბანკი; ილია საზოგადო მოღვაწე...; როდის დაიწყო ილიამ წერა...; ილია ჭავჭავაძე და უარმყოფელობა ჩვენში...; ილია ჭავჭავაძე 90-იანი წლების დამლევს...; ილიას ავადმყოფობა 1900 წელს. ილია საზღვარგარეთ; ილია ჭავჭავაძის წერილი პეტერბურგის სტუდენტებს. ილია და საქართველოს პოლიტიკური ავტონომია...ქანდარმერიის აზრი ილია ჭავჭავაძეზე; ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრი. პროფ. ი. ჯავახიშვილის მოწმობა. ილიას აზრი სახელმწიფო საბჭოს წევრებზე. ილიას სიტყვა სახელმწიფო საბჭოში. ილია და სამხედრო-საველე სასამართლოები; ილია ჭავჭავაძის მეზრდოლობა. ილიას დუელები...; თვითმპყრობელობის პროვოკაცია. ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ილიას დაკრძალვა. ილიას ძეგლი.

- 1420. რაჭველიშვილი ქ.** ილია, როგორც პიროვნება. – გაზ. "კომუნისტი". – 29 მაისი. – 1937. – გვ. 2.

სტატიაში ავტორი ახასიათებს ილიას პიროვნულ თვისებებს სიჭაბუკიდან – გარდაცვალებამდე.

- 1421. რაჭველიშვილი ქ.** ილიას კერძო წერილებიდან. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 30 აპრ. – გვ. 3.

სტატიაში მოყვანილია ნაწყვეტები ილიას წერილებიდან ოლღა გურამიშვილისადმი.

- 1422. რაჭველიშვილი ქ.** პუშკინი და ქართული მწერლობა. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 18 თებ. – გვ. 6.

წერილში ავტორი აღნიშნავს ილიას დამსახურებას პუშკინის თხზულებათა გამოცემის საქმეში. "იმ დროს, როდესაც ა. პუშკინს არ

სწყალობდნენ საქართველოში და ქართული წიგნის გამოცემაც დიდ სიმძნელებთან იყო დაკავშირებული, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ი. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით გამოსცა პუშკინის თხზულებათა კრებული 1899 წელს პოეტის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით". კრებული ქართულ ენაზეა გამოცემული. თარგმანები ცნობილ ქართველ მწერლებს ეკუთვნის.

წიგნს დართული აქვს პუშკინის პორტრეტი (გრავიურა) პოეტის ფაქსიმილეთი.

- 1423. რუხაძე ტრიფონ.** ი. ჭავჭავაძე და ძველი ქართული ლიტერატურა. – ჟურ. "მნათობი". – 1937. – №5. – გვ. 124-135.

წერილის ავტორის აზრით ილია დიდად აფასებდა ძველ ქართულ მწერლობას, განსაკუთრებით – პოეზიას, რომელსაც ორ ძირითად ნაკადად ყოფდა: ეპოსად და ლირიკად. ფორმის თვალსაზრისით, საერო პოეზია ირანული პოეზიის გავლენას განიცდიდა.

წერილში ნაჩვენებია ილიას შეხედულებები "ვეფხისტყაოსანზე".

- 1424. სახოკია თედო.** მოგონება ილიაზე. – ჟურ. "მნათობი". – 1937. – №5. – გვ. 159-169.

მოგონებაში აღწერილია ილიას ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი: 1903 წელს ილიას სტუმრობა სოხუმში; შეხვედრა ფრანგ მოგზაურთან ბარონ დეზაისთან დავით სარაჯიშვილის სახლში; ილიას და ნიკო ნიკოლაძის სიტყვიერი პაექრობა.

- 1425. საჯაია კ., კაჭახიძე გ.** ილიას მთარგმნელები. – ჟურ. "პიონერი". – 1937. – №5. – გვ. 12-13.

ავტორები ასახელებენ ილიას ნაწარმოებთა პირველ მთარგმნელებს: არტურ ლაისტს, მარჯორი უორდროპს, ბელა ვიკარს, პავლე ტიჩინას და მიკოლა ბაჟანს.

- 1426. სეფიეთელი.** ქართველი ხალხის დიდი მწერალი. – ჟურ. "რემედას". – 1937. – №6_7. – გვ. 2-4.

ავტორი საუბრობს ილიას საზოგადო მოღვაწედ ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპზე, თერგდალეულთა მოძრაობაზე, ილიას მკვლევლობაზე, რომელზეც პასუხისმგებლობას რუსეთის თვითმპყრობელობას აკისრებს.

- 1427. სიჭინავა ა.** ილიას: [ლექსი]. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1937. – №5-6. – გვ. 26

- 1428. ს[ულავა] ა.** ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა და მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 12 სექტ. – გვ. 3.

ავტორი დაწვრილებით აღწერს ილიას მკვლევლობის წინა დღეებს და მკვლევლობას. აქვე აღნიშნულია, რომ იმ ხანად ილიას სტუმრად ჰყავდა არტურ ლაისტი და მისი მეუღლე.

- 1429. სულავა ა.** ქართული კრიტიკული რეალიზმის მამათავარი. – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 9 მაისი. – №104. – გვ. 3.

წერილი გვაცნობს ილიას როლს ქართული კრიტიკის დაფუძნების საქმეში.

- 1430. სულიაშვილი დ.** მოგონება ი. ჭავჭავაძეზე. – ჟურ. "მნათობი". – 1937. – №5. – გვ. 180-181.

ავტორი იხსენებს იმ დროს, როცა გაზ. "ივერიაში" კორექტორად მუშაობდა და ხშირად უხდებოდა ილიას ხელნაწერების ჩასწორება.

- 1431. ფალავა ა.** ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ 5. _ გვ. 107-121.
წერილში საუბარია ილიას ღვაწლზე ქართული თეატრის ჩამოყალიბების საქმეში. გაზ. "ივერიაში" გამოქვეყნებულ მასალებზე ქართული თეატრალური ცხოვრების შესახებ.
- 1432. ქართველი ხალხის გენიალური მწერალი ილია ჭავჭავაძე:** [მოწინავე]. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 29 მაისი.
გაზეთი აქვე ბეჭდავს ვაჟა-ფშაველას 1907 წ. დაწერილ ლექსს "ილია ჭავჭავაძის სახსოვრად"; 1859 და 1860 წლებში გადაღებულ ილიას ფოტოებს.
- 1433. ქებულაშვილი მ.** ჩემი მოგონება ილია ჭავჭავაძეზე. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 5.
ავტორი ეხება 1900 წელს ჩამოყალიბებულ მუშათა სალიტერატურო წრის საქმიანობას, მათ უარყოფით დამოკიდებულებას ილიას წინააღმდეგ მიმართული ყალბი მითქმა-მოთქმის შესახებ.
- 1434. ქიქოძე გერონტი.** ილია ჭავჭავაძე. მისი როლი ქართული კულტურის განვითარებაში. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 77-92.
ავტორის აზრით, ილიამ თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული კულტურა. "ძირითადი იდეა, რომელიც ილია ჭავჭავაძის აზროვნებას ჰფლობს, არის იდეა ადამიანის გონების ძლევა მოსილეებისა და კაცობრიობის დაუსრულებელი პროგრესისა", _ ნათქვამია წერილში.
- 1435. ქორქია როდონ.** მუნდირი (ეპიზოდი ილიას სტუდენტობიდან). _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 69-74.
წერილში აღწერილია პეტერბურგში სწავლის დროს ილია ჭავჭავაძისა და კობტა აბხაზის შეხვედრის ეპიზოდი.
- 1436. ქუთათელი ალექსანდრე. U** საუბარი ილიას აჩრდილთან: [ლექსი]. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 3.
- 1437. ქუჩიშვილი გიორგი.** ილია ჭავჭავაძეს: [ლექსი]. - ჟურ. "ოქტომბრელი". _ 1937. _ №6. _ გვ. 3.
- 1438. შანიძე აკაკი.** ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელი. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 1.
წერილში საუბარია ილიას მიერ სპეციალური კომისიის მოწვევის შესახებ ქართული ენის საგანგებო ფორმების დასადგენად, როგორცაა ზედსართავის ხმარება არსებითთან, თ-იანი და დ-იანი ვითარებითი ბრუნვა, შემასმენლის შეთანხმება მრავლობითში წარმოდგენილ ქვემდებარესთან, სიტყვაწარმოების საკითხები და სხვა.
- 1439. შანიძე აკაკი.** ილია ჭავჭავაძე, როგორც ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელი. _ ჟურ. "კომუნისტური აღზრდისათვის". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 118-138.
წერილი იყოფა 6 მონაკვეთად: 1. ილია, როგორც ქართული ორთოგრაფიის რეფორმატორი; 2. ილია და ქართული ენის თეორიული საკითხები; 3. ილია და სალიტერატურო ქართულის პრაქტიკული საკითხები; 4. ილია და ქართული ტერმინოლოგიის საკითხები; 5. ზოგი რამ ილიას სტილის შესახებ; 6. ილია ქართული ენის უფლებათა სადარაჯოზე.

1440. შანშიაშვილი სანდრო. მოწაფემ ვნახე. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 171-176.

მოგონებაში აღწერილია ილიასთან 1905 წელს შეხვედრის ეპიზოდი. აქვე გადმოცემულია ილიას მკვლევლობით გამოწვეული გულისტკივილი. ავტორი აღწერს იროდიონ ევდოშვილისა და მენშევიკების შეჯახების ეპიზოდს; ილიას ჩხუბს მოურავთან _ დიმიტრი ჯაშთან; ილიას დასთან _ ელისაბედთან საუბარს.

1441. შუბლაძე ვ. დიდო მგოსანო: [ლექსი ი. ჭავჭავაძეს]. _ ჟურ. "ჩვენი თაობა". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 74

1442. ჩავლეიშვილი ალექსანდრე. ვულგარული სოციოლოგიზმის წინააღმდეგ ილიას შემოქმედების გაგებაში. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 30 აპრ. _ გვ. 3.

ავტორი აკრიტიკებს მ. ტოროშელიძის, პ. ქიქოძის და სხვათა შეხედულებებს ილიას მოღვაწეობის მცდარი შეფასებისა და მისი რეაქციონერ მწერლად გამოცხადების გამო. ამ ჯგუფის ბრალდებით, ილიას შემოქმედებას არაფერი აქვს საერთო სოციალისტურ კულტურასთან.

1443. ჩიქობავა არნოლდ. ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ. _ ჟურ. "აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინ-ტის მოამბე". _ 1937. _ II 1. _ გვ. 15-27.

იგივე: ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". _ 1937. _ №3. _ გვ. 43-48.

ავტორი განიხილავს დისკუსიას ენათმეცნიერული კონცეფციების შესახებ ძველსა და ახალ თაობას შორის. წარმოგვიდგენს ანტონ კათალიკოსის "სამი შტილის თეორიას", შემდეგ კი აღწერს ილიასა და მის თანამოაზრეთა მიზანმიმართულ ბრძოლას ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში.

1444. ჩიქოვანი სიმონ. ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა. _ ჟურ. "ჩვენი თაობა". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 78-113.

წერილში მიმოხილულია ილიას პოეტური შემოქმედება. ავტორს მიაჩნია, რომ "ილიამ მაინც, ბარათაშვილთან ერთად, მიუახლოვა ქართული პოეზია მსოფლიო მოწინავე იდეების სამყაროს და ევროპის პოეტური ოსტატობის კულტურას".

1445. ცაგარელი ავქსენტი. მკითხავი: კომედია ფარსი 3 მოქმედებად, ილია ჭავჭავაძის "კაცია ადამიანი"-დან გადმოკეთებული. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 33-63.

1446. ცაიშვილი სოლ. ილია მოსწავლე. - ჟურ. "კომ. აღზრდისათვის". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 145-148.

წერილში განხილულია ილიას მოსწავლეობისა და სტუდენტობის წლები. ავტორი საუბრობს, თუ რა განთლება მიიღო მომავალმა პოეტმა, რა საგნები აინტერესებდა და რა შეფასებებს იღებდა სხადასხვა საგანში.

1447. ცქვიტი [ხახუტაშვილი ა.] ბელურებივით დაფრთხნენ. _ ჟურ. "ოქტომბრელი". _ 1937. _ №6. _ გვ. 5.

მოგონება ილია ჭავჭავაძის შესახებ.

1448. ცხვედიანი გრ. ილიას: [ლექსი]. _ ჟურ. "ჩვენი თაობა". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 76-77

1449. ცხვედიანი გრ. [ლექსი]. - ჟურ. "ჩვენი თაობა". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 76-77

- 1450. ჭანბა ს.** სიმღერა: [ნოველა]. - გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 20 იანვ. - გვ. 3
- 1451. ჭილაია სერგი.** ილია ჭავჭავაძე რუსთაველის შესახებ. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". - 1937. _ 26 დეკ. _ გვ. 4.
 სტატიაში განხილულია ილიას წერილი "აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". წერილში მოყვანილია ილიას შეხედულება აკაკის თვალსაზრისის შესახებ "ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით, სადაც დადებით შეფასებასთან ერთად მოცემულია აკაკის მოსაზრებების კრიტიკა.
- 1452. ჭილაია სერგი.** ილია ჭავჭავაძის პირველი ჟურნალი. _ ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". _ 1937. _ №3. _ გვ. 49-56.
 წერილი ეხება ილიას განსაკუთრებულ დამსახურებას ქართული პერიოდული გამოცემების განვითარების საქმეში. საუბარია ილიას მიერ 1863 წ. დაარსებული ჟურნალის "საქართველოს მოამბის" პროგრესულობაზე, მის როლზე ახალი თაობის აღზრდის საქმეში.
- 1453. ჭილაია სერგი.** ილიას "განდეგილი". _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 10 ივნ. _ გვ. 6.
 სტატიაში მოცემულია "განდეგილის" დაწერის ისტორია. მ. უორდროპის მიერ პოემის ინგლისურიდან თარგმნის ანალიზი. განხილულია მურიეს ფრანგული თარგმანი, რომელიც პროზად არის შესრულებული, ა. ლაისტის გერმანული თარგმანი და ალ. ორბელიანის, აგრეთვე ფრანგული თარგმანი (ლექსად შესრულებული).
- 1454. ჭინჭარაული ო.** უკვდავ მგოსანს: [მოსწავლის ლექსი]. _ ჟურ. "პიონერი". _ 1937. _ №5. _ გვ. 15
- 1455. ჭიჭინაძე ვ.** ილიასადმი: [ლექსი]. - გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 24 აპრ. _ გვ. 3
- 1456. ჭიჭინაძე ლ.** დიდი მწერალი: პატარა ილია. ცოცხალი ილია. ილია და ჯეჯილი. _ ჟურ. "ოქტომბრელი", 1937. _ №6. _ გვ. 7-9.
 ავტორი მოზარდ თაობას მოუთხრობს ილიას ბავშვობის შესახებ.
- 1457. ჭიჭინაძე ლ.** ქართველი ერის დიდი მოამაგე. _ გაზ. "ნორჩი ლენინელი". _ 1937. _ 8 სექტ.
- 1458. ჭკუასელი ვ.** ილია ჭავჭავაძე. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 2.
 ავტორი იხსენებს ილიას, როგორც პოეტს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.
- 1459. ჭკუასელი ვ.** ილია ჭავჭავაძე. _ ჟურ. "კომუნისტური აღზრდისათვის". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 97-105.
 ავტორი აანალიზებს იმ ეპოქას, ბატონყმური წყობილების ბოლო ეტაპს, რომელშიც ახალგაზრდა ილია ცხოვრობდა. აღწერს ილიას ჩამოყალიბების პროცესს საზოგადო მოღვაწედ და უსამართლობასთან მეზრდოლ ადამიანად. თუმცა აღნიშნავს ილიას მთავარ შეცდომას - მშვიდობიანად გადაეწყვიტა წინააღმდეგობა კლასთა შორის. "მან (ილიამ) ვერ გაიგო, რომ შრომის სუფევის და ადამიანთა ბედნიერების განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ რევოლუციური ბრძოლით" _ წერს ავტორი.
- 1460. ხინთიბიძე ვ.** დიდ პოეტს: [მოსწავლის ლექსი]. _ ჟურ. "ოქტომბრელი". _ 1937. _ №6. _ გვ. 3
- 1461. ხუნდაძე არ.** ილია და კობტა. _ ჟურ. "ოქტომბრელი". _ 1937, №6. _ გვ. 12-14.
 წერილში საუბარია ილიას და კობტა აბხაზის მეგობრობაზე.

- 1462. ხუნდაძე არ.** ილია დუშეთში. - გაზ. კომუნისტი". _ 1937. _ 29 მაისი. _ გვ. 4.
ავტორი გადმოსცემს გიორგი კორინთელის და ალექსანდრე წამალაძის მოგონებებს ილიას დუშეთში მოუშაობის პერიოდში.
- 1463. ხუროძე ვ.** ილია ჭავჭავაძე, როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი. _ ჟურ. "მნათობი". _ 1937. _ №5. _ გვ. 95-106.
ავტორი საუბრობს ილიას მიერ ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზე, რაც გამოიხატებოდა სინამდვილის ასახვასა და ენის რეფორმაში, რომლის მიზანი იყო "მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა."
- 1464. ხუროძე ვ.** ილია ჭავჭავაძე სცენისა და დრამატული ხელოვნების შესახებ. - ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". _ 1937. _ №3. _ გვ. 39-42.
წერილში განხილულია ილიას მოღვაწეობა დრამატული ხელოვნების სფეროში. ავტორი ეხება გაზ. "ივერიაში" გამოქვეყნებულ ილიას წერილებს ქართული თეატრის შესახებ. ანალიზებს ილიას ნაშრომებს: "ახალი დრამების გამო", "წერილები ქართულ ლიტერატურაზე" და სხვა.
- 1465. ხუროძე ვ.** ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ზოგიერთ მხარეთა გაგებისათვის. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 10 ივნ. _ გვ. 5.
სტატიაში ავტორი ეხება შ. რადიანის წინასიტყვაობას, რომელიც ილიას ერთტომეულს აქვს დართული (1937 წ. გამოცემა). კრიტიკულად განიხილავს ილიას მოღვაწეობის რადიანისეულ შეფასებას პუშკინთან მისი შედარების გამო, რაც რუსეთისა (მპყრობელი ერის) და საქართველოს (დაპყრობილი ერის) შედარებას ნიშნავს.
- 1466. ხუროძე ვ.** "კაცია-ადამიანი?!" (მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა). _ ჟურ. "კომუნისტური აღზრდისათვის". _ 1937. _ №5-6. _ გვ. 161-175.
წერილში მოცემულია "კაცია-ადამიანი?!" სკოლაში სწავლების მეთოდური რეკომენდაციები: გაკვეთილის მსვლელობა; მხატვრული ანალიზი; ნაწარმოების დამუშავების გეგმა; სამუშაო საათების რაოდენობა.
- 1467. ხუციშვილი ს.** ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. 1. თბ., 1937: [ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა]. - ჟურ. "ჩვენი თაობა". - 1937. _ №10. _ გვ. 166-171
- 1468. ხუციშვილი ს.** ილია ჭავჭავაძის ლექსები რუსულად. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 23 ივლ. _ გვ. 3.
წერილში საუბარია "ზარია ვოსტოკას" მიერ ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ მისი თხზულებების რუსულად გამოცემის შესახებ (ბ. ბრიკის თარგმანი).
- 1469. ხუციშვილი ს.** ილიას პოეზია "ცისკარში". _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1937. _ 10 სექტ. _ გვ. 3.
წერილში განხილულია ილიას ლექსის "ჩიტის" ორიგინალობის საკითხი. აგრეთვე, 1867 წლამდე მისი თანამშრომლობა ჟურ. "ცისკართან".
- 1470. ჯავახიშვილი ივანე.** ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. _ აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინ-ტის მოამბე. _ 1937. _ II 1. _ გვ. 1-14
- 1471. ჯავახიშვილი ივანე.** ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1937. _ 6 ივლ. _ გვ. 2-3.

წერილში განხილულია ილიას თვალსაზრისი ისტორიის კვლევის მეცნიერული მეთოდოლოგიით წარმართვის შესახებ. სტატიაში საუბარია ილიას წერილების სერიაზე "აი ისტორია".

ილიას პუბლიცისტიკის გათვალისწინებით ისტორიის საკითხებზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ "საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას [ილიას] ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთ ქართველს არ აქვს."

1472. ჯავახიშვილი მიხეილ. ილია ჭავჭავაძე (მოგონებათა ნაწყვეტები). – გაზ. "კომუნისტი". – 1937. – 176. – 3 აგვ.

ავტორი იხსენებს ილიასთან შეხვედრებს სასწავლებელში, ილიაობაზე, ილია წინამძღვრიშვილის ბინაზე და სხვა.

1473. ჯანელიძე დიმიტრი. "ჩატეხილი ხიდი". – ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". – 1935. – №5. – გვ. 41-44.

რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს კ. მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლს "ჩატეხილი ხიდი" (შ. დადიანის პიესა) და მიაჩნია, რომ გამოთქმული კრიტიკა ეპოქათა აღრევის შესახებ არასწორია. ავტორის აზრით, "საბჭოთა თეატრის მოვალეობა იყო ეჩვენებინა არა მარტო 60-იანი წლების ეპოქა, არამედ ნათელეყო ილიას პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მიმართულების მარცხიც, რაც წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდის გამართლების ცდის დამარცხებაში გამოიხატა".

1474. ჯანელიძე დიმიტრი. როგორ მუშობდა ილია ჭავჭავაძე. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1937. – №2-3. – გვ. 66-90

1475. ჯაჯანაშვილი არჩილ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ჰუმანისტი. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 20 აპრ. – გვ. 3,4.

წერილში შეფასებულია ილიას მოღვაწეობა. ციტატა: "ჰუმანური, კაცთმოყვარული გრძნობები - აი, მისი ძირითადი ხაზი, რომელიც წითელი ხაზივით გადის ილია ჭავჭავაძის მთელს შემოქმედებასა, მწერლობასა და მოღვაწეობაში".

1476. ჯაჯანაშვილი არჩილ. პატარა ერთა დიდი ქომაგი. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1937. – 29 მაისი. – გვ. 5.

წერილი ეხება ილიას მოღვაწეობაში საქართველოს განთავისუფლების პრობლემას, რომელსაც პოეტი ამიერკავკასიის ერების სოლიდარობას უკავშირებდა, ხოლო ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ერთ-ერთი რგოლი ამიერკავკასიის ერების ბრძოლისა განთავისუფლებისათვის

1477. Глебов Г. Жизнь и творчество Ильи Чавчавадзе в документах и картинах (Обзор выставки). – газ. «Заря Востока». – 1937. – 8 мая. – С. 3

1478. Гольцев В. Илья Чавчавадзе: (Биографический очерк). – газ. «Правда». – 1937. – 29 мая, №146. – с. 4.

1479. Гришашвили И. Пушкин в грузинской литературе. – газ. «Заря Востока». – 1937. – 10 февр. – С. 3

ილია ჭავჭავაძე, როგორც პუშკინის მთარგმნელი

1480. Деметрадзе Д. Илья Чавчавадзе. – газ. «Заря Востока». – 1937. – 1 июня. – С. 3

1481. Евгеньев С. Илья Чавчавадзе о Шота Руставели. – газ. «Учительская газета». – 1937. – 27 Дек.

- 1482. Жгенти Б.** Основоположник новой грузинской литературы: (К столетию со дня рождения Ильи Чавчавадзе). – газ. «Правда». – 1937. – 29 мая, №146. – с. 4.
მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა.
- 1483. Илья Чавчавадзе (к тридцатилетию со дня смерти).** – газ. «Правда». – 1937. – 12 сент., №252. – с. 4.
ილია ჭავჭავაძის დაღუპვის ოცაათ წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი აქვეყნებს მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვას. აქვეა პოეტის ორი ლექსის (“ქართველ სტუდენტთა სიმღერა” და “ჩემო კარგო ქვეყანა”) ბორის ბრიკისეულ თარგმანს.
- 1484. Илья Григорьевич Чавчавадзе.** 1837-1907. Краткая биография. – газ. «Заря Востока». – 29 мая. – С. 3
- 1485. Илья Чавчавадзе:** Портрет работы грузинских художников Вл. и Гр. Джапаридзе. – газ. «Правда». – 1937. – 29 мая, №146. – с. 4
- 1486. Илья Чавчавадзе** среди литераторов читает свое произведение. (Описание картины худ. А. Гиголашвили на юбилейной выставке). – газ. «Заря Востока». – 1937. – 29 мая
- 1487. П. Д. Илья Чавчавадзе** и Шота Руставели. – газ. «Заря востока». – 1937. – 12 апр.
ეხება აკაკისა და ილიას პოლემიკას "ვეფხისტყაოსნის" გარშემო.
- 1488. Рачвелишвили Х.** Биографические сведения о И. Чавчавадзе. в кн.: Чавчавадзе И. Стихи и поэмы/Пер. с груз. Б. Брика; Биографические сведения: Х. Рачвелишвили; О творчестве И. Чавчавадзе: Ш. Радиани.– Тб.: изд. и тип. Заря Востока, [1937]. – XVI, 125 с.
- 1489. Радиани Шалва.** Илья Чавчавадзе и шестидесятые годы. – газ. «Батумский рабочий». – 1937. – 29 мая
- 1490. Радиани Шалва.** О творчестве И. Чавчавадзе. – в кн.: Чавчавадзе И./ Стихи и поэмы. – Тб., 1937. – С. XI-XVI
- 1491. Тедошвили П.** Илья Чавчавадзе и Грузинский театр. – газ. «Заря Востока». – 1937. – 28 мая, 5 апр
- 1492. Юбилейная декада И. Чавчавадзе в Грузии.** – газ. «Правда». – 1937. – 29 мая, №146. – с. 4.
საიუბილეო ღონისძიებათა მოკლე მიმოხილვა.

1938

- 1493. გაბაშვილი ეკატერინე.** ილიასთან მოგზაურობა მცხეთას ინგლისელი მწერალი ქალის მარჯორი უორდროპის შესახებ ვერად: [მოგონებები ილიაზე]. – ჟურ. “მნათობი”. – 1938. – №8. – გვ. 186-82
- 1494. გაწერელია აკაკი.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: გაწერელია ა. ნარკვევები ქართული პოეტიკიდან. – თბ.: ფედერაცია, 1938. – გვ. 165-176
- 1495. გუგუშვილი პაატა.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა: საგამომიებო მასალები – ტფ.: სახელგამი, 1938. – 107 გვ.: 1ფ. პორტრ.
შინაარსი: წინასიტყვაობა; ილია ჭავჭავაძის მკვლელობა; დოკუმენტები [სასამართლო ოქმები]; დამატება: ილია ჭავჭავაძის მოურავ მოსე მემარნიშვილის და უკანასკნელის მეუღლის მკვლელობის შესახებ.

წიგნში შესულია ოლღა გურამიშვილი – ჭავჭავაძის, ზაალ ჭავჭავაძის დაკითხვის ოქმები.

1496. დონდუა კ. "კაცია ადამიანი?!"-ს სათაურისათვის. – ჟურ. "კომუნისტური აღზრდისათვის". – 1938. – №10-11

1497. ზანდუკელი მიხეილ. თერგდალეულნი. – წიგნ.: ახალი ქართული ლიტერატურა: მეორე შესწორებული გამოცემა / სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი; რედ. ს. გაჩეჩილაძე. – თბ.: სახელგამი, 1938. – ტ. 2. – გვ. 166-230.

შინაარსი: თერგდალეულები 1860-იან წლებში; ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება 1857-1860 წწ.; "მამათა" და "შვილთა" მსოფლმხედველობა და მათი ბრძოლის ხასიათი; თერგდალეულების პოზიტიური შეხედულებანი: თერგდალეულთა დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი; თერგდალეულთა დამოკიდებულება ბატონყმობისადმი; თერგდალეულთა მსოფლმხედველობის რღვევა და მისი მიზეზები.

წიგნის მოცემულ მონაკვეთებში განხილულია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პირველი პერიოდი.

1498. ზანდუკელი მიხეილ. ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ახალი ქართული ლიტერატურა: მეორე შესწორებული გამოცემა / სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი; რედ. ს. გაჩეჩილაძე. – თბ.: სახელგამი, 1938. – ტ. 2. – გვ. 230-319.

აღნიშნულ თავში განხილულია ილიას შემოქმედების მეორე პერიოდი. მისი პოეზია და პროზა, სატირა და პატრიოტული მოტივი და სხვა საკითხები.

1499. ლეონიძე გიორგი. "ქება ჩალაუბნისა". – გაზ. "კომუნისტი". – 1938. – 15 აპრ. – გვ. 4.

1500. ლეონიძე გიორგი. ილია ჭავჭავაძის პირველი პოეტური ნაწარმოებების აღმოჩენა. – გაზ. "ლიტერატურული საქართველო". – 1938. – 12 აპრ.

გ. ლეონიძის თვალსაზრისით "რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი" და "დავსწერ სოფლისა ქებასა", ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნაწარმოებია, ამასთან, "რწყილთაგან ტანჯვაი".. კოხტა აბხაზის მოგონებაზე დაყრდნობით, ილიას პირველ ლექსად მიაჩნია ავტორს.

1501. მამულაშვილი ა. აკაკის ერთი გამოუქვეყნებელი სიტყვა [ილიას შესახებ]. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1938. – №3. – გვ. 61-62.

1911 წლის 21 ივლისს თელავში ყოფნის დროს წარმოთქმული სიტყვის შესახებ, რომელიც ძირითადად ილიას მოღვაწეობას მიეძღვნა. ეს სიტყვა შეფასებულია, როგორც "ორატორული ხელოვნების ნიმუში"

1502. მგალობლიშვილი სოფრომ. ილია ჭავჭავაძე [მოგონება]. – წიგნ.: მგალობლიშვილი ს. მოგონებანი. – თბ.: "ფედერაცია," 1938. – გვ. 129-148, 164-172.

1503. უბილავა ელიზბარ. საგურამოში: [ლექსი]. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1938. – №3. – გვ. 12.

ილიას ყრმობისდროინდელი ნაწარმოების აღმოჩენის შესახებ გ. ლეონიძის მიერ.

- 1504. ქიქოძე გერონტი.** ილია ჭავჭავაძე. მისი როლი ქართული კულტურის განვითარებაში. – წიგნ.: ქიქოძე გ. ლიტერატურული ნარკვევები; რედ.: შალვა რადიანი. – თბ.: ფედერაცია, 1938. – გვ. 84-108
- 1505. ქიქოძე გერონტი.** ილია ჭავჭავაძის პორტრეტისათვის. – წიგნ.: ქიქოძე გ. ლიტერატურული ნარკვევები; რედ. შალვა რადიანი. – თბ.: ფედერაცია, 1938. – გვ. 108-116.
- 1506. შერმანი დ. ბ.** ბრიკის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძე. – ჟურ. “მნათობი”. – 1938. – №5. – გვ. 184-186.
განხილულია ბორის ბრიკის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების წიგნი, რომელიც 1937 წელს გამოიცა.
- 1507. ჩავლეიშვილი ალ.ექსანდრე** ილია ჭავჭავაძე – ლიტერატურის თეორეტიკოსი. – ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1938. – 79 გვ.
შინაარსი: მხატვრული ლიტერატურის დანიშნულება და პოეტი; ხელოვნების, სპეციფიკისა, ნაწარმოების იდეურობისა და პოეტობის ნიჭის შესახებ; ტიპიზაციის თეორია და მისი შემოქმედებითი რეალიზაცია; ილია ჭავჭავაძე და დრამის თეორია; ვულგარული სოციოლოგიზმის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გაგებაში.
- 1508. ჩიქობავა არნოლდ.** ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ / რედ.: პროფ. სიმონ ჯანაშია; დაიბეჭდა სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის განკარგულებით, თავმჯდ. ნ. მუსხელიშვილი. – ტფ., 1938. – 15 გვ.
მოხსენების მიზანი, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, არის გასცეს პასუხი კითხვაზე : “რა თეორიულმა საენათმეცნიერო კონცეფციებმა პოვეს გამოხატულება ენის შესახებ კამათში ძველს თაობასა და ილია ჭავჭავაძეს შორის და რა ადგილი უჭირავს ამ კონცეფციებს ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში.”
- 1509. ცაიშვილი სოლ.** ნაკვესისათვის. – წიგნ.: ნაკვესები ამოკრეფილი გაზეთ "ივერიიდან". – თბ., 1938. – გვ. 3-14.
ილიას მიერ დამკვიდრებული სიტყვის "ნაკვესის" შესახებ. წიგნში შესულია ილიას 84 ნაკვესი.
- 1510. ცინცაძე პოლ.** ილია ჭავჭავაძე: სოციალ-ეკონომიური მრწამსი და შემოქმედება / რედ.: დიმიტრი ბენაშვილი. – თბ.: ფედერაცია, 1938. – 260 გვ.
შინაარსი: შესავალი; ჩვენი სამოციანი წლები და ილია ჭავჭავაძე; ეროვნული საკითხი და ილია; ილია და მსოფლიო პოლიტიკის საკითხები; ილია ჭავჭავაძის პოეზია; ილიას ბელეტრისტული ნაწარმოებნი.
- 1511. ჯავახიშვილი ივანე.** ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. – თბ.: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამ-ბა, 1938. – 36 გვ.

1939

- 1512. ასათიანი შ.** ილია ჭავჭავაძე როგორც რედაქტორი. – ჟურ. “კორესპონდენტის დასახმარებლად”. – 1939. – №6. – გვ. 15-17.
- 1513. ბარამიძე ალექსანდრე.** ილია ჭავჭავაძე და "ვირსამიანი". – წიგნ.: ილია ჭავჭავაძე: საიუბილეო კრებული (1837-1937) / რედ.: პროფ. მიხ. ზანდუკელი, დოც. ვ. კაკაბაძე. – თბ.: თსუ გამ-ბა, 1939. – გვ. 223-228.

- 1514. ბარამიძე გრ.** ილია ჭავჭავაძის შესწავლა V კლასში (მასწავლებელთა დახმარებისათვის). – თბ.: დაწყებითი და საშუალო სკოლების სამეც. საკვლევო ინ-ტის გამ-ბა, 1939. – 39 გვ.
- 1515. ბეგიაშვილი თ.** ილია ჭავჭავაძე – პედაგოგიური თხზულებანი. – ჟურ. “კომუნისტური აღზრდისათვის”. – 1939. – №8. – გვ. 122-123.
- 1516. გრიშაშვილი იოსებ.** ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი. – წიგნ.: ილია ჭავჭავაძე: საიუბილეო კრებული (1837-1937) / რედ.: პროფ. მიხ. ზანდუკელი, დოც. ვ. კაკაბაძე. – თბ.: თსუ გამ-ბა, 1939. – გვ. 79-106.
შინაარსი: ილია და მეფე ლირი; ილია დეკლამატორი; რა მისცა ილიამ თეატრს? ილიას პიესა “მაჭანკალი”. ნატო გაბუნია მაჭანკლის როლში.
- 1517. ზანდუკელი მიხეილ.** ქართული ლიტერატურის მეთოდოლოგია: სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. – მეორე გამოცემა / რედ. გ. თავიშვილი. – თბ.: სახელგამი, 1939. – 266 გვ.
სახელმძღვანელოში დიდი ადგილი ეთმობა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების სწავლების მეთოდოლოგიას (“კაცია ადამიანი?!” “რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცოვრებიდან”, “განდეგილი”). ავტორი განიხილავს მეტყველების სტილს – “კაცია ადამიანის მაგალითზე”; სინონიმებს – “განდეგილის ” მაგალითზე და სხვა. აქვეა მოსწავლეთა მიერ პიესად გადაკეთებული “კაცია ადამიანი?!”
- 1518. ზანდუკელი მიხეილ.** ხალხოსნების მხატვრული შემოქმედება. – წგნ-ში: ახალი ქართული ლიტერატურა / მიხ ზანდუკელი; რედ. პროფ. კორნელი კეკელიძე. – თბ.: “ზარია ვოსტოკა,” 1939. – გვ. 52-65.
ავტორი აღნიშნულ წერილში ეხება ილიას შემოქმედებასაც და ხაზს უსვამს მისი პოეზიისა და პროზის მაღალმხატვრულ ღირსებებს, რაც ხალხოსანთა შემოქმედებაში ნაკლებად შეიმჩნევა.
- 1519. თავიშვილი გ.** სამშობლო ენა და ლიტერატურა. – წიგნ.: საბჭოთა პატრიოტიზმი და პატრიოტული აღზრდა / რედ. გ. კიკნაძე. – თბ.: განსახკომის სამეცნ. საკვლევო ინ-ტი, 1939. – გვ. 24-38.
ენის საკითხის განხილვისას, ავტორი რუსული ენის ცოდნის აუცილებლობაზე საუბრობს. მისი თვალსაზრისით ილია – “გამოჩენილი ქართველი დემოკრატი და რევოლუციონერი” – ახალგაზრდობას მოუწოდებდა რუსული ენის შესწავლის აუცილებლობაზე და იმოწმებს ილიას შეხედულებას რუსული ლიტერატურის მიმართ: “რუსულმა სკოლამ _ მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმანვე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა”. ავტორი აქვე საუბრობს ილიას პატრიოტიზმზე და აღნიშნავს: “ილია ჭავჭავაძეს პატრიოტობა წმინდათა-წმინდა გრძნობად მიაჩნდა” და მოჰყავს მაგალითები ილიას შემოქმედებიდან.
- 1520. ილია ჭავჭავაძის სახლი საგურამოში.** _ გაზ. "კომუნისტი". – 1939. _ 28 იანვ. _ გვ. 4.
- 1521. ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული (1837-1937) /** [რედ.: პროფ. მ. ზანდუკელი, დოც. ვ. კაკაბაძე; ბიბლიოგრაფია შეადგინეს: თ. ნაკაშიძემ და ნ. კორძაიამ. _ თბ.: თსუ, 1939 _ 429 გვ.
კრებულში შევიდა შემდეგი მასალა _
I. წერილები: პროფ. ა. შანიძე _ ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის; პროფ. მიხ. ზანდუკელი _

ილია ჭავჭავაძე როგორც სატირიკოსი; **პროფ. სიმონ ხუნდაძე** – ილია ჭავჭავაძე და ბატონყმობის საკითხი; **ი. გრიშაშვილი** – ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი; **დოც. შალვა რადიანი** – ილია ჭავჭავაძე-კრიტიკოსი; **დოც. ვანო კაკაბაძე** – ი. ჭავჭავაძე ჟურნალ "ცისკარსა" და "საქართველოს მოამბეში"; **გ. აბზიანიძე** – ილია ჭავჭავაძე, როგორც ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე; **პროფ. მიხ. ზანდუკელი** – ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ნაწარმოების ახალი ავტოგრაფები; **პროფ. გ. თავზიშვილი** – ილია ჭავჭავაძე აღზრდის პროცესი; **დოც. პაატა გუგუშვილი** – "ივერია" ცენზურის რკალში; **პროფ. ალ. ბარამიძე** – ილია ჭავჭავაძე და ვისრამიანი; **დოც. ანა ჩხეიძე** – ილია და ლერმონტოვი; **ნიკო ტატიშვილი** – ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა; **ნ. ურუშაძე** – ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პარალელები ფრანგული ლიტერატურიდან; **აპოლონ მახარაძე** – ილია ჭავჭავაძე ლიტერატურულ შეკრება-სადამოებზე.

II. მოგონებები: **ა. ახნაზაროვი** – ილია ჭავჭავაძე და მისი დრო (მოგონება); **ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე)** – წარსულის ანარეკლი (მოგონება ილია ჭავჭავაძეზე); **თ. სახოკია** – ილია ჭავჭავაძე (მოგონება); **ევ. გაბაშვილი** – კომისიას, რომელიც აწარმოებს ილია ჭავჭავაძეზე მოგონებათა შეგროვებას; **ალ. მიქაბერიძე** – მოგონება ი. ჭავჭავაძეზე. III. დოკუმენტები: **აჩრდილი (ავტოგრაფი); მაჭანკალი (ავტოგრაფი); წერილი ელისაბედ გრიგოლის ასულის საგინაშვილისადმი; წერილი ნიკო აბხაზისადმი; ბარათები; წერილი გიორგი ჟურულისადმი; წერილი ვასილ მაჩაბლისადმი; წერილი გრიგოლ საყვარელიძისადმი; სიმონ ხუნდაძის არქივიდან ი. ჭავჭავაძის კერძო წერილები; ილიას ბიბლიოგრაფია (1861-1907წწ.)** – [შემდგ.: თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაია]. **პ. გუგუშვილი** – "ივერია" ცენზურის რკალში (დამატება-დოკუმენტები).

1522. ლეონიძე გიორგი. ილიას სურათზე ნათქვამი [ლექსი]. – წიგნ.: ლეონიძე. ლექსები. – თბ.: ფედერაცია. – 1939. – გვ. 110

1523. რადიანი შალვა. ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: რადიანი შ. ლიტერატურული მემკვიდრეობა. – მესამე გამოცემა / რედ. ი. თავაძე. – თბ.: სახელგამი, 1939. – გვ. 3-71.

ნარკვევში მოცემულია მწერლის ბიოგრაფია, განხილულია მხატვრული მისი შემოქმედება, რომელსაც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს.

1524. უროტაძე გრიგოლ. იდეური და ლიტერატურული აღორძინება. – წიგნ.: საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921. – პარიზი, 1939.

წერილი ეხება ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობას ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში.

1525. ჭიჭინაძე კ. ილიასადმი [ლექსი]. – წიგნ.: ჭიჭინაძე კ. რჩეული ლექსები და პოემები. – თბ.: ფედერაცია, 1939. – გვ. 31-34

1940

1526. აბზიანიძე გიორგი. ილია ჭავჭავაძის უცნობი ესთეტიკური ფრაგმენტები. – ლიტერატურის მატთანე / საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. – თბ., 1940. – წგნ. 1-2. – გვ. 485-489

1527. ასათიანი ლევან. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. – თბ.: ფედერაცია, 1940. – 492გვ.

წიგნში ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს აკაკის და ილიას ურთიერთობისა და მეგობრობის ამსახველ ეპიზოდებს. მთლიანად არის გამოქვეყნებული ილიას წერილი აკაკის მიმართ "ივერიასთან" თანამშრომლობის თხოვნით. სრულად არის წარმოდგენილი აგრეთვე ილიას დაკრძალვის ეპიზოდი და აკაკის გამოსათხოვარი სიტყვა.

- 1528.** ანდრონიკაშვილი ი. მოგონება ილია ჭავჭავაძეზე. – ლიტერატურის მატთანე / საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. – თბ., 1940. – წგნ. – 1-2. – გვ. 155-157
- 1529.** ბუქურაული ი. ილია ჭავჭავაძე : [მოგონებანი]. – ლიტერატურის მატთანე / საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. – თბ., 1940. – წიგნი 1-2. – გვ. 140-184
- 1530.** გაბაშვილი ეკატერინე. მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე. – ლიტერატურის მატთანე / საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. – თბ., 1940. – წიგნი 1-2. – გვ. 101-118.
- 1531.** გაბაშვილი ეკატერინე. რამდენიმე შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან. – ლიტერატურის მატთანე / საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. – თბ., 1940. – წიგნი 1-2. – გვ. 119-134
- 1532.** გომიაშვილი ალექსანდრე. ბაზალეთის ტბა [ილიასადმი მიძღვნილი ლექსი]. – წიგნ.: გომიაშვილი ალ. დარიალი. – თბ.: ფედერაცია, 1940. – გვ. 94-95
- 1533.** ერისთავი-ხომტარია ანასტასია მოგონებანი წარსულიდან. – ლიტერატურის მატთანე / საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. – თბ., 1940. – წიგნი. – 1-2. – გვ. 146-148
- 1534.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ახალი (XIX საუკ.) ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამა / რედ.: მიხ. ზანდუკელი. – თბ.: თსუ გამ-ბა, 1940. – გვ. 6-7
- 1535.** ისიანი სევერიან. მცინვარის გოდება (ილიასადმი მიძღვნილი ლექსი). – წიგნ.: ისიანი ს. ლექსები – თბ.: საბჭოთა მწერალი, 1940. – გვ. 42-44
- 1536.** მარგიანი რევაზ. ყვარელში [ლექსი]. – წიგნ.: მარგიანი რ. ლექსები – თბ.: ფედერაცია, 1940. – გვ. 110
- 1537.** მჭედლიშვილი ი. მგოსნის სიკვდილი (მიძღვნად ი. ჭავჭავაძეს): [პოემა]. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1940. – №3. – გვ. – 54-56; №4. – გვ. 44-42; №5. – გვ. 31-39.
- 1538.** ნადირაძე კოლაუ. წიწამურიდან საგურამომდე: [ლექსი]. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1940. – №1. – გვ. 15-16.
- 1539.** ჟღენტი სანდრო სტუმრად ილიასთან: [აკაკი. ლექსი]. – ჟურ. "პიონერი". – 1940. – №6. – გვ. 8
- 1540.** რევოლუციამდელ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა აზრები აკაკი წერეთელზე. – ჟურ. "საბჭოთა ხელოვნება". – 1940. – №6. – გვ. 57-58
მოყვანილია ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ალ. ცაგარელის, ს. მგალობლიშვილის და ხომლეულის აზრები.
- 1541.** ქუჩიშვილი გიორგი. მოგონებათა ფურცლები. აკაკი და ილია. – ჟურ. "ჩვენი თაობა". – 1940
- 1542.** ყიფიანი ნ. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან. – ლიტერატურის მატთანე / საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. – წიგნი 1-2. – 1940. – გვ. 135-145

- 1543.** წერეთელი აკაკი. ილიას მოკვლის გამო [ლექსი]. – წიგნ.: თხზულებანი: სრული კრებული შვიდ ტომად. ლექსები / აკაკი წერეთელი; ა. აბაშელის და პ. ინგოროყვას რედაქტორობით. – თბ., 1940. – ტ. 1. – გვ. 753-75540. – №6. – გვ. 57-60.
- 1544.** Илья Григорьевич Чавчавадзе. (Краткая биография). – [Тб.]: Гос. Трест худож. Пром. Грузии, 1940. – 2 с. – (Биография писателей, деятелей наук, искусства. Серия I, вып. 2).

1941

- 1545.** აბაშიძე ირაკლი. ილია და პარიზის კომუნარები [ლექსი]. – წიგნ.: აბაშიძე ი. რჩეული ლექსები. – თბ.: ფედერაცია, 1941. – გვ. 1941. – გვ. 119.
- 1546.** არჯევანიძე ვ. ი. ჭავჭავაძეს: [ლექსი]. – გაზ. "სტადიონელი" (სოხუმი). – 1941. – 24 აპრ.
- 1547.** მაშაშვილი ალიო. საგურამოსკენ. – წიგნ.: მაშაშვილი ა. ლექსები. – თბ.: სახელგამი, 1941. – გვ. 162-163
- 1548.** ჩერქეზიშვილი ელ. მოგონებანი. – თბ.: "ფედერაცია," 1941. – გვ. 23-32
- 1549.** ქუჩიშვილი გიორგი. ილია ჭავჭავაძეს [ლექსი]. – წიგნ.-ში: რჩეული ლექსები / გიორგი ქუჩიშვილი. – თბ.: საბლიტგამი, 1941. – გვ. 31-34
- 1550.** ხუნდაძე სიმონ. არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში. – წიგნ.: ხუნდაძე ს. ნარკვევები. – თბ.: ფედერაცია, 1941. – გვ. 399-402.
- ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში არსენას სახელი და მისი სახე პირველად ილია ჭავჭავაძემ შემოიტანა, როცა დახატა ყაჩაღად გავარდნილი გლეხის ტიპი "გლახის ნამბობსა" და "კაკო ყაჩაღში".

1942

- 1551.** ასათიანი ლევან [შესავალი წერილი]. – წიგნ.: ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია / რედ. და წინასიტყვაობის ავტ. ლევან ასათიანი. – თბ.: ფედერაცია, 1942. – გვ. 1_4 მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელებად დასახელებული არიან ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა.
- 1552.** კაჭარავა ი. ი. ჭავჭავაძე გერმანიის აგრესიული პოლიტიკის შესახებ. – ჟურ. "მნათობი". – 1942. – №7-8. – გვ. 230-237.
- 1553.** Кикодзе Г. Илья Чавчавадзе. – в кн.: Кикодзе Г. Грузинские классики. – Тб.: Изво «Заря Востока», 1942. – С. 29-43.
- სტატიაში ავტორი აანალიზებს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ორ პერიოდს. იგი ხაზს უსვამს, რომ ილია თავისი მსოფლმხედველობით იყო არა რევოლუციონერ-სოციალისტი, არამედ ჰუმანისტ-რეფორმატორი.

1943

- 1554.** ასლანიშვილი შ. ჩაიკოვსკი საქართველოში. – გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". – 1943. – 12 ნოემბ., გვ. 4. წერილში აღნიშნულია, რომ გაზ. "ივერია", რომლის რედაქტორი ი. ჭავჭავაძე იყო, ბეჭდავს პ. ჩაიკოვსკის

საქართველოში სტუმრობას. (ი. ანდრონიკაშვილის ცნობით ილია და ჩაიკოვსკი პირადად იცნობდნენ ერთმანეთს) "ივერიის" 1890 წ. №22-ში ვკითხულობთ: "15 ოქტომბერს საზაფხულო თეატრში დაიდგა ჩაიკოვსკის ოპერა "ევგენი ონეგინი", თბილისში მყოფი კომპოზიტორი თვით ხელმძღვანელობდა სპექტაკლს".

- 1555.** კაპანელი კონსტანტინე. ქართული მწერლობის ტრადიციები. – გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". – 1943. – 5 ნოემბ. – გვ. 2
სტატიაში განხილულია "ოთარაანთ ქვრივი".

1944

- 1556.** ბერიძე ვუკოლ. ილია ჭავჭავაძე და "ვეფხისტყაოსანი". – "ენიმკის მოამბე". – ტ. 14. – 1944. – გვ. 150-170.
- 1557.** ბუაჩიძე შ. პირველი ქართული ფილარმონიული საზოგადოება. – გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". – 1944. – 25 მარტი. – გვ. 4 1904 წ. 15 სექტემბერს (ძვ. სტილით) დამტკიცდა ქართული ფილარმონიული საზოგადოების წესდება. საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ს. მგალობლიშვილი, ვ. აბაშიძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და სხვ.
- 1558.** გორდუზიანი ბ. ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ქართველი მწერლები: ალბომი. ოცდაცხრა პორტრეტი წინასიტყვაობით და მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით / რედ.: გ. ნატროშვილი. – თბ.: სახელგამი, 1944. – გვ. 38-40
- 1559.** ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი. – გაზ. "ლიტ. და ხელოვნება". – 1944. – 25 მარტი. – გვ. 4 სოფ. ყვარლის ილიასეულ სახლში გახსნილმა მუზეუმმა შეიძინა არტემ ახნაზაროვისაგან ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ გამოცემებს, აგრეთვე ილიასადმი მიძღვნილ გამოცემებს.
- 1560.** მეუნარგია იონა. ილია ჭავჭავაძე: (მოგონებანი): ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან. – წიგნ.: ქართველი მწერლები / რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი სოლომონ ცაიშვილი. – თბ.: საბლიტგამი, 1944. – ტ. II. – გვ. 179-200. – ბიბლიოგრაფია: ლიტერატურა შენიშვნებში.
მოგონებებში ასახულია ილიას ცხოვრების სხვადასხვა პერიოდი: ბავშვობა და სტუდენტობის წლები, "საქართველოს მოამბის" გამოცემასთან დაკავშირებული ეპიზოდი, "ივერიის" რედაქტორად მუშაობის პერიოდი. გადმოცემულია მისი, როგორც რედაქტორის ფაქიზი დამოკიდებულება სხვისი ნაწერისადმი, მაგრამ ამავე დროს მკაცრი მიდგომა ქართული ენის სწორი ფორმების დარღვევის მიმართ. აღნიშნულია აგრეთვე, ილიას მიერ ქართულ ენაში სხვადასხვა ტერმინისა და ენობრივი ფორმების შემოღება შესაბამისი მაგალითების მოყვანით.
- 1561.** ნაკაშიძე ნინო ილია და პატარა ბიჭუნა: [საბავშვო მოთხრობა] / რედ. გ. თავზიშვილი; მხატვ. შ. ბერიტაშვილი. – თბ.: საბლიტგამი, 1944. – 6 გვ.: ილ.
- 1562.** ჭუმბურიძე ჯ. "ოთარაანთ ქვრივი" ქართულ კრიტიკაში / ხელმძღ. გრ. კიკნაძე. – თსუ-ს სტუდენტთა შრომების კრებული, წიგნი 2. – 1944. – გვ. 29-49.

1945

- 1563.** ასათიანი ლევან. ილია ჭავჭავაძე რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობაზე. – წიგნ.: ასათიანი ლ. წერილები – თბ.: საბჭოთა მწერალი, 1945. – გვ. 37-49.
- 1564.** ასათიანი ლევან. ილია ჭავჭავაძე და გერმანიის მილიტარიზმი. – წიგნ.: ასათიანი ლ. წერილები. – თბ.: საბჭოთა მწერალი. – 1945. – გვ. 27-36.
- 1565.** ურუშაძე ვ. ი. ჭავჭავაძის "განდეგილი" და მარჯორი უორდროპი. – ჟურ. "მნათობი". – 1945. – №10. – გვ. 100-110.
- 1566.** ჯიბლაძე გიორგი. გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში. – წიგნ.: ჯიბლაძე გ. კრიტიკული წერილები. – თბ.: სახელგამი, 1945. – გვ. 166-201

1946

- 1567.** ასათიანი ლევან. მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან. – ჟურ. "მნათობი". – 1946. – №2-3, გვ. 261-266
წერილში გაშუქებულია ილიას დამსახურება ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.
- 1568.** კეკელია შ. ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური მემკვიდრეობა და მის ნაწარმოებთა სწავლების მეთოდოლოგია / რედ.: პროფ. გ. თავზიშივილი. – თბ.: ტექნიკა და შრომა, 1946. – 114 გვ.
შინაარსი: ავტორისაგან; ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლისათვის; ილია ჭავჭავაძის შესწავლისათვის შვიდწლედსა და საშუალო სკოლაში; ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის შესწავლა; ილიას შემოქმედება მე-5-7 კლასებში; ილიას შემოქმედება მე-9 კლასში.
- 1569.** ნადირაძე კოლაუ. წიწამურიდან საგურამომდე [ლექსი] . – წიგნ.: ნადირაძე კ. დიდ გზასთან. – თბ.: საბჭოთა საქართველო, 1946. – გვ. 33-34
- 1570.** ნაკაშიძე ნინო. ილია ჭავჭავაძის გარშემო. – წიგნ.: ნაკაშიძე ნ. მოგონებანი. – თბ.: საბჭოთა მწერალი, 1946. – გვ. 38-129
- 1571.** შანშიაშვილი სანდრო. ილია ჭავჭავაძე (მოგონება). – წიგნ.: შანშიაშვილი ს. მოთხრობა. გამომცემლობა. – თბ.: საბჭოთა მწერალი, 1946. – გვ. 201-312
- 1572.** წულუკიძე ვანო. ილია ჭავჭავაძე 1837-1907 / რედ.: გ. ნატროშვილი. – თბ.: ლიტერატურა და ხელოვნება, 1946. – 23 გვ. (ლიტერატურა და ხელოვნების ბიბლიოთეკა)
- 1573.** ჯიბლაძე გიორგი. ილია ჭავჭავაძე და ხელოვნების რელისტიური თეორია. – წიგნ.: ჯიბლაძე გ. მხატვრული შემოქმედების ნარკვევები. – თბ.: საბჭოთა მწერალი, 1946. – გვ. 197-230

1947

- 1574.** გრძელიშვილი გრ. დიდი მწერალი და მოაზროვნე (ილია ჭავჭავაძის მკვლევლობიდან 40 წლისთავის გამო). – გაზ. "საბჭ. ოსეთი". – 1947. – 12 სექტ.
- 1575.** 1887 წლის ნოემბრის 8. – სია იმ პირთა, რომლებიც დ. ყიფიანის დაკრძალვისას, პოლიციის განკარგულების მიუხედავად არ ჩამოსცილდნენ პროცესიას. – საისტორიო მოამბე. – ტ. III. – 1947. – გვ. 510-511

- სიაში შეყვანილია მხოლოდ ცნობილი პირები, სულ 23 პირი, მათ შორის ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი
- 1576. ილიას ანდერძის შესახებ, შედგენილი 1905 წლის 5 ივლ.** _ საისტორიო მოამბე. _ ტ. 3. _ გვ. 265-266.
1905 წლის 5 ივლისს ილიამ ნოტარიალურად დაამოწმებინა თავისი ანდერძი ილია წინამძღვრიშვილს.
ანდერძის თანახმად: გარდაცვალების შემდეგ ილია მმთელ თავის უძრავ-მოდრავ ქონებას უტოვებს მეუღლეს ოლღა ჭავჭავაძეს, ოლღას მიცვალების შემდეგ კი, საგვარეულო ქონებას კანონიერი მემკვიდრეები მიიღებდნენ. ხოლო ილიას მიერ შეძენილი მმთელი უძრავ-მოდრავი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცემოდა.
- 1577. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე (1837-1907).** მოკლე ბიბლიოგრაფია / შემდგ.: გ. ბერულავა; ბიბმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის მეთოდკაბინეტი. _ თბ., 1947. _ 43 გვ.
შინაარსი: ილია ჭავჭავაძე [შემოქმედება და მოღვაწეობა]; ილიას ავტობიოგრაფია; ილია ჭავჭავაძის ძირითადი ნაწარმოებნი; ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ძირითადი გამოცემანი; რა წავიკითხოთ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ; ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსები.
- 1578. ილია ჭავჭავაძე 1907-1947** [40 წელი ვერაგული მკვლელობიდან]. _ გაზ. "საბჭ. აფხაზეთი". _ 1947. _ 13 სექტ.
- 1579. იოვიძე ა.** ილია ჭავჭავაძე - დოკუმენტური მასალები. _ საისტორიო მოამბე. _ 1947. _ ტ. 3. _ გვ. 145-283 ნაშრომში წარმოდგენილია საქ. ცენტრ. საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები (99 დოკ.), რომლებიც მოიცავს 1820-1915 წ.წ.
- 1580. ზამბახიძე ვ.** დიდი პატრიოტი და პედაგოგი (ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 40 წლისთავის გამო). _ გაზ. "სახალხო განათლება". _ 1947. _ 11 სექტ.
- 1581. ზოტიკაშვილი გ.** ილია ჭავჭავაძე. (მისი ვერაგული მკვლელობის 40 წლისთავის გამო). _ გაზ. "სტალინური გზით" (დუშეთი). _ 1947. _ 13 სექტ.
- 1582. თეოშვილი მ.** ილია ჭავჭავაძე: [ლექსი]. _ გაზ. "სოციალიზმის მშენებელი" (ხობი). 1947. _ 14 სექტ.
- 1583. ლიანიძე კ.** დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. (ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 40 წლისთავის გამო). _ გაზ. "მგზნებარე კოლხიდელი" (ფოთი). _ 1947. _ 12 სექტ.
- 1584. მიქელაძე მ.** ილიას მამულში: [ლექსი]. - გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". _ 1947. _ 20 სექტ.
- 1585. რადიანი შალვა.** ილია ჭავჭავაძე. - წიგნ.: რადიანი შ. ლიტერატურული მემკვიდრეობა. - თბ.: საბჭოთა მწერალი, 1947. - გვ. 199-295.
ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ილიას ბიოგრაფიას, პეტერბურგის წლებს, მის პუბლიცისტურ და მხატვრულ ლიტერატურას.
- 1586. რატიანი პროკოფი.** ილია ჭავჭავაძე და ბატონყმობა. - გაზ. "საბჭ. აფხაზეთი". _ 1947. _ 13 სექტ.
- 1587. ქიქოძე გერონტი.** ილია ჭავჭავაძე. - წიგნ.: ქიქოძე გ. ქართული ლიტერატურის ისტორია: XIX საუკუნე; რედ. კ. კალანდაძე. - თბ.: სახელგამი, 1947. - 109-142.

შინაარსი: ბავშვობის და სიჭაბუკის წლები; პირველი ლიტერატურული ბრძოლები; “საქართველოს მოამბე;” ილია პროვინციაში. ბანკი. “ივერია;” ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი წლები; ილიას მსოფლმხედველობა; ნაციონალური პრობლემა: “მგზავრის წერილები”, “აჩრდილი”, “მეფე დიმიტრი თავდადებული”; სოციალური საკითხი: “კაცია ადამიანი,” “გლახის ნაამბობი”, “კაკო ყაჩაღი”; “ოთარაანთ ქვრივი”, წოდებათა ურთიერთობის საკითხი; ისტორიის პრობლემები; ილიას ლირიკა.

- 1588. ჩავლეიშვილი ალექსანდრე.** ილია ჭავჭავაძის "კაცია-ადამიანის?!" გამო. - სახალხო განათლება. _ 1947. _ №14. "კაცია_ადამიანის?!" სათაურის გაგებისათვის.
- 1589. ჩხეტია შ.** მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე. _ საისტორიო მოამბე. _ ტ. III. _ 1947. _ გვ. 334_335, 355-356, 358. გამოკვლევაში მოყვანილია ი. ჭავჭავაძის შეფასებები და გამონათქვამები დ. ყიფიანის პიროვნებასა და მისი მოღვაწეობის შესახებ.
- 1590. სიხარულიძე ქსენია.** ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება. _ გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". _ 1947. _ 20 სექტ.
- 1591. ქარელიშვილი ე.** დიდი ილია. (40 წელი ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობიდან). _ გაზ. "ახ. კომუნისტი". _ 1947. _ 13 სექტ.
- 1592. წულუკიძე ვ.** ქართველი ხალხის სიამაყე. (ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 40 წლისთავის გამო). _ გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". _ 1947. _ 20 სექტ.
- 1593. ჭილაია სერგი.** ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი. (40 წელი ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობიდან). _ გაზ. "კომუნისტი". _ 1947. _ 12 სექტ.
- 1594. Имедадзе В.** Об одной малоизвестной речи И. Чавчавадзе: [Речь при встрече с Е. Л. Марковым, касается вопроса присоединения Грузии к России]. – газ. «Заря Востока», 1947. - 12 сент.

1948

- 1595. ალექსიშვილი ვ.** მოგუაროთ ილიას ობელისკს (მოკლე შენიშვნები). - გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". _ 1948. _ 18 ივლ.
- 1596. არაბული ი.** ყვარელში: [ლექსი ილიას ხსოვნას]. - გაზ. "ახ. კომუნისტი". _ 1948. _ 25 მარტი
- 1597. გაწერელია აკაკი.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: გაწერელია ა. ლიტერატურული ნარკვევები. – თბ.: სახელგამი, 1948. – გვ. 134-141.
ნარკვევში მოკლედ არის განხილული ილიას ეპოქა, მოცემულია ილიას პოეზიის მხატვრული ანალიზი, ახსნილია მისი შემოქმედების სიძლიერის მიზეზები. სტატიის დასასრულს ავტორი ეხება პოეტის მკვლელობის ფაქტს და ასკვნის: “ილია ჭავჭავაძის ცხოვრების დასასრული ტრაგიკული ეპიზოდია ქართველი ხალხის ისტორიაში”.
- 1598. გოზალიშვილი შალვა.** ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე ყაზბეგი. – გაზ. "სახალხო განათლება". _ 1948. _ 30 სექტ. წერილში გადმოცემულია ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული ურთიერთობანი. აღ. ყაზბეგის თანამშრომლობა გაზ. “ივერიასთან”.

- 1599. დადიანი შალვა.** ილია. – წიგნ.: დადიანი შ. ჩემი მარაო: მოგონებანი. სიტყვები და წერილები / რედ. ს. ჭილაია; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. – თბ.: საბლიტგამი, 1948. – გვ. 7-14.
- შალვა დადიანი “დიდ ლამპარს” უწოდებს ილიას და იხსენებს ივანე მაჩაბლისა და ილიას დაპირისპირების ეპიზოდს თბილისის ბანკის კრებაზე. ავტორი გამოხატავს საზოგადოებისა და საკუთარ გულისტკივილს ამ ორი “ბუმბერაზი” ადამიანის გამწვავებული დავის გამო.
- 1600. კერესელიძე გიორგი.** ბეთლემის აღმოჩენის შესახებ. _ ჟურ. “ბედი ქართლისა” _ პარიზი. _ 1948. _ №2 ბეთლემის მონასტრის აღმოჩენასა და ამ აღმოჩენით ილიას დაინტერესების შესახებ.
- 1601. კეშელავა პ.** ილიას მუზეუმში [საგურამო]. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1948. _ 7 აპრ.
- 1602. მაჭავარიანი თამარ.** ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა. _ ბიბლიოგრაფიის მოამბე. _ №4-5. _ 1948. _ გვ. 221-236
- ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში მისი აღწერის პერიოდისათვის იყო 414 წიგნი. შემდგენელი აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკის ფონდის დიდი ნაწილი დაკომპლექტებულია შეძენილი წიგნებით. ბიბლიოთეკა შეიცავს აგრეთვე ნაჩუქარ წიგნებს.
- შემდგენელს მოჰყავს ილიას მიერ წიგნებზე მუშაობისას გაკეთებული ჩანიშვნები, ჩანაწერები და სხვა.
- 1603. მახათაძე ნ.** ი. ჭავჭავაძის "განდეგილის" ფოლკლორული წყაროები / ხელმძღვ. მ. ჩიქოვანი. _ თსუ-ს სტუდენტთა შრომების კრებული, წიგნი 3. _ 1948. _ გვ. 225-236.
- 1604. ჟურული გიორგი.** მოგონებიდან _ ჟურნ. “ბედი ქართლისა” _ პარიზი. _ 1948. _ №2.
- მოგონებაში აღწერილია სოფ. ქურთაში იასონ მაჩაბლის ოჯახში გამართული წვეულება, როდესაც პირდაპირ სუფრასთან წაიკითხეს გაზეთ “ივერიის” ახალი ნომრიდან ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი პუბლიკაცია.
- 1605. რატიანი პროკოფი.** ილია ჭავჭავაძე და "მესამე დასი". - "მნათობი". _ 1948. _ №8. _ გვ. 129-143.
- 1606. რატიანი პროკოფი.** მარქსიზმთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხისათვის (ახალი დოკუმენტების აღმოჩენის გამო). _ გაზ. "კომუნისტი". _ 1948. _ 16 ივნ.
- 1607. რატიანი პროკოფი.** ილია ჭავჭავაძე : ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი / რედ.: ბ. ნანიტაშვილი. – თბ.: სახელგამი, 1948. – 334 გვ.
- 1608. რატიანი პროკოფი.** ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი: თეზისები დის. ისტ. მეცნ. კანდ სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად / რედ.: შ. რადიანი; საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინ-ტი. _ თბ., 1948. _ 8 გვ.
- 1609. რობაქიძე გრიგოლ.** მიხეილ წერეთელი. მოგონებათა ფარდული. _ ჟურ. “ბედი ქართლისა” _ პარიზი, 1948. _ №3.
- წერილი ეხება მიხაკო წერეთლის მიერ ილიას დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვას.
- 1610. რობაქიძე გრიგოლ.** საუბარი კარდუსთან. _ ჟურ. “ბედი ქართლისა” _ პარიზი, 1948. _ №1.

მწერალი ილიას უწოდებს საქართველოს დიდ მოურავს: “სწორედ იგი: ნამდვილი მოურავი ქართველთა! საქართველო მაშინ ხერხემალგატეხილი ეგონათ – ილიამ ეს ხერხემალი ისე მაგრად გამართა, რომ მას ვერავითარი წელკავი ვეღარ მოგრეხდა.”

- 1611. სამხარაძე გიორგი.** ი. ჭავჭავაძე და რუსი საზოგადოებრიობა. (ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი სხდომა მოსკოვში 1908 წელს). – გაზ. "ლიტ. ქუთაისი" (ერთდროული ორგანო). – 1948. – 14 დეკ.
- 1612. ილია ჭავჭავაძე.** – წიგნ.: ქართული ლიტერატურა: სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მე-10 კლასისათვის / შემდგ.: შ. რადიანი, პ. კეკელიძე, გრ. ბარამიძე, დ. გამეზარდაშვილი, ა. გაჩეჩილაძე, ა. ჭილაია; გიორგი ჯიბლაძის რედაქციით; – თბ. – 1948.
- 1613. შადური ვანო.** ბელინსკი ქართულ ლიტერატურაში. – წიგნ.: შადური ვ. ბესარიონ ბელინსკი. 1811-1848. – თბ., 1948. – გვ. 76-93.
ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ბესარიონ ბელინსკისადმი.
- 1614. ჩოდრიშვილი მ.** მოგონებები. – თბ., 1948.
ავტორი იხსენებს 1905 წ. ერთ-ერთ შეხვედრას, რომელზეც ილიამ მოითხოვა რუსეთის ხელისუფლების წინაშე დაეცნებინათ საქართველოს ავტონომიის საკითხი.
- 1615. ხუციშვილი ს., ტატიშვილი ნ.** საქართველოს მოამბე. 1863. ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია. წინასიტყვაობით, საძიებლებით და შენიშვნებით. – ბიბლიოგრაფიის მოამბე №4-5, 1948. გვ. 287-327.
გამოცემაში აღნიშნულია, რომ 1863 წ. ილიამ დააარსა ჟურ. "საქართველოს მოამბე". სულ გამოვიდა 12 ნომერი. "ჟურნალს ორი ლამპარი უნდა ჰქონოდა: მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი" – წერდა ილია. ბიბლიოგრაფიაში მოცემულია ცალკეული ნომრის შინაარსი. ერთვის ავტორთა, პირთა და საგნობრივი საძიებლები.
- 1616. Гольцев В.** Грузинские писатели девятнадцатого века. – М., 1948. – 166 с.

1949

- 1617. აზიანი ნ.** მოგონებანი ქართველ მწერლებზე. 1. ილია ჭავჭავაძე და სხვა. – ლიტერატურული მატთანე. – 1949. – წიგნი 5, ნაკვ. 1. – გვ. 3-23
- 1618. ასათიანი ლევან** ნარკვევები ილია ჭავჭავაძეზე. – წიგნ.: ასათიანი ლ. ქართული მწერლობა; რედ. ვ. კუპრავა. – თბ.: საბჭოთა მწერალი, 1949. – გვ. 205-236.
შინაარსი: ილია ჭავჭავაძე რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობაზე; ილია ჭავჭავაძე და გერმანული მილიტარიზმი; ილია ჭავჭავაძე და თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მიწები.
- 1619. ასათიანი ლევან.** პუშკინი და ქართული კულტურა / რედ.: სიმონ ჩიქოვანი. – თბ.: "საბჭოთა მწერალი", 1949. – 93 გვ.
ავტორი ეხება ილიას დამოკიდებულებას ა. პუშკინის მიმართ. განიხილავს პუშკინის ლექსების ილიასეულ თარგმანებს. ციტირებული აქვს ილიას თვალსაზრისი რუსული ლიტერატურის შესახებ. მიუთითებს პუშკინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გაზ. "ივერიის" შინაარსზე.

- 1620.** **ბახტაძე ვ.** ილია ჭავჭავაძის სოციალ-ეკონომიკური შეხედულებანი. _ თსუ-ს შრომები, ტ. 34., _ 1949. _ გვ. 273-298
- 1621.** **ენაკოლოფაშვილი ვ.** ახალი მასალები ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიისათვის. _ გაზ. "ლიტ. დახელოვნება". _ 1949. _ 18 სექტ.,
- 1622.** **კემელავა პ.** ილია ჭავჭავაძის პირადი წერილები: [ი. ჭავჭავაძე. "წერილები". იოსებ ბოცვაძის რედაქციით და შენიშვნებით. აფხაზეთის სახელგამი, 1949. რეც.]. _ გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". _ 1950. _ გვ. 27
- 1623.** **რადიანი შალვა.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: რადიანი შ. ახალი ქართული ლიტერატურა: წიგნი პირველი. – თბ.: სახელგამი, 1949. – გვ. 330-405
- 1624.** **რადიანი შალვა.** ძველი და ახალი თაობის ბრძოლა. _ წიგნ.: რადიანი შ. ახალი ქართული ლიტერატურა: წიგნი პირველი. – თბ.: სახელგამი 1949. – გვ. 305-329
- 1625.** **რატინი პროკოფი.** ილია ჭავჭავაძის პირადი წერილები: [რეცენზია]. _ გაზ. "კომუნისტი". _ 1949. _ 18 ნოემბ.
- რეცენზია წიგნზე: "ი. ჭავჭავაძე. წერილები" / ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით; რედ.: შ. რადიანი. _ თბ., 1949. _ 206 გვ.
- 1626.** **რატინი პროკოფი.** ილია ჭავჭავაძე : ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი / რედ. ბ. ნანიტაშვილი. – თბ.: სახელგამი, 1948. – 334 გვ.
- შინაარსი: შესავალი; ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის წყაროები; ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლები; ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი; ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი (გაგრძელება).
- 1627.** **რობაქიძე გრიგოლ.** სათავენი ჩემი შემოქმედებისა. _ ჟურ. "ბედი ქართლისა" _ პარიზი. _ 1949. _ №5.
- ილიას მიერ ვაჟა-ფშაველას ლექსების პირველი შეფასების შესახებ.
- 1628.** **დლონტი შ.** ილია ჭავჭავაძე. "წერილები". _ გაზ. "საბჭ. აფხაზეთი". _ 1949. _ 24 ნოემბ.
- რეცენზია წიგნზე: ი. ჭავჭავაძე. წერილები / ი. ბოცვაძის რედაქციით და წინასიტყვაობით; რედ. შ. რადიანი. _ სოხუმი., 1949
- 1629.** **შალამბერიძე გიორგი.** "კაცია-ადამიანის?!" სათაურის გაგებისათვის. – ჟურ. "სახალხო განათლება". _ 1949. _ № 34
- 1630.** **ჩავლეიშვილი ალექსანდრე.** ილია ჭავჭავაძის "კაცია-ადამიანის?!" გამო. – წგნ-ში: ნარკვევები მეცხრამეტე სუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან / ალ. ჩავლეიშვილი. – თბ., 1949. – გვ. 65-86
- 1631.** **ხუნდაძე სიმონ.** ილია ჭავჭავაძე. _ წიგნ.: ხუნდაძე ს. მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის / რედ. ლევან ასათიანი. _ თბ.: საბჭოთა მწერალი, 1949. _ გვ. 26-49.
- ნაშრომში შესულია ილია ჭავჭავაძის პირადი ბარათები სიმონ ხუნდაძის საფუძვლიანი შენიშვნებისა და განმარტებების დართვით. მასალა დალაგებულია თემატიკურ-ქრონოლოგიური თვალსაზრისით.

1950

- 1632.** **აბზიანიძე გიორგი** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: აბზიანიძე გ. ქართველი კლასიკოსები; რედ.: ს. ჭილაია. – თბ.: სახელგამი, 1950. – გვ. 127-170.

ავტორი ეხება ილიას ღვაწლს ეროვნული ცნობიერების დამკვიდრებისათვის საზოგადოებში. განიხილავს მის მხატვრულ შემოქმედებას.

1633. დადიანი შალვა. PRO DOMO SUA – წიგნ.: დადიანი შ. რჩეული წერილები; რედ. ბესო ჟღენტი. – თბ.: საბჭოთა ხელოვნება, 1950. – გვ. 162-168.

წერილი ეხება ილიას მოტივებზე შექმნილი პიესის “ჩატეხილი ხიდის” შესახებ მიმდინარე დისკუსიას. “გახმაურების მიზეზი, ცხადია, ბუმბერაზი ილიაა”... “ჩატეხილ ხიდში” მთავარი ილიაა” - წერს ავტორი სპექტკლის წარმატების შესახებ.

1634. ეგნატე ნინოშვილის მოხსენებითი ბარათი ილია ჭავჭავაძისადმი: [პასუხი წ. კ. საზ-ბის შეკითხვებზე, რომელიც დაცულია ცენტრარქივში (ფ. 481). მოგვაწოდა ს. ყუბანეიშვილმა]. – ჟურ. “სახალხო განათლება”. _ 1950. _ 13 იანვ.

მოხსენებით ბარათში აღწერილია სოფ. ჩოჩხათის დაწყებითი სკოლის მძიმე მდგომარეობა, სადაც ეგ. ნინოშვილი მუშაობდა მასწავლებლად.

1635. თოფურია ა. ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი. შემოქმედებითი ნათესაობის საკითხისათვის. _ ჟურ. “მნათობი”. _ 1950. _ №11.

1636. ჟურული გიორგი. მცირე რამ დიდ ილიას შესახებ. _ ჟურ. “ზედი ქართლისა”. _ (პარიზი). _ 1950. _ №8.

მოგონებაში აღწერილია ორი შემთხვევა, როდესაც ილიას მოუწია იძულებით დათმობაზე წასულიყო რუსეთის ხელისუფლების მიმართ: ერთხელ, როცა გამოაქვეყნა “ივერიაში” იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ნეკროლოგი და მეორედ, როცა თავისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაადო.

1637. ცაიშვილი ს. ილია ჭავჭავაძის წერილები. – ჟურ. “მნათობი”. _ 1950. _ №5. _ გვ. 173-176.

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა ი. ბოცვაძის მიერ შედგენილი წიგნისა “ი. ჭავჭავაძე, წერილები”. _ სოხუმი, 1949

1638. ჭუმბურიძე ჯ. ბელინსკი და ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების ქართული ლიტერატურული კრიტიკა. – თსუ-ს შრომები, 1952. – ტ. 2

1639. ხომერიკი ნუნუ. ილია ჭავჭავაძის სახლი საგურამოში / საქ. სახელმწ. ლიტერატურული მუზეუმი. _ თბ., 1950. _ 72 გვ.

1951

1640. ბალახაშვილი ი. რამდენიმე ნიმუში ილია ჭავჭავაძის მიერ ახალი სიტყვების შემოტანისა. _ ჟურ. “მნათობი”. _ 1951. _ №5. _ გვ. 101-104

1641. ბაქრაძე ა. ი. ჭავჭავაძის “განდეგილის” მეთოდური დამუშავება. _ წიგნ.: მასწავლებელთა გამოცდილებიდან. კრ. I. _ თბ., 1951.

1642. გოზალიშვილი შალვა. ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები. _ თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1951. _ 232 გვ. (ს. ჯანაშიას სახ. საქართ. სახელმწიფო მუზეუმი. ისტორიული დოკუმენტები და არქივები.).

ნაკვ. 2. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების, წერილების, ჩანაწერების და სხვა მასალების ავტოგრაფების აღწერილობანი დალაგებული ქრონოლოგიურად. დანართი: პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, სისტემატური (ჟანრების მიხედვით) საძიებლები.

- 1643.** ილია ჭავჭავაძე და აზერბაიჯანელი მწერალი კასუმ ბეი ზაქირი. _ გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". _ 1950. _ 30 აპრ.
- 1644.** იოსელიანი ავთანდილ. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები (ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან). _ თბ.: საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1951. _ VIII, 504 გვ.
- 1645.** ინგოროყვა პავლე. ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული ნარკვევები. _ ჟურ. "მნათობი". _ 1951. _ №6, გვ. 115-147; №37, გვ. 104-136; №8, გვ. 84-118
- 1646.** კეკელიძე პროკლე. ილია ჭავჭავაძის ლექსის "ჩემი თარიარალი" ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი. – თბილ. უნ-ტის შრომები. _ 1951. _ №45. _ გვ. 229-240.
- ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში კირილე ლორთქიფანიძის მიერ გადაწერილი და მისსავე ფონდში დაცული ხელნაწერის შესახებ.
- 1647.** მეზუკე გ. ნუნუ ხომერიკი. ილია ჭავჭავაძის სახლი საგურამოში. [რეც. წიგნზე]. – ჟურ. "მნათობი". – 1951. - №7. _ გვ. 167-168
- 1648.** ნადირაძე გიორგი. ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი მხატვრულ თარგმანზე. _ გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება". – 1951. - 18 ნოემბ.
- 1649.** ნატროშვილო გიორგი. საყურადღებო მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე: [პ. რატიანი _ ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ., სახელგამი, 1949, რეც.] _ გაზ. "კომუნისტი" _ 1950. _ 17 მაისი
- 1650.** რატიანი პროკოფი. ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ. – გაზ. "საბჭ. აფხაზეთი". – 1951. - 14-15 ნოემბ.
- 1651.** ქართველ მოღვაწეთა არქივები. ნაკვ: 1-2 / აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმი _ თბ., 1951 (საქ. სახელმწ. მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები).
- ნაკვ. 2: ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები (აღწერილობა) / შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა - 231 გვ.
- 1652.** შალამბერიძე გ. საერთო ეროვნული ლიტერატურული ენის დამკვიდრებისათვის მეზრდოლი. _ გაზ. "საბჭ. აჭარა". _ 1951. _ 9 ოქტ.
- 1653.** ხომერიკი ნუნუ. ილია ჭავჭავაძის სახლი საგურამოში. _ თბ.: საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1951. _ 80გვ.
- 1654.** ხუნდაძე ტ. 1881 წლის სასწავლო გეგმა და მოწინავე საზოგადოების ბრძოლა მის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. – წიგნ.: ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე) / რედ.: ვ. ქაჯაია; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინ-ტი. – თბ.: პედ. ინ-ტის გამ-ბა, 1951. _ გვ. 88-109.
- ილიას დაპირისპირების შესახებ კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსთან კირილე იანოვსკისთან ქართულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით.

1952

- 1655.** ასათიანი ლევან. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. _ თბ.: სახელგამი, 1952. _ 504გვ.
- წიგნში ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს აკაკის და ილიას ურთიერთობისა და მეგობრობის ამსახველ ეპიზოდებს. მთლიანად არის გამოქვეყნებული ილიას წერილი აკაკის მიმართ "ივერიასთან"

თანამშრომლობის თხოვნით. სრულად არის წარმოდგენილი აგრეთვე ილიას დაკრძალვის ეპიზოდი და აკაკის გამოსათხოვარი სიტყვა.

- 1656. გაჩეჩილაძე ამბერკი.** ჟურნალი “ცისკარი”. – წიგნ.: ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან / რედ.: რადიანი შ; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. – თბ.: სამეც. მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, 1952. – გვ. 308-367.

აღნიშნულ თავში საუბარია ილია ჭავჭავაძისა და ჟურნალ “ცისკრის” ურთიერთობაზე. აქ ჩასახულ დაპირისპირებაზე ორ თაობას შორის, ილიასა და მისი თანამოაზრეების ბრძოლაზე ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის და ძველი თაობის წინააღმდეგობაზე. ავტორს მოჰყავს ციტატა დიმიტრი ჯანშილის წერილიდან “მახე”, როდესაც ილიას და აკაკის ნაწაროებები დ. ჩუბინაშვილმა ამოიღო ქრესტომატიიდან: “ი. ჭავჭავაძეს და ა. წერეთელს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია ჩვენი ხალხისათვის, მომავალში რას გააკეთებენ ვნახოთ.”

- 1657. გომელაური ივანე.** მოგონებათა ეპიზოდები [ილიას, აკაკისა და ვაჟა-ფშაველას შესახებ]. – ლიტერატურის მატიაზე. წიგნი 6. ნაკვ. 1. – 1952. – გვ. 81-85

- 1658. გაჩეჩილაძე სიმონ.** ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსის განხილვა: თემა, იდეა და მიზანდასახულობა. – წიგნ.: ლიტერატურის თეორია: IX-X კლასების სახელმძღვანელო. – მესამე გადამუშავებული გამოცემა / რედ. გ. ნატროშვილი. – თბ.: სახელგამი, 1952. – გვ. 26-58.

აღნიშნულ თავში განხილულია ილია ჭავჭავაძის “კაკო ყაჩაღი”, “ოთარაანთ ქვრივი”, “კაცია-ადამიანი?”

- 1659. გრიშაშვილი იოსებ.** ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი. – წიგნ.: გრიშაშვილი ი. ლიტერატურული ნარკვევები.; რედ.: ა. თევზაძე. – თბ.: სახელგამი, 1952. – გვ. 261-301.

შინაარსი: ილია და მეფე ღირი; ილია დეკლამატორი; რა მისცა ილიამ თეატრს?; ილიას პიესა “მაჭანკალი”; ნატო გაბუნია მაჭანკლის როლში.

- 1660. გრიშაშვილი იოსებ.** ილია და “მებრვე”: (ენობრივი შენიშვნა). – წიგნ.: გრიშაშვილი ი. ლიტერატურული ნარკვევები; რედ. ა. თევზაძე. – თბ.: სახელგამი, 1952. – გვ. 457-458.

შენიშვნები ილიას მიერ შემოღებული ტერმინის “მებრვე”-ს (ანუ მზგავსი-მაგ. ჩვეულებისა-“მებრ”) მიმართ.

- 1661. გრიშაშვილი იოსებ.** ილია ჭავჭავაძის ორი კერძო წერილი [ნიკოლოზ ერისთავისადმი. ი. გრიშაშვილის შენიშვნებით]. – წიგნ.: გრიშაშვილი ი. ლიტერატურული ნარკვევები.; რედ. ან. თევზაძე. – თბ.: სახელგამი, 1952. – გვ. 473-47.

- 1662. დადიანი ც.** მოვაწესრიგოთ ქართველ კლასიკოსთა გამოცემის საქმე. ი. ჭავჭავაძის თხოულებათა III ტომის გამოსვლის გამო. – გაზ. “სახ. განათლება”. – 1953. – 10 მაისი.

რეცენზია წიგნზე – ი. ჭავჭავაძე. თხოულებანი. სრული კრებული ხუთ ტომად. – თბ., სახელგამი, 1952.

- 1663. დიდი ქართველი მწერლის ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მკვლელობიდან 45 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია / ალ. წულუკიძის სახ.**

ქუთაისის სახელმწ. პედაგ. ინ-ტი: [მუშაობის გეგმა და თეზისები]. – ქუთაისი, 1952. – 4 გვ.

- 1664. ზანდუკელი მიხეილ.** ბელინსკი, როგორც პუბლიცისტი და მისი კვალი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში – თსუ-ს შრომები. – ტ. 47. – 1952, გვ. 119-149
- 1665. თაყაიშვილი ე.** მოგონებანი ქართველ მწერლებზე: ილია ჭავჭავაძე. შეხვედრა ილიასთან. – ლიტერატურის მატთანე. – წიგნი. 6, ნაკვ. 1. – 1952. – გვ. 3-63
- 1666. ილია ჭავჭავაძე.** – წიგნ.: ქართული ლიტერატურა: სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მე-10 კლასისათვის / შემდგ.: შ. რადიანი, პ. კეკელიძე, გრ. ბარამიძე, დ. გამეზარდაშვილი, ა. გაჩეჩილაძე, ა. ჭილაია; გიორგი ჯიბლაძის რედაქციით; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. – თბ.: სახელგამი, 1952 – გვ. 256-311.

სახელმძღვანელოში მიმოხილულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრება, მისი ბავშვობისა და სტუდენტობის წლები, მოღვაწეობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ქუთაისსა და დუშეთში სამსახურის პერიოდი, ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ცალკეული თავები ეთმობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას: ლექსებს, პოემებსა და მოთხრობებს. ნაჩვენებია ილია ჭავჭავაძის როლი ახალი ქართული ენის განვითარებაში.

- 1667. კუპრავა ვ.** ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები. – გაზ. “ლიტერატურა და ხელოვნება”. – 1952. – 18 ივლ.
- 1668. მასურაძე ნ. ნ.** გოგოლი და ი. ჭავჭავაძე. – ნ. ვ. გოგოლი (საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის გან-ბის ერთდროული გაზეთი). – 1952. – 3 მარტი
- 1669. მახარაძე აპოლონ.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: მახარაძე აპ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან / რედ.: შ. რადიანი; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. – თბ.: სამეც. მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, 1952. – გვ. 106-247.

შინაარსი: ილია ჭავჭავაძის სამშობლო, ოჯახი და ბავშვობა; ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში; ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში; ილია ჭავჭავაძე ოთხმოციან წლებში; “სამშობლოს” პირველი წარმოდგენა და ი. ჭავჭავაძის ბრძოლა კატკოვთან; ჩაშლილი იუბილე; ბატონყმური ურთიერთობის ასახვა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში; ილიას “ოთარაანთ ქვრივი;” ილია ჭავჭავაძის პოემა “განდეგილი.”

- 1670. მიხელიძე გ.** ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი [საგურამოში]. – გაზ. “ლიტერატურა და ხელოვნება”. – 1952. – 13 იანვ.
- 1671. რადიანი შალვა.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: რადიანი შ. ახალი ქართული ლიტერატურა / რედ. გ. ნატროშვილი; საქ. სსრ განათლების სამინისტრო. – მეორე შევსებული გამოცემა. – თბ.: სამეცნ. მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, 1952. – წიგნი პირველი. – გვ. 306-377 გვ.
- 1672. რატიანი პროკოფი.** ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ. – ჟურ. “მნათობი”. – 1952. – №9. – გვ. 90-112; №10. – გვ. 92-116
- 1673. ხუციშვილი სოლომონ.** შ. გოზალიშვილი. "ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები" / (აღწერილობა წინასიტყვაობით, შენიშვნებით და საძიებლებით). – თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1951: [ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა]. – ჟურ. “მნათობი”. – 1952. – №2. – გვ. 161-163.

რეცენზია შ. გოზალიშვილის წიგნზე: "ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები".

1674. ჯანდიერი ნ. მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე. [ჩაწერილი ქ. ხაჩიაშვილის მიერ]. _ ლიტერატურის მატრიანე. _ წიგნი 6, ნაკვ., 1. _ 1952, გვ. 77-80

1675. რადიანი შალვა. Илья Чавчавадзе. – в кн.: История грузинской литературы \ А. барамидзе, Ш. Радяни, В. Жгенти; АН ГССР. Ин-т истории груз. литературы им. Руставели. – М., 1952. – с. 118-133.

ნარკვევში საუბარია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ნაჩვენებია მისი როლი ეროვნული ცნობიერების, ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარების საქმეში.

1953

1676. არაბული ი. წიწამურის ტრაგედია. – ჟურ. "მნათობი". _ 1953. _ №7. _ გვ. 162-163.

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა 1953 წ. გამოცემული ისიდორე ოდიშვილის წიგნისა "წიწამურის ტრაგედია".

1677. ბარბაქაძე ვ. წიწამურის ტრაგედია. _ გაზ. "ტყიბულის მაღაროელი". _ 1953. _ 23 ოქტ.

რეცენზია წიგნზე - ი. ოდიშვილი. წიწამურის ტრაგედია. თბ.: სახელგამი, 1953.

იგივე: "ლიტ. გაზეთი". _ 1953. _ 20 ნოემბ.

1678. ბაქრაძე ა. ი. ჭავჭავაძის "განდეგილის" მეთოდური დამუშავება. _ წიგნ.: მასწავლებელთა გამოცდილებიდან. _ კრ. 2. თბ. _ 1953

1679. გაჩეჩილაძე ა. მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის. - ლიტერატურული ძიებანი. _ ტ. 8. _ 1953. _ გვ. 361-379

1680. დუდუჩავა მამია. ძეგლი ილია ჭავჭავაძის საფლავზე ["მწუხარე საქართველო". მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე]. – გაზ. "ლიტ. გაზეთი." - 1953. - 8 მაისი

1681. ზედგინიძე ე. იქ, სადაც დაიბადა ილია ჭავჭავაძე: ი. ჭავჭავაძის მუზეუმის დაარსებიდან 15 წლისთავის გამო. – გაზ. "ლიტ. გაზეთი". – 1953. - 15 მაისი
ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ყვარელში.

1682. თავიშვილი გ. ილია ჭავჭავაძე (1837_1907). _ წიგნ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. კრ. I. / რედ. ვ. ქაჯაია; საქ. სსრ განათლების სამ_როს სახალხო განათლების სახელმწ. მუზეუმი. _ თბ.: განათლების სამ-როს პედ. მეცნ. ინ-ტის გამ-ბა, 1953. _ გვ. 75_107.

ნაშრომში განხილულია ილიას თვალსაზრისი სასწავლო პროგრამებისა და პედაგოგიკური მოთხოვნილებების მიმართ, რომლებიც უნდა შეეფერებოდნენ ბავშვის განათლების დონეს და შესაძლებლობას, უნდა ითვალისწინებდნენ იმ ადგილობრივ საზოგადოებრივ და სასკოლო პირობებს, რომლებშიც ბავშვს უხდება სასწავლო მუშაობა.

1683. კენჭოშვილი ა. ილია ჭავჭავაძე _ ახალი ქართული მხატვრული პროზის შემქმნელი. ი. ჭავჭავაძის ენა და სტილი ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების შუქზე. _ ლიტერატურის ძიებანი. _ ტ. 8. _ 1953. _ გვ. 67-116

1684. კიკნაძე გრიგოლ. ილია ჭავჭავაძის სატირა. – წიგნ.: კიკნაძე გ. ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის; რედ: კორნელი კეკელიძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე. – თბ. სახ. უნტ-ის გამ-ბა, 1953. – გვ. 311-348.

შინაარსი: ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური სატირა; პუბლიცისტური სატირის წინასწარი დახასიათება; სატირა ლიტერატურულ თემაზე და ლიტერატურული მასალის გამოყენებით; ხალხური შემოქმედების ნიმუშთა მომარჯვება; ირონია; ეპითეტები და შედარებები; იუმორატული დამოკიდებულება; ილიას პუბლიცისტური სატირის დიდაქტიკური ხასიათი; სატირა ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში; სატირულ თხზულებათა თემატიკა; ირონია ილიას მხატვრულ პროზაში; შედარების ხერხი; ეპითეტების შერჩევა; ალოგიზმი, როგორც ხერხი; დაცინვა პერსონაჟთა მიამიტობაზე.

- 1685. ოდიშვილი ი.** წიწამურის ტრაგედია: მონოგრაფია ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის შესახებ / რედ.: გიორგი აბზიანიძე. – თბ.: სახელგამი, 1953. – 90 გვ.
- 1686. ცაიშვილი ს.** უკვდავი გული. – გაზ. “გამარჯვება” (თბილისი). – 1953. – 25 აპრ. ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შესახებ ყვარელში.
- 1687. ჭუმბურიძე ჯ.** ილია ჭავჭავაძის შენიშვნები ალექსანდრე ყაზბეგის "მამის მკვლელზე". – გაზ. "ლიტ. გაზეთი". – 1953. – 16 ოქტ.

1954

- 1688. 1886 წ. იანვრის 17** - ქუთაისელი გამომცემელი ვარლამ ჭილაძე ქუთაისიდან პეტერბურგში ნიკო ნიკოლაძეს წერილით ატყობინებს ილია ჭავჭავაძესთან დადებულ პირობას მისი ნაწერების გამოცემის შესახებ. – წიგნ.: ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. – ნაწ. I. – თბ., 1954. – გვ. 184.
- 1689. 1886 წ. ივლისის 7** - იონა მეუნარგია წერილს უგზავნის ნიკო ნიკოლაძეს, რომელშიც გამოთქვამს აზრს ილიას სადამოს მოწყობაზე. – წიგნ.: ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. – ნაწ. I. – თბ., 1954. – გვ. 233.
- 1690. ზანდუკელი მიხეილ.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ზანდუკელი მ. ახალი ქართული ლიტერატურა: მესამე შესწორებული გამოცემა.; რედ. გიორგი ჯიბლაძე. – თბ.: საბჭოთა მწერალი, 1954. – ტ. 2. – გვ. 245-386.
აღნიშულ თავში განხილულია “მგზავრის წეილები,” “ქართველის დედა,” “დიმიტრი თავდადებული,” “კაკო ყაჩაღი,” “ოთარაანთ ქვრივი” და სხვ.
- 1691. ზანდუკელი მიხეილ.** ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება 1857-1860წლებში. – წგნ-ში: ზანდუკელი მ. ახალი ქართული ლიტერატურა: მესამე შესწორებული გამოცემა; რედ. გიორგი ჯიბლაძე. – თბ.: საბჭოთა მწერალი, 1954. – ტ. 2. – გვ. 183-191
- 1692. ზანდუკელი მიხეილ.** ახალი ქართული ლიტერატურა: მესამე შესწორებული გამოცემა / მიხ. ზანდუკელი; რედ. გიორგი ჯიბლაძე. – თბ.: “საბჭოთა მწერალი,” 1954. – ტ. 2. – 466 გვ.
ნაშრომი შეიცავს ვრცელ მასალას ილია ჭავჭავაძის შესახებ შემდეგ თავებში: თერგდალეულები 60-იან წლებში; “მამათა და “შვილთა” მსოფლმხედველობა და მათი ბრძოლის ხასიათი; თერგდალეულების პოზიტიური შეხედულებანი; თერგდალეულთა დამოკიდებულება ბატონყმობისადმი; თერგდალეულთა მსოფლმხედველობის რღვევა და მისი მიზეზები.

- 1693.** თავაძე ა. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი. – თბ.: სახელგამი, 1954. – 151 გვ.
- 1694.** კენჭოშვილი ა. ნ. დობროლოზოვი და ი. ჭავჭავაძე. – გაზ. "ლიტ. გაზეთი". – 1954. – 30 ივლ.
- 1695.** კულტურისა და დასვენების პარკში. – გაზ. "კოლმეურნის ხმა" (თელავი). – 1954. – 8 აგვ.
თელავში ი. ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.
- 1696.** რადიანი შალვა. ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ახალი ქართული ლიტერატურა / რედ.: დ. გამეზარდაშვილი. – თბ.: სტალინის სახ. თსუ გამ-ბა, 1954, გვ. 241-301.
ილიას შემოქმედების ანალიზისას ავტორი განიხილავს ეპოქას, რომელშიც მოღვაწეობდა ილია, ახასიათებს იმ პერიოდის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას. მიაჩნია, რომ ილია იყო "გარდამავალი დროის მწერალი, რომლის მოღვაწეობაც გაიშალა ორი ეპოქის – ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის მიჯნაზე". ნაშრომში გაანალიზებულია "აჩრდილი", "კაკო ყაჩაღი", "მეფე დიმიტრი თავდადებული", "ოთაარაანთ ქვრივი" და სხვა.
- 1697.** რატიანი ა. ილია ჭავჭავაძე - სომხური გლეხობის დამცველი და მეგობარი. გაზ. – "ლიტ. გაზეთი". – 1954. – 6 აგვ.
- 1698.** რატიანი პროკოფი. ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი. – მე-2 გამოც. – თბ.: საბჭ. მწერალი, 1954. – 402 გვ.
შინაარსი: წინასიტყვაობა მეორე გამოცემისთვის; შესავალი; ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის წყაროები; ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლები; ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი: ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი (გაგრძელება); დამატება: ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ღრმად შესწავლისათვის.
- 1699.** როსტომაშვილი შ. ილია ჭავჭავაძე: [ცხოვრება და მოღვაწეობა]. – გაზ. "კოლმეურნის ხმა". – 1954. – 8 აგვ.
- 1700.** სიხარულიძე ქსენია. ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება. – თსუ-ს შრომები. – ტ. 55. – 1954. – გვ. 327-351.
- 1701.** ფურცელაძე ანტონ. კაცია-ადამიანი - მოთხრობა მ. ჯიმშერიძისა: [რეცენზია]. – წიგნ.: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტიმათია, I, თბ., 1954. – გვ. 372-391.
რეცენზია პირველად გამოქვეყნდა გაზეთში "Литературный листок" (№3-9) 1864 წ.
- 1702.** ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის: ქრესტიმათია / შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და სამიუბელი დაურთო ს. ხუციშვილმა; რედ. გ. ჯიბლაძე; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. – 2 ტომად. – თბ.: სამეცნ. მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, 1954 [კანზე: 1955]. ტ. 1. – 442 გვ.
წერილები ილიას შესახებ:
ბარბარე ჯორჯაძე – თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ;
რევაზ ერისთავი – პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა; [შენიშვნები ილია ჭავჭავაძის "პასუხისა"];
სარდიონ ალექსი-მესხიშვილი – უსტარი ანტიკრიტიკული ("ბრწყინვალეო

თავად ილია გრიგორისაო ჭავჭავაძე”);
 ბირთვისელი – ტფილისის მოაზრებელი (“დრო არის მოსკოთ უ. ჭავჭავაძეზე სიტყვა და შეუდგეთ სხუა უფრო სასარგებლო საქმეს”);
 ბარბარე ჯორჯაძე – პასუხს პასუხი;
 ეფთვიმე წერეთელი – უფალო რედაქტორო! (“ვიღაც ჭავჭავაძე აუტყდა და არა ცილდება იმ კახელს ჯორჯაძის კნეინას”);
 კირილე ლორთქიფანიძე – “წიგნი მიწერილი რედაქტორთან” ეფთვიმე წერეთლისა [ხელმოწ. თერგდალეული];
 გიორგი წერეთელი – რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზე [ხელმოწ. თერგდალეული];
 აკაკი წერეთელი ახირებული ფურცელი [ხელმოწ. მესამე თერგდალეული];
 თომა მაჭავარიანი პასუხი მეორე თერგდალეულის პასუხისა;
 ანტონ ფურცელაძე – ქართული ლიტერატურა;
 ანტონ ფურცელაძე – კაცია, ადამიანი – მოთხრობა მ. ჯიმშერიძისა;
 ღვიმელი – ჩუენი დროის მწერლები;
 აკაკი წერეთელი – რამდენიმე სიტყვა “ჩანგურის” შესახებ;
 დიმიტრი ჯანაშვილი – მახე;
 ან. ხუციშვილი – შინაურული მიმოხილვა.

- 1703.** ქუთელია ა. ილია ჭავჭავაძე - რევოლუციური დემოკრატი. – ჟურ. "მნათობი". – 1954. – №9. – გვ. 133-156.
- 1704.** ქურიძე შ. დიადი მეგობრობა. ილია ჭავჭავაძე რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ. – გაზ. "საბჭ. აჭარა". – 1954. – 19 მაისი
- 1705.** შამელაშვილი რ. საყურადღებო გამოკვლევა დიდ ქართველ მწერალზე. – გაზ. "სტალინელი" (ქუთაისი). – 1954. – 22 მაისი.
 რეცენზია წიგნზე: თავაძე ა. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი. – თბ., 1954
- 1706.** ჭურღულია ო. საყურადღებო გამოკვლევა. – გაზ. "საბჭ. აფხაზეთი". – 1954. – 19 სექტ.
 რეცენზია წიგნზე: თავაძე ა. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი. – თბ., 1954

1955

- 1707.** ასათიანი ლევან ილია ჭავჭავაძის შესახებ. – წიგნ.: ლიტერატურული ნარკვევები და წერილები / რედ.: ბესო ჟღენტი. – თბ.: "საბჭოთა მწერალი," 1955. – გვ. 7-33.
 შინაარსი: ილია ჭავჭავაძე და თანამედროვეობა; ჭავჭავაძეთა გვარი; პაატა ჭავჭავაძე; ყვარელი – კახეთის თვალი.
- 1708.** ასათიანი ლევან ილია ჭავჭავაძე და რუსული ლიტერატურა. – ჟურ. "მნათობი." – 1955. – №6. – გვ. 135-145
- 1709.** ასათიანი ლევან. ილია ჭავჭავაძე და დიდი რუსი ხალხის კულტურა. – წიგნ.: ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებთან. – თბ., 1955. – გვ. 5-58.
 შინაარსი: ილია და რუსული მეცნიერება; ილია და დიდი რუსი რევოლუციურ-დემოკრატიული მოაზროვნეები; ილია და რუსული

ლიტერატურა: პუშკინი. გრიბოედოვი. ლერმონტოვი. გოგოლი. ნეკრასოვი. რუსული მწერლობის სხვა წარმომადგენლები.

1710. ბერაძე ს. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი. _ თბ.: თსუ- გამ-ბა, 1955.

1711. გურაბანიძე ნ. ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი: შესავალი წერილი. _ წიგნ.: ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ / კრებული შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ნოდარ გურაბანიძემ; რედ.: დიმიტრი ბენაშვილი, დ. ჯანელიძე; საქართველოს თეატრალური საზოგადოება. _ თბ.: "ხელოვნება," 1955. _ გვ. 3-39.

1712. კენჭოშვილი აკაკი. ილია ჭავჭავაძე (კრიტიკულ - ბიოგრაფიული ნარკვევი) / რედ. გიორგი აბზიანიძე. - თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1955. - 151 გვ. (სამეცნ. - პოპულ. სერია).

ნაშრომი მიზნად ისახავს "დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის, როგორც შემოქმედის, მოაზროვნისა და მოღვაწის დახასიათებას მეცნიერულ-პოპულარული ფორმით" წერს ავტორი და მიაჩნია, რომ ილია იყო ღრმად ნაციონალური მწერალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომ მის შემოქმედებაში ტიპურად გამოვლინდა ეროვნულიც და ზოგადსაკაცობრიოც.

1713. ნინოშვილი ეგნატე. მოხსენებითი ბარათი ილია ჭავჭავაძისადმი. _ წიგნ.: ნინოშვილი ე. თხზულებათა სრული კრებული. _ თბ., 1955.

ბარათი ეხება სოფლის სკოლას, სადაც პედაგოგად მუშაობდა ე. ნინოშვილი. ანგარიში წარდგენილია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი, რომლის თავმჯდომარე იმ ხანად ილია ჭავჭავაძე იყო.

1714. როსტომაშვილი შ., ქიზიყელაშვილი, ნ. ვერა ვერ მოჰკლეს! (46 წლისთავი ი. ჭავჭავაძის მკვლელობიდან). _ გაზ. "კოლმეურნის ხმა" (თელავი). - 1955. - 14 სექტ.

1715. ჭელიძე ვახტანგ. მამულო საყვარელო. _ წიგნ.: ჭელიძე ვ. ცხოვრება ივანე მაჩაბლისა. _ თბ., 1955. _ გვ 106-225.

ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობის შესახებ.

1956

1716. ალანია ნ. ილია ჭავჭავაძის "განდეგილის" სწავლებისათვის. - ჟურ. "კომუნისტური აღზრდისათვის". - 1956. - ივნ.

1717. გაგოიძე ვახტანგ. "საქართველოს მოამბე" (ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური იდეები) / საქ. სსრ მეცნ. აკად., ფილოსოფიის ინ-ტი. _ თბ.: საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1956. _ 193გვ.

ნაშრომში მიმოხილულია ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ ჟურნალი "საქართველოს მოამბე". ავტორის მიზანია გაანალიზოს ჟურნალში გატარებული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და ამ საფუძველზე ახსნას მასში მოღვაწე პირთა სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები.

1718. გიგინეიშვილი ივანე. ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა. - თსუ შრომები. - ტ. 69. _ 1956

1719. დადიანი ჯოდორ. ილია ჭავჭავაძის "აჩრდილის" სწავლება. - ჟურ. "კომუნისტური აღზრდისათვის". - 1956. - დეკ.

- 1720. ვაჟა-ფშაველა** ვერ მოჰკლეს! სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედართან. _ წიგნ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. _ ტ. 7. _ თბ., 1956
- 1721. ვართაგავა იპოლიტე.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ვართაგავა ი. ქართველი მწერლების სილუეტები; რედ. ერ. ქარელიშვილი; საქ. სსრ განათლების სამინისტრო. - თბ.: სამეცნიერო-მეთოდ. კაბინეტი, 1956. – გვ. 5- 20.
ავტორი დიდი კრძალვითა და სიყვარულით იხსენებს ილიასთან პირველ შეხვედრას, ხოლო შემდგომში მასთან თანამშრომლობას. აღნიშნავს მის სიკეთეს და მზრუნველობას ნიჭიერი, მუყაითი ახალგაზრდობის მიმართ და მაგალითებად ვაჟა-ფშაველასა და რომანოზ ფანცხვასთან ილიას დამოკიდებულება მოჰყავს.
- 1722. ვაჩნაძე დავით.** დაუვიწყარი მამულიშვილი. დიდი ილიას ხსოვნას: (მოგონებები). _ გაზ. “ქართული აზრი”. _ ნიუ-იორკი. – 1956. - №9.
პირველ წერილში ავტორი იხსენებს, თუ როგორ უკითხავდა ახალგაზრდა ალექსანდრე ცომაია მათ, თავის მეგობრებს, “დიდი ილიას” პუბლიცისტურ წერილებს XX საუკუნის 30-იან წლებში პარიზის ერთ-ერთ კაფეში. მეორე წერილში გამოხატულია დიდი გულისტკივილი ილიას მკვლელობის გამო.
- 1723. თოფურია აკაკი.** ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხისათვის). – წიგნ.: თოფურია ა. კრიტიკული წერილები. – სტალინირი: სამხრეთ ოსეთის სახელგამი, 1956. – გვ. 3-46.
წერილში საუბარია ილიასა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ სიახლოვეზე. სტატიაში მოყვანილია კობტა აბხაზისა და ნიკოლოზ ყიფიანის მოგონებები, რომელთა აზრის გაბათილებას ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის გვიანდელი ნაცნობობის შესახებ, ავტორი სხვადასხვა არგუმენტებით ცდილობს.
- 1724. კენჭოშვილი აკაკი.** ილია ჭავჭავაძის სატირის ტრადიციები საბჭოთა სატირის პრობლემების შუქზე. _ ლიტერატურული ძიებანი. _ ტ. 10. – 1956. _ გვ. 83-111
- 1725. კიკნაძე ვასილ.** "ი. ჭავჭავაძე თეატრის შესახებ". – გაზ. “ლიტ. გაზეთი”. – 1956. _ 9 მარტი.
რეცენზია წიგნზე _ ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ. თბ.: ხელოვნება, 1955.
- 1726. ჟორდანიას ნოე.** ორი პოეტი. _ წიგნ: ჟორდანიას ნ. რჩეული ნაწერები ემიგრაციაში _ პარიზი, 1956.
ავტორს მიაჩნია, რომ ილიამ მშრომელი ხალხისა და სამშობლოს ინტერესებისათვის ბრძოლის წარმმართველ ძალად მიიჩნია თავად-აზნაურთა კლასი და ამაში შეცდა.
ილიასა და აკაკის შემოქმედების შეფასებისას აღნიშნავს, რომ ორივე პოეტმა პოეზია ხალხის სამსახურში ჩააყენა, მაგრამ ილია ქმნიდა წინასწარ შემუშავებული გეგმით, აკაკი კი შემთხვევებსა და შთაბეჭდილებებს ეყრდნობოდა.
- 1727. სიხარულიძე ქსენია.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება: წიგ. I. – თბ.: სახელგამი, 1956. – გვ. 3-8.
წიგნში განხილულია ილია ჭავჭავაძის ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა, რომელიც ავტორის თვალსაზრისით, ისევე, როგორც მისი ყოველი

წამოწყება მისაბადი გახდა ილიას თანამედროვე ყველა მოწინავე ადამიანისთვის.

- 1728.** ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის: ქრესტომათია / შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა; რედ. გ. ჯიბლაძე; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. _ 2 ტომად. _ თბ.: სამეცნ. მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, 1954-1956 ტ. 2. _ თბ., 1956. _ 562 გვ. _ წერილები ილია ჭავჭავაძის შესახებ.

შინაარსი:

ალექსანდრე ცაგარელი _ ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში;

სერგეი მესხი _ თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა;

ნიკო ნიკოლაძე _ “გლახის ნაამბობზე;” ნიკო ნიკოლაძე _ “ივერიის” პირველი ნომერი;

გიორგი თუმანიშვილი _ ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება;

დავით კეზელი _ საკვირაო მასლაათი [პოემა-“განდეგილი”];

ევსტათე მჭედლიძე _ კრიტიკული მიმოხილვა: ბატ. ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა განდეგილი (“ივერია,” № 11).

- 1729.** შალამბერიძე გ. ილია ჭავჭავაძის "ოთარაანთ ქვრივის" ფრაზეოლოგიური ანალიზისათვის სკოლაში. _ წიგნ.: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში. _ კრ. IX. _ თბ., 1956. _ გვ. 147-158

- 1730.** შალამბერიძე გ. ფრაზეოლოგია ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკურ წერილებში. _ იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. 8. _ 1956. _ გვ. 49-76

- 1731.** ჩაჩიბაია არჩ. ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების გამოყენება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სწავლებისას. - ჟურ. “კომუნისტური აღზრდისათვის”. - 1956. - დეკ.

- 1732.** ცინცაძე პ. ილია ჭავჭავაძე როგორც თეატრალური კრიტიკოსი. - ჟურ. “საბჭოთა ხელოვნება.” _ 1956. _ №1. _ გვ. 45-48

- 1733.** ჭურღულია ო. მონოგრაფია დიდ ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატებზე. _ გაზ. “საბჭ. აფხაზეთი”. _ 1956. _ 8 იანვ.

რეცენზია წიგნზე - ა. კენჭოშვილი. ილია ჭავჭავაძე, მონოგრაფია. _ თბ., საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა. 1955.

- 1734.** ხმალაძე პ. მონოგრაფია დიდ ქართველ მწერალზე. _ გაზ. “სტალინელი” (ქუთაისი). _ 1956. _ 8 თებ.

რეცენზია წიგნზე _ ა. კენჭოშვილი. ილია ჭავჭავაძე, მონოგრაფია. _ თბ., საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა. 1955.

1957

- 1735.** აკერმანი ნიკოლოზ. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა რუსული თარგმანები. - ჟურ. “საბჭ. ხელოვნება”. _ 1957. _ №9. _ გვ. 51 გვ.

- 1736.** ბაკურაძე გ. ქართული ლიტერატურის დიდი მოამაგე. - გაზ. “გამარჯვება” (ახმეტა). _ 1957. _ 22 ოქტ.

- 1737.** ბალანჩივაძე ნ. ილია ჭავჭავაძე - დიდი საზოგადო მოღვაწე. _ ილია (საქ. საბჭ. მწერლების კავშირის ქუთაისის გან-ბის ერთდროული ლიტ. გაზეთი). _ 1957. _ 24 ოქტ.

- 1738.** **ბალანჩივაძე ნ.** ილია ჭავჭავაძე და ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრება. – გაზ. “სტალინელი” (ქუთაისი). – 1957. – 22 ოქტ.
- 1739.** **ბარამიძე ალ.** ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები. – წიგნ.: ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული. – თბ., 1957, გვ. 27-57
- 1740.** **ბარამიძე ნ.** ილია ჭავჭავაძე და გურია. – გაზ. “ლენინის დროშა” (მახარაძე). – 1957. – 23 ოქტ.
- 1741.** **ბახტაძე ვ.** ილია ჭავჭავაძე და რუსი რევოლუციონერი დემოკრატები. – თსუ-ს შრომები. – 1957. – ტ. 69. – 1958
- 1742.** **ბახტაძე ი.** ორი მოგონება [ი. ჭავჭავაძეზე. პოეტის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო]. – გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1957. – 7 სექტ.
სავარაუდოდ, მოგონების ავტორი ილია ხონელია. გაზ. "ივერიის" თანამშრომელი.
- 1743.** **ბეგიაშვილი თედო.** ლექციების გაფართოებული თეზისები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ: ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავის გამო: [ხუთი ლექცია] / რედ.: აკ. კენჭოშვილი. – თბ.: საქ. სსრ პოლიტ. და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზ-ბა, 1957. – 51 გვ.
შინაარსი: ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა; პატრიოტული მოტივი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში; სოციალური მოტივი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში; შრომის საკითხი და რევოლუციური ბრძოლის საჭიროება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში; ზოგადსაკაცობრიო პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.
- 1744.** **გაბაშვილი რ.** ილია ჭავჭავაძის ეკონომიური მოღვაწეობა. – ჟურ. "ერის დიდება" (პარიზი). – 1958. – №5. – გვ. 15-21.
პარიზის ქართულ სათვისტომოში წაკითხული მოხსენება ილიას დაბადების 120 წლისთავისა და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე.
მოხსენებაში, გარდა ეკონომიკის დარგში ილიას ღვაწლის დაფასებისა, გადმოცემულია რამდენიმე საინტერესო მოგონება.
მოხსენების შემოკლებული ვერსია დაბეჭდილია წიგნში: დაბრუნება ტ. 3, თბ., 1992, გვ. 13-22
- 1745.** **გაგოძე ვახტანგ.** ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები / საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზ-ბა (სერია 1). – თბ., 1957. – 36 გვ.
- 1746.** **გაგუა ვ.** ჭავჭავაძე და ფოთი. – გაზ. "მგზნებარე კოლხიდელი" (ფოთი). – 1957. – 25 აგვ.
- 1747.** **გამსახურდია კონსტანტინე. PATER PATRIAE:** [ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 წლისთავის გამო]. – ჟურ. "მნათობი". – 1957. – №10. – გვ. 55-62.
ავტორი გულისტკივილით აღწერს იმ უთანასწორო ბრძოლას, რომელსაც ილია მარტოდმარტო ეწეოდა თავის “ერში დამკვიდრებული გონების გაუგონარი დაბნელების” წინააღმდეგ და რომ მის ბრძოლას სათანადო დაფასება არ ჰქონია. გამსახურდიას აზრით, ილია არის: “ქართული ენის, ქართული ისტორიის, ქართველი ხალხის ზნეობისა და ჩვევათა დიდი მცნობი, ჩვენი კულტურის თავდადებული მოჭირნახულე... თავდადებული მამა სამშობლოსა”.

- 1748.** გამყრელიძე გიორგი. ილიას დაღუპვის 50 წლისთავზე: [ლექსი]. – წიგნ.: ქართველი ერი: (კრებული). – ნიუ-იორკი, 1957
- 1749.** გვასალია ბ. ილია აფხაზეთში. – გაზ. "საბჭ. აფხაზეთი". – 1957. – 6 სექტ.
- 1750.** გოზალიშვილი შალვა. ილია ჭავჭავაძე და რუსი პუბლიცისტი ნ.ვ. შელგუნოვი. – გაზ. "ახ. კომუნისტი". – 1957. – 21 სექტ.
- 1751.** გოზალიშვილი შალვა. ილია ჭავჭავაძე - ქართული ხელოვნების დიდი მოამაგე. – ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". – 1957. – №9. – გვ. 29-30.
- 1752.** გურამიშვილი ლ. ილია ჭავჭავაძის დღეებისათვის: [დაბადებიდან 120 წლისთავის გამო]. – გაზ. "ნორჩი ლენინელი". – 1957. – 6 სექტ.
- 1753.** დადიანი შალვა. ილიას გარშემო. – ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". – 1957. – №9. – გვ. 48.
- 1754.** დადიანი ჯოდორ. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების სწავლება IX კლასში / საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; რედ. მ. კეკელიძე. – თბ.: სამეცნიერო-მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, 1957. – 247 გვ. – წიგნს დართული აქვს კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომების ბიბლიოგრაფია ილია ჭავჭავაძის შესახებ.
შინაარსი: მხატვრული ლიტერატურის სწავლების მნიშვნელობა; ზოგიერთი ცნობა სკოლებში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სწავლების მდგომარეობის შესახებ; ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი გზის სწავლება; "მგზავრის წერილების" სწავლება; "აჩრდილის" სწავლება; "განდეგილის" სწავლება; "ოთარაანთ ქვრივის" სწავლება; დამატება; ბიბლიოგრაფია
- 1755.** დადიანი ჯოდორ. ახალი ნაშრომი დიდი დემოკრატის, ჰუმანისტისა და განმანათლებლის შესახებ. – გაზ. "ახ. კომუნისტი". – 1957. – 10 სექტ.
რეცენზია წიგნზე – პ. რატიანი. ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულებანი. თბ. სახელგამი., 1957.
- 1756.** დადიანი ჯოდორ. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების სწავლება IX კლასში საქ. სსრ განათლების სამინ. – თბ.: სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამოც., 1957. – 248გვ.
- 1757.** დანელია კ. ი. ჭავჭავაძე და ქართული ენა. – გაზ. "სტალინელი" (ქუთაისი). – 1957. – 30 აგვ.
- 1758.** დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის: საიუბილეო კომიტეტში. – გაზ. "კომუნისტი". – 1957. – 9 მარტი
- 1759.** ვართაგავა იპოლიტე. XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები [გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძე]. – თბ.: თსუ, 1957. – გვ. 123
- 1760.** ვაჩნაძე დავით. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. – წიგნ: ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი – მიუნხენი, 1957.
წერილში ნაჩვენებია რუსეთის იმპერიის დამოკიდებულება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში წარმოქმნილი პოლიტიკური მიმდინარეობების მიმართ. ნათქვამია, რომ რუსეთის მთავრობამ შეაჩერა ქართულ-ეროვნულ-ხალხოსნური პოლიტიკური მოძრაობა და მისი ლიდერი ი. ჭავჭავაძე მოკლა.

- 1761. ზანდუკელი მიხეილ.** ილია ჭავჭავაძე მისი დაბადების 100 წლისთავზე. – წიგნ.: ზანდუკელი მ. ლიტერატურული ნარკვევები; რედ. ს. ხუციშვილი. – თბ.: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამ-ბა, 1957. – გვ. 256-262.
ავტორს მიაჩნია, რომ “აღსრულდა ნატვრა ნაამაგდარი დიდი პოეტისა”, რაც გამოიხატა “გამარჯვებული მშრომელი მასების” მიერ “თავისი ახალი, დიდების ისტორიის” შექმნაში.
- 1762. თათარაშვილი ბ., ქოჩლაძე ს.** ყვარელში დიდი შემოქმედის აკვანთან. – გაზ. “კომუნისტი”. _ 1957. _ 25 აპრ.
- 1763. ითონიშვილი ვ.** ილია ჭავჭავაძის პოემა "განდეგილის" ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროები. _ ჟურ. "მნათობი". _ 1957. _ №9
- 1764. ილია ჭავჭავაძე.** ლიტერატურის მოკლე ანოტირებული საძიებელი / კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპ. ბიბ-კა; შემდგ.: ნ. აკერმანი, ნ. ლაიშვილი. _ თბ., 1957. _ 32 გვ.
ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებისა და მის შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია. ქართ. რუს. ენ. 76 სახელწოდება. აქვე მოცემულია ქართველ პოეტთა ლექსები მიძღვნილი ილიასადმი და ილიას ტექსტებზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები.
- 1765. ილია ჭავჭავაძე: საიუბილეო კრებული /** სარედ. კოლეგია: გ. აბზიანიძე, ა. ბარამიძე, დ. ბენაშვილი, ა. ბოჭორიშვილი, დ. გამეზარდაშვილი (პ/მგ რედ.), მ. დუდუჩავა, ვ. თოფურია, ბ. ჟღენტა. _ თბ.: საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1957. _ 370გვ.
კრებულში შევიდა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი შემდეგი სტატიები:
დ. გამეზარდაშვილი _ ილია ჭავჭავაძე _ ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი;
ალ. ბარამიძე _ ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები;
აკაკი ხინთიბიძე _ ილია ჭავჭავაძის ლირიკის ფორმის საკითხები;
ქს. სიხარულიძე _ ილია ჭავჭავაძის პოემის ხალხური წყაროები;
ვ. ითონიშვილი _ ეთნოგრაფიული მასალების გამოყენების შესახებ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერებში;
ი. გრიშაშვილი _ ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი;
ივანე ჯავახიშვილი _ ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია;
გ. აბზიანიძე _ ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ;
ს. ხუციშვილი _ ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკოსები;
ივანე ქავთარაძე _ ილიას ქართული;
ვ. ბერიძე _ ილია ჭავჭავაძე – ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელი და დამცველი;
გ. თავაშიშვილი _ ილია ჭავჭავაძე და ქართული პედაგოგიკა;
მიხ. ზარქუა _ გაორებული პიროვნების ტრაგედია;
ვ. გაგოძე _ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი;
ა. კენჭიშვილი _ ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში;
ა. გაჩეჩილაძე _ მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის.
- 1766. ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.** _ თბ., 1957-1958.

[ტომი I]. \ შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო იოსებ ბოცვაძემ; რედ.: გ. ნადარეიშვილი; საქ. სსრ განათლების სამინისტრო. _ თბ.: სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, 1957. _ 360გვ.

შინაარსი:

- 1) ი. ბოცვაძე _ ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში: შესავალი წერილი];
- 2) ალ. ცაგარელი _ ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში;
- 3) ნიკ. ყიფიანი [დიმიტრიძე] _ ბიბლიოგრაფია, “კრებული” პირველი და მეორე წიგნი;
- 4) ს. წკ. _ ბიბლიოგრაფია, “კრებული” მეხუთე წიგნი;
- 5) ა. ფურცელაძე _ საწყალი კუდაბზიკა;
- 6) ნ. ნიკოლაძე _ ჩვენი მწერლობა, “გლახის ნაამბობზე”;
- 7) გ. თუმანიშვილი _ შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება;
- 8) გ. თუმანიშვილი _ ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება;
- 9) ალ. სარაჯიშვილი _ მწერლობა, ”ივერია”, №1, იანვარი, 1879წ.;
- 10) გრ. ვოლსკი [უმწიფარიძე] _ შენიშვნა უფ. ა-ისრეცენზიაზე შესახებ პოემისა “დიმიტრი თავდადებული”;
- 11) ალ. სარაჯიშვილი _ მწერლობა, ”ივერია”, №2, თებერვალი, 1879წ.;
- 12) სტ. ჭრელაშვილი _ დამტვრეული ოცნებანი;
- 13) ი. მეუნარგია _ ”განდეგილი“-პოემა ი. ჭავჭავაძისა;
- 14) დ. სოსლანი _ საკვირაო მასლაათი;
- 15) ე. მჭედლიძე [ბოსლეველი] _ ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა ”განდეგილი”;
- 16) ა. ლეისტი _ ქართული ახალი ლიტერატურის თაობაზედ, ილ. ჭავჭავაძის თხზულებანი;
- 17) ა. ლეისტი _ ქართული ლიტერატურა, წერილი;
- 18) რ. ჩხიკვაძე [ალისუბნელი] _ ჩვენს ლიტერატურაზე;
- 19) შ. დავითაშვილი [მკითხველი] _ “ჩატეხილი ხიდი”. “ოთარაანთ ქვრივის” ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ მკითხველის შენიშვნები;
- 20) დ. სოსლანი _ კრიტიკული განხილვა “ოთარაანთ ქვრივისა”;
- 21) მიხ. ხელთუფლიშვილი _ რამდენიმე შენიშვნა შესახებ ილ. ჭავჭავაძის ”ოთარაანთ ქვრივისა”;
- 22) სტ. ჭრელაშვილი _ მცირე შენიშვნა ”ოთარაანთ ქვრივის” გამო;
- 23) სტ. ჭრელაშვილი _ საბიბლიოგრაფიო წერილი;
- 24) გ. წერეთელი _ ”მოამბე” თვითური ჟურნალი №1;
- 25) ი-ნი ამერი _ თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე;
- 26) კ. აბაშიძე _ თ-დი ილია ჭავჭავაძე;
- 27) კ. აბაშიძე _ ილ. ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი;
- 28) სილ. ხუნდაძე _ მეფე დიმიტრი თავდადებული;
- 29) სილ. ხუნდაძე _ თ. ილ. ჭავჭავაძის ლექსები (ტ. I, 1892 წ.);
- 30) ნადიკვრელი _ თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე;
- 31) მ. ნასიძე [მეგახლავარ]. _ თ. ილია ჭავჭავაძე-ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი;

- 32) ფ. მახარაძე – საიუბილეო ბროშურა (მცირე შენიშვნა ბ-ნ მეგახლავარის წიგნაკის გამო).
- 1767. ინგოროყვა პავლე.** ილია ჭავჭავაძე: ნარკვევი / რედ. გიორგი ლეონიძე; მხატვ. ლ. გრიგოლია. – თბ.: სახელგამი, 1957. – 184 გვ.,
შინაარსი: შესავალი; ისტორიული წარსულიდან; ოჯახური გარემო – ყრმობა. სიჭაბუკე; სტუდენტობის წლები; ილიას ნაწერები პირველი პერიოდისა (1857-1861); ილია ახალი ქართული ენის ფუძემდებელი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგი; ილიას მოღვაწეობა საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1861-1863 წლებში. – “საქართველოს მოამბე;” 1864-1876 წლები; “ივერიის” პირველი პერიოდი (1877-1885 წლები); “ივერიის” მეორე პერიოდი (1886 წლიდან – მე-20 საუკუნის დასაწყისამდე); 1905-1907 წლები.
- 1768. კალანდაძე ალექსანდრე.** ილია ჭავჭავაძის ბრძოლა “საქართველოს მოამბის” დაარსება შენარჩუნებისთვის / რედ.: აპ. მახარაძე; თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმი. – თბ.: საქ. კულტ. სამ-ტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობა, 1957. – 127 გვ.
შინაარსი: წინასიტყვაობის მაგიერ; საზოგადოებრივ-კულტურული პირობები “საქართველოს მოამბის” დაარსების წინ; “საქართველოს მოამბის დაარსება;” “საქართველოს მოამბე და “ცისკარი”; “საქართველოს მოამბე” – ძველი თაობის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის მედროშე; “საქართველოს მოამბის გამოცემის სიმწელები;” “საქართველოს მოამბის” დახურვის მიზეზები; “საქართველოს მოამბის” კვალი “ცისკარში.”
- 1769. კარტოზია ა.** ილია, როგორც ჟურნალისტი. – გაზ. “მგზნებარე კოლხიდელი” (ფოთი). _ 1957. _ 13 სექტ.
- 1770. კაჭკაჭიშვილი ა.** სიცოცხლისა და ცხოვრებისათვის მეზობლი შემოქმედება. _ გაზ. "კომუნისმის დროში" (ბორჯომი). _ 1957. _ 28 აგვ.
- 1771. კეშელავა პ.** დიდი ილია - გლეხების მოსარჩლე მეგობარი. _ გაზ. "ალაზნის განთიადი". _ 1957. _ 15 სექტ.
- 1772. კიკნაძე გრიგოლ** გოგოლისებური ქართულ ლიტერატურაში; რომანტიკულ და რეალისტურ სტილთა ისტორიიდან ქართულ ლიტერატურაში; პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობის საკითხები. – წიგნ.: კიკნაძე გრ. მეტყველების სტილის საკითხები. – თბ.: სტალინის სახელობის თსუ გამ-ბა, 1957. – გვ. 185-201, 148-184.
აღნიშნულ თავებში ავტორი განიხილავს მხატვრული სახეების მსგავსებას ნ. გოგოლისა და ილიას შემოქმედებაში; ქართული ენისა და დამწერლობის საკითხებს, როდესაც ილია ჭავჭავაძემ 5 ქართული ასო ზედმეტად გამოაცხადა, ვინაიდან მათი შესატყვისი ბგერები ქართულ მეტყველებას აღარ ჰქონდა; აქვეა განხილული “მამათა და შვილთა ბრძოლის” სახელით ცნობილი დაპირისპირება ძველსა და ახალ თაობას შორის ქართულ ენასთან დაკავშირებით. ილიასავე განმარტებით ეს დაპირისპირება ასაკისა და წლოვანების მიხედვით დაჯგუფებას კი არ ნიშნავდა, არამედ აზრისა და საქმის სიახლის პრინციპებისადმი დამოკიდებულებას გულისხმობდა. ავტორი “ცისკრის” პრაქტიკული საქმიანობის საკითხსაც ეხება და ვრცლად განიხილავს ილია ჭავჭავაძის “წერილებს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე” და ა.შ.

- 1773. კიკნაძე გრიგოლ.** ილია ჭავჭავაძე ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნების საკითხების შესახებ. – ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". – 1957. – №9. – გვ. 9-14.
- 1774. კობახიძე გივი.** ილია ჭავჭავაძე. – ჟურ. "კრებული". წიგნი I_ნიუ-იორკი 1957. – წერილი დაბეჭდილია გ. კობახიძის ფსევდონიმით – "გორდა მახვილაძე".
ავტორი ილიას მკვლევლობაში ადანაშაულებს ბოლშევიკებს. ამავე დროს, აღნიშნავს, რომ ბოლშევიკებმა ილიას მეორედ მოკვლა სცადეს, როცა მისი ნაწერების ახსნა დაიწყეს მარქსისტული იდეოლოგიის პოზიციებიდან.
- 1775. კუპრავა ვახტანგ.** ილია ჭავჭავაძე ხელოვნების დანიშნულების შესახებ. – თბ.: სახელგამი, 1957. – 112 გვ.
- 1776. მაისურაძე დავით.** ილია ჭავჭავაძე და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები / საქ. მეცნ. აკადემია. – თბ., 1957. – 31 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მეცნ. პოპულ. სერია)
- 1777. მაისურაძე დავით.** ილია ჭავჭავაძე. – ჟურ. "მნათობი". – 1957. – №7
- 1778. მაისურაძე დავით.** ილია ჭავჭავაძე და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები. – გაზ. "საბჭ. აჭარა". – 1957. – 3 სექტ.
- 1779. მახარაძე აპოლონ.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან [შევსებული და შესწორებული გამოცემა] / საქ. სსრ განათლების სამინისტრო. – თბ.: სამეცნ. მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, 1957. – ტ.1. – გვ. 7-221.
შინაარსი: ილია ჭავჭავაძის სამშობლო, ოჯახი და ბავშვობა; ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში; ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში; ილია ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი; ილია ჭავჭავაძე ოთხმოციან წლებში; "სამშობლოს" პირველი წარმოდგენა და ბრძოლა კატკოვთან; ჩამოლილი იუბილე; ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება; ბატონყმური ურთიერთობის ასახვა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში; ილიას "ოთარაანთ ქვრივი;" ილია ჭავჭავაძის პოემა "განდეგილი."
- 1780. მეგრელიშვილი ტ.** ილია ჭავჭავაძე – ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემქმნელი. – გაზ. "ბრძოლის დროშა" (ჩოხატაური). – 1957. – 15 სექტ.
- 1781. მეუნარგია იონა.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: მეუნარგია ი. XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამომჩენილი რედაქტორები. – თბ., 1957. – გვ. 93-124.
ნარკვევები უმთავრესად მემუარული ხასიათისაა. მასში მოთხრობილია ილია ჭავჭავაძის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის, შრომა და ღვაწლი, რომელიც მას ქართული ჟურნალისტიკისათვის გაუწევია. ნარკვევში მრავლადაა ავტორის საქმიანი შეხვედრები ი. ჭავჭავაძესთან, როგორც რედაქტორთან.
- 1782. მეუნარგია იონა.** ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან. – წიგნ.: ქართველი მწერლები / რედაქტორი, შემდგენელი, წინასიტყვაობის და შენიშვნების ავტორი სოლომონ ცაიშვილი; საქ. სსრ განათლების სამინისტრო. – თბ.: სამეცნ. მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა, 1957. – ტ. 2. – გვ. 25-54
- 1783. ნაცვალაძე დავით.** ილია ჭავჭავაძე და აჭარა / რედ.: შ. ქურდიე. – ბათუმი.: სახელგამი, 1957. – 32 გვ.

მოგონება ეხება ილიას დამსახურებას ბათუმის პირველი ქართული სკოლის დაარსების საქმეში, ილიას ზრუნვას აჭარაში სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის და სხვა.

1784. ოქროპირიძე ნ. შთამაგონებელი კარმიდამო. _ გაზ. "სახ. განათლება". _ 1957. _ 4 სექტ.

ი. ჭავჭავაძის სახლმუზეუმი საგურამოში.

1785. რატიანი პროკოფი. ილია ჭავჭავაძე: პოლიტ-ეკონომიური შეხედულებანი. _ თბ.: სახელგამი, 1957. _ ტ. 2. _ 308 გვ.

1786. სეფიაშვილი ო. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ილუსტრაციები. _ ჟურ. "საბჭ. ხელოვნება". _ 1957. _ №9. _ გვ. 23-25.

1787. სიფრაშვილი ა. ი. ჭავჭავაძე ქართული სალიტერატურო ენის შესახებ. _ გაზ. "გამარჯვების დროშა" (ლაგოდები). _ 1957. _ 28 აგვ.

1788. ტერტერაშვილი გ. ილია ჭავჭავაძე გლეხთა განთავისუფლების შესახებ. _ გაზ. "გამარჯვება" (ახმეტა). _ 1957. _ 28 აგვ.

- 5000.** დონაძე ვარლამ. ილია ჭავჭავაძე და მსოფლიოს ისტორიის ახალი პერიოდის აქტუალური პრობლემები. _ თბ., 1987. _ 151გვ.
- 5001.** დონგუზაშვილი გ. “ივერია” მოსკოვის უნივერსიტეტზე. – გაზ. “გამარჯვება” (გორი). – 1987. – 10 იანვ.
- 5002.** დონაძე ვარლამ. ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის აქტუალური პრობლემები. – თბ.: საბჭ. საქართველო, 1987. _ 152 გვ.
- 5003.** დუმბაძე ნოდარ. დიდი ილია _ წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. _ თბ., 1987. _ გვ. 347-350
- 5004.** ებანოძე ზ. ილიას კარ-მიდამო: [ლექსი]. – გაზ. “ილია” (საქ. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყ-ბის ერთდროული ჟურნალი). – 1987. – 15 ოქტ.
- 5005.** ებანოძე ლ. ეროვნული მოძრაობის მეზაირახტრე. – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 17 ოქტ.
- 5006.** ევგენიძე ი. საქმიანიც, ეფექტურიც. – გაზ. “წიგნის სამყარო”. – 1987. – №22., გვ. 4.

- რეცენზია წიგნზე: ე. ხინთიბიძე, ა. სურგულაძე, ვ. მინაშვილი. საზოგადოებრივ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზრის განვითარება საქართველოში და ილია ჭავჭავაძე. რუს. და ინგლ. ენებზე. – თბ., თსუ. – 1987.
- 5007.** ევტუშენკო ევგენი. სიყვარულის და ძმობის მქადაგებელი – ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის გამო. – გაზ. "სოფლის ცხოვრება". – 1987. – 23 ოქტ.
- 5008.** ელერდაშვილი ალ. ილია და საქართველოს ისტორიის საკითხები. – გაზ. "ივრის განთიადი" (საგარეჯო). – 1987. – 22 სექტ.
- 5009.** ელერდაშვილი ალ. ილიას "ივერიის" კორესპონდენტები გარეკახეთიდან: [ზ. გულისაშვილი]. – გაზ. "ივრის განთიადი" (საგარეჯო). – 1987. – 20, 22 ოქტ.
დ. ბაქრაძის, ზ. გულისაშვილის, ნ. ავალიშვილის, ვ. ჩერქეზიშვილისა და სხვათა შესახებ.
- 5010.** ელერდაშვილი ალ. ილია ჭავჭავაძე და იოსებ იმედაშვილი. – გაზ. "ივრის განთიადი" (საგარეჯო). – 1987. – 14 თებ.
- 5011.** ელერდაშვილი ალ. როგორ დაიტირეს ილია გარეკახელებმა. – გაზ. "ივრის განთიადი" (საგარეჯო). – 1987. – 24 ოქტ.
- 5012.** ელერდაშვილი ალ. უახლოესი თანამდგომი. – გაზ. "ივრის განთიადი" (საგარეჯო). – 1987. – 10 სექტ
თეატრალურ მოღვაწე ი. ავალიშვილის შესახებ.
- 5013.** ელერდაშვილი ალ. უყვარდათ, სწამდათ. – გაზ. "სოფლის ცხოვრება". – 1987. – 9 ოქტ.
ილიას ურთიერთობა საგარეჯოელ მოღვაწეებთან.
- 5014.** ელერდაშვილი ალ. ღვაწლის ღირსეული დამფასებელი. – გაზ. "ივრის განთიადი" (საგარეჯო). – 1987. – 13 ოქტ.
ილია ჭავჭავაძისა და ი. ჯულაშვილის შეხვედრა.
- 5015.** ელიზბარაშვილი ვლ. "გუთანს ცოდნა უნდა..." – გაზ. "სოფლის ცხოვრება". – 1987. – 3 ოქტ.
იგივე: გაზ. "ყვარელი". – 1987. – 7 ოქტ.
- 5016.** ელიავა გ., ასათიანი მ. მოგზაურობა სამეგრელოში. – გაზ. "სახ. განათლება". – 1987. – 23 ოქტ.
- 5017.** ენდელაძე კ. ქართული სიდიადე. – გაზ. "წითელი დროშა" (მაიაკოვსკი). – 1987. – 11 ივნ.
- 5018.** ერაძე ლ. "კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა". – გაზ. "სოფლის ცხოვრება". – 1987. – 29 სექტ.
- 5019.** ერგეშიძე ნ. ილია-ყვარლელ გლეხებთან. – ჟურნ. "საქ. სოფლის მეურნეობა". – 1987. - №8., გვ. 37
- 5020.** ერემეიშვილი ი. გალაკტიონი და ილია. – ჟურნ. "განთიადი". – 1987. - №1., გვ. 142-145
- 5021.** ერემეიშვილი ი. ექსპრომტი –ქუთაისში [ილიას მიერ დაწერილი]. – გაზ. "ქუთაისი". – 1987. – 7 სექტ.
- 5022.** ერემეიშვილი ი. ვ.ი. ლენინმა იცოდა ილია ჭავჭავაძის შესახებ. – გაზ. "განთიადი" (ვანი). – 1987. – 2 თებ.
- 5023.** ერემეიშვილი ი. ილია და უორდროპების ოჯახი. – გაზ. "ქუთაისი". – 1987. – 15 ოქტ.

- იგივე: გაზ. “განთიადი” (ვანი). – 1987. – 10 სექტ.
- 5024.** ერემიშვილი ი. ილია და ქართველი სტუდენტობა. – გაზ. “განთიადი” (ვანი). – 1987. – 29 სექტ.
- 5025.** ერემიშვილი ი. ილია ჭავჭავაძე და ქუთაისის ქართული გიმნაზია. – სამეც. საინფ. ბიულეტენი, საქ. სსრ შსს მთავარი საარქივო სამმართველო. – 1987. – №51-52., გვ. 42-50
- 5026.** ერემიშვილი ი. ილია ჭავჭავაძის იუბილე ჟენევაში. – გაზ. “განახლებული მესხეთი” (ადიგენი). – 1987. – 17 იანვ.
- 5027.** ერემიშვილი ი., მაისურაძე ლ. ილიასეული “ივერია” წყალდიდობის შესახებ. – ჟურნ. “მეცნიერება და ტექნიკა”. – 1987. – №10., გვ. 39-42
- 5028.** ერემიშვილი ი. კირილე ლორთქიფანიძე და ილია ჭავჭავაძე. – გაზ. “განთიადი” (ვანი). – 1987. – 8 ოქტ.
- 5029.** ერემიშვილი ი. მ. ლომონოსოვი ილიასეულ “ივერიის” ფურცლებზე. – ჟურნ. “მეცნიერება და ტექნიკა”. – 1987. – №6., გვ. 28-31
- 5030.** ერემიშვილი ი. პოეტის იუბილე ქუთაისში [1912 წელს]. – გაზ. “სახ. განათლება”. – 1987. – 28 იანვ.
- 5031.** ერემიშვილი ი. საჩინო [იმერეთი] ილიასეულ “ივერიის” ფურცლებზე. – გაზ. “განთიადი” (ვანი). – 1987. – 16, 21 ივლ.
- 5032.** “ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ”. – გაზ. “ლენინელი” (საქ. პოლიტექ. ინ-ტი). – 1987. – 21 იანვ.
მწერლის მშობლიური ერისადმი საახალწლო მისალოცი “რა გითხრათ? რით გაგახაროთ?” /შეკრიბა ავთ. სიხარულიძემ.
- 5033.** ერის დიდი მოჭირნახულე. ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა ბათუმში. – გაზ. ”საბჭ. აჭარა”. – 1987. – 23 ოქტ.
- 5034.** ერისკაცი: (ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი) პერსონალური ანოტირებული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი მე-4-8 კლასებისათვის / საქ. სსრ კულტურის სამინისტრო; რესპ. საბავშვო ბიბ-კა; [შემდგ.: რუსუდან კვირიკაშვილი; რედ.: ავთანდილ გურგენიძე]. – თბ, 1987. – 12 გვ.
- 5035.** ერისთავი თამარ. თბილისი-კახი-ალიბეგლო-თბილისი. – გაზ. ”ლიტ. საქართველო”. – 1987. – 30 ოქტ., №44.
ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი საინგილოში.
- 5036.** ერისთავი-ჯავახიშვილი დარია. ოორი დღე ერის მამასთან. – წიგნ.: ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში. – თბ., 1987. – გვ. 157-158
- 5037.** ერის მოძღვარი. – ჟურნ. “ქოროხი”. – 1987. – №5., გვ. 3-9
- 5038.** ემგვერაძე ა. როგორ ვასწავლი ილია ჭავჭავაძის “განდეგილს”. – გაზ. “განთიადი” (კასპი). – 1987. – 22 ოქტ.
კასპის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებლის გამოცდილება.
- 5039.** ვანიშვილი შ. ილია ჭავჭავაძე და ერობის შემოღების საკითხი საქართველოში. – გაზ. “ლენინელი” (საქ. პოლიტექ. ინ-ტი). – 1987. – 25 სექტ.
იგივე: გაზ. “გამარჯვება” (გორი). – 1987. – 22 ოქტ.
- 5040.** ვაჟა-ფშაველა: [ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი წერილები და ლექსები] – წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. – თბ., 1987. – გვ. 12-29.

- შინაარსი: ლექსები:** ილია ჭავჭავაძეს. ილია ჭავჭავაძის სახსოვრად. შენდამი. ილიას საღამო.
- წერილები:** PRO DOMO SUA. ვერ მოჰკლეს! სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე. ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო. მცირე შენიშვნა.
- 5041. ვაჟა-ფშაველა.** ვერ მოჰკლეს. – ჟურნ. “დროშა”. – 1987. - №3., გვ. 6.
იგივე: წიგნ. “დროშის” ბიბლიოთეკა. წიგნი მესამე – 1987. - გვ. 24-27.
იგივე: გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1987. – 29 აგვ.
- 5042. ვაჟა-ფშაველა.** ილია ჭავჭავაძის სახსოვრად: [ლექსი]. – ჟურნ. “წიგნის სამყარო”. – 1987. - №20., გვ. 3-4.
იგივე: გაზ. “ლენინელი” (ლენინგორი). – 1987. – 17 ოქტ.
იგივე: გაზ. “სახ. განათლება”. – 1987. – 23 ოქტ.
იგივე: წიგნ.: მწიგნობარი-87. _ თბ., 1987. _ გვ. 89
- 5043. ვაჟა-ფშაველა.** ილიას საღამო: [ლექსი]. – გაზ. “სამთო ქიმია” (თბილ. საწარმოო გაერთიანება “სამთო ქიმია”). – 1987. – 23 სექტ.
- 5044. ვაჟა-ფშაველა.** საუკუნოდ იყოს... – გაზ. “ილია” (საქ. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყ-ბის ერთდროული ლიტ. გაზეთი). – 1987. – 15 ოქტ.
 სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ცხედარზე 1907 წ. სექტ.
- 5045. ვაჟა-ფშაველა.** სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე. – წიგნ.: ქრესტომათიული კრიტიკა. XIX საუკუნე. II / შემდგ.: მ. ჯანჯიბუხაშვილი, ლ. მანჯგალაძე. – თბ., 2004. – გვ. 359-360.
იგივე: ჟურნ. “საქ. ქალი”. – 1987. - №10., გვ. 10.
იგივე: წიგნ.: თხზულებანი ხუთ ტომად. ტომი V. – თბ., 1994. – გვ. 297-298
- 5046. ვარადაშვილი გ.** ილია-ბუნების ქომაგი. – გაზ. “ყვარელი”. – 1987. – 10 თებ.
- 5047. ვარდანაშვილი ლ.** ბუმბერაზი: [ლექსი]. – გაზ. “გამარჯვება” (გორი). – 1987. – 15 სექტ.
- 5048. ვარდოსანიძე სერგო.** ილია ჭავჭავაძე და XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი ისტორიკოსები. _ წიგნ.: ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XXII სამეცნიერო სესია მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავისადმი. 1987 წლის 27-29 მაისი: მოხსენებათა: თეზისები საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტი. _ თბ.: მეცნიერება, 1987. _ გვ. 13.
- 5049. ვარშანიძე მ.** [ლექსები ილია ჭავჭავაძისადმი]. – ჟურნ. “ჭოროხი”. – 1987. - №5., გვ. 21-30.
 შინაარსი: თერგდალეული; ნუთუ; დღეს შენი შვილი თავს დაგტრიალებს; მუჰაჯირები... მუჰაჯირები; ხმა-იდუმალი საიდან ისმის?! ზღაპარია თუ არაკი?! ვინ მოსულა; მომეცით ჩემი ანბანი; აჭარელო ბიჭუნაო...; რა მოხდა წიწამურში.
- 5050. ვარშანიძე ნ.** პუშკინი და ილია. – გაზ. “საბჭ. აჭარა”. – 1987. – 9 სექტ.
- 5051. ვასაძე ა.** ილიას მისტერია. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 16, 23 ოქტ.
 ქართველ ხალხში ეროვნული ძალების გამოფხიზლების, მათი შეკავშირებისა და საერო საქმისათვის ერთობლივი მოღვაწეობის შესახებ.
- 5052. ვასაძე თ.** გზაჯვარედინზე. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 13 მარტი. - №11., გვ. 5-6.

- თერგის და მცინვარის დღის და ღამის სახე-სიმბოლოები ილია ჭავჭავაძის “მგზავრის წერილებში”.
- 5053.** ვასაძე თ. ზნეობრივი მრწამსი [ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში “გლახის ნაამბობი”]. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 23 ოქტ. – №43., გვ. 8-9.
- 5054.** ვაჩნაძე ე. ბებო ლიზას ხატება. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 23 ოქტ.
ილიასთან დაკავშირებით მსახიობ ელისაბედ ჩერქეზიშვილის ნაამბობის გახსენება.
- 5055.** ვაჭრიძე პ. ყველას რაიმე აქვს სახსოვარი. – ჟურნ. “განთიადი”. – 1987. – №4., გვ. 134-149.
ნარკვევი, რომელიც შეეხება ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებულ ფაქტებს.
- 5056.** ვეკუა ლ. იუბილეს ღირსეულად შევხვდებით. – გაზ. “ლენინელი” (გალი). – 1987. – 10 იანვ.
- 5057.** ველიევი გ. აზერბაიჯანელი ხალხის დიდი მეგობარი. – გაზ. “საბჭ. აჭარა”. – 1987. – 10 ივნ.
- 5058.** ვისწავლოთ, როგორ გვიყვარდეს სამშობლო. – გაზ. “სოფლის ცხოვრება”. – 1987. – 25 ოქტ.
ილიასადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო კონფერენციის მონაწილეთა – ვ. ბობულოვის, ვ. გუდონენეს, ვ. რაგოიშას და სხვათა გამოსვლები / ჩაიწერეს ზ. ჩომახაშვილმა და თ. საგინაშვილმა.
- 5059.** ვიქტორინა: (ემღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს). უფროსკლასელთათვის) / პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლე; [შემდგ.: გ. სალუქვაძე]. – თბ., 1987. – 13გვ.
- 5060.** ვლადიმერიძე ბ. საქართველო და ილია: [ლექსი]. – გაზ. “კომუნიზმის გზით” (წულუკიძე). – 1987. – 17 ოქტ.
- 5061.** ზაზაძე დ. ერის მოძღვარი. – გაზ. “ასპინძა”. – 1987. – 6 ივნ.
- 5062.** ზარქუა ო. ილიას: [ლექსი]. – გაზ. “კომუნისტური შრომა” (სოხუმი). – 1987. – 15 სექტ.
- 5063.** ზაუტაშვილი გ. ილია და თეატრი. – გაზ. “წიგნის სამყარო”. – 1987. – №2., გვ. 3
- 5064.** ზაფხული-87. / [შემდგენელ-რედაქტორი: გ. ჩხეიძე; ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლე]. – თბ., 1987. – 15 გვ.
ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი კროსვორდები, ვიქტორინები, სხვადასხვა გასართობი.
- 5065.** ზაქარაია გ. “მოგონებები გარდასულ დღეთა”. – გაზ. “საბჭ. აფხაზეთი”. – 1987. – 23 სექტ.
- 5066.** ზაქარიაძე შ. “ივერია” იუწყებოდა. – გაზ. “ლენინის დროშა” (მახარაძე). – 1987. – 9 ივნ.
- 5067.** ზაქარიაძე შ. მარად და ყველგან. – ჟურნ. “ქოროხი”. – 1987. – №5., გვ. 79-80.
იგივე: გაზ. “კომუნისტური შრომა” (ლანჩხუთი). – 1987. – 11 ივლ.
- 5068.** ზაქარიაძე შ. ილია გურიის ქომაგი [1905-07 წლების რეაქციის წლებში]. – გაზ. “კომუნიზმის განთიადი” (ჩოხატაური). – 1987. – 16 აპრ.
- 5069.** ზაქარიაძე შ. ძმობისა და მეგობრობის სიმები. – გაზ. “ყვარელი”. – 1987. – 8 იანვ.

- 5070.** ზედგინიძე ნ. ილია ჭავჭავაძე და ინგლისური კულტურის სამყარო. – ჟურნ. “ცისკარი”. – 1987. – №10. – გვ. 136-139
- 5071.** ზეპირი ჟურნალი მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი; (მეთოდური რეკომენდაციები) / საქ. სსრ კულტურის სამინ., საქ. სსრ სახელმწ. რესპ. ბიბ-კა; [რედ.: გ. ბერულავა; რედ.: ს. პულუზაშვილი]. – თბ., 1987. – 13გვ.
- 5072.** ზოიძე შოთა. მეტყველი სული. წიგნიდან “საქართველოს გოლგოთა”. – გაზ. “საბჭ. აჭარა”. – 1987. – 20 მაისი.
იგივე: გაზ. “დროშა” (შუახევი). – 1987. – 8,10 ოქტ.
- 5073.** ზოიძე შოთა. ოქროს აკვანი. წიგნიდან “საქართველოს გოლგოთა”. – ჟურნ. “ჭოროხი”. – 1987. – №3., გვ. 40-47
- 5074.** ზოიძე შოთა. პორტრეტი. წიგნიდან “საქართველოს გოლგოთა”. – ჟურნ. “ჭოროხი”. – 1987. – №5., გვ. 47-52.
ილიას როლი საქართველოს ისტორიაში.
- 5075.** ზოტოვა ლ. ილია-გლეხკაცობის ეპოემა. – გაზ. “კომუნიზმის გზა” (დუშეთი). – 1987. – 31 იანვ.
- 5076.** ზოტოვა ლ. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობა დუშეთში. – გაზ. “კომუნიზმის გზა” (დუშეთი). – 1987. – 12 თებ.
- 5077.** ზუკაკიშვილი გ. ილია ჭავჭავაძეს: [ლექსი]. – გაზ. “ივრის განთიადი” (საგარეჯო). – 1987. – 24 ოქტ.
- 5078.** ზურაბიანი ბ. ერის სახელოვანი შვილი. – გაზ. “საბჭ. სვანეთი” (ლენტეხი). – 1987. – 22 აგვ.
- 5079.** ზურაბიშვილი ავლიძე. ილია ჭავჭავაძე და პერსონოლოგიური ფსიქოლოგია. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 12 ივნ.
- 5080.** ზურიაშვილი თ. “ილიაობა” საინგილოში. – გაზ. “ყვარელი”. – 1987. – 1 ოქტ.
- 5081.** ზღულაძე ნ. ილიას თხზულებათა პირველი რუსული თარგმანები. – ჟურნ. “მნათობი”. – 1987. – №8., გვ. 171-173.
რეცენზია წიგნზე: გ. მათიაშვილი. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა პირველი რუსული თარგმანები. თბ.: მეცნიერება, 1987.
- 5082.** თაბაგარი ლ. ასე აფასებდა ილია გრიგოლ ორბელიანს. – გაზ. “ახალი შირაქი” (წითელწყარო). – 1987. – 24 იანვ.
- 5083.** თაბორიძე მ. დიდი მამულიშვილის საზრუნავი. – ჟურნ. “სკოლა და ცხოვრება”. – 1987. – №6., გვ. 69-75.
ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სწავლება სკოლაში.
- 5084.** თაბუკაშვილი ლაშა. შენი საფლავის წინ დადებენ ფიცს. – ჟურ. “ცისკარი”. – 1987. – №10. – გვ. 7-8.
ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ წარმოთქმული სიტყვა.
- 5085.** თადეოზი. თანამდევნი, უკვდავი სული. – ჟურნ. “ჯვარი ვაზისა”. – 1987. – №1., გვ. 24-25
- 5086.** თავაძე დ. მუზეუმი [თბილისში] და მისი პრობლემები. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 3 ივლ.
- 5087.** თავდიშვილი მ. ერის მოძღვარი. – გაზ. “სოციალისტური რუსთავი”. – 1987. – 12 აგვ.
- 5088.** თავდიშვილი მ. როდემდე? – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 22 მაისი. – №21., გვ. 5.

ილია ჭავჭავაძის გამოცემებში დაშვებული ერთი შეცდომის გამო. ილიას მიერ თარგმნილი რუსი პოეტის იაკობ პოლონსკის ლექსის “ზედა მქადაგებლის” გერმანელი პოეტის, გოეთეს, ლექსად მიჩნევის შესახებ.

5089. თავდგირიძე ნ. მოაზროვნე, პატრიოტი. – გაზ. “დროშა” (შუახვევი). – 1987. – 20 ოქტ.

5090. თათრიშვილი ლალი. თანამდგომნი. – ჟურ. “საქართველოს სოფლის მეურნეობა”. – 1987. - №6. – გვ. 39.

ილია ჭავჭავაძის თანამოაზრენი და მეგობრები კასპის რაიონიდან: ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი, ე. გაბაშვილი, კ. და ი. კარგარეთელები, გ. თარხნიშვილი და სხვები.

5091. თალაკვაძე ნ. სიტყვა თქმული 7 ენკენისთვის ილიას ქალაქში შემოსვენების დროს. – ჟურნ. “ჯვარი ვაზისა”. – 1987. - №1., გვ. 69

5092. თარაშვილი მიხეილ. ილია არ შემცდარა. – ჟურნ. “გუშაგი”. – პარიზი. – 1987. – №14.

ავტორის თქმით, ილია სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს იმიტომ, რომ იგი ხელს უშლიდა ერის მთლიანობის დარღვევაში.

5093. თარიმანიშვილი ე. ორი ამბავი მწერლის ცხოვრებიდან. – გაზ. “ახალი თიანეთი”. – 1987. – 5 მარტი

5094. თაყაიშვილი ექვთიმე: [სიტყვა ი. ჭავჭავაძის შესახებ] – წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. – თბ., 1987. – გვ. 71-72

5095. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი. ლიტერატურათმცოდნეობა. 23-25 XI.87.: მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა., 1987. – 62 გვ.

5096. თელია ა. ბეჯითობაა ჩვენი მხსნელი. – ჟურნ. “ეკონომისტი”. – 1987. - №10., გვ. 34-38

5097. თელია ა. ი. ჭავჭავაძე – ვაზის უანგარო ქომაგი. – ჟურ. “ეკონომისტი”. – 1986. - №1. – გვ. 106-109.

5098. თელია ა. ილია ჭავჭავაძე და კახეთის რკინიგზა. – ჟურნ. “მეცნიერება და ტექნიკა”. – 1987. - №10., გვ. 30-34

5099. თელია ა. ილია ჭავჭავაძე და საბანკო პოლიტიკა. – ჟურნ. “ეკონომისტი”. – 1987. - №1., გვ. 93-96

5100. თირაიშვილი თ. “და მომევიღინა მე კაცი დიდი”. – გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1987.

ინტერვიუ მოქანდაკე გიორგი ლარიაშვილთან მისი ნამუშევრის – “მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...” – ირგვლივ.

5101. თოდუა გ. ილია ჭავჭავაძე საზოგადოების ეკონომიკური წყობილების შესახებ. – ჟურნ. “ეკონომისტი”. – 1987. - №10., გვ. 17-28

5102. თოდუა ლ. ჩვენი “თანამდევნი, უკვდავი სული...”. – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 27 ოქტ.

5103. თორდია კ. ილიას დიდი მეგობრობა ახალციხელ იოსებ და ილიკო ნებაძეებთან. – გაზ. “წითელი დროშა” (ახალქალაქი). – 1987. – 24 ოქტ.

5104. თორდია კ. ილია ჭავჭავაძე და სამცხე-ჯავახეთი. – ჟურნ. “ცისკარი”. – 1987. - №10., გვ. 152-156

- 5105.** თორდია კ. მესხეთის დიდი ქომაგი. – გაზ. “განახლებული მესხეთი”. – 1987. – 19 თებ.
- 5106.** თუთბერიძე ნანა. ეს “ალუვისებელი საწყაული”. – გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1987. – 21 ივლ.
 ო. გვასალიას დოკუმენტური ტელეფილმი “რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან”.
- 5107.** თუთბერიძე ნანა. ჯერ კიდევ ვალშია. – გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1987. – 22 ოქტ.
- 5108.** თურნავა ს. ილია და უცხოელი მოღვაწეები. – ჟურნ. “დროშა”. – 1987. – №8., გვ. 14-15
- 5109.** თურნავა ს. “კაცია ადამიანის” უცნობი ფრანგული თარგმანი. – გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1987. – 23 ივლ.
 ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მ. ბროსესეული თარგმანის გამო.
- 5110.** ჭავჭავაძის ეკონომიკური ტერმინოლოგია. – ჟურნ. “ეკონომისტი”. – 1987. – №7., გვ. 102-107
- 5111.** ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გამოცემა [ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ და სხვა ენებზე]. – გაზ. “საბჭ. აჭარა”. – 1987. – 19 სექტ.
- 5112.** იაშვილი ს. თბილისის ქართული გიმნაზია და ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში. – თბ., 1987. – გვ. 99-104
- 5113.** ითონიშვილი ვ. ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში. – ჟურნ. საქ. სსრ მეცნ. აკად. მაცნე. ისტ., არქ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტორიის სერია. – 1987. – №3., გვ. 24-39
- 5114.** ილია [წერილები, სიტყვები, მოგონებები / შემდგ. გურამ. გვერდწითელი, სარგის ცაიშვილი; რედ.: ცოტნე კიკვიძე.] – თბ.: მერანი, 1987. – 589გვ. – (მოგონებები გარდასულ დღეთა).

შინაარსი:

- აკაკი წერეთელი – გამოსათხოვარი სიტყვა;
 ვაჟა-ფშაველა – ვერ მოჰკლეს! სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე;
 იაკობ გოგებაშვილი – შურის ძიება ისტორიისა. დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი. საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება;
 გრიგოლ ყიფშიძე – ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფია);
 კიტა აბაშიძე – ილია ჭავჭავაძე (კრიტიკული მიმოხილვა);
 ივანე ჯავახიშვილი – ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია.
მოგონებები

- კობტა აბხაზი;
 ოლღა აგლაძე;
 არტემ ახნაზაროვი;
 ვასილ ბარნოვი;
 ივანე ბუქურაული;
 ეკატერინე გაბაშვილი;
 რევაზ გაბაშვილი;
 შალვა დადიანი;
 ილია ზურაბიშვილი;
 ექვთიმე თაყაიშვილი;

იოსებ იმედაშვილი;
 დავით კასრაძე;
 არტურ ლაისტი;
 გიორგი ლასხიშვილი;
 სალომე ლოლაძე;
 იაკობ მანსვეტაშვილი;
 დანიელ მასლოვი;
 ბარბარე მაყაშვილი;
 სოფრომ მგალობლიშვილი;
 იონა მეუნარგია;
 ელისაბედ საგინაშვილი;
 საგურამოელი გლეხები;
 თედო სახოკია;
 ნინო ყიფიანი;
 გიგო ხეჩუაშვილი;
 მიხეილ ჯავახიშვილი;
 ნიკო ჯანდიერი;
 ნოშრევან ჯაფარიძე;
 არჩილ ჯაჯანაშვილი

- 5115.** ილია. _ ქურ. “დროშა”. _ 1987. _ №2. _ გვ. 18.
 გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ე. თაყაიშვილის, გრ. ყიფშიძისა და ს. მგალობლიშვილის გამონათქვამები და შეხედულებები ი. ჭავჭავაძეზე.
- 5116.** ილია აჭარის შესახებ. (ოსმალის საქართველო). – გაზ. “დროშა” (შუახვევი). – 1987. – 20 ოქტ.
- 5117.** ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. “მართალი, ვითარცა ფინიკი აღყუავნეს”. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 23 ოქტ.
 საუბარი უწმინდეს და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან / ჩაიწერა ი. ამირხანაშვილმა.
- 5118.** ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. წმინდა ილია მართალი. – გაზ. “ილია” (საქ. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყ-ბის ერთდროული ლიტ. გაზეთი). – 1987. – 15 ოქტ.
- 5119.** ილია რომ არა... – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 22 ოქტ.
 მ. ლორთქიფანიძის, ვ. ბერიძის, მ. მაჭავარიანისა და ლ. ლოლობერიძის აზრი ილიას შესახებ.
- 5120.** ილიას საიუბილეო საღამო კიევში. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 11 დეკ.
- 5121.** ილიას სამრევლო: [სტატიების კრებული] / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. – თბ., განათლება, 1987. _ 375 გვ.
- 5122.** ილია ჭავჭავაძე. ლიტერატურის სარეკომენდაციო საძიებელი (დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით) / საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახელმწ. რესპ. ბიბ-კა; [შემდგ.: ტ. საპატოვა, ვ. ნანაძე, ნ. რიჟინაშვილი, ნ. ლევიშვილი; რედ.: გ. შარაძე]. – თბ., 1987. _ 103 გვ.

- 5123.** ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და შემოქმედება: საგამოფენო მასალები სკოლებისა და საბავშვო ბიბლიოთეკებისათვის / ტექსტის ავტ. და შემდგ. ნ. ადამია. – თბ.: ნაკადული, 1987. – 48 გვ.
- 5124.** ილია ჭავჭავაძე: მეთოდური რეკომენდაციები მწერლის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებისათვის / [რეკომენდაციები მოამზადეს...მ. ვახტანგაძემ და ნ. ლითანიშვილმა]; საქ. სსრ წიგნის მოყვარულთა საზ-ბა. _ თბ., 1987. _ 44გვ.
- 5125.** ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი: მეთოდური რეკომენდაციები და მასალები მასობრივი ბიბლიოთეკების დასახმარებლად / შემდგ.: გ. ბერულავა. – თბ., 1987. _ 37 გვ.
- 5126.** ილია ჭავჭავაძე 150: საიუბილეო კრებული / სარედ. კოლეგია: ნიკო ბერძენიშვილი, ლეონიდე გორგილაძე, გრიგოლ თოდუა, ლადო მინაშვილი, მარიკა ოძელი, ნოდარ ტაბიძე, ელგუჯა ხინთიბიძე (რედაქტორი), ბესარიონ ჯორბენაძე – თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1987. – 350გვ.
- კრებულში შევიდა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი შემდეგი სტატიები:
- ბესარიონ ჯორბენაძე** _ ქართული ენის დიდი მოამაგე;
- თენგიზ სანიკიძე** _ ილია ჭავჭავაძის ენის ლექსიკა;
- მზია ძაძამია, ლიანა შატბერაშვილი** _ ილია ჭავჭავაძე და თანამედროვე ქართული პროზის ზოგიერთი ასპექტი;
- ნოდარ ტაბიძე** _ დეტალის გამოყენების ოსტატობა;
- აკაკი ხინთიბიძე** _ ილიას ნატვრა და იმედი (ერთი ლექსის ანალიზისათვის);
- ვახტანგ ვახანია** _ რამდენიმე შენიშვნა ი. ჭავჭავაძის “კაცია-ადამიანის?!” შესახებ;
- ლეონიდე გორგილაძე** _ ილიას მსოფლმხედველობის ადგილისათვის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში;
- მიხეილ გაფრინდაშვილი** _ ილია ჭავჭავაძე და თანამედროვეობა;
- უშანგი ობოლაძე** _ ილია ჭავჭავაძე და ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები;
- გრიგოლ თოდუა** _ ილია ჭავჭავაძე და პოლიტიკური ეკონომიის აქტუალური პრობლემები;
- ტარიელ სართანია** _ ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზების შესახებ;
- ლამარა გოდერიძე** _ ილია ჭავჭავაძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება;
- სოლომონ ხუციშვილი** _ ილია ჭავჭავაძის “ახლობელნი და შორეულნი”;
- ლიანა ფერაძე** _ სამზადისი ილიას პირველი იუბილესათვის;
- ლევან მენაბდე** _ ილია ჭავჭავაძე და დავით გურამიშვილი;
- ოთარ ბაქანიძე** _ ილია ჭავჭავაძე და უკრაინა;
- მედია სურგულაძე** _ ილია ჭავჭავაძე და და-ძმა უორდროპები;
- ვანო შადური** _ ილია ჭავჭავაძე და ყაზბეგი.
- 5127.** ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში / [შემდგ.: ლიდა აფაქიძე და ტარიელ იაშვილი; რედ.: გიორგი ნატროშვილი]. – თბ.: საბჭ. საქართველო, 1987. _ 187გვ.

კრებულში შესული მოგონებების ავტორები არიან: გალაკტიონ ტაბიძე, ლევან ასათიანი, ილია აგლაძე, სოსო მაჭავარიანი, იაკობ ნიკოლაძე, ელენე როსტომაშვილი-ჭავჭავაძე, ყარამან ფალავა, სოლომონ ცაიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე, სეით იაშვილი, ლადო გეგეჭკორი, დავიტ კასრაძე, არკადი ხუნდაძე, ლადო ბზვანელი, ილია ბახტაძე, სოსიკო ფანცხავა, ზაქარია ჭიჭინაძე, მიხეილ მამულაშვილი, ანასტასია მაყაშვილი, ნატალია ჯიჯავაძე, დარია ერისთავი-ჯავახიშვილი, გიორგი ტატიშვილი, ალექსანდრე გიჟიმერელი, დ. დავითაშვილი, მიხეილ შამანაური, კოტე ბერეკაშვილი, იოსებ ანდრონიკაშვილი, გიორგი ბერძენიშვილი.

- 5128.** ილია ჭავჭავაძე მოგონებებში. 1836-1987 / შ. ბარამიძე, ო. აგლაძე, ა. მათურელი და სხვ. – ჟურნ. “საისტორიო მოამბე”. – 1987. - №55-56., გვ. 124-250
- 5129.** ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმი: [ბუკლეტი / შემდგ.: ლ. გიორგაძე; ტექსტის ავტ.: მ. ნადირაძე]; საქ. სსრ კულტ. სამინ. – თბ.: ხელოვნება, 1987. – 11 გვ
- 5130.** ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა (მე_2 შევს. და შესწ. გამოც.) / საქ. სსრ სახელმწ. რესპ. ბიბ-კა; [შემდგ.: ე. იმნაძე, გ. რამიშვილი; რედ.: კ. რამიშვილი]. – თბ., 1987. – 207გვ.
- 5131.** ილია ჭავჭავაძის საგანმანათლებლო მოღვაწეობა./შემდგ.: მ. ბერძენიშვილი. საქ. სსრ კულტურის სამინ., ხალხური შემოქმედებისა და კულტ.-საგანმანათლებლო მუშაობის რესპ. სამეც. მეთოდ. ცენტრი. – თბ., 1987. – 16გვ.
- 5132.** ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი: [ბუკლეტი / შემდგ.: ლ. გველესიანი; ტექსტის ავტ.: შ. ოსეფაშვილი]; საქ. სსრ კულტ. სამინ. – თბ.: ხელოვნება, 1987. – 10 გვ.
- 5133.** ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ: [სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის დადგენილება]. – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 8 მაისი
- 5134.** ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება: [ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი წერილები და ლექსები] – წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. – თბ., 1987. – გვ. 465-571
- 5135.** ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმი: [ბუკლეტი / შემდგ.: ლ. გველესიანი; ტექსტის ავტ.: ი. ბეროშვილი]; საქ. სსრ კულტ. სამინ. – თბ.: ხელოვნება, 1987. – 12 გვ.
- 5136.** ილია ჭავჭავაძის ძეგლი ზუგდიდში. – გაზ. “სოფლის ცხოვრება”. – 1987. – 17 ნოემბ.

ძეგლის ავტორები არიან მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი და არქიტექტორი ზურაბ მათიაშვილი.

- 5137.** ილიას დღეები ქუთაისში. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 6 ნოემბ.
- 5138.** ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. – თბ.: განათლება, 1987. – 581გვ.

კრებული ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს. იგი შედგება ორი თავისაგან: 1) “შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ”; 2) “ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება”. პირველ თავში თავმოყრილია ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სტატიები, მეცნიერული გამოკვლევები, პუბლიცისტური

- გამოსვლები. მეორე თავში ნაჩვენებია ილიას ვერაგული მოკვლით გამოწვეული საერთო-სახალხო გლოვის მასშტაბი.
- 5139. ილიას სწავლება სკოლაში:** [კრებული] / საქ. განათ. სამინ., მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტი, ქართ. ენისა და ლიტ-რის სწავლების მეთოდოლოგია კათედრა. _ თბ., 1987. _ 88გვ.
- შინაარსი:**
- გ. შალამბერიძე _ “კაცია-ადამიანის?!” სათაურის გაგებისათვის;
 - ნ. უსტიაშვილი _ ენისა და სტილის ზოგიერთ საკითხზე მუშაობა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების სწავლებისას;
 - ლ. ჭანკვეტაძე _ ილიას წერილების გამოყენება მწერლის ბიოგრაფიის სწავლებისათვის;
 - ნ. ხოშტარია _ ი. ჭავჭავაძის რამდენიმე ლირიკული ნაწარმოების სწავლებისათვის;
 - დ. ბერიძე _ “აჩრდილის” სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში;
 - თ. კვინტრაძე _ “განდეგილის” სწავლებისათვის;
 - ე. გულდამაშვილი _ “ხიდჩატეხილობის” სწავლებისათვის;
 - დ. ლორია _ ილიას ნაწარმოებთა ესთეტიკურ-ემოციურ ფონზე დაკვირვება;
 - შ. გოგატიშვილი _ დიდი ილიას სახელობისა.
- 5140. იმედაშვილი ი.** მისი აზრი გვიძღოდა წინ. _ წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. _ თბ., 1987. _ გვ. 250-254
- 5141. იმედაშვილი კ.** “თვითოველი წამი მისის ცხოვრებისა-მოდღვრებაა...”. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 23 ივნ.
- 5142. იმედაშვილი კ.** ილიას გაკვეთილები. – ჟურნ. “საქ. კომუნისტი”. – 1987. - №7., გვ. 83-88.
- იგივე:** გაზ. “ყვარელი”. – 1987. – 30 ივლ., 1 აგვ.
- 5143. იმედაშვილი კ.** “მარად და ყოვლგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...” _ წიგნ.: იმედაშვილი კ. მიჯნა. _ თბ., 1987. _ გვ. 287-289.
- საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში დაცული ილია ჭავჭავაძის ხელნაწერის შესახებ, სადაც პოემა “აჩრდილის” განსხვავებული ვარიანტია შენახული.
- 5144. იმერლიშვილი ს.** ამ ჭერქვეშ იქმნებოდა დიდი შემოქმედება. – ჟურნ. “საქ. სოფლის მეურნეობა”. – 1987. - №10., გვ. 43
- 5145. ინგოროყვა პავლე.** “ადამიანურ ეფლებათათვის...” _ ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში. – ჟურნ. “სკოლა და ცხოვრება”. – 1987. - №10., გვ. 44-47
- 5146. ინჯია ჯ.** პაპის ნაამბობი. – გაზ. “ოქტომბრის გზით” (ქარელი). – 1987. – 24 ოქტ.
- 5147. ირემაძე ა.** ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობა. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 25 აგვ.
- 5148. იშჩენკო ე.** ძვირფასი სახელი. – გაზ. “საბჭ. აფხაზეთი”. – 1987. – 9 ოქტ. ილიას ურთიერთობა უკრაინელ მწერლებთან.
- 5149. კავთიაშვილი ვენერა.** ესეც თავმდაბლობის ნიშანია. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 3 მარტი.
- წერილში საუბარია, თუ როგორ ფლობდა ი. ჭავჭავაძე უცხო ენებს.

- 5150.** კაიკაციშვილი ს. ილია და აჭარა. – გაზ. “ლენინელი” (ქობულეთი). – 1987. – 22 ოქტ.
- 5151.** კაკაბაძე დ. ილიას “ივერია” ფეხბურთოზეც წერდა. – გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1987. – 22 ოქტ.
- 5152.** კაკაბაძე ნ. ვაჟა-ფშაველა შვეიცარიული გაზეთის ფურცლებზე. – გაზ. “კომუნისტის გზა” (დუშეთი). – 1987. – 17 თებ.
- 5153.** კაკაბაძე ნ. ილია ჭავჭავაძე შვეიცარიულ გაზეთში. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 10 იანვ.
- შვეიცარიული გაზეთის “ნოი ციურჰერ ცაიტუნგის” 1986 წ. 28 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა რუტ ნოიკომისა და იოლანდა მარშევის ვრცელი წერილი ილია ჭავჭავაძეზე.
- 5154.** კაკულია შ. ილია ჭავჭავაძე [იმერეთის ეპისკოპოსის] გაბრიელ ქიქოძის შესახებ. – გაზ. “ქუთაისი”. – 1987. – 21 ივლ.
- 5155.** კალანდაძე აღ. ერის მამის სულიერი საგანძური. – გაზ. “სახ. განათლება”. – 1987. – 11 დეკ.
- რეცენზია წიგნზე: გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე-გამოკვლევა და ფოტომატიაზე – I ნაწ. (1837-1885 წ.წ.). თბ., ხელოვნება, 1987.
- 5156.** კალანდაძე ა. ილია ჭავჭავაძის ჟურნალისტურ-ლიტერატურული ეტიკა. – გაზ. “სახ. განათლება”. – 1987. – 3 ნოემბ.
- 5157.** კალანდაძე ანა. ილიამ ბრძანა: [ლექსი]. – მწიგნობარი-87. – თბ., 1987. – გვ. 147.
- 5158.** კალანდაძე დ. “განდეგილის” იდეები და თანამედროვეობა. – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 17 ოქტ.
- 5159.** კალანდაძე თ. მარადისობას შეერია მისი ხატება. – გაზ. “გამარჯვება” (გორი). – 1987. – 31 ოქტ.
- 5160.** კანდელაკი ბ. ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლის საიუბილეოდ. – ჟურნ. “მეგლის მეგობარი”. – 1987. – №1., გვ. 35-40
- 5161.** კანდელაკი ბ. ჭავჭავაძეთა საგვარეულო გერბი. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 26 თებ.
- 5162.** კანდელაკი ნიკოლოზ. ილია ჭავჭავაძე 1837-1907 _ წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითქმერია, ზ. ჩილაჩავა. – თბ., 1987. – გვ. 282-295.
- 5163.** კანდელაკი ო. ეს ფოტოსურათიც შეავსებს. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 13 თებ.
- ილია ჭავჭავაძის ახლო ნათესავის სოსიკო ვაჩნაძის შესახებ.
- 5164.** კანანაძე ვ. ილიას იდეოლოგიური მოძღვრება. – გაზ. “ყვარელი”. – 1987. – 19 დეკ.
- 5165.** კანკაძე ს. თავის მამულის მოყვარე. – გაზ. “ლენინელი” (ლენინგორი). – 1987. – 6 აგვ.
- 5166.** კარბელაშვილი ა. “ივერია” ფინელებსა და ფინეთზე. – გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1987. – 13 აგვ.
- 5167.** კარბელაშვილი ა. გაზეთი “ივერია” ქართველი გლეხების მოამაგე. – გაზ. “გამარჯვება” (გორი). – 1987. – 21 თებ.
- 5168.** კარბელაშვილი ა. ელექტროენერგია და ილიასული “ივერია”. – ჟურნ. “მეცნიერება და ტექნიკა”. – 1987. – №10., გვ. 35-38

- 5169.** კარბელაშვილი ა. ილიასეული “ივერია” უცხოელთა წიგნებზე. – გაზ. “წიგნის სამყარო”. – 1987. - №8., გვ. 3
- 5170.** კარბელაშვილი ლ. ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი “ივერიის” ფურცლებზე. – ჟურნ. “საბჭ. სამართალი”. – 1987. - №2., გვ. 56-57
- 5171.** კასრაძე დავით. ილიაობა. – წიგნ.: ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში. – თბ., 1987. – გვ. 108-116.
ავტორი იგონებს ილიასთან შეხვედრის სხვადასხვა შემთხვევას – ილიაობაზე საგურამოში, ნიკო ხიზანიშვილის დაკრძალვაზე და ა.შ.
- 5172.** კასრაძე ოთარ. ი. ჭავჭავაძე და გამომცემლობა “ქართული მწერლობა”. – მწიგნობარი-87. – თბ., 1987. – გვ. 181-190.
- 5173.** კაშიაძე ს. ილიას: [ლექსი]. – გაზ. “წინსვლა” (სამტრედია). – 1987. – 23 ოქტ.
- 5174.** კაციტაძე ო. ერთი წიგნის წინასიტყვაობის გამო. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 16 ოქტ.
შენიშვნები ვ. აბაშმაძის მონოგრაფიაზე “ილია ჭავჭავაძე-სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები”.
- 5175.** კაჭარავა ი. ილია ჭავჭავაძე და ისტორია. ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი. – წიგნ.: საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები. – თბ., 1987. – გვ. 168-175.
- 5176.** კაჭარავა ი. ილია ჭავჭავაძე და “მსოფლიო რევოლუციური პროცესი” (დასკვნები და განზოგადებანი). – საქ. სსრ მეცნ. აკად. მეცნ. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტორიის სერია. – 1987. - №3., გვ. 5-23
- 5177.** კაჭარავა ი. ილია ჭავჭავაძე – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე. – ჟურნ. “მეცნიერება და ტექნიკა”. – 1987. - №10., გვ.7-10
- 5178.** კახაძე ო. საღარამისეული საჩუქარი საჯარო ბიბლიოთეკას. – გაზ. “ქუთაისი”. – 1987. – 19 ნოემბ.
ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა არაბულ ენაზე სირიაში გამოცემული ილია ჭავჭავაძის “განდეგილი” და ნ. ბარათაშვილის კრებული.
- 5179.** კახელიშვილი ჯ. “ზაზაღეთის ტბის ძირას”. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 13 თებ.
ილია ჭავჭავაძის პოემებისა და ლექსების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი გლდანის სახელმწ. დრამატული თეატრის სცენაზე.
- 5180.** კახიძე ნ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ეთნოგრაფი. – გაზ. “საბჭ. აჭარა”. – 1987. – 2 ოქტ.
- 5181.** კახნიაშვილი ც. ავკაცობას მკაცრი განაჩენი. – გაზ. “საბჭ. ოსეთი”. – 1987. – 14 მაისი.
- 5182.** კახნიაშვილი ც. თვალი კახეთისა. – გაზ. “საბჭ. ოსეთი”. – 1987. – 22 ოქტ.
- 5183.** კეკელია მ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი შეხედულებებისა და ჩვეულებითი სამართლის ზოგიერთი საკითხი. – ჟურნ. “საბჭ. სამართალი”. – 1987. – №5. – გვ. 51-56
- 5184.** კერესელიძე მ. ილიას გონების შუქზე. – ჟურნ. “საბჭ. ხელოვნება”. – 1987. - №10., გვ. 3-6.
ფილმი – რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან.
- 5185.** კესარელი მ. დიდი ილია. – გაზ. “განახლებული მესხეთი” (ადიგენი). – 1987. – 12 მაისი

- 5186.** კელოშვილი შ. ილიასადმი: [ლექსი]. – გაზ. “გამარჯვება” (გორი). – 1987. – 15 სექტ.
- იგივე: გაზ. “წითელი დროშა” (ახალქალაქი). – 1987. – 27 ოქტ.
- 5187.** კვარაცხელია ვ. დიდ მამულიშვილს: [ლექსი]. – გაზ. “კომუნიზმის დროშით”. – 1987. – 31 ოქტ.
- 5188.** კვარაცხელია ლ. “აღასრულა მან თვისი ვალი”. – გაზ. “სახ. განათლება”. – 1987. – 23 ოქტ.
- 5189.** კვარაცხელია ს. ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის თეორიულ-ფილოსოფიური საფუძვლები. – გაზ. “კომუნიზმის დროშით” (წალენჯიხა). – 1987. – 21 მაისი
- 5190.** კვაჭანტირაძე თამაზ. “ავ-ფთონი” ანუ ავად მღელვარი – ჟურ. “კრიტიკა”. – 1987., №1.
- ავტორი ეხმაურება რ. კუსრაშვილის მიერ ილიას პოეტურ თხზულებათა ტექსტებში, კერძოდ ლექსში “მეც შავ თვალებს”, ავტორისეული სიტყვის “ავ-ფთონის” აღდგენის აუცილებლობას, ეთანხმება მოთხოვნას და აღნიშნავს, რომ “ავ-ფთონი” ილიასეულია და ნიშნავს ავად მღელვარს.
- 5191.** კვაჭანტირაძე თამაზ. ილია აღმადგინებელი. – გაზ. ”თბილისი”. – 1987. – 23 ოქტ
- 5192.** კვირკველია გ. ილია და სამეგრელო. – გაზ. “ნაპერწკალი” (ჩხოროწყუ). – 1987. – 19 მაისი
- 5193.** კვირკველია გ. წიწამური: [ლექსი]. – გაზ. “კომუნიზმის დროშით” (წალენჯიხა). – 1987. – 4 აგვ.
- 5194.** კვიციანიშვილი ემზარ. ჩვენი გამძლეობის სიმბოლო. – ჟურ. ”ცისკარი”. – 1987. – №10. – გვ. 8-12
- 5195.** კიკნაველიძე ლ. იქ, წიწამურთან: [ლექსი]. – გაზ. “წითელი დროშა” (მაიაკოვსკი). – 1987. – 24 ოქტ.
- 5196.** კიკნაძე გრიგოლ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები – წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. – თბ., 1987. – გვ. 295-326
- 5197.** კიკნაძე ვასილ. ერთი მსახიობის დრამატული მონოლოგი. – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 21 ოქტ.
- ბაქრაძისა და კ. მახარაძის სპექტაკლ-მონოლოგი “რაც მტრობას დაუნგრევია...” შექმნილი ი. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.
- 5198.** კიკნაძე ვასილ. ჩვენი ეროვნების საჯარო ნიშანი: ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრალური სამყარო. – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 15 თებ.
- 5199.** კიკნაძე მ. ილია ქართული დრამატურგიის შესახებ. – ჟურნ. “თეატრ. მოამბე”. – 1987. - №1., გვ. 90-92
- 5200.** კილაჩავა ბ. ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული ლიტერატურა. – გაზ. “თბილისის უნივერსიტეტი”. – 1987. – 23 ოქტ.
- 5201.** კილასონია ბ. “ძლივს გამოვკეთდი და...”. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 7 თებ.
- წერილში მკითხველი გაეცნობა ექიმ ა. იაშვილის მიერ ილია ჭავჭავაძის გვამის გამოკვლევის შემდეგ გამოტანილ დასკვნებს.
- 5202.** კილაძე ლ. საუკეთესო მეგობართაგანი: [პ. ნაკაშიძე]. – გაზ. “ლენინის დროშა” (მახარაძე). – 1987. – 22 ოქტ.
- 5203.** კილაძე დ. შთაგონება. – ჟურნ. “დროშა”. – 1987. - №6., გვ. 14

- 5204.** კინწურაშვილი ე. ერის მამა. – გაზ. “დროშა” (წყალტუბო). – 1987. – 17 თებ.
- 5205.** კირთაძე პ. ერის მესაჭე. – გაზ. “შრომის დროშა” (გეგეჭკორი). – 1987. – 24 ოქტ.
- 5206.** კლდეკაცი იყავ, კლდეს შეედღულე, უკვდავებასთან ხარ წილნაყარი: [გამოჩენილი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძის შესახებ]. – გაზ. “წიგნის სამყარო”. – 1987. – 28 ოქტომბერი. - №20. – გვ. 4-5.
შინაარსი: კ. გამსახურდია _ ილია ჭავჭავაძე; ტ. ტაბიძე _ ილია ჭავჭავაძე; ვ. ბარნოვი _ მოგონება; ვაჟა-ფშაველა _ ილია ჭავჭავაძის სახსოვრად; ვ. გუნია _ დიდებულ ილიას; გრ. რობაქიძე _ ქართული პოეზიისათვის.
- 5207.** კლდიაშვილი დ. ოთხი დღე კახეთში: [მოგონება]. – ჟურნ. “განთიადი”. – 1987. - №4., გვ. 182-187
- 5208.** კობალაძე თ. მძიმე ჯვარი. – ჟურნ. “ჯვარი ვაზისა”. – 1987. - №1., გვ. 27-31
- 5209.** კობახიძე გივი. ბიბლიური წყევლა იმათ მიმართ, ვინც ბატონი ილია მოგვიკლა: [ლექსი]. _ ჟურნ. “გუმაგი” _ პარიზი, 1987, №14.
ლექსი დაიბეჭდა ფსევდონიმით “გივი შაორელი”.
- 5210.** კობახიძე გივი. ილიას ლანდი: [ლექსი]. _ ჟურნ. “გუმაგი” _ პარიზი. _ 1987. _ №14.
ლექსი დაიბეჭდა ფსევდონიმით “გივი შაორელი.”
- 5211.** კობახიძე ნ. ერის მარადი თანამდევნი სული. – გაზ. “ოქტომბრის გზით” (ქარელი). – 1987. – 24 ოქტ.
- 5212.** კობახიძე ნ. ილიას: [ლექსი]. – გაზ. “ოქტომბრის გზით” (ქარელი). – 1987. – 17 ოქტ.
- 5213.** კობახიძე ნ. სახალსო განათლების მუხეუმში. – გაზ. “სახ. განათლება”. – 1987. – 23 ოქტ.
- 5214.** კობერიძე თ. რომ ეკავა ილიას მხრებით: [ლექსი]. – გაზ. “გამარჯვება” (გორი). – 1987. – 15 სექტ.
- 5215.** კოპალეიშვილი ნ. დღესაც თერგივით მქუხარე. – გაზ. “წინსვლა” (სამტრედია). – 1987. – 22 ოქტ.
- 5216.** კოპალეიშვილი ს. ილია და ჭადრაკი. – გაზ. “წინსვლა” (სამტრედია). – 1987. – 27 ოქტ.
- 5217.** კორსაველი გ. დიდი ილია უმცროს მეგობართა მოგონებებში. – ჟურნ. “ცისკარი”. – 1987. - №10., გვ. 149-151
- 5218.** კორტავა ი. მეცხრამეტე საუკუნის ბუმბერაზი. – გაზ. “კომუნიზმის მშენებელი” (ხობი). – 1987. – 31 მარტი
- 5219.** კორძაია ვ. არ არის მკვდარი...; დიდება მგოსანს! იმ დღეს...; მან ხალხს შესწირა დღენია...; იქ, წიწამურთან; დაილოცოს ის მარჯვენა!...[ლექსები]. – გაზ. “დროშა” (გულრიფში). – 1987. – 1 აგვ.
- 5220.** კოტეტიშვილი ვახტანგ. ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება _ წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. _ თბ., 1987. _ გვ. 256-272
- 5221.** კოტეტიშვილი ვ. ილია ჭავჭავაძე. – გაზ. “თბილისის უნივერსიტეტი”. – 1987. – 23 ოქტ.
- 5222.** კოტეტიშვილი ფ. დაუპირისპირა?! – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 2 ოქტ.
კლასები და წოდებები “ოთარაანთ ქვრივის” მიხედვით.

- 5223. კოტეტიშვილი ფ.** ხალხი დაბალი თუ მაღალი, ყველა მოყვარეა ჩვენი... – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 21 მარტი.
ილია ჭავჭავაძე სრულღირსებიანი ადამიანის შესახებ.
- 5224. კოტინოვი ნორა.** ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ მოძღვარი. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 22 ოქტ.
1898 წელს დანიშნულ ილია ჭავჭავაძის იუბილეზე, რომელიც არ შედგა, ქალაქ ოდესის ქართველი მუშების მიერ იუბილესათვის გამოგზავნილი ადრესი ილიას ვენზელით დამშვენებული საუკეთესო ყდით. ხელნაწერი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში.
- 5225. კოტორაშვილი დ.** ბალავარმტკიცე დედაბურჯი ჩვენი ერისა. – გაზ. “საბჭ. პედაგოგი” (თბილ. პედ. ინ-ტი). – 1987. – 22 ოქტ.
- 5226. კოტრიკაძე მიხეილ.** ილია ჭავჭავაძის ერთი დაცვითი სიტყვის გამო. – ჟურ. “საბჭოთა სამართალი”. – 1987. – №1. – გვ. 25-29.
- 5227. კოჭლავაშვილი მ.** ილია და ბავშვები. – გაზ. “ნორჩი ლენინელი”. – 1987. – 23 ოქტ.
თბილისის ბავშვთა სურათების გალერეაში ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა “ილია და ბავშვები”.
- 5228. კოჭლამაზაშვილი მ.** ილიას შემოქმედება და ხელოვნება. – გაზ. “კოლმეურნე” (სიღნაღი). – 1987. – 24 ოქტ.
- 5229. კრიჭინაშვილი რ.** სამომხმარებლო კოოპერაციის პირველი მერცხალი. – გაზ. “სოფლის ცხოვრება”. – 1987. – 17 იანვ.
- 5230. კურტანიძე ე., კურტანიძე მ.** ვინ იყო კაკო ბლაჭიაშვილის პროტოტიპი? – გაზ. “წითელი დროშა” (ახალქალაქი). – 1987. – 22 ოქტ.
- 5231. კურტანიძე ე.** ილიას დღეები საქართველოში. – გაზ. “მეტალურგი” (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა). – 1987. – 23 ოქტ.
- 5232. კუსრაშვილი რუსუდან.** ენაც ისტორიაა. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 19 ივნ.
- ილია ჭავჭავაძის ენა. მისი ბრძოლა ქართული სალიტერატურო ენის გაწმენდისათვის.
- 5233. კუტიბაშვილი ზ.** ილია და გაზეთი “ზმა კახეთისა”. – გაზ. “კოლმეურნე” (სიღნაღი). – 1987. – 20 ოქტ.
- 5234. კუტივაძე ნ.** სახალხო აკადემიაში. – გაზ. “ქუთაისი”. – 1987. – 10 ივნ.
გელათის სახალხო აკადემიაში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა.
- 5235. კუჭუხიძე ი.** ილია და საქართველოს ისტორიის საკითხები. – გაზ. “ქუთაისი”. – 1987. – 23 ივლ.
- 5236. კუხიანიძე ზ.** უცნობი ტყვია: [ლექსი]. – გაზ. “ილია” (საქ. მწერალთა კავშირის განყ-ბის ქუთაისის ერთდროული ლიტ. გაზეთი). – 1987. – 15 ოქტ.
- 5237. ლაბაძე გრ.** ილია ჭავჭავაძეს: [ლექსი]. – გაზ. “წითელი დროშა” (მაიაკოვსკი). – 1987. – 24 ოქტ.
- 5238. ლაისტი არტურ.** არტურ ლაისტი ილია ჭავჭავაძის შესახებ. – გაზ. “სამშობლო”. – 1987. – 20 ივნ.; 6 ივლ.
- 5239. ლაისტი არტურ.** მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე (წიგნიდან “საქართველოს გული”): პირველად ილიასთან; “ივერიის” რედაქციაში; ილია საგურამოში; ილიას პირადი ცხოვრება; ილიას გარეგნობა და ხასიათი; უკანასკნელი

- დღეები ილია ჭავჭავაძისა; ილიასთან საუბარი _ წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. _ თბ., 1987. _ გვ. 429-464
- 5240. ლაისტი არტურ.** უკანასკნელი შეხვედრა. – წიგნ.: “დროშის” ბიბლიოთეკა. წიგნი მესამე – 1987. – გვ. 30-33.
- 5241. ლალიაშვილი გ.** ჩვენი ყველაზე დიდი თანამედროვე. – გაზ. “ლენინის გზით” (გურჯაანი). – 1987. – 11 ივლ.
- 5242. ლამაზოშვილი ა.** ილია ჭავჭავაძეს: [ლექსი]. – გაზ. “წითელი არბოშიკი” (წითელწყარო). – 1987. – 8 აპრ.
- 5243. ლანჩავა თ.** ერის მამა. – გაზ. “ქუთაისი”. – 1987. – 15 ოქტ.
- 5244. ლაპარაკობენ** ჩვენი სტუმრები. _ გაზ. “ლიტ. საქართველო”. _ 1987. _ 30 ოქტ.
საუბრობენ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეების მონაწილე ქართველოლოგები: კიმ ბრეითვეიტი, შტეფი-იუნგერ-ხოტივარი, ივ ბრუსანი, მიმო მორინა, რობერტ პარსონსი, ჯორჯ ჰიუიტი, ქრისტიანა ლიხტეფელდი, გიორგი შარაშიძე, ელენე ნიკოლაევსკაია, მარტინ ბუხჰორნი, ნოელ პოლკი და დონალდ რეიფილდი.
- 5245. ლაპიაშვილი მ.** ილია და ქართული პედაგოგიკა. – გაზ. “ახალი შირაქი” (წითელწყარო). – 1987. – 1 ოქტ.
- 5246. ლასხიშვილი გიორგი.** დეპეშა. – წიგნ.: “დროშის” ბიბლიოთეკა. წიგნი მესამე – 1987. _ გვ. 33-35.
ავტორი იხსენებს, თუ როგორი თავზარდამცემი იყო მისთვის ილიას მოკვლის შესახებ ახალი ამბის გაგება.
- 5247. ლაშაური მინდია.** ილია. _ ”გუშაგი” (პარიზი). _ 1987. _ №14. _ გვ. 16-26
- 5248. ლაშქარაძე დავით.** დაბრუნება უარყოფილ კონცეფციასთან და სხვა. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 3 ივლ.
რეპლიკა გაზეთ “ლიტ. საქართველოში” (1987 წ. 27 მარტი) გამოქვეყნებულ ნოდარ გრიგალაშვილის წერილზე “მწუხრის სიმღერა” და “ელეგია” გოეთესთან ილიას დამოკიდებულებების თაობაზე.
- 5249. ლაშქარაძე დავით.** ილია ჭავჭავაძე და ევროპული ლიბერატურა. _ მწიგნობარი-87. _ თბ., 1987. _ გვ. 73-88.
- 5250. ლებანიძე მურმან.** ილიას: [ლექსი]. _ მწიგნობარი-87. _ თბ., 1987. _ გვ. 180
- 5251. ლებანიძე მურმან.** საიუბილეოდ თქმული. _ გაზ. “კომუნისტი”. _ 1987. _ 28 ოქტ.
ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოზე.
- 5252. ლეკვიშვილი ი.** ღვაწლი მამულიშვილისა. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 27 მარტი.
საუბარია ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მკვლევარის ქრისტეფორე რაჭველიშვილის შესახებ.
- 5253. ლეკვიშვილი ს.** თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი. პირუთვნელ მკვლევარს ელის. _ გაზ. “თბილისი”. _ 1987. _ 24, 26 ნოემბ.
სახელმწიფო საბჭოში ილიას მოღვაწეობის შესახებ
- 5254. ლელაშვილი ა.** “ღვთიური ცეცხლით იწვოდა”: (გორში ნაბეჭდი წიგნი “ვინ იყო ილია ჭავჭავაძე”). – გაზ. “გამარჯვება” (გორი). – 1987. – 22 ოქტ.
- 5255. ლემონჯავა ნ.** მოძღვართმოძღვარი დედაენისა. – გაზ. “კომუნისტური შრომა” (სოხუმი). – 1987. – 1 აგვ.

- 5256. ლემონჯავა ნ.** სალიტერატურო ქართულის დიდი რაფორმატორი. – გაზ. “საბჭ. აფხაზეთი”. – 1987. – 28 აგვ.
- 5257. ლენინგრადელთა სიყვარულის გვირგვინი – პოეტს.** – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 16 დეკ.
 ლენინგრადის დ. შოსტაკოვიჩის სახ. ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართული ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.
 იგივე: გაზ. “საბჭ. ოსეთი”. – 1987. – 18 დეკ.
- 5258. ლეონიდი,** ეპისკოპოსი. სიტყვა თქმული ილიას კუბოს შესვენების დროს სიონის ტაძარში. – ჟურნ. “ჯვარი ვაზისა”. – 1987. - №1., გვ. 67
- 5259. ლეონიდე გიორგი.** ილიას სურათზე. წარწერა ქართველ მწერალთა სურათებზე. ილია ჭავჭავაძეს: [ლექსები] – წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. – თბ., 1987. – გვ. 326-329
- 5260. ლეონიდე გიორგი.** ილიას სურათზე: [ლექსი]. – გაზ. “საბჭ. აჭარა”. – 1987. – 21 ოქტ.
 იგივე: გაზ. “ოქტომბრის გზით” (ხელვაჩაური). – 1987. – 22, 24 ოქტ.
 იგივე: გაზ. “წიგნის სამყარო”. – 1987. - №20., გვ. 7
- 5261. ლეონიდე გიორგი.** ილია ჭავჭავაძის აჩრდილს: [ლექსი]. – ჟურ. “ჯვარი ვაზისა”. – 1987. – №1. – გვ. 43
- 5262. ლილუაშვილი კ.** რა ტომის ხალხიც უნდა იყოს... თანაგრძნობის ღირსია. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 26 ოქტ.
 ილია და ბალკანეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.
- 5263. ლიპარტელიანი რ.** დიდი ილია პატარებთან. – გაზ. “სახ. განათლება”. – 1987. – 13 თებ.
- 5264. ლიტერატურა და მშვიდობა განუყოფელია.** – გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1987. – 24 ოქტ.
 ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში.
 იგივე: გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 22 ოქტ.
- 5265. ლობჯანიძე ო.** ისევ ჭიკჭიკებს შენი მერცხალი. – გაზ. “ავანგარდი” (გალი). – 1987. – 20 ოქტ.
- 5266. ლომაშვილი ფ.** ილია ჭავჭავაძე და “ოხრანკა”. – ჟურნ. “ისტორია და გეოგრაფია სკოლაში”. – 1987. - №4., გვ. 14-25
- 5267. ლომაშვილი ჯ.** ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძის შესახებ. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მაცნე. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტორიის სერია. – 1987. - №3., გვ. 77-88
- 5268. ლომთაძე გ.** “მარად და ყველგან...”. – გაზ. “ქუთაისი”. – 1987. – 17 მარტი.
 ილია ქართული თეატრის რეპერტუარის შესახებ.
- 5269. ლომიძე ნ.** მუსიკადქცეული ილია. – გაზ. “ახ. კომუნისტი”. – 1987. – 22 ოქტ.
 ილიას ნაწარმოებების მუსიკალური ხორცშესხმა.
- 5270. ლორთქიფანიძე ი.** ერთი კურიოზის გამო ანოტაციაში. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 27 მარტი.
 ილია ჭავჭავაძის მოთხრობა “კაცია ადამიანის?!” ანოტაციის შედგენაში მ. ბეთანიშვილის მონაწილეობის გარკვევისათვის.

- 5271. ლორთქიფანიძე მერაბ.** ახალი მასალები ილია ჭავჭავაძის შესახებ. – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 27 დეკ.
მასალები დაცულია ძმების, ნიკო და იასონ ლორთქიფანიძეების პირადი არქივში.
- 5272. ლორთქიფანიძე ნიკო.** წიწამურიდან მთაწმინდამდე (1907-1917) – წიგნ.: ილიას სამრეკლო / შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. – თბ., 1987. – გვ. 152
- 5273. მაგაროტო ლ.** ვინ არის ჩემთვის ილია. – გაზ. “კომუნისტი”. – 1987. – 23 ოქტ.
იგივე: გაზ. “ზოოვეტერინარი” (საქ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინ-ტი). – 1987. – 30 ოქტ.
- 5274. მაგაროტო ლ.** ”შუერის” პოლიტიკა ი. ჭავჭავაძის პოემა ”განდეგილში”. – ჟურნ. “მნათობი”. – 1987. - №10., გვ. 87-91
- 5275. მათიაშვილი გ.** ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა პირველი რუსული თარგმანები. – თბ.: მეცნიერება, 1987. – 126 გვ.
- 5276. მასიაშვილი ხათუნა.** თითქოს ილია გამოვიდა. – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 5 დეკ.
ილიას თბილისის სახლ-მუზეუმის სამუშაო კაბინეტის აღდგენა.
- 5277. მასურაძე ლ., ერემიშვილი ირ.** ილიასეული ”ივერია” წყალდიდობის შესახებ. – გაზ. ”ქუთაისი”. – 1987. – 23 ივნ.
- 5278. მასურაძე ნათია.** აწ ისევ საქმიანობს... – გაზ. “თბილისი”. – 1987. – 22 ოქტ.
ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო მისივე სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში.
- 5279. მაკარაძე ავ.** ილია და პუშკინი. – გაზ. ”დროშა” (შუახვეი). – 1987. – 27 მაისი
- 5280. მამაცაშვილი მარიკა.** ილიას ერთი სტატიის თაობაზე. – ჟურნ. ”თეატრალური მოამბე”. – 1987. - №1., გვ. 92-93.
წერილი ეხება ი. ჭავჭავაძის სტატიას ”ახალი დრამების” გამო.
- 5281. მამულაშვილი მ.** მოგონება ილია ჭავჭავაძის შესახებ. – წიგნ.: ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში. – თბ., 1987., გვ. 149-150
- 5282. მამულაშვილი რ.** ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა სათაურები. – ჟურნ. “განთიადი”. – 1987. - №4., გვ. 176-182
- 5283. მამულია გურამ.** ილია ჭავჭავაძე და ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მაცნე., ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტორიის სერია. – 1987. - №3., გვ. 40-60.
იგივე: ჟურნ. “განთიადი”. – 1987. - №6., გვ. 163-181
- 5284. მანსვეტაშვილი იაკობ.** ილიას სტუმრები. – გაზ. ”სამთო ქიმია” (სასწ. გაერთიანება “სამთო ქიმია”). – 1987. – 4 ნოემბ.
- 5285. მანსვეტაშვილი იაკობ.** ფესვები. – წიგნ.: “დროშის” ბიბლიოთეკა. წიგნი მესამე – 1987. - გვ. 35-41.
ავტორი იხსენებს, თუ როგორ ზრუნავდა ილია ჭავჭავაძე ქართული ენის სიწმინდეზე.
- 5286. მანჩხაშვილი ც.** მარჯორი უორდროპის მეგობრობა ილიას ოჯახთან. – ჟურნ. “საქ. ქალი”. – 1987. - №10., გვ. 7-8
- 5287. მარად და ყველგან.** – ჟურ. “სკოლა და ცხოვრება”. – 1987. – №10. – გვ. 3.
ჟურნალის სარედაქციო წერილი, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი.

- 5288.** მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!: [წერილები]. – გაზ. “განახლებული მესხეთი” (ადიგენი). – 1987. – 24 ოქტ.
შინაარსი: ერის წყლული აჩნდა წყლულად; საქმენი მისი; ილია ერს აფრთხილებდა...
- 5289.** მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა!...[ილია “ივერიის” რედაქტორი]. – გაზ. “ასპინძა”. – 1987. – 6 ივნ.
- 5290.** მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!. – გაზ. “ყვარელი”. – 1987. – 24 ოქტ.
გოგებაშვილის, ალ. ხახანაშვილის, ი. ჯავახიშვილის და სხვ. მოგონებებიდან.
- 5291.** მარგანი რევაზ. მარად და ყველგან: [ლექსი]. – გაზ. “წითელი დროშა” (ახალქალაქი). – 1987. – 24 ოქტ.
- 5292.** “მართალი, ვითარცა ფინიკი აღყუავნეს”. – გაზ. “ლიტ. საქართველო”. – 1987. – 23 ოქტ., №4.
ინტერვიუ უწმინდეს და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან ილია ჭავჭავაძის წმინდანად გამოცხადების შესახებ.
- 5293.** მარკოზაშვილი შალვა. ალექსანდრე წულუკიძე ილიას შესახებ. – ჟურნ. “საქ. კომუნისტი”. – 1987. – №9., გვ. 86-87
- 5294.** მარკოზაშვილი შალვა. ბობოქრობდნენ პატიმრები. – გაზ. “კომუნიზმის გზა” (დუშეთი). – 1987. – 2 აპრ.
დუშეთი დ. კობიაშვილის მიერ შორეულ ენოტაევსკში გადასახლებული კ. დედაბრიშვილისადმი გაგზავნილი წერილი ი. ჭავჭავაძის ტრაგიკული მკვლელობის შესახებ.
- 5295.** მარკოზაშვილი შალვა. გლეხების მზრუნველი. – გაზ. ”სოფლის ცხოვრება”. – 1987. – 23 ოქტ.
იგივე: გაზ. “კოლმეურნის ხმა” (კონდოლი, თელავის რ-ში). – 1987. – 31 ოქტ.
- 5296.** მარკოზაშვილი შალვა. გლოვობდა საქართველო. – ჟურნ. ”საბჭ. სამართალი”. – 1987. – №5., გვ. 57-69
- 5297.** მარკოზაშვილი შალვა. გულმოდგინედ მუშაობდა. – გაზ. “მცხეთა”. – 1987. – 16 ივნ.
- 5298.** მარკოზაშვილი შალვა. დიდი ილიას ნაფუძარზე. – ჟურ. “საქ. ბუნება”. – 1987. – №10. – გვ. 1.
ილიას ზრუნვა ტყის შენარჩუნებისათვის საგურამოში.
- 5299.** მარკოზაშვილი შალვა. ერთგული მსახური. – ჟურნ. ”ცისკარი”. – 1987. – №10., გვ. 144-149.
წერილი ეხება ი. ჭავჭავაძის მსახურს იაკობ თარაშვილს.
- 5300.** მარკოზაშვილი შალვა. ვაზის ტრფიალი. – გაზ. ”კოლმეურნე” (სიღნაღი). – 1987. – 24 ოქტ.
- 5301.** მარკოზაშვილი შალვა. ვაჟა ილიას ჭირისუფალი. – გაზ. ”ქუთაისი”. – 1987. – 19 აგვ.
- 5302.** მარკოზაშვილი შალვა. იაკობ გოგებაშვილთან ერთად. – გაზ. ”ალაზნის განთიადი” (თელავი). – 1987. – 31 მარტი

- 5303.** მარკოზაშვილი შალვა. ილია და ქართველი სოციალ-დემოკრატები. – გაზ. "ქუთაისი". – 1987. – 7 იანვ.
- 5304.** მარკოზაშვილი შალვა. ილია და წინამძღვრიანთკარის სკოლა. – გაზ. "სახ. განათლება". – 1987. – 4 მარტი
- 5305.** მარკოზაშვილი შალვა. ილია ისტორიული ძეგლების ქომაგი. – გაზ. "გამარჯვების დროშა" (ბოლნისი). – 1987. – 21 ივლ.
- 5306.** მარკოზაშვილი შალვა. ილია მევენახეებთან. – გაზ. "სოფლის ცხოვრება". – 1987. – 7 ოქტ.
იგივე: გაზ. "ყვარელი". – 1987. – 10 ოქტ.
- 5307.** მარკოზაშვილი შალვა. ილიას მუზეუმები საქართველოში: [ყვარელი, საგურამო, თბილისი]. – გაზ. "საბჭ. აფხაზეთი". – 1987. – 5 სექტ.
იგივე: გაზ. "კოლმეურნე". – 1987. – 11 ივნ.
იგივე: გაზ. "გამარჯვების დრო". – 1987. – 16 ივლ.
- 5308.** მარკოზაშვილი შალვა. ილია ჭავჭავაძე ახალი წლის შესახებ. – გაზ. "კოლმეურნე" (სიღნაღი). – 1987. – 6 იანვ.
- 5309.** მარკოზაშვილი შალვა. ილია ჭავჭავაძის მარჯვენა ხელი. – ჟურნ. "მნათობი". – 1987. - №7., გვ. 142-146
- 5310.** მარკოზაშვილი შალვა. იცავდა ზომიერებას. გაზ. "კოლმეურნე" (სიღნაღი). – 1987. – 31 იანვ.
- 5311.** მარკოზაშვილი შალვა. კეთილმოსაგონარი. – გაზ. "ოქტომბრის გზით" (ქარელი). – 1987. – 24 ოქტ.
- 5312.** მარკოზაშვილი შალვა. მეგობრობის გასამყარებლად. – გაზ. "სოფლის ცხოვრება". – 1987. – 7 იანვ.
იგივე: გაზ. "ყვარელი". – 1987. – 10 იანვ.
წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო კახეთში. ცნობილია XIV საუკუნიდან. გადმოცემის თანახმად ხევესურეთიდან წარმომავლობენ. საფუძვლად უდევს ფრინველის სახელი ჭავჭვი, იგივე ჭივჭვი.
- 6561.** მარად ცოცხალი ილია. – გაზ. "ახალი საქართველო". – 1990. – 15 ნოემბ.
ი. ჭავჭავაძის დაბადების 153-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.
- 6562.** მინაშვილი ლადო. ილიას კაბინეტი უნივერსიტეტში. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1990. – 8 ივნ., №23.
ილიას კაბინეტის მეცნიერ-ხელმძღვანელი ლადო მინაშვილი საუბრობს კაბინეტის დაარსებაზე, იმ გეგმების შესახებ, რის გაკეთებასაც აპირებს კაბინეტი მომავალში.
- 6563.** მინაშვილი ლადო. სულიერი აღდგომისა და ამაღლებისათვის. – ჟურნ. "სკოლა და ცხოვრება". – 1990. - №8. – გვ. 18-19.
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტში ილიას კაბინეტის დაარსების შესახებ.
- 6564.** მოსია ტიტე. ეტიუდები: დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ზოგიერთი საკითხები: [სახელმძღ. ფილოლოგ. ფაკ. სტუდენტებისათვის]. – თბ.: განათლება, 1990. – 182გვ.
- 6565.** ნაროშვილი ფრიდონ. თავადი ილია ჭავჭავაძე (პოემიდან). – ჟურნ. "განთიადი". – 1990. - №6. – გვ. 115-116.
- 6566.** ნახუცრიშვილი გრიგოლ. ილია ჭავჭავაძე ქართული სალიტერატურო ენის შესახებ. – ჟურ. "ბალავერი". – 1990. - №1-6. – გვ. 165-169.
ილიას ბრძოლა ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის.
- 6567.** ნოზაძე ვ. ილია და დამოუკიდებლობის საკითხი. – ჟურ. "კრიტიკა". – 1990. - №5. – გვ. 112-120.
- 6568.** ობოლაძე უშანგი. დედათა საქმე, ანუ ქალთა საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში: ნარკვევი / [რედ.: გ. საყვარელიძე]. – თბ.: თბილ. უნ-ტის გამბა, 1990. – 111გვ.
- 6569.** ობოლაძე უშანგი. დედათა საქმე ანუ ქალთა საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. – თბ.: თსუ-ს გამბა. – 1990. – 108 გვ.
- 6570.** ჟვანია სერგო. ილია ჭავჭავაძე, ქართული მუსიკა და დღევანდელიობა. – გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი". – 1990. – 12 ივლ., 4 აგვ.
- 6571.** რობაქიძე გრიგოლ. აკაკი და ილია. – ჟურ. "კრიტიკა". – 1990. – №5. – გვ. 21-22
- 6572.** რობაქიძე გრიგოლ. მიხეილ წერეთელი. მოგონებათა ბარდული. – წიგნ.: მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა. – თბ., 1990. – გვ. გვ. 321-333.
მიხაკო წერეთლის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში ავტორი ეხება ილიას მკვლევლობის ამბავს და მიხაკო წერეთლის სიტყვას, წარმოთქმულს პოეტის დაკრძალვაზე.
- 6573.** სანაძე ლეილა. 1879 წლის მარტის "შინაური მიმოხილვის" ატრიბუციისათვის [ილია ჭავჭავაძე – ავტორი 1879 წ. მარტის თვის გაზეთ

- “ივერიაში” დაბეჭდილი “შინაური მიმოხილვებისა”. – საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. – 1990. – №3. – გვ. 33-39.
- 6574. სართანია ტარიელ.** ძალა და ღონე ქვეყნისა. ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიკის შესახებ. _ გაზ. ”სოფლის ცხოვრება”. _ 1990. _ 18 აპრ.
- 6575. სარია ბელა.** ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა. _ ჟურ. “ბალავერი”. _ 1990. _ №1-6. _ გვ. 155-164.
- 6576. უძილაური ზ.** იქნებ, ამიტომაც დამარცხდა განდეგილი?. _ გაზ. ”ლიტ. საქართველო”. _ 1990. _ 24 აგვ.
ქართლის ბედის სიმბოლურ-წინასწარმეტყველური ასახვა ილია ჭავჭავაძის “განდეგილში”.
- 6577. ღვინჯილია ჯანსუღ.** ”გმირის დამბადი დიდი საგანი”. _ წიგნ.: ღვინჯილია ჯ. წერილები კლასიკურ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. _ თბ., 1990. _ გვ. 8-18.
- 6578. ღლონტი ალ.** ილიას ქართული. _ გაზ. ”თბილისი”. _ 1990. _ 16 აპრ.
ქართული ენა ილია ჭავჭავაძის მხატვრულ-პუბლიცისტურ თხზულებებში.
- 6579. ყორანაშვილი გურამ.** ილიას სიდიადე. _ გაზ. ”ახალგაზრდა ივერიელი”. _ 1990. _ 31 მაისი.
- 6580. შარაშიძე ლადო.** ილია ჭავჭავაძე და აჭარა. – წიგნ.: შარაშიძე ლ. – ნარკვევები. – მოგონებები. – ბათუმი, 1990. – გვ. 146-153.
- 6581. შარაძე გურამ.** ილია ჭავჭავაძე 1837-1907: ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება.: ფოტომატიანე ორ წიგნად / მხატვარი ოლღა გორალევიჩი. – თბ.: ხელოვნება, 1987-1990. **წიგნი II.** _ 1990. _ 457გვ.
შინაარსი: ერის დიდი წინასწარმეტყველი _ (7-9გვ.);
თავი I. ”ივერია”. მეორე პერიოდი. _ (10-157გვ.);
თავი II. ”ივერიის” გარშემო. 1902-1907. _ (158-311გვ.);
თავი III. სიკვდილი და დასაფლავება. _ (312-381გვ.);
თავი IV. სიმართლის ძიებაში. _ (382-417გვ.);
თავი V. უკვდავი სახეა. _ (418-434გვ.).
I ტომის საძიებლები _ (439-446გვ.)
II ტომის საძიებლები _ (447-455გვ.).
- 6582. ჩიკვილაძე ნ.** ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის თავისებურებანი. _ წიგნ.: ესთეტიკური ძიებანი: კრებული 5. _ თბ.: მეცნიერება, 1990. _ გვ. 69-75.
- 6583. ჩოგოვაძე რამინ.** ილია ჭავჭავაძე და საბანკო პოლიტიკა. – გაზ. “ქუთაისი”. – 1990. – 6 მარტი.
- 6584. ჩხაიძე ო.** წიგნი ილიასა და აკაკის თანამებრძოლებზე. _ ჟურ. ”განთიადი”. _ 1990. _ №1. _ გვ. 134-141.
რეცენზია წიგნზე: ა. ბაქრაძე. ნიკო ნიკოლაძე. თბ.: ნაკადული, 1989.
- 6585. ცაიშვილი ს.** ნარკვევი ილია ჭავჭავაძეზე. _ წიგნ.: ცაიშვილი ს. ქართული მწერლობა. _ თბ., 1990. _ გვ. 270-309.
- 6586. წერეთელი აკაკი. ბ.** ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ. _ წიგნ.: წერეთელი ა. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტომი 4. _ თბ., 1990. _ გვ. 391-394.
წერილი წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მიერ გაზ “ივერიის” 1886 წ. №120, 121, 122-ში ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შესახებ გამოქვეყნებული მეთაური წერილების გამოხმაურებას.

- 6587.** წერეთელი აკაკი. რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ “ვეფხისტყაოსნის” გამო. – წიგნ.: წერეთელი ა. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტომი 4. – თბ., 1990. – გვ. 414-427.
- 6588.** წერეთელი მ. ილია ჭავჭავაძის მოკვლა. – წიგნ.: წერეთელი მ. ერი და კაცობრიობა. – თბ.: თსუ გამ-ბა, 1990. – გვ. 289-299.
ავტორი მიმოიხილავს ბრძოლას საქართველოში ეროვნული და მარქსისტული იდეოლოგიის მიმდევრებს შორის, რომლის დროსაც მარქსისტებმა ნაციონალისტების დამარცხება მხოლოდ მათი ფიზიკური განადგურებით შეძლეს.
- 6589.** წულეისკირი ნოდარ. ”არა სიკვდილსა მიცემად...” – წიგნ.: წულეისკირი ნ. ბრძოლა სატანასთან. – თბ., 1990. – გვ. 107-123.
სიკვდილით დასჯის საკითხი და ი. ჭავჭავაძე.
- 6590.** წულუკიძე ვახტანგ. ქომაგნი. – გაზ. ”საბჭოთა აჭარა”. – 1990. – 28 თებ. – გვ. 3.
ილია ჭავჭავაძის ღვაწლი აჭარის აღორძინების საქმეში.
- 6591.** ჭეიშვილი ლ. საერო სკოლის საკითხები ილიას პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. – ჟურ. ”სკოლა და ცხოვრება”. – 1990. – №6. – გვ. 28-35.
- 6592.** ჯავახიშვილი ავთანდილ. ”სასახლე ჩვენი ცხოვრებისა”. – გაზ. ”სოფლის ცხოვრება”. – 1990. – 1 აგვისტო. – გვ. 8.
ილია ჭავჭავაძე და საადგილმამულო ბანკი.
- 6593.** ჯამბურია ვ. საიუბილეო კრებული. – ჟურ. ”ლიტ. და ხელოვნება”. – 1990. – №1. – გვ. 292-296.
ჯ. კაშიას მიერ 1988 წელს პარიზში გამოცემული კრებულ ” ილია ჭავჭავაძე-150-ის” შესახებ.
- 6594.** Безиргани Г. Цицамурская голгота: [Штрихи к портрету И. Чавчавадзе]. – газ. «Веч. Тбилиси». – 1990. - 26 марта.
- 6595.** Гогуадзе Э. Тайная вечеря в селе Бахви /Пер. Н. Бакурадзе. – газ. «Нар. образование». – 1990. - 18 февр. - С.9.; 25 февр. С. 10-12.
ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მზადების შესახებ.
- 6596.** Григалашвили Н., Нацвлишвили П. Дуэль (1880) /Пер. Н. Бакурадзе. – газ. «Нар. образование». – 1990. - 7 окт. - С.6.
ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო წლებისა და მწერლის მკვლელობის შესახებ.
- 6597.** Костава М. Илья Чавчавадзе: [Очерк]. – газ. «Веч. Тбилиси». – 1990. - 25 мая.
- 6598.** Мишвеладзе Б. Автор книги – педагог. – газ. «Нар. образование». – 1990. - 1 апр., С. 7.
წერილი ეხება ნ. ხომტარიას წიგნს “ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა შესწავლა მე-7 კლასში”.
- 6599.** Не только фотолетопись. – газ. «Веч. Тбилиси». – 1990. - 20 ноября.
გ. შარაძის წიგნის “ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება” გამოსვლის გამო.
- 6600.** Соселия Г.К. Илья Чавчавадзе об организации местного управления. – Изв. АН ГССР. Серия эконо. и права. - 1990. - № 1. - С. 97-104.
- 6601.** Творческое наследие Ильи Чавчавадзе и литература народов СССР. – Тб.: Мецниереба, 1990. – 396с.

- 6602.** აბაშიძე კიტა. "ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე": პუბლიცისტური წერილი ილია ჭავჭავაძეზე / გ. აბაშიძის რედაქციით, წინათქმით, კომენტარებითა და შენიშვნებით]. – თბ.: ხელოვნება, 1991. – 112გვ.
- 6603.** აბრამიშვილი ვლ. ვაჟას უცნობი ლექსი და პატარა განმარტებანი მის გარშემო. – გაზ. "ერი". – 1991. – 24 ივლ., №3.
ჭავჭავაძეების გვარტომობისა და მათი თიანეთში დამკვიდრების შესახებ.
- 6604.** ამირეჯიბი შ. ილიას ერთი პოლემიკა. – ჟურ. "ლაშარი". – 1991. – №1. – გვ. 113-117.
ილია ჭავჭავაძის "გამოცანების" შესახებ.
- 6605.** გაბუნია გიორგი. "დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა" . – გაზ. "საქართველო". – 1991. – 4-10 სექტ., №35.
საუბარია ილია ჭავჭავაძის ზოგიერთ მოსაზრებაზე საარჩევნო სისტემისა და არჩევნების შესახებ.
- 6606.** გაბუნია გიორგი. ვინ იყო "ი. ლიახვისპირელი?" – გაზ. "ერი". – 1991. – 24 აპრ. ავტორის აზრით, 1893 წლის 4 ივლისს გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე მოთავსებული ფელეტონ "საპოლემიკო საუბრის" ავტორი არის ი. ჭავჭავაძე.
- 6607.** გვაზავა გიორგი. გუშაგი (ილიას ხსოვნას): [ლექსი]. – ჟურნ. "მებრძოლი საქართველო" (პარიზი). – 1991. – №9.
- 6608.** გულდამაშვილი ეთერ. "ზიდჩატეხილობის" სწავლებისათვის. – ჟურ. "ბალავერი". – 1991. – №1-6. – გვ. 97-103.
- 6609.** გურგენიძე ვ. მადლმოსილება სიტყვისა. – გაზ. "თბილისი". – 1991. – 22 ოქტ. წერილში საუბარია ილია ჭავჭავაძის სტატიის (გაზ. "ივერია", 1890 18 თებ.) შესახებ, რომელიც ეხება საღმრთო წერილის წაკითხვასა და ლოცვებს.
- 6610.** გურგენიძე ვახტანგ. ჯვარს ვაცვით ილია / საქ. ჟურნალისტთა კავშირი. – თბ.: კოპ. "მსოფლიოს ქნარები", 1991. – 119გვ.
- 6611.** დევდარიანი რ. რას ელის მყინვარი? – ჟურ. "ბალავერი". – 1991. – №1-6. – გვ. 132-143.
წერილი ეხება პოემა "აჩრდილის" სწავლების საკითხებს.
- 6612.** დიასამიძე გრ. მოგონებები აკაკი წერეთელზე. – ჟურნ. "ლიტერატურა და ხელოვნება" – თბილისი, 1991, №1.
მოგონების ავტორი ადასტურებს, რომ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბელს შორის დავაში აკაკი წერეთელი გამოდიოდა არა წამქეზებლის, არამედ შემრიგებლის პოზიციით.
- 6613.** "დღე დიდის განსაცდელისა" [ილ. ჭავჭავაძის ხელმოუწერელი წერილი, რომელიც ეძღვნება კრწანისის ტრაგედიის 100 წლისთავს. – გაზ. "ივერია". – 1895 წ. - №194]. – გაზ. "თბილისი". – 1991. – 11 სექტემბერი. – გვ. 5.
- 6614.** ზნეობრივი სახე ერისა. – გაზ. "ახალი ივერია". – 1991. – 16 მაისი.
ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის კაბინეტის მუშაობის შესახებ.
- 6615.** თაყაიშვილი ექვთიმე. ილია ჭავჭავაძე: [მოგონებები]. – წიგნ.: დაბრუნება: ემიგრანტული ნაშრომები. ტომი 1. – თბ., 1991. – გვ. 391-451.
მოგონებებს ერთვის ოქმი ილია ჭავჭავაძის გასვენებაზე მოსული დელეგატების კრებისა, სადაც დაადგინეს, რომ ილიას პატივისცემისა და უკვდავსაყოფად შეიქმნას ფონდი.

- 6616.** თელია ავთანდილ. საქმე ის არის, კაცს ის არის უყვარდეს... [ილია და აჭარა]. – ჟურ. "კვალი". – 1991. – №6. – გვ. 20-21.
- 6617.** თუთაშვილი ს. ილია ჭავჭავაძე და ხალხური მუსიკა. – გაზ. "ქუთაისი". – 1991. – 10 აგვ.
- 6618.** კვინტრაძე ც. ილია ჭავჭავაძის "განდეგილის" სწავლებისათვის. – ჟურ. "ბალავერი". – 1991. – №1-6. – გვ. 113-121.
- 6619.** კიკაჩიშვილი თენგიზ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მხვატვრული თავისებურებანი / [რედ.: ი. ევგენიძე]. – თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1991. – 260გვ.
- 6620.** კობახიძე გივი. ილია, ბატონო!: [ლექსი]. – ჟურნ. "რიწა" სოხუმი, 1991, №1. დაიბეჭდა ფსევდონიმით "გივი შაორელი".
- 6621.** კობახიძე ნ. ილიას ძეგლი მაჭარაში. – გაზ. "აფხაზეთის ხმა". – 1991. – 30 აპრ. გულრიფშის რაიონში გახსნილი ილია ჭავჭავაძის ბიუსტის შესახებ.
- 6622.** კოსტავა მ. ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: კოსტავა მ. შეწყვეტილი ფიქრები. – თბ., 1991. – გვ. 174-187
- 6623.** ლორია დ. ილიას ნაწარმოებთა ესთეტიკურ-ემოციურ ფონზე დაკვირვება. – ჟურ. "ბალავერი". – 1991. – №1-6. – გვ. 104-112.
- 6624.** მამულაშვილი ნინო. გვმართებს სმენა მოძღვრისა. – გაზ. "საქ. რესპუბლიკა". – 1991. – 9 მარტი. – გვ. 4.
ილია ჭავჭავაძის სტუმრობა სოხუმში 1903 წ. მაისში.
- 6625.** მირიანაშვილი თემურ. ილია და არჩილ ჯორჯაძე. – გაზ. "საქართველო". – 1991. – 23 აპრილი. – გვ. 3.
- 6626.** ნიკოშვილი ნიკო. ილია ჭავჭავაძე სოფელ იკოთში. – გაზ. "სოფლის ცხოვრება". – 1991. – 19 თებერვალი. – გვ. 4.
- 6626¹** ნინიძე მაია. იდეალური ქალის სახის ძიებაში. – ჟურ. "მნათობი". – 1991. №7. – გვ. 139-147.
- 6621²** ნინიძე მაია. საბედისწერო სამოსელი. – ჟურ. "სკოლა და ცხოვრება". – 1991. №9-10.
ავტორი მიიჩნევს, რომ ილიას რამდენიმე ნაწარმოების პერსონაჟთა ჩაცმულობაში ნახსენები რუსული ფარაჯა არის ამ გმირთა უკანასკნელი, საბედისწერო სამოსელი – მათი განწირულობის სიმბოლო, რადგან უსული ფარაჯა უკავშირდება რუსულ ჯარს, ეს კი თავის, მხრივ, ქართველი კაცის გონებაში ასოცირდება თავისუფლების დაკარგვასთან და ძალადობასთან.
- 6627.** სალია კალისტრატე. როგორ შეხვდა ქართველი ერი ილიას სიკვდილს? – გაზ. "ლიტ. საქართველო" – თბილისი. – 1991. – №164.
წერილში აღწერილია ილიას გლოვის დღეები.
- 6628.** სართანია ტ. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის სწორად გაგების საკითხისათვის. – გაზ. "ახალი ივერია". – 1991. – 25 აპრ.
- 6629.** სიგუა ალექსანდრე. ვინ მოკლა ი. ჭავჭავაძე: [მონოგრაფია] / რედ.: იზოლდა ლეჟავა]. – თბ.: მერანი, 1991. – 72გვ.
- 6630.** ტატიშვილი ნიკო. ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა. – გაზ. "ახალი ივერია". – 1991. – 25 მკათათვე. - №13. – გვ. 2-3.
- 6631.** ქავთარაძე ნ. ილია ჭავჭავაძე და კომპოზიტორული აზროვნების პროცესები (ნ. მამისაშვილის საგუნდო პოემა "და განანათლა კიდენი სოფლისანი"). – ჟურ. "ხელოვნება". – 1991. – №9-10. – გვ. 134-146

- 6632.** ქაჯაია თ. როცა პოლიტიკა არ გვალელებს. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1991. _ 17 მაისი.
ილია ჭავჭავაძის ბიუსტის გახსნა გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარაში.
- 6633.** ლლონტი ალ. ზოგადი და ქართული ენათმეცნიერების საკითხები ი. ჭავჭავაძის მხატვრულ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში. _ წიგნ.: ლლონტი ალ. მრავალკარი. _ თბ., 1991. _ გვ. 5-38.
- 6634.** შალამბერიძე გ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ენაზე დაკვირვება სკოლაში. _ თბ.: განათლება, 1991. _ 119გვ.
- 6635.** შალვაშვილი ლ. "და თეთრი ზოლი შორის მთებისა..." _ ჟურ. "ბალავერი". _ 1991. _ №1-6. _ გვ. 86-96.
წერილში განხილულია ილიას სამი ნაწარმოები: "ელეგია", "მწუხარება" და "უცხოეთში".
- 6636.** შველიძე დ. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ეროვნული დემოკრატები. _ გაზ. "ერი". _ 1991. _ 31 ივლ., №31.
საქართველოში ეროვნული დემოკრატიული პარტიის წარმოშობისა და მასთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების შესახებ.
- 6637.** წერეთელი ა. ილია – მზე. _ ჟურ. "განთიადი". _ 1991. _ №11-12. _ გვ. 24-48.
- 6638.** წერეთელი ა. სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე; სიტყვა ილია ჭავჭავაძის პანაშვიდზე 1910 წლის 29 აგვისტოს; სიტყვა ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნაზე 1913 წ. 5 მაისს. _ წიგნ.: აკაკი წერეთელი. დაცალკავება დასუსტება... ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზეც ხელს იღებს. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ / შეადგინა... გ. ბოჯგუამ. _ თბ., 1991. _ გვ. 139-140.
- 6639.** წიწამურში რომ მოჰკლეს ილია... – გაზ. "განათლება". – 1991. – წ. – 11 სექტემბერი.
ნაწყვეტები ვაჟა-ფშაველას და იაკობ გოგებაშვილის სტატიებიდან, მიძღვნილი ი. ჭავჭავაძის მკვლელობისადმი.
- 6640.** წულუკიძე მიხეილ. ილია და აკაკი. _ ჟურნ. "კრიტიკა" _ 1991, №2 (გ. შარადის პუბლიკაციის მიხედვით).
ავტორის თქმით, ილია და აკაკი სიცოცხლეში ერთმანეთს მეტოქეობას უწევდნენ, მაგრამ ქართველმა ხალხმა ორივეს დაუფასა ღვაწლი და გააერთიანა მათი სახელები.
- 6641.** ჭანკვეტაძე ლია. ილიას ბიოგრაფიის სწავლებისათვის. _ ჟურ. "ბალავერი". _ 1991. _ №1-6. _ გვ. 138-143.
- 6642.** ხალვაში ფ. ილია და აკაკი რუსთაველზე: [ლექსი]. _ გაზ. "აფხაზეთის ხმა". _ 1991. _ 31 დეკ.
- 6643.** ხატიაშვილი ც. სინანულით ჭემმარიტებისაკენ. _ ჟურ. "პირველი სხივი". _ 1991. _ №23. _ გვ. 96-105.
პოემა "განდევლის" იდეურ-მხატვრული ანალიზი.
- 6644.** ხორგუაშვილი გ. ერისკაცთა ნაკვალევი: (ილია ჭავჭავაძე წინარეხში). _ ჟურ. "კრიტიკა". _ 1991. _ №4. _ გვ. 124-131
- 6645.** ხომტარია ნ. ილიას ლირიკულ ნაწარმოებთა სწავლებისათვის. _ ჟურ. "ბალავერი". _ 1991. _ №1-6. _ გვ. 122-134

- 6646. ჯავახიშვილი გიორგი.** ილია ჭავჭავაძის სანადიმო მქვერმეტყველება. _ გაზ. "ახ. ივერიელი". _ 1991. _ 14 ნომბ.
ილია ჭავჭავაძის 7 სანადიმო სიტყვა-სადღეგრძელოს შესახებ, რომლებიც არცერთ კრებულში არ არის შეტანილი.
- 6647. ჯამბურია ვ.** "მკითხველო, ხომ არ მოგწყინდა?" _ ჟურ. "ლიტერატურა და ხელოვნება". _ 1991. _ №2. _ გვ. 95-106.
მკითხველთან დამოკიდებულების საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.
- 6648. ჯგუბურია მ.** "ორი პოეტი". _ ჟურ. "კრიტიკა". _ 1991. _ №3. _ გვ. 93-98.
პარალელი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ერთი და იმავე სახელწოდების ლექსებს შორის.
- 6649. ჯინჯოლია რ.** ქართველი ერის წინამძღოლი. _ გაზ. "ქუთაისი". _ 1991. _ 7 ნომბ.
- 6650. ჯღარკავა ი.** ილია – მერმისის მესიტყვე. _ გაზ. "ქუთაისი". _ 1991. _ 7 ნომბ.

1992

- 6651. ბაქრაძე ა.** ილია ჭავჭავაძე – წიწამური: [დოკუმენტური ნარკვევი]. _ წიგნ.: ბაქრაძე ა. ილია და აკაკი _ თბ., 1992. _ გვ. 5-128.
ნარკვევში ნაჩვენებია ილიას საქმიანობა როგორც საზოგადოებრივ, ისე ლიტერატურულ ასპარეზზე. ავტორი ეხება ქვეყნისათვის ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელთანაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ილია. იგი დოკუმენტური სიზუსტით გადმოსცემს ილიას თავგადასავალს.
- 6652. გაბუნია გიორგი.** ერთი უზუსტობის გამო. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1992. _ 25 დეკ., №50
- 6653. გაბუნია გიორგი.** "მზრდელი ყმისა მეორე შემოქმედა". – გაზ. "განათლება". – 1992. – 27 ნომბერი. – გვ. 1.
წმინდა ილია მართლის ზოგიერთი მოსაზრება მასწავლებლის როლისა და დანიშნულების შესახებ.
- 6654. გაბუნია გიორგი.** "მის სიყვარულს ჩვენი გულიდან ვერავინ ვერ ამოშლის..." _ გაზ. "განათლება". _ 1992. _ 2 ოქტ.
თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობის ბრძოლის ეპიზოდები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული.
- 6655. გაბუნია გიორგი.** "ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება". _ გაზ. "განათლება". _ 1992. _ 23 ოქტ., №26.
საუბარია ილია ჭავჭავაძის ნაკლებად ცნობილი იმ პუბლიცისტური წერილების შესახებ, რომლებიც გადმოგვცემენ მის შეხედულებებს განათლებაზე.
- 6656. გაჩეჩილაძე მიხეილ.** მიხეილ გაჩეჩილაძის მოგონება (მცირე შემოკლებით). _ ლიტ. მატინე. _ თბ., 1992. _ გვ. 34-38.
ლევან ასათიანის არქივიდან _ წიგნების ცნობილი გამომცემლის მიხეილ გაჩეჩილაძის მიერ ჩაწერილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ზაქარია ჭიჭინაძის ნაამბობი იმის შესახებ, რაც მას გადახდა ილია ჭავჭავაძის კეთილად მოხსენიების გამო.

- 6657. გოგოჭური ნ.** მე ვიტყვი სიმართლეს: (პასუხად პროფ. შ. ბადრიძეს). – გაზ. "ერთობა". – 1992. – 30 სექტ.
ავტორი ეხმაურება ისტორიკოს შოთა ბადრიძეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საკითხზე გამოთქმული მოსაზრებების გამო.
- 6658. გოგოჭური ნ.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დოკუმენტები [სუკ-ის არქივიდან ამოღებული]. – გაზ. "ერთობა". – 1992. – 11 აგვ.
- 6659. გრიგალაშვილი ნოდარ.** სიკვდილით განათებული სიცოცხლე. – გაზ. "ლიტ. საქართველო", 1992. – 8 მაისი, №17. – გვ. 4-5.
ილია ჭავჭავაძის "ოთარაანთ ქვრივის" იდეურ-მხატვრული მიზანდასახულების ახლებურად გააზრების ცდა.
- 6660. გურული ვახტანგ.** უარყოფლობა ჩვენში. – გაზ. "ერთობა". – 1992. – ნოემბ. – №18. – გვ. 5-6.
ლევან სანიკიძის წერილის "ილია თუ ნოე" ("ლიტ. საქართველო" 16-10. – 1992) კომენტარი.
- 6661. დაწესდა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია.** – გაზ. "საქ. რესპუბლიკა". – 1992. – 20 ნოემბ.
- 6662. თასოევი გა.** გამარცხეს ილიას სახლ-მუზეუმი. – გაზ. "ლიტ საქართველო". – 1992. – 24 იანვ., №2.
ყვარლის სახლ-მუზეუმის გამარცხის შესახებ.
- 6663. ილია ჭავჭავაძე და საგრამატიკო პაექრობა (1886-1894 წწ.) /** კრებული გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ბიბლიოგრაფია დაურთეს ნორა კოტინოვა და ლუბა მეფარიშვილმა; რედ.: ფილოლ. მეცნ. დოქტ. ზ. ჭუმბურიძე; საქ. მეცნ. აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინ-ტი. – თბ.: მეცნიერება, 1992. – 184გვ.

შინაარსი:

- 1) ბრძოლა სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციისათვის 1886-1894 წლებში (გვ. 5-21);
- 2) ილია ჭავჭავაძე – "ჩვენ მოგვივიდა...კორესპონდენცია...", ტფილისი, 17 იანვარს (გვ. 21-22);
- 3) ილია ჭავჭავაძე – უწყება საგრამატიკო საკითხთა განხილვის შესახებ (გვ. 23-24);
- 4) ივანე ხატიაშვილი – "ბატონო რედაქტორო!" (გვ. 24-26);
- 5) ალექსანდრე ჭყონია – "ბატონო რედაქტორო!" (გვ. 26-28);
- 6) პეტრე მირიანაშვილი – "ივერიის" ჭორები (გვ. 29);
- 7) მიხეილ ნასიძე – ორი საგრამატიკო საგანი (გვ. 29-46);
- 8) ზაქარია ჭიჭინაძე – ორი საგრამატიკო შენიშვნის გამო (გვ. 46-48);
- 9) სილოვან ხუნდაძე – გაზეთი "ივერია" და მისი ენა (გვ. 48-67);
- 10) იაკობ გოგებაშვილი – საგრამატიკო შენიშვნა (გვ. 68-73);
- 11) იაკობ გოგებაშვილი – დაბრწყვებული ბრუნვები (გვ. 74-79);
- 12) გრიგოლ ვოლსკი, წერილი ილია ჭავჭავაძისადმი – (გვ. 79-81);
- 13) ილია ჭავჭავაძე – "ივერიის" ფოსტა (გვ. 81-86);
- 14) ილია ჭავჭავაძე – ტფილისი, 10 ოქტომბერი (გვ. 86);
- 15) პეტრე ჭარაია (გიორგიძე) – ენის მკვეცელებს (გვ. 86-89);
- 16) აკაკი წერეთელი – ჭრელი ფიქრები (გვ. 89-90);
- 17) იაკობ გოგებაშვილი – პაწია სამაგიერო (გვ. 91-93);

- 18) სილოვან ხუნდაძე _ გაზეთ "ივერიის" ლინგვისტი (გვ. 93-95);
- 19) აკაკი წერეთელი _ "არცოდნა არცოდვით" (გვ. 95-99);
- 20) პეტრე ჭარაია (გიორგიძე) _ ქართული ენა და სილოვანი (გვ. 99-104);
- 21) სილოვან ხუნდაძე _ ახალი თუ ძველი ენა (გვ. 105-107);
- 22) იაკობ გოგებაშვილი _ პასუხად ბ-ნ აკაკის (გვ. 107-114);
- 23) იაკობ გოგებაშვილი _ პასუხად ბატონ სილოვანს (გვ. 114-125);
- 24) იაკობ გოგებაშვილი _ პასუხი "კვალის" რაზმსა (გვ. 126-135);
- 25) კონსტანტინე დოდაშვილი _ საგრამატიკო კვლევა (გვ. 135-156);
- 26) პეტრე ჭარაია (გიორგიძე) _ ქართული ენა და სილოვანი (გვ. 156-162);
- 27) გიორგი წერეთელი _ მცირე შენიშვნა (გვ. 163-164);
- 28) გიორგი წერეთელი _ "კვალის" ფოსტა (გვ. 165-166);
- 29) იაკობ გოგებაშვილი _ ნაბოლარა (გვ. 166-173);
- 6664. ინასარიძე კარლო.** ილია და ნოე. _ წიგნ: კრებული "პოლიტიკური კულტურა" _ პარიზი, 1992.
- ავტორი ერთმანეთთან მიმართებაში ახასიათებს ორივე მოღვაწეს და თვლის, რომ მათ უფრო მეტი ჰქონდათ საერთო_ორივე საქართველოს კეთილდღეობისათვის ზრუნავდა, თუმცა სხვადასხვა გზებით.
- 6665. კიზირია დოდონა.** ოთარაანთ ქვრივი – ქართველი ქალის ზნეობრივი სახე. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1992. _ 27 ნოემბ., №46. _ გვ. 12-13.
- ავტორი აანალიზებს ილიას თხზულების მთავარი გმირის ფსიქოლოგიურ პორტრეტს და გამოაქვს დასკვნა, რომ ოთარაანთ ქვრივს მამაკაცური თვისება უფრო მეტი აქვს, ვიდრე ქალური. იგი oTaraanT qvriiTan mimarTebaSi იყენებს ტერმინს "გამამლებული ქალი" და მიაჩნია, რომ ასეთი მხატვრული სახის გაიდევლება და მისი წარმოჩენა ქართველი ქალის ზნეობრივ სახედ შეცდომაა.
- 6666. კოტეტიშვილი ფარნაოზ.** ილია ჭავჭავაძის პროზის პოეტიკა: ოთარაანთ ქვრივი. _ თბ.: განათლება, 1992. _ 96გვ.
- 6667. კუჭუხიძე მაყვალა.** ბაირონის ნაწარმოებთა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული თარგმანები. ილია ჭავჭავაძე. _ წიგნ.: კუჭუხიძე მ. ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა. _ თბ.: საქართველო, 1992. _ გვ. 48-54.
- წერილში ნაჩვენებია ილიას შეხედულებანი მხატვრული ლიტერატურის თარგმნის აუცილებლობაზე, მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ბაირონისადმი, გაანალიზებულია ბაირონის ნაწარმოებების ილიასეული თარგმანების იდეური და მხატვრული მხარე.
- 6668. ლობჯანიძე გ.** არჩილ ჯორჯაძე - ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების მკვლევარი. – წიგნ.: ლობჯანიძე გ. ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი ნააზრევადან. – ქუთაისი, 1992. – გვ. 91-135.
- 6669. მაჭავარიანი სოსო.** აღიარებული ცოდვა: [მოგონება. ლევან ასათიანის არქივიდან] / პუბლიკაცია მოამზადა ლალი მარტაშვილმა _ ლიტერატურის მატრიანე, 1992. _ გვ. 31-33
- 6670. მენაბდე ლევან.** რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...: (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და ძველი ქართული მწერლობა) / [რედ.: ლ. გრიგოლაშვილი]. _ თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1992. _ 134გვ.

- 6671. მირიანაშვილი თ.** ილიას ცხოვრების დიდებული მატთანე. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1992. _ 18 სექტ., №36. _ გვ. 10.
რეცენზია გურამ შარაძის მიერ გამოცემულ ორტომეულზე "ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება" (თბ.: ხელოვნება, 1987-1990).
- 6672. მურღულია გ.** ილია საქართველოს სკოლებში. _ ჟურ. "სკოლა და ცხოვრება". _ 1992. _ №3. _ გვ. 6-19.
ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ლექსის სწავლების შესახებ.
- 6673. ნატროშვილი თ.** ბუმბერაზთა გაკვეთილი. _ გაზ. "დრონი". _ 1992. _ 23 მაისი.
ილია ჭავჭავაძის ამავის შესახებ საქართველოს ისტორიის წინაშე.
- 6674. ნინიძე მ.** გულის წვრთნა და სულიერი საზრდო ილია ჭავჭავაძის ეტიუდი "უცნაური ამბავი". _ ჟურ. "სკოლა და ცხოვრება". _ 1992. _ №5. _ გვ. 75-82
- 6675. ჟორდანიას ნ.** ილია. _ გაზ. "ერთობა". _ 1992. _ 20 აგვ.
- 6676. როგორ იწერებოდა ილიას ბიოგრაფია.** _ ლიტერატურის მატთანე, თბ., 1992. _ გვ. 39-44.
ლიტერატურის მუზეუმის არქივში დაცული მიხეილ გედევანიშვილის მიმოწერა გრიგოლ ყიფშიძესთან. პუბლიკაცია მოამზადა ციციწო იმნაძემ.
- 6677. სანიკიძე ლევან.** ილია თუ ნოე?! _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1992. _ 16 ოქტ., №40.
ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა და ქართველი სოციალ-დემოკრატები.
- 6678. სართანია ტარიელ.** ილია ჭავჭავაძე: (მოღვაწეობა, შემოქმედება, მკვლევლობა). _ თბ.: მარიხი, 1992. _ 289გვ.
- 6679. სინჯარაძე დალი.** ილიას ლოცვა. _ ჟურ. "რელიგია". _ 1992. _ №5. _ გვ. 32-38.
- 6680. სინჯარაძე დალი.** მითოლოგიური ელემენტები ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნააზრევში. _ ჟურ. "ცისკარი". _ 1992. _ №9-10. _ გვ. 165-171.
- 6681. ტატიშვილი ზ.** ჩემო კარგო ქვეყანავ! წერილი პირველი. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1992. _ 17 აპრ.
რენესანსის სათავეები საქართველოსა და ილია ჭავჭავაძის პოეზიაში.
- 6682. ფირცხალავა ა.** ლელთ ღუნას ძეგლთან სათქმელი; ილიას მსგავსად: [ლექსები]. _ გაზ. "ქართული ქრონიკა". _ 1992. _ 22 მაისი.
- 6683. ქორიძე თ.** ილია ჭავჭავაძე: წმინდანის გზა. _ წიგნ.: დაუნგრეველი ტაძარი. _ თბ., 1992. _ გვ. 3-16.
- 6684. ქორიძე თ.** შვილისად მაყურებელი თვალი. _ წიგნ.: ქორიძე თ. დაუნგრეველი ტაძარი. _ თბ., 1992. _ გვ. 6-16.
"ოთარაანთ ქვრივის" განხილვა.
- 6685. ღვინჯილია ჯ.** საქართველო არ წავიდა ილია ჭავჭავაძის გზით. _ წიგნ.: ღვინჯილია ჯ. ქართველი კაცის სინამდვილე. _ თბ., 1992. _ გვ. 21-27.
საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების შესახებ.
- 6686. შუმანაშვილი ალ.** ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის დოკუმენტები. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1992. _ №35-49.
- 6687. ჩოხელი გ.** მეექვსე მკვლელი. _ გაზ. "საქართველო" (საქ. სახალხო ფრონტი). _ 1992. _ 1 მაისი.
წერილში საუბარია ო. გვასალიას დოკუმენტურ ფილმზე "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან".

6688. ცინცაძე იასე. (მოგონება). _ ლიტერატურის მატრიანე. _ თბ., 1992. _ გვ. 7-11.
ილია ჭავჭავაძის მკვლევლობასთან დაკავშირებით.
6689. ციციშვილი მია. არჩილ ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძის შესახებ / საქ. მეცნ. აკად
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ-რის ინ-ტი. _ თბ., 1992. _ 32გვ.
პრეპრინტი.
6690. წერეთელი აკაკი. სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე. _ გაზ. "ლიტ.
საქართველო". _ 1992. _ 19 ივნ., 23.
6691. ჭურღულია ოთარ. ერის მოჭირნახულე. _ წიგნ.: ჭურღულია ო. სიტყვა
ფიქრის სხეულია: (წერილები და გამოკვლევები). _ თბ., 1992. _ გვ. 13-17.
6692. ჭურღულია ოთარ. ილია ჭავჭავაძე _ ლიტერატურული მკვლევარი. _ წიგნ.:
ჭურღულია ო. სიტყვა ფიქრის სხეულია (წერილები და გამოკვლევები). _
თბ., 1992. _ გვ. 3-12.
6693. ხარშილაძე გ. "მგზავრის წერილები" და ჩვენი დრო. _ ჟურ. "განთიადი". _
1992. _ №1-4. _ გვ. 154-161.
6694. ხვიჩია ნუნუ. ილიას საათისა და ერთი კეთილშობილი ოჯახის ამბავი. _ გაზ.
"ქალთა გაზეთი". _ 1992. _ დეკ., №10.
6695. ხუციშვილი ს. უგულბეღელყოფა არ ეგების. გაზ. "მამული". _ 1992. _ აგვ.
ავტორი საუბრობს ნ. ლორთქიფანიძის ოჯახში აღმოჩენილ ლექსზე
"ძვირფას კოლხიდელთ", რომელიც ამ ოჯახში დარჩენილი გადმოცემით
ილია ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს.
6696. ხუციშვილი ს. სენსაციური მკრეხელობა. _ გაზ. "საქართველო" (საქ. სახალხო
ფრონტი). _ 1992. _ 1 მაისი.
ავტორი ეხმაურება ილია ჭავჭავაძის ერთი თარგმანის გამო გაზეთ
"ქართული კულტურის" 1992 წლის 24 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ს.
თურნავას წერილს.
6697. Киласония Н. Страницы недавнего прошлого. Вечер Ильи Чавчавадзе в Москве. – газ.
«Свободная Грузия». – 1993. - 9 ноября. С. 1

1993

6698. გაბუნია გიორგი. საქმე კაი დედაკაცობაა. _ გაზ. "განათლება". _ 1993. 21
მაისი, №17.
6699. გვეტაძე ომარ. ილია ჭავჭავაძის სახისმეტყველება. _ წიგნ.: გვეტაძე ო.
ლიტერატურული წერილები. _ ქუთაისი, 1993. _ გვ. 16-23
6700. გურგენიძე ვ. ბერბიჭაშვილის გასამართლება. "დაკარგული საქმეები". _ გაზ.
"სოფლის ცხოვრება". _ 1993. _ №45-46, 19 ივნ.
6701. დევდარიანი როზა. ერის ზნეობრივი კათარზისის ძიებაში (ილია ჭავჭავაძის
"ბაზალეთის ტბა"). _ წიგნ.: დევდარიანი რ. "ვინ არის საღირა?!" _ 1993. _ გვ.
63-69.
6702. დევდარიანი როზა. ტექსტზე მუშაობის ზოგიერთი საკითხი: ვის მიუზღვება
"განკითხვის დღე?". _ წიგნ.: დევდარიანი რ. "ვინ არის საღირა?!" _ თბ., 1993.
_ გვ. 49-63.
მეცნიერის კიდევ ერთი ამპლუა ილია ჭავჭავაძის "განდევლის"
მიხედვით.

- 6703. დევდარიანი როზა.** ტექსტზე მუშაობის ზოგიერთი საკითხი: რას ელის მყინვარი? (სიმბოლური სახის დატვირთვა ილია ჭავჭავაძის "აჩრდილის" მიხედვით). – წიგნ.: დევდარიანი რ. "ვინ არის საღირა?!" – თბ., 1993. – გვ. 41-48.
- 6704. დოიაშვილი თეიმურაზ.** ილია ჭავჭავაძის "იანიჩარი". – გაზ. "სიტყვა ქართული". – 1993. – №2.
- 6705. ზოიძე შოთა.** "გასტებს ქვასაცა მაგარსა..." ანუ ქვრივი ქალბატონი. (წიგნიდან "საქართველოს გოლგოთა). – ჟურ. "ჭოროხი". – 1993. – №3. – გვ. 187-194.
მოთხრობა "ოთარაანთ ქვრივის" შესახებ.
- 6706. თურნავა სერგო.** "ემებეთ ქალი? კიდევ ერთხელ "იზას" ქართულ თარგმანზე. – გაზ. "ქართული კულტურა". – 1993. – 4-10 თებ.
მოგონება მწიგნობრისა და გამომცემლის, ალექსანდრე ჯაბადარის "მემუარებიდან" ილია ჭავჭავაძის მიერ აღ. ბუვიეს "იზას" ქართული თარგმანის გამოცემაზე.
- 6707. კვატაია მანანა.** ტრაგიკული ორთაბრძოლა – ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. – "ლიტერატურა და ხელოვნება". – 1993. – №1. – გვ. 74-101.
XIX საუკუნის II ნახევარში გამართული დაპირისპირება სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავჯდომარეს ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის.
- 6708. კვატაია მანანა, ჩავლიეშვილი თეიმურაზ.** "ივერიის" ერთი პუბლიკაციის გამო. – საქ. მეცნ. აკად. მაცნე ენისა და ლიტ. სერია. – 1993. – №2. – გვ. 40-44.
გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის მიერ დ. ჩუბინაშვილის ვრცელი გამოკვლევის "ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა" ქართული თარგმანის გამოქვეყნების შესახებ.
- 6709. კიკაჩიეშვილი თენგიზ.** ერთი ლექსის პოეტიკა (ილიას "სიზმარი"). – თბილ. უნ-ტის შრომები. ლიტერატურათმცოდნეობა, 311. – 1993. – გვ. 5-10.
- 6710. კიკნაძე ვასილ.** "გამამლებული" ოთარაანთ ქვრივი. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1993. – 22 იანვ., №4.
გამოხმაურება დოდონა კიზირიას წერილზე სათაურით "ოთარაანთ ქვრივი – ქართველი ქალის ზნეობრივი იდეალი".
- 6711. მეტრეველი ფ.** "განდეგილის" პრობლემატიკა. – ჟურ. "რელიგია". – 1993. – №2. – გვ. 45-57.
- 6712. მარკოზაშვილი ბ.** სტუმრად კახეთში ილიასთან. – გაზ. "განათლება". – 1993. – 16 აპრ. – გვ. 2.
ყვარლის მკვიდრის მოგონება აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, აღ. ყაზბეგის სტუმრობაზე ი. ჭავჭავაძესთან.
- 6713. მიშველაძე რევაზ.** ექო! – წიგნ.: მიშველაძე რ. რა გადაარჩენს საქართველოს. – თბ., 1993. – გვ. 142-143.
სიტყვა, რომელიც ავტორს უნდა წარმოეთქვა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილეზე.
- 6714. ნავდარაშვილი დავით.** ილია ჭავჭავაძე და საგურამო. – ჟურ. "ცისკარი". – 1993. – №7-8. – გვ. 178-184.
მწერლის საკარმიდამო მამულის შესახებ.

- 6715. ნანეიშვილი ნუგზარ.** ილია და დამოუკიდებლობის საკითხი. – გაზ. "ქართული ქრონიკა". – 1993. – 22 აპრ.; 27 აპრ.
პუბლიკაცია მომზადდა ვიქტორ ნოზაძის მიერ საფრანგეთში დაწერილი ნაშრომის "ილია და დამოუკიდებლობის საკითხი" საფუძველზე.
- 6716. ნინიძე მ.** ილია ჭავჭავაძის ეპიკური ნაწარმოებების კომპოზიციური თავისებურება. – ჟურ. "სკოლა და ცხოვრება". – 1993. – №5-6. – გვ. 70-77
- 6717. ნინიძე მ.** მადლისა წყარო. – ჟურ. "მნათობი". – 1993. – №2. – გვ. 132-137.
"ოთარაანთ ქვრივის" მხატვრული ღირებულება.
- 6718. სართანია ტარიელ.** ერმილე დოლიძე - ილიას მკვლელი. – გაზ. "თბილისი". – 1993. – 3 თებ.
- 6719. სახოკია თედო.** ილია ჭავჭავაძე: [მოგონება] – გაზ. "ქართული ფილმი". – 1993. – 9 სექტ.
- 6720. ქანთარია რ.** დიახ! დღესაც "ოთარაანთ ქვრივი ქართველი ქალის ზნეობრივი იდეალია". – გაზ. "იბერია-სპექტრი". – 1993. – 9-15 მარტი.
პოლემიკა დოდონა კიზირიას მიერ გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" (27/10.92) გამოქვეყნებულ სტატიაზე, რომელიც ეხება ოთარაანთ ქვრივის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტს.
- 6721. ქიტიაშვილი ნანა.** ბედისწერის უცნაური სვლები. – გაზ. "ივერია-ექსპრესი". – 1993. – 11 სექტ.
ილია ჭავჭავაძის გვამიდან ამოღებული ტყვიების ისტორია.
- 6722. შენ საქართველოს უკვდავმოფელო:** [ლექსები ილია ჭავჭავაძეზე / შემდგ.: ანდრო მირიანაშვილი; რედ.: ზურაბ კალანდაძე]. – თბ.: ნობათი; მთაწმინდა. – 1993. – 53გვ. – (ქართველი პოეტები - ქართველ წმინდანებს).
- 6723. შონია აკაკი.** "თანამედროვე უკვდავი სული". – წიგ-ში: მგზნებარე მამულიშვილები I. ბათუმი, 1993. – გვ. 154-193.
ჭავჭავაძის დამოუკიდებულება აჭარასთან. მისი უდიდესი ღვაწლი აჭარლების ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების საქმეში.
- 6724. ხიდაშელი შ.** ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საკითხები. – წიგნ.: ხიდაშელი შ. ფიქრები საქართველოზე. – თბ., 1993. – გვ. 105-116.
- 6725. ხუციშვილი სოლომონ.** 1832 წლის შეთქმულება ილია ჭავჭავაძის შეფასებით. – მნათობი. – 1993. – №3. – გვ. 164-169.
- 6726. ჯორბენაძე ბესარიონ.** ზნეობრივი სახე ერისა. – წიგნ.: ქართული მწერლობის საკითხები. – თბ., 1993. – გვ. 51-59.

- 6727.** ასათიანი ი. ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგიმამულო ბანკი. – თბ.: მეცნიერება, 1994. – 385გვ.
- 6728.** ბატიაშვილი ე. ილია და საქართველო. მსოფლიოს პრეზიდენტად გამოადგებოდა!. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1994. – 4 თებ.
ილიას შეხედულებები საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლების ძიების შესახებ.
- 6729.** გვერდწითელი გ. სიტყვა დიდ ილიაზე. – წიგნ.: გვერდწითელი გ. თანამედროვენი და თანამედროვეობა. – თბ., 1994. – გვ. 460-463.
ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების 80 წლისთავთან დაკავშირებით.
- 6730.** გურგენიძე ვ. ნოე ჟორდანია და ილიას მკვლელობა. – გაზ. "წიგნის სამყარო". – 1994. – თებ.
- 6731.** გურული ვ. ილიას შემდეგ. – გაზ. "განათლება". – 1994. – №4, გვ. 2.
- 6732.** დიდი ილიას დღე. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1994. – 11-18 ნოემბ., №45.
ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში მისი დაბადების დღის აღნიშვნის შესახებ.
- 6733.** დოჩია ფ. აკაკი ძიძიგური განმარტავს. – გაზ. "ერთობა". – 1994. – №3.
ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საკითხებზე ჟურნალისტს ესაუბრება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი აკაკი ძიძიგური.
- 6734.** ვაჟა-ფშაველა. ვერ მოჰკლეს! – წიგნ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ხუთ ტომად. ტომი 5. – თბ., 1994. – გვ. 294-296.
- 6735.** ვაჟა-ფშაველა. მცირე შენიშვნა. – წიგნ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ხუთ ტომად. ტომი 5. – თბ., 1994. – გვ. 317-320.
პოეტი ეხმაურება გაზეთ "საქმეში" (1907წ., №84) "ღალღას" ფსევდონიმით დაბეჭდილ წერილს, რომელიც შეეხება ქუთაისში გამართულ ილიას საღამოს და იქ ვაჟა-ფშაველასა და სხვათა მიერ წარმოთქმულ ლექსებს. ღალღას აზრით, ნაციონალისტებმა ილიას სახელი გაიხადეს ექსპლუატაციის საგნად. ვაჟა-ფშაველას თქმით, ისინი, ე.ი. ნაციონალისტები, ამყობენ, რომ ერის ღირსეულ შვილს ღირსეულად აფასებენ.
- 6736.** ვაჟა-ფშაველა. PRO DOMO SUA. – წიგნ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ხუთ ტომად. ტომი 5. – თბ., 1994. – გვ. 228-231.
წერილში ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ "მოხუცის ნათქვამის" წერის დროს მასზე გარკვეული გავლენა იქონია ილიას პოემამ "მეფე დიმიტრი თავდადებული".
- 6737.** ვაჟა-ფშაველა. ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო. – ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ხუთ ტომად. ტომი 5. – თბ., 1994. – გვ. 299-303.
- 6738.** ვარდოშვილი ეკა. ილიას რელიგიური ნააზრევიდან. – გაზ. "ლიტ. საქართველო". – 1994. – 16 სექტ.
- 6739.** კოწოწაშვილი შორენა. ილია ჭავჭავაძის "ივერია" და თანამედროვეობა. – გაზ. "ახალი თაობა". – 1994. – 25 მაისი.
- 6740.** კომახიძე თეიმურაზ. ილია ჭავჭავაძე – აჭარის განმანათლებელი. – ჟორჯი. – 1994. – №1-2. – გვ. 205-216.

- 6741.** მარკოზაშვილი შ. ობელისკი წიწამურში [ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის ადგილზე]. _ გაზ. "ნერგი". _ 1994. _ 7-14 მარტი.
- 6742.** მონიავა დ. ილია ჭავჭავაძის უკომპრომისო ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისათვის / [რედ.: ვაჟა თევდორაძე]. _ ქუთაისი: ქუთაისი, 1994. _ 20 გვ.
- 6743.** ნატროშვილი თ. გიყვარდეთ მტერნი თქვენი. _ გაზ. "თბილისი". _ 1994. _ 1 აპრ.
- საახალწლო მოთხრობა "ნიკოლოზ გოსტაშვილის" ანალიზი.
- 6744.** ტაბლიაშვილი ვ. "ოთარაანთ ქვრივის" ჩემი გააზრება. _ ჟურ. "ხელოვნება". _ 1994. _ №4-6. _ გვ. 80-82
- "ოთარაანთ ქვრივის" სცენაზე ამეტიყვევლების საკითხები.
- 6745.** ყორანაშვილი გურამ. "თითქოს ათასფეროვანი ჩუქურთმა". _ გაზ. "თბილისი". _ 1994. _ 4 მაისი.
- ილიას ქართული ხასიათის შესახებ.
- 6746.** ჭუმბურიძე ზურაბ. ილია ჭავჭავაძის ენა და ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი / [რედ.: გ. აბაშიძე]; საქ. მეცნ. აკად., შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ-რის ინ-ტი. _ თბ.: მეცნიერება, 1994. _ 136გვ.
- 6747.** ხუციშვილი ს. პიროვნება ილია ჭავჭავაძის კონცეფციაში. _ ჟურ. "მნათობი". _ 1994. _ №1-2. _ გვ. 153-159.
- 6748.** ჯავახიშვილი გ. კახური ღვინო დედისრძიანი. _ გაზ. "უწყებანი". _ 1994. _ 16 მარტი.
- ილია ჭავჭავაძის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1893 წლის თიბათვის 11-ში კახეთის მევენახეთა და მეღვინეთა თავყრილობაზე.
- 6749.** ჯავახიშვილი ლელა. ილიაობა თელავში. _ გაზ. "ლიტ. საქართველო". _ 1994. _ 16 სექტ., №37.
- 6750.** Габуниа Г. Грузинское знамя не раз развевалось рядом с русским. – газ. «Веч. Тбилиси». -1994. – 2 фев., №7 .
- ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა შესახებ.

- 6751. არკუნელი მ.** აწმყოში გახმინებული წარსული. – ჟურნ. “ვაზი და ღვინო”. – 1995. – №1-2. – გვ. 79-82.
ჭავჭავაძე “კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირის” შესახებ.
- 6752. გაბუნია გიორგი.** სამართლით ამოთხრილი თვალი არ გეტკინებათ...საქართველოს პარლამენტარებს. – გაზ. “საქართველო”. – 1995. – 3-10 ივნ., №18.
ილიას რჩევები საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ.
- 6753. გურული ვახტანგ.** ილია ჭავჭავაძის უცნობი პამფლეტი. – გაზ. “Свободная Грузия”. – 1995. – 4 მაისი, №39, გვ. 3.
რუსულ გაზეთში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ეს წერილი ეხება ილიას პამფლეტს “სიმვლოლო სარწმუნოებისა”.
- 6754. დოიაშვილი თეიმურაზ.** ილია ჭავჭავაძის “იანიჩარი”. – კრებული “ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი”. – თბ.: მეცნიერება, 1995.
ლექსის ვერსიფიკაციული ანალიზი.
- 6755. ილია და აჭარა.** – ჟურ. “მართლმსაჯულების მაცნე”. – 1995. – №4. – გვ. 3-4.
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მინდია უგრეხელიძის სიტყვა, რომელიც წარმოთქვა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში.
- 6756. კანკავა გიორგი.** “ოთარაანთ ქვრივი”, “წყევლა-კრულვანი საკითხავი”. ანუ საკუთარ ისტორიასთან “ჩატეხილი ხიდი”. – ჟურ. “ცისკარი”. – 1995. – №7-8. – გვ. 207-221.
ილია ჭავჭავაძის პროზის მიმოხილვა.
- 6757. კომახიძე თეიმურაზ.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: კომახიძე თ. აჭარის მამაგენი. – ბათუმი: აჭარა, 1995. – გვ. 106-114.
მწერლის ღვაწლი აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის აღორძინების საქმეში.
- 6758. მინაშვილი ლადო.** ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება) / [რედ.: ი. ევგენიძე]. – თბ: თსუ-ს გამ-ბა, 1995. – 414 გვ.
წიგნი მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ასპექტების დახასიათებას, რაც გულისხმობს ილიას დიდი პიროვნებისა და მისი მხატვრული შემოქმედების მთლიანობაში დანახვას. ამ მიზნით ნაშრომში საუბარია მწერლის პიროვნულ ცხოვრებაზე, მოქალაქეობრივ მრწამსსა და ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებზე, ცალ-ცალკეა განხილული ილია ჭავჭავაძის ლირიკა, ეპიკური პოეზია და მხატვრული პროზა.
- 6758¹ ნინიძე მაია.** “ვეტრფი და ვეტრფი სულ ერთ ვარსკვლავსა”. – ჟურ. “მნათობი” – 1995. – №5-6. – გვ. 131-139.
წერილში განხილულია ილიას ორი ლექსი, რომლებიც მწერლის ხელნაწერ რვეულებში ერთნაირ დაქარაგმებულ სათაურს ატარებს – “ს...ს”.
- 6758² ნინიძე მაია.** ილიას ლექსი საყვარელი ს...-სადმი. – გაზ. “კავკასიონი” (ლიტ. გვერდი). – 1995. – 1 ივლ.
- 6758³ ნინიძე მაია.** ქროლა სულისა. – გაზ. “კავკასიონი” (ლიტ. გვერდი). – 1995. – 22 ივლ.

- 6759. რატიანი ირმა.** ავტორი – ესთეტიკური ობიექტის მხატვრული მთლიანობის განმსაზღვრელი (ილია ჭავჭავაძის თხზულებების ”მგზავრის წერილები” და ”სახრჩობელაზედ” მიხედვით). – ჟურ. ”კრიტიკა”. – 1995. – №1-2. – გვ. 238-253.
- 6760. რაჭველიშვილი ქრისტეფორე.** ილია ჭავჭავაძე: [ბიოგრაფიული ნარკვევი / რედ.: სოლომონ ხუციშვილი]. – თბ.: საქართველო, 1995. – 128გვ.
- 6761. სახლთხუციშვილი კ.** ქრისტიანული ასკეტიზმის პრობლემა ილია ჭავჭავაძის ”განდეგილში”. – ჟურნ. ”ნობათი”. – 1995. – №3-4. – გვ. 76-90
- 6762. სინჯარაძე დ.** მიტევების ფენომენი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში. – ჟურნ. ”კრიტიკა”. – 1995. – №3-4. – გვ. 167-181
- 6763. ტაბიძე გალაკტიონ.** ბარათაშვილი, ილია, აკაკი. – წიგნ.: თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. V, თბ, 1995. – გვ. 95
ნიკოლოზ ბარათაშვილზე საუბრისას გალაკტიონი ახსენებს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, რომლებმაც, მისი აზრით, წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული ინტელიგენციის ისტორიაში. პოეტის თქმით, ”საზოგადოდ, ქართველი ინტელიგენციის ისტორია ამ ორი პიროვნების გამოსვლით იწყება”.
- 6764. ტაბიძე გალაკტიონ.** ილია ჭავჭავაძე. – წიგნ.: ტაბიძე გ. თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. V, თბ, 1995. – გვ. 10.
ამ მცირე ჩანახატში პოეტი გამოთქვამს თავის შეხედულებებს ილია ჭავჭავაძის აზროვნების სტილის, მისი ხასიათის უმთავრესი დამახასიათებელი თვისებების შესახებ.
- 6765. ქაჯაია ვარლამ.** ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე. – წიგნ.: ნიკო ცხვედაძე 150. – თბ. – თსუ. – 1995. – გვ. 54-67.
- 6766. ქაჯაია მ.** საყურადღებო მონოგრაფია ილია ჭავჭავაძის ფენომენის შესახებ. – გაზ. ”კავკასიონი”. – 1995. – 7 ოქტ., №177(246).
რეცენზია წიგნზე: მინაშვილი ლადო. ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება). – თბ: თსუ-ს გამ-ბა, 1995. – 414 გვ.
- 6767. ყორანაშვილი გურამ.** ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხი ილიას ნააზრევსა და პრაქტიკულ ნაღვაწში. – საქართველოს ისტორიის საკითხები. ნაწ. II. – თბ., 1995. – გვ. 65-84.
- 6768. ყორანაშვილი გურამ.** ილიას აზრები პროკრუსტეს სარეცელზე. – წიგნ.: ყორანაშვილი გ. საქართველოს ისტორიის საკითხები. ნაწ. II. – თბ., 1995. – გვ. 296-301.
ილია ჭავჭავაძის პოზიცია და შეხედულებები საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე.
- 6769. შამილაძე ვახტანგ.** ილია ჭავჭავაძე და მომთაბარეობის სამეურნეო-კულტურული პრობლემები საქართველოში. – ბათუმის სახ. უნივერსიტეტის შრომები. – I. – 1995. – გვ. 104-110.
- 6770. ჩადუნელი ელგუჯა.** ილია ჭავჭავაძე და ქართული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. – ეკონომიკა. – 1995. – №7-9. – გვ. 29-37.
- 6771. ჩიგოგიძე კლარა.** ილია ჭავჭავაძე და აღორძინების ხანის ჰუმანისტი პედაგოგები. – ჟურ. ”მზრდელი ყრმისა”. – 1995. – №3, 4. – გვ. 48-52.

- 6772.** ჩხეიძე რ. მოგვიხვე მშვიდობით. _ წიგნ.: ჩხეიძე რ. როცა შვიდნი ვართ. _ თბ.: მერანი, 1995. _ გვ. 39-47.
უ. სკოტის, რ. ემერსონისა და ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიული დეტალის მსგავსება.
- 6773.** ხინთიბიძე მ. “ვეტრფი და ვეტრფი სულ ერთ ვარსკვლავს”. _ ჟურ. “მნათობი”. _ 1995. _ №5-6. _ გვ. 130-139
- 6774.** ჯაფარიძე ს. “განდეგილი” _ ლეგენდა და სინამდვილე. _ საქ. ისტ. და კულტ. ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთ. ს/ს სამმართველო_სამეცნ. შრომების წელიწადი. _ 1995. _ I. _ გვ. 213-21

1996

- 6775.** აბხაზი ელენე. მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე (ჩაწერილი ისიდორე მანწკავას მიერ). _ წიგნ.: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი II. _ თბ, 1996. _ გვ. 61-63.
ი. ჭავჭავაძის დისშვილის, კონსტანტინე აბხაზის მეუღლის, ელენე აბხაზის მოგონებებში აღწერილია, თუ რა უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ილიას რუსეთთან შეერთების დღესასწაულების მიმართ.
- 6776.** ამირეჯიბი შალვა. ილია ჭავჭავაძე _ წიგნ.: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი I. _ თბ, 1996. _ გვ. 27-32
- 6777.** ამირეჯიბი შალვა. ისტორია საქართველისი და უდარდელი კაცის ისტორია. _ წიგნ.: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი I. _ თბ, 1996. _ გვ. 47-52.
წერილში უარყოფითად არის შეფასებული ნოე ჟორდანას მოღვაწეობა და მისი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის მიმართ.
- 6778.** ასათიანი ალ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (1917-1937). _ წიგნ.: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი I. _ თბ. _ 1996. _ გვ. 57-62.
- 6779.** ბენდელიანი ციალა. “აწ იგი თითქო თვის დენაში შეყენებულა”... “გზისა” და მისი სემანტიკური ველის სახე და იდეა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში. _ ჟურ. “განთიადი”. _ 1996. _ №7-8_ გვ. 161-167.
- 6780.** ბერეჟიანი სიმონ. ილია ჭავჭავაძე. _ წიგნ.: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტ. I თბ., 1996 _ გვ. 7-8.
- 6781.** ბერეჟიანი სიმონ. პაემანი მთაწმინდაზე: (პოემა). _ წიგნ.: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი II. _ თბ, 1996. _ გვ. 68-81.
- 6782.** ბუზუკაშვილი დავით. ეროვნული კოოპერაციის ქომაგი. _ გაზ. ”საქ. რესპუბლიკა”. _ 1996. _ 7 სექტ.
წერილში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძე ზრუნავდა საქართველოში სამომხმარებლო კოოპერაციისათვის. ამის დასტურია თბილისისა და თელავის მომხმარებელთა საზოგადოებების წესდებების პროექტები, რომელთა შედგენასა და დამტკიცებაზეც ზრუნავდა ილია.
- 6783.** გაბაშვილი რევაზ. ილია ჭავჭავაძის ეკონომიურ მოღვაწეობაზე. _ წიგნ.: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი I. _ თბ, 1996. _ გვ. 199-207.
მოხსენება წაკითხულია ილიას საიუბილეო საღამოზე 1957 წელს.
- 6784.** გალსტიანი დემეტრე. ილიას მუზეუმში. _ გაზ. ”ლიტ. საქართველო”. _ 1996. _ 2-9 აგვ., №31.

ილია ჭავჭავაძის მუზეუმში გამართული რამდენიმე ღონისძიების შესახებ.

- 6785. გამყრელიძე გიორგი.** ილიას დაღუპვის 50 წლისთავზე: [ლექსი]. – წიგნ: ილია ემიგრანტთა თვალით. ტომი I. – თბ., 1996. – გვ. 162-163.
- 6786. გვაზავა გიორგი.** გუშაგი (ილიას ხსოვნას): [ლექსი]. – წიგნ: ილია ემიგრანტთა თვალით. ტომი II. – თბ., 1996. – გვ. 249
- 6787. გოგიაშვილი ომარ, ბატიაშვილი ელბერდ.** რომელია "მაგარი" და რომელია "ფუყე" ქვა? – ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი ერისა და saxelmwifos შესახებ. – გაზ. "საქ. რესპუბლიკა". – 1996. – №139. – 1996. – 13 ივლისი. – გვ. 2-3.
- 6788. გოგიაშვილი ომარ., ბატიაშვილი ელბერდ.** შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა. – გაზ. "საქ. რესპუბლიკა". – 12 სექტემბერი. – 1996. – გვ. 4.

ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიის – "ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია" შესახებ.

- 6789. გურგენიძე ვ.** "თქმა მართლისა" (ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მასალები). – "ლაშარის გორი". – 1996. – გვ. 16-23.
- 6790. გურული ვახტანგ.** კონსერვატიზმის ბედი საქართველოში. – გაზ. "ჯორჯიან თაიმსი". – 1996. – №6.

ილია და ქართული კონსერვატიზმი; პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობის, კონსერვატიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ურთიერთჭიდული XIX_XX საუკუნეებში.

- 6791. დიასამიძე გრიგოლ.** მოგონებები აკაკი წერეთელზე. – წიგნ: ილია ემიგრანტთა თვალით. ტომი I. – თბ., 1996. – გვ. 144-145.

მოგონების ავტორი ადასტურებს, რომ ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის დავაში აკაკი წერეთელი გამოდიოდა არა წამქეზებლის, არამედ შემრიგებლის პოზიციით.

- 6792. დიდი ილიას საიუბილეოდ.** – წიგნ: ილია ემიგრანტთა თვალით. ტომი II. – თბ., 1996 – გვ. 133-136.

ილიას დაბადებიდან 150 წლისთავისადმი წერილში ნათქვამია, რომ "ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ცოდვა არც ერთ ქართულ პოლიტიკურ მიმდინარეობას კისრად არ ადევს, არამედ – მეფის რუსეთის ჟანდარმერიას."

- 6793. ვასაძე თამაზ.** გზაჯვარედინზე (ილია ჭავჭავაძის "მგზავრის წერილები", როგორც ახალი ქართული რეალისტური და ლირიკული პროზის ერთ-ერთი პირველი ნიმუში. დამის სახე ქართულ რომანტიზმში). – წიგნ: ვასაძე თ. ფარული შინასამყარო. – თბ.: მერანი, 1996. – გვ. 15-24.

- 6794. ვასაძე თამაზ.** ორგვარი ცნობიერება. – წიგნ: ვასაძე თამაზ. ფარული შინასამყარო. – თბ.: მერანი, 1996. – გვ. 33-39.

წერილში ნათქვამია, რომ ილიას პროზაში გამოკვეთილია ორგვარი ცხოვრების ყაიდა და ცნობიერების წყობა, რომელთაგან ერთი მთლიანად ეწინააღმდეგება და გამორიცხავს ქვეყნის ევროპეიზაციის გეზით განვითარებას, მეორე კი ამ გეზით სვლის მამოძრავებელია. ავტორის აზრით, რაციონალური, გონებას დანდობილი ცნობიერების ფორმირება რაციონალური და თავისუფალი შრომის საფუძველზე ისახება ილია

- ჭავჭავაძის შემოქმედებაში ქვეყნის აღორძინებისა და განვითარების უმთავრეს პირობად.
- 6795. ვაშაკიძე გიორგი.** მოგონებები ერისკაცზე. _ გაზ. "მოზაიკა". _ 1996. _ 25-31 დეკ., №70.
საგურამოში, ილია ჭავჭავაძის მამულში მომუშავე გლეხების მოგონებები.
- 6796. ვაშაძე დავით.** კნინი რამ აკაკი პაპავაზე _ წიგნ: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი I. _ თბ, 1996. _ გვ. 259-260.
ავტორის აზრით, სამოციანელთა თაობამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მხოლოდ ეროვნული იდეოლოგიის შექმნა შესძლეს, მაგრამ ორგანიზაციული მუშაობა ვერ გაშალეს. "მესამე დასი" კი უფრო მოქმედი ორგანიზაცია იყო, მაგრამ იგი მთლიანად მოსწყდა ეროვნულ ნიადაგს.
- 6797. ვაჩნაძე დავით.** დაუფიწყარი მამულიშვილი. დიდი ილიას ხსოვნას: (მოგონებები). _ წიგნ: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი I. _ თბ., 1996. _ გვ. 155.
პირველ წერილში ავტორი იხსენებს, თუ XX საუკუნის 30-იან წლებში პარიზის ერთ-ერთ კაფეში როგორ უკითხავდა ახალგაზრდა ალექსანდრე ცომაია თავის ამხანაგებს ილიას პუბლიცისტურ წერილებს. მეორე წერილში გამოხატულია დიდი გულისტკივილი ილიას მოკვლის გამო.
- 6798. ვაჩნაძე დავით.** სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი). _ წიგნ: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი II _ თბ, 1996. _ გვ. 243.
ავტორი იხსენებს საგურამოდან ილიას ცხედრის ჩამოსვენების დღეს მ. წერეთლის მიერ წარმოთქმულ სიტყვას.
- 6799. ვაჩნაძე დავით.** ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. _ წიგნ: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი I. _ თბ, 1996. _ გვ. 163-165.
წერილში ნაჩვენებია რუსეთის იმპერიის დამოკიდებულება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში წარმოქმნილი პოლიტიკური მიმდინარეობების მიმართ. ნათქვამია, რომ რუსეთის მთავრობამ შეაჩერა ქართულ-ეროვნულ-ხალხოსნური პოლიტიკური მოძრაობა და მისი ლიდერი ი. ჭავჭავაძე მოკლა.
- 6800. ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე?** _ გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი". _ 1996. _ 22-28 აგვ.
გაზეთი აქვეყნებს დუშეთის მაზრის უფროსის ყარამან ფალავას მოგონებებს.
- 6801. ზურაბიშვილი ივანე.** ილია ჭავჭავაძე. _ წიგნ.: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი I. _ თბ, 1996. _ გვ. 235-259.
წიგნში განხილულია ილიას შემოქმედება.
- 6802. თარაშვილი მიხეილ.** ილია არ შემცდარა. _ წიგნ: ილია ემიგრანტთა თვალთ. ტომი II. _ თბ, 1996. _ გვ. 149-151.
ავტორის თქმით, ილია სოციალ-დემოკრატებმა მოჰკლეს იმიტომ, რომ იგი ხელს უშლიდა ერის მთლიანობის დარღვევაში.
- 6803. ილია ემიგრანტთა თვალთ.** [ორ ტომად]: ქართველ ემიგრანტთა წერილები, მოგონებები, ლექსები, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძისადმი / შემდგ. - რედ.: დალი სინჯარაძე, ნათია ბებიაშვილი; მხატვ.: გია ბუღაძე; მხატვრული რედ.: კარლო ფაჩულია; გამომცემელი ალ. ორბელიანის საზ-ბა]; თბილისის ი.

ჭავჭავაძის სახ. ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. _ თბ.: ლომისი, 1996.

ტომი I. _ 287გვ.; შინაარსი:

ბერეჟიანი სიმონ. ილია ჭავჭავაძე;
კედია ს. ილია ჭავჭავაძე (ერთი თვალის გადავლებით);
ამირეჯიბი შალვა. ილია ჭავჭავაძე;
ყიფიანი გიორგი. შეკითხვა ვ. ნ.-ს; ილიას: [ლექსები];
ნოზაძე ვიქტორ. ილია და დამოუკიდებლობის საკითხი;
ამირეჯიბი შალვა. ისტორია საქართველისი და უდარდელი კაცის ისტორია;
მგელაძე ვლასა. ილია ჭავჭავაძის მოკვლა 1907წ;
ნოზაძე ვიქტორ. ილია ჭავჭავაძე (1837-1937);
ასათიანი ალ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (1917-1937);
პაპავა თამარ. ილია ჭავჭავაძე და ქართველი ქალი;
ჟურული გიორგი. ილიასთან შორი-ახლოს დგომით (ფურცლები ჩემი თავგადასავლის რვეულიდან);
უროტაძე გრიგოლ. იდეური და ლიტერატურული აღორძინება;
რობაქიძე გრიგოლ. ივანე ჯავახიშვილი;
რობაქიძე გრიგოლ. მიხეილ წერეთელი, მოგონებათა ფარდული;
რობაქიძე გრიგოლ. საუბარი კარდუსთან;
რობაქიძე გრიგოლ. სათავენი ჩემი შემოქმედებისა;
ჟურული გიორგი. მოგონებიდან;
კერესელიძე გ. ბეთლემის აღმოჩენის შესახებ;
ჟურული გიორგი. მცირე რამ დიდ ილიას შესახებ;
დიასამიძე გრ. მოგონებები აკაკი წერეთელზე;
ჟორდანიას ნოე. ჩემი წარსული (მოგონებანი);
ავტორი არ იზიარებს მკვლევართა ერთი ნაწილის (მაგ. ვ. კოტეტიშვილის) მოსაზრებას, რომ პოემა “განდეგილის” ლიტერატურული პირველწყარო არის ფლობერის “წმინდა ანტონის ცდუნება” და ზოლას “აბე მურეს შეცოდება”. იგი ასაბუთებს, რომ “განდეგილის” შექმნა განპირობებული იყო “XIX საუკუნის საქართველოს სინამდვილით, პოეტის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი ამოცანის, ქართველი ხალხის თვითშეგნების გამოფხიზლების მიზნით”.
- 7655. გოგიაშვილი გ.** ერიჰაა, მარტო ახირებული კი არა, ყორანაშვილი ტერორისტიც ყოფილა, ანუ ფუცუნია ბებიას “ფასდაუდებელ ცნობას” ახლა

ერთ-ერთი რუსი ამხანაგის “სამხილიც” მიემატა. _ გაზ. “საქ. რესპუბლიკა”. _ 2005. _ 9 თებ., №103. _ გვ 4.

ავტორი არ ეთანხმება ისტორიკოს გ. ყორანაშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მეფის ოხრანკა-ჟანდარმერიის მიერ იყო მოწყობილი.

7656. გოგოლაშვილი გიორგი. ვინ, როგორ და რატომ ებრძვის. _ გაზ. “თბილისი”. _ 2005. _ 12 აგვ.

ავტორი ეხმაურება გაზეთ “წიგნებში” (2005წ. №6, 29 ივლ.-11 აგვ.) გამოქვეყნებულ გიორგი კაკაბაძის წერილს ”ღმერთთან მისთვის ვლასპარაკობ”, რომელშიც განხილულია მათა ნინიძის წიგნი “მადლის წყარო”. ავტორი აკრიტიკებს რეცენზიას, რადგან მიაჩნია, რომ რეცენზენტს წიგნის განხილვა კი არა, ილია ჭავჭავაძის სახელის დაკნინება სურდა.

7657. დაუშვილი რუსუდან. ქართველ მწერალთა იუბილეები ემიგრაციაში: (XX ს. 20-30-იანი წწ.). _ კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. _ 2005. _ XXII. _ გვ. 85-95.

ქართველი ემიგრანტების მიერ ევროპაში ორგანიზებული ილია ჭავჭავაძის (1928, 1932, 1937 წწ.), აკაკი წერეთლის (1935 წ.), ვაჟა-ფშაველასა (1936 წ.) და შოთა რუსთაველის (1937-38 წწ.) საიუბილეო ღონისძიებები.

7658. დარჩიაშვილი თ. “გლახის ნაამბობი” (მცირე კომენტარი). _ საქ. სსრ მეცნ. აკად., ენისა და ლიტერატურის სერია. _ 2004-2005. _ გვ. 7-12.

ილია ჭავჭავაძის რელიგიური მსოფლმხედველობა.

7659. დვალი თ. ერთი მუზეუმის ისტორია და პრობლემები. _ გაზ. “24 საათი”. _ 2005. _ 19 მაისი, №110, გვ. A4.

ჟურნალისტი ესაუბრება ილია ჭავჭავაძის თბილისის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის დირექტორს მზია ნადირაძეს.

7660. ვარდოშვილი ეკა. ილია ჭავჭავაძის რელიგიური ნააზრევადან. _ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტი. ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. წიგნი მეცხრე. ეძღვნება...დავით გურამიშვილის დაბადების 300 წლისთავს. _ 2005. _ გვ. 9-15.

წერილში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია იმ შეხედულებებზე, რომლებიც გადმოცემულია ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ და სალიტერატურო წერილებში.

7661. ვაშაკიძე ია. ერთიანი სამწერლობო ენისა და ქართველური დიალექტების საკითხისათვის (XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე დისკუსიების მიხედვით). _ ქართველოლოგიური კრებული. IV. _ 2005. _ გვ. 52-57.

წერილში სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ილია ჭავჭავაძის შეხედულებებზე ერთიანი სამწერლობო ენის შესახებ.

7662. ვაშაკიძე ია. ილია ჭავჭავაძე _ ტერმინთ-შემოქმედი. _ თბ: ქართული ენა, 2005. _ 112 გვ.

ნაშრომში გაანალიზებულია ილიას პუბლიცისტურ წერილებში გამოყენებული ტერმინოლოგიური მასალა. მოცემულია მევენახეობა-მეღვინეობისა და ქიმიური ტერმინების ისტორიულ-სემანტური ანალიზი.

- 7663.** კაკაბაძე გიორგი. “ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ”. – გაზ. “წიგნები” (გაზ. “24 საათის” დამატება). – 2005. – №06. – 29 ივლ.-11 აგვ. – გვ. 3-4.
სტატიაში ავტორი განიხილავს მანია ნინიძის წიგნს “მადლის წყარო” (თბ., 1997). იგი აკრიტიკებს ნაშრომს და არასწორად მიაჩნია, რომ მკვლევარი ილიას ნაწარმოებების ყოველ სიტყვასა და ყოველ მეტაფორაში რელიგიურ საწყისს ხედავს. ამავდროულად, უარყოფითადაა შეფასებული მ. ნინიძის მიერ ილიას ტექსტების ანალიზის მეთოდი, რაც, რეცენზენტის აზრით, მცდარი დასკვნებისკენ უბიძგებს ავტორს.
- 7663¹** კაკაბაძე გიორგი. ისევ ქრისტიანული ლიტერატურის შესახებ. – გაზ. “წიგნები” (გაზ. “24 საათის” დამატება). – 2005. – №12. – 5-12 აგვ. – გვ. 2-3.
წერილში ავტორი აგრძელებს მსჯელობას მ. ნინიძის წიგნის – “მადლის წყაროს” შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ მის მიერ გამოქვეყნებული წერილი – “ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ” – მიზნად არ ისახავდა ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და მისი შემოქმედების დაკნინებას. ავტორის მიზანია, დაასაბუთოს თავისი მოსაზრება, თუ რა მიზეზით არ მიაჩნია ილია რელიგიურ მწერლად.
- 7664.** კვარაცხელია მედეა. ილია, აკაკი და იაკობი მომავალი თაობის აღზრდისა და საბავშვო ლიტერატურის შესახებ. – წიგნ.: კვარაცხელია მ. საქართველოს ისტორიული წარსული ქართველ სამოციანელთა საბავშვო ლიტერატურაში. – თბ., 2005. – გვ. 3-27.
- 7665.** კვარაცხელია მ. საქართველოს ისტორიული წარსული ილია ჭავჭავაძის საბავშვო ნაწარმოებებში. – წიგნ.: კვარაცხელია მ. საქართველოს ისტორიული წარსული ქართველ სამოციანელთა საბავშვო ნაწარმოებებში. – თბ, 2005. – გვ. 28-49.
- 7666.** კიკაჩიშვილი თენგიზ. თავისუფლების იდეის გამოვლენა ილიას შემოქმედებაში. – მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. – თბ, 2005. – გვ. 116-125
- 7667.** კილანავა ცირა. სახელდების – ”ოთარანთ ქერივი” – გააზრებისათვის: (ი. ჭავჭავაძე). – გელათის მეცნ. აკად. ჟურნალი. – 2005. – №6. – გვ. 40-45
- 7668.** კუჭუხიძე გოჩა. ილია ჭავჭავაძის სულიერი ბიოგრაფიის ერთი დეტალი. – ჟურ. “კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა”. – 2005. – №8. – 125-131.
ილია ჭავჭავაძის და ალექსანდრე პუშკინის სულიერი ნათესაობა.
- 7668¹** ლავრელაშვილი ზურაბ. მეტი პროფესიონალიზმი! ანუ რამდენიმე სიტყვა “თვითმარქვია” პოეტებსა და მათ კრიტიკოსებზე. – გაზ. “წიგნები” (გაზ. “24 საათის” დამატება). – 2005. – №07 (26). – 9-22 სექტ. – გვ. 3.
ავტორი ეხმაურება მ. ნინიძის წიგნის – “მადლის წყაროს” შესახებ გამოქვეყნებულ გ. კაკაბაძის სტატიას “ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ” (გაზ. “წიგნები”, 2005, №06 (25), 29 ივლ.-11 აგვ.). ავტორი არ ეთანხმება გ. კაკაბაძის მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ მ. ნინიძეს ბევრი რამ ძალზე მარჯვედ და საფუძვლიანად აქვს მიკვლეული და მისი ნაშრომი მეცნიერულ კვლევას იმსახურებს.
- 7669.** ლობჯანიძე სოფიკო, ბიომი უვე. ქართული პედაგოგიკის ისტორიიდან – გერმანოფილური პერიოდი. – ჟურ. “კილო”. – 2005. – №28. – გვ. 64-74. ილია

- ჭავჭავაძის დამოკიდებულება გერმანული საერო სკოლებისადმი; პესტალოცის გავლენა ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაზე.
- 7670. ლომია შორენა.** მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს ამსახველი ლექსიკა ილია ჭავჭავაძის ენაში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის 64-ე სამეცნიერო სესიის მასალები. – თბ, 2005. – გვ. 25-26.
- 7671. მელაძე ლელა.** ილია ჭავჭავაძე_სალიტერატურო კრიტიკის რაობის შესახებ. – წიგნ.: მელაძე ლ. ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. – თბ, 2005. – გვ. 15-22
- 7672. მენტეშაშვილი ლია.** ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებების თანამედროვე გააზრება. – “ინტელექტი”. – 2005. - №2(22). – გვ. 213-215.
- 7673. მენტეშაშვილი ლ., ფარცხალია ნ.** მასწავლებლის სახე ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში. – ჟურნ. “კავკასიის მაცნე”. – 2005. – №12. – გვ. 110-112
- 7674. მეფარიშვილი თ.** გრიგოლ რობაქაძის ესეისტიკა. – თბ.: თსუ-ს გამ-ბა, 2005.. – 227 გვ.
წიგნის 49-52 გვერდებზე განხილულია გროგოლ რობაქაძის წერილი “ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტრაგედია”.
- 7675. მიმინოშვილი ოთარ.** ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. – წიგნ.: მიმინოშვილი ოთარ. ქართული მწერლობა და საქართველოს ეთნოლოგია. – თბ, 2005. – გვ. 53-97
- 7676. მონიავა მანანა.** ადამიანის ”განდმრთობის” იდეა ილია ჭავჭავაძის დიდაქტიკურ პუბლიცისტიკაში / [რედ.: ნ. ტაბიძე]. – თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2005. – 27გვ.
- 7677. ნარიმანიძე ნ.** სწავლა-აღზრდისადმი დამოკიდებულება ილიას “კაცია-ადამიანის?!” მიხედვით. – თბ. პედ. უნ-ტი. “პრომეთე”. – 2005. – №6 (18). – გვ. 83-85.
- 7677¹ ნინიძე მაია.** ანთებული ლამპარი (“გლახის ნაამბობის” სწავლებისათვის). – გაზ. “სკოლა” (ქართული ენა და ლიტერატურა). – 2005. – №5-6
- 7677² ნინიძე მაია.** არჩილი და კესო. – გაზ. ”ახალი განათლება”. – 2005. – №13.
- 7678. ნინიძე მაია.** გული და ესთეტიკა. – ლიტერატურული ძიებანი. – 2005. – XXVI. – გვ. 273-279.
ორი ელემენტის (გული და ესთეტიკა) თანაბარი სრულყოფილების ჰარმონიული მთლიანობა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული ქმნილებების მაგალითზე.
- 7678¹ ნინიძე მაია.** ”დრო ჰსჭვრიტე” (“ოთარაანთ ქვრივის” სწავლებისათვის) – გაზ. ”ახალი განათლება”. – 2005. – №12.
- 7679. ნინიძე მაია.** მხატვრულ სახეთა სისტემა და რელიგიური დისკურსი” ოთარაანთ ქვრივში” / [რედ.: ნესტან სულავა]; შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინ-ტი. – თბ., 2005. – 128 გვ.
- 7679¹ ნინიძე მაია.** ოთარაანთ ქვრივი და თავსაფრიანი დედაკაცი. – გაზ. ”ახალი განათლება”. – 2005. – №15.
- 7679² ნინიძე მაია.** ოთარაანთ გიორგის დახასიათებისათვის. – გაზ. ”ახალი განათლება”. – 2005. – №11.
- 7679³ ნინიძე მაია.** პეტრეს სახე და დედააზრი მოთხრობისა “სარჩობელაზედ”. – გაზ. “სკოლა” (ქართული ენა და ლიტერატურა). – 2005. – №7-8.

- 7679⁴** ნინიძე მაია. რა მიზეზია, რომ ასეთი კრიტიკა გვაქვს? _ გაზ. "წიგნები" (გაზ. "24 საათის" დამატება). _ 2005. _ №08 (27), 23 სექტ. -ოქტ.
 გამოხმაურება გ. კაკაბაძის წერილზე "ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ", რომელშიც განხილულია მ. ნინიძის წიგნი "მადლის წყარო, ილია ჭავჭავაძის მრწამსი და მისი შემოქმედება" (გაზ. "წიგნები", 2005, №6. _ 29 ივლ.-11 აგვ.).
- 7679⁵** ნინიძე მარიამ. "უძვირესი ქვისა მრავალსასყიდლისა" (ოთარაანთ ქვირვის სულიერი პორტრეტისათვის). _ გაზ. "ახალი განათლება". _ 2005. _ №10.
- 7680.** ნიშნიანიძე, რუსუდან. საქართველო-სამანს აქეთ და სამანს იქით... წიგნი I და წიგნი II. _ თბ.: მერანი, 2005.
 წიგნის ორივე ტომში სხვა საკითხებთან ერთად დიდი ადგილი ეთმობა ქართველი ემიგრანტების დამოკიდებულებას ილია ჭავჭავაძისადმი. ნაჩვენებია, თუ როგორ აისახა ქართულ ემიგრანტულ პრესაში ილიას შემოქმედებასთან, მის მოღვაწეობასა და მკვლევლობასთან დაკავშირებული საკითხები.
- 7681.** პოეტები_წინასწარმეტყველები... _ გაზ. "საქ. რესპუბლიკა". _ 2005. _ 13 აგვ., №191-192, 7გვ.
 ილია ჭავჭავაძისა და სხვა პოეტების შესახებ, რომლებმაც იწინასწარმეტყველეს საქართველოს თავისუფლება.
- 7682.** ჟორდანია გ. მარტვილობა მესიისა: ახალი მასალები ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის შესახებ / [რედ.: რ. მეტრეველი; ხელნაწერი გამოსაცემად მოამზადა ა.გ. ჟორდანიამ]. _ თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2005. _ 485გვ.
 ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის საარქივო მასალის გაცნობის შედეგად მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს მკვლევლობა ორგანიზებული იყო სოციალ-დემოკრატთა ექსტრემისტული ფრთის მიერ.
- 7683.** ჟორდანია ნოე. ორი პოეტი: ილია: (მოღვაწეობა). _ წიგნი: შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. VI. _ თბ, 2005. _ გვ. 128-130.
- 7684.** სახოკია თედო. ილია ჭავჭავაძე სოხუმში [წიგნიდან: "ჩემი საუკუნის ადამიანები". - თბ., 1969 წ.]. - ჟურ. "რიწა". - 2005. - №2. - გვ. 7-9.
- 7684¹** სინჯარაძე დალი. "პასუხი". _ გაზ. "წიგნები" (გაზ. "24 საათის" დამატება). _ 2005. _ №07 (26). _ 9-22 სექტ. _ გვ. 2.
 ავტორი ეხმაურება მ. ნინიძის წიგნის _ "მადლის წყაროს" შესახებ გამოქვეყნებულ გ. კაკაბაძის სტატიას "ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ" (გა. "წიგნები", 2005, №06 (25), 29 ივლ.-11 აგვ.) და მიიჩნევს, რომ იგი ილია ჭავჭავაძის ღირსებას შეურაცხჰყოფს.
- 7685.** სიჭინავა ნ. მხატვრული თხზულება, თემა, ეპოქა და ლიტერატურული კრიტიკა (ილია ჭავჭავაძის "განდეგილის" მიხედვით). _ ჟურნ. "კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა". _ 2005. _ №8. _ გვ. 132-140.
- 7686.** სიჭინავა ნ. სახე ქვეყნისა და მადლი ცისა (ილია ჭავჭავაძის "აჩრდილის" მიხედვით). _ ჟურნ. "კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა". _ 2005. _ №9. _ გვ. 96-102.
- 7687.** სოფრომაძე ქ. ი. ჭავჭავაძის როლი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში). _ თბ. სახელმწ. პედ. უნ-ტი. "პრომეთე". _ 2005. _ №5(17). _ გვ. 130-133.

- 7688. სპარსიაშვილი არჩილ.** ილიას ირმები (ირმები ილიას შემოქმედებაში). – წიგნ: სპარსიაშვილი ა. ქრისტიანობა და ჩვენი მწერლობა (XIX საუკუნე) წ. III. – თბ, 2005. – გვ. 4-10.
ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ქრისტიანულ კულტურასთან.
- 7689. ტაბიძე გალაკტიონ.** წიწამურში რომ მოჰკლეს ილია: [ლექსი]. – წიგნ.: ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად /საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქ. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ-რის სახელმწ. მუზეუმი; შემდგ.-რედაქტორი: იზა ორჯონიკიძე – თბ.: ლიტერატურის მატრიანე, 2005. – გვ. 217.
- 7690. ტაბიძე გალაკტიონ.** ილიას მოტივი: [ლექსი]. – წიგნ.: ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად /საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქ. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ-რის სახელმწ. მუზეუმი; შემდგ.-რედაქტორი: იზა ორჯონიკიძე – თბ.: ლიტერატურის მატრიანე, 2005. – გვ. 222.
- 7691. ფირცხალაია ნათელა.** ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი რელიგიური აღზრდის შესახებ. – თბ. სახ. პედ. უნ-ტი: “პრომეთე”. – 2005. - №6(18). – გვ. 48-51.
- 7692. ფარცხალაია ნათელა, მენტეშაშვილი ლია.** საოჯახო აღზრდა – როგორც პრიორიტეტული მიმართულება ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში. – ჟურ. “საზრისი”. – 2005. - №17. – გვ. 224-227.
- 7693. ქარდავა მ.** დროისა და სივრცის, როგორც არქიტექტურული ელემენტების პრობლემა (ი. ჭავჭავაძის “მგზავრის წერილების” მიხედვით). – კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. – 2005. – №9. – გვ. 103-108.
- 7694. ქაჯაია მ.** ილია ჭავჭავაძის პოემათა ზოგიერთ სტილურ თავისებურებათა შესახებ. – წიგნ.: ქაჯაია მ. ლიტერატურულ ნარკვევები და წერილები. – თბ, 2005. – გვ. 48-68.
ნაშრომში გაანალიზებულია ილიას საზოგადოებრივი შეხედულებები, ზნეობრივი პოზიციები და სულიერი ინტერესები. ყურადღება გამახვილებულია ილიას, როგორც მჭევრმეტყველის, ოსტატობაზე.
- 7695. ქაჯაია მ.** საყურადღებო მონოგრაფია ილია ჭავჭავაძის ფენომენის შესახებ. – წიგნ: ქაჯაია მ. ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. – თბ, 2005. – გვ. 43-47.
რეცენზია წიგნზე: მინაშვილი ლადო. ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება). – თბ: თსუ-ს გამ-ბა, 1995. – 414 გვ.
- 7696. ყვარელში ილიაობა აღნიშნეს:** ინფორმაცია / ინტერპრესნიუსი. – გაზ. ”საქ. რესპუბლიკა”. – 2005. – 9 ნოემბ., №260.
- 7697. შავგულიძე ნ.** “თავსაფრიანი დედაკაცი”... ალიბი. – წიგნ: შავგულიძე ნ. ჟამთააღმწერელნი: – თბ, 2005. – გვ. 7-20.
მომავლისათვის ნ. ლორთქიფანიძის “თავსაფრიანი დედაკაცისა” და ი. ჭავჭავაძის “ოთარაანთ ქვრივის” შედარებითი დახასიათება.
- 7698. მენგელია მ.** ი. ჭავჭავაძის “განდგეილი” და “გველისმჭამელი”. – წიგნ.: მენგელია მ. ვაჟა-ფშაველას ერთი პოემა. – თბ, 2005. – გვ. 111-136.

- 7699.** "ჩემო კარგო ქვეყანავ" / [მასალები შეკრიბეს და მოამზადეს: კ. ბოკერიაძე, მ. ონიანმა და ზ. ქართველიშვილმა; რედ.-გამომცემელი: ნინო კანდელაკი]. – თბ.: დიდოსტატი, 2005. – 51 გვ. – (ნორჩი მართლმადიდებლის ბიბ-კა).
ილია ჭავჭავაძეს ეხება წიგნის ორი მონაკვეთი: "მამული, ენა, სარწმუნოება" და "ქართველ საერო მოღვაწეთა სასულიერო პოეზია".
- 7700.** წიკლაური გ. ფუცუნია ბებია და "ისტორიზმის პრინციპი", ანუ იმ ერთი არაკის გომიასი არ იყოს, სპილოს რომ უყეფდა. – გაზ. "საქ. რესპუბლიკა". – 2005. – 9 თებ., №31. – გვ. 4.
ავტორი არ ეთანხმება ისტორიკოს გ. ყორანაშვილის იმ მოსაზრებას, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა დაკავშირებულია იოსებ ჯულაშვილთან და ოხრანკასთან.
- 7701.** წიკლაური თ. "ვინ არის ჭკვიანი ქართველი?". – გაზ. "საქ. რესპუბლიკა". – 2005. – 5 მარტი, №52. – გვ. 5.
სტატიაში მოტანილია ქართველი ემიგრანტის შალვა ამირეჯიბის სიტყვები ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც მან წარმოთქვა მწერლის გარდაცვალებიდან 25-ე წლისთავზე პარიზში. იგი "ჭკვიანი ქართველის" მაგალითად ასახელებს ილია ჭავჭავაძეს.
- 7702.** წიქარიშვილი ლ. "მადლისმქნელი პიროვნების კონცეფცია" (წმიდა მხედრის სახე-იდებისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში). – კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. – 2005. – №9. – გვ. 77-95.
- 7703.** წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი). ილია: "ილია თავს არ დაზოგავდა და არც უკან დაიხევდა საზოგადო საქმეში". – ჟურ. "საპატრიარქოს უწყებანი". – 2005. – №14(321). – გვ. 20-21.
- 7704.** წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე): (ცხოვრება და მოღვაწეობა). – წიგნ.: XX საუკუნის მოღვაწეები. მათ არ უღალატეს ქრისტეს. – თბ., 2005. – გვ. 58-60.
- 7705.** ხორავა ი. "მგზავრის წერილები" – მეორე გაკვეთილი: (მოთხრობის VI-VIII თავების სწავლება). – ჟურნ. "საზრისი". – 2005. – №19. – გვ. 143-149.
- 7706.** ხორავა ი. "მგზავრის წერილების" ტექსტზე მუშაობისათვის. – ჟურნ. "საზრისი". – 2005. – №18. – გვ. 157-164.
- 7707.** ხოფერია ნ. "გრძნობაც ერთი დარგია ცნობადისა..."; 8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე იყო. – გაზ. "საქ. რესპუბლიკა" (ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №32). – 2005. – 12 ნოემბ.
- 7708.** ჯავახიშვილი ანზორ, თუშიშვილი გიორგი. ილია ჭავჭავაძე და საგლეხო ბანკი. – ჟურ. "ინტელექტი". – 2005. – №3. – გვ. 112-114.
საქართველოს სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა 1864 წლის საგლეხო რეფორმის პერიოდში: ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ქართული საგლეხო ბანკის საქმიანობის შესახებ.
- 7709.** ჯოლოგუა თ. საინტერესო და სასარგებლო წიგნი. – მწიგნობარი-05. – თბ., 2005. – გვ. 196-200.
რეცენზია ლადო მინაშვილის წიგნზე "ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. – თბ., 2003.
რეცენზენტი წერს: "ლ. მინაშვილის წიგნში ცენტრალური ფიგურა ილია ჭავჭავაძეა: მისი ცხოვრებისა და აზროვნების წესი, მხატვრული შემოქმედების ხასიათი, მიმართულებები თუ ცალკეული თავისებურებები,

ილიას ლიტერატურათმცოდნეობითი ნააზრევი, მისი პიროვნული თუ ლიტერატორული მიმართება ქართველ მწერლებთან”.

2006

- 7710. ამირხანაშვილი ი.** ქართული ლიტერატურის საყმაწვილო ისტორია: მხსნელი ილია ჭავჭავაძე (1837-1907). “მამათა” და “შვილთა” ბრძოლა “...მაშინ ეპოქა გათავდა დიდი”. _ გაზ. “ლიტ. საქართველო”. _ 2006. _ №26, 7 ივლ.
- 7711. ახოზაძე თ.** ილიას მკვლევლობის ახალი დეტალები. _ გაზ. “თბილისელები”. _ 2006. _ №28
- 7712. ბატიაშვილი ე.** თანამდევნი სული: ილია და საქართველო. 2007 წელი – “ილიას წელი”. _ გაზ. “საქ. რესპუბლიკა”. _ 2006. _ 7 ნოემბ., №218. _ გვ. 5.
წერილის ავტორი ხაზს უსვამს ილიას განსაკუთრებულ ადგილს საქართველოს ისტორიაში და საჭიროდ მიიჩნევს, დაფუძნდეს სტრატეგიული კვლევის ილია ჭავჭავაძის პოლიტოლოგიური ცენტრი”, სადაც წარმართება მთელი მისი მემკვიდრეობის მიზანმიმართული კვლევა-ძიება.
- 7713. ბატიაშვილი ე.** როგორ მოვუგოთ ომი რუსეთს? რას გვიჩვენებს კაჩინსკი დღეს და რას გვიჩვენებს ილია ადრე... _ გაზ. “საქ. რესპუბლიკა”. _ 2006. _ 4 აგვ., №150.
ავტორი საზოგადოებას შეახსენებს ილიას შეხედულებას რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ, რომელიც გულისხმობდა მშვიდ, გაწონასწორებულ პოლიტიკას.
- 7714. ბაქრაძე ა.** ილია ჭავჭავაძე – წიწამური: [დოკუმენტური ნარკვევი] / რედ.: ლაშა ბაქრაძე. _ თბ.: პეგასი, 2006. _ 228გვ. _ (ილუსტრირებული ბიოგრაფიები, 1).
ნარკვევში ნაჩვენებია ილიას საქმიანობა როგორც საზოგადოებრივ, ისე ლიტერატურულ ასპარეზზე. ავტორი ეხება ქვეყნისათვის ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელთანაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ილია. იგი დოკუმენტური სიზუსტით გადმოსცემს ილიას თავგადასავალს.
- 7715. ბაქრაძე ა.** ილია ჭავჭავაძე / რედ.: ლაშა ბაქრაძე. _ [თბ]: პეგასი, 2006. _ 228გვ. _ (ილუსტრირებული ბიოგრაფიები, №1 / გამომც.: ლაშა ბაქრაძე).
- 7716. ბედუკაძე ა.** დღეს და ყოველთვის: [ინტერვიუ] / ესაუბრა ლუკა ჯოხაძე. _ გაზ. “24 საათი”. _ 2006. _ 30 დეკ., №292, - (ლიტერატურული ჩანართი “ილია ჭავჭავაძე_169”, გვ. 4).
საუბარი ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორთან.
- 7717. ბერბიჭაშვილი ქეთევან.** გიგლა ძიას ილიასათვის არ უსვრია, მამას უთხრა, _ თოფი ეტლის “დუგას” ვესროლეო! [ინტერვიუ] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. _ გაზ. “ასავალ-დასავალი”. _ 2006. _ №36, 4-10 სექტ. _ გვ. გვ. 37.
გიგოლა ბერბიჭაშვილის ბიძაშვილის შვილი, ქეთევან ბერბიჭაშვილი საუბრობს თავისი ბიძის შესახებ.

- 7718. ბუბუტიევილი ე.** "მაგრამ, რამდენადაც მშვენიერი ხარ...": [ინტერვიუ] / ესაუბრა მამუკა საყვარელიძე. _ გაზ. "24 საათი". _ 2006. _ 30 დეკ., №292, - (ლიტერატურული ჩანართი "ილია ჭავჭავაძე_169", გვ. 4).
საუბარი ბიზნესმენ ელგუჯა ბუბუტიევილთან ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით.
- 7719. გამოჩენილი ადამიანები და ჭადრაკი.** _ გაზ. "მსოფლიო სპორტი". _ 2006. _ 20 თებ.
გამოჩენილ ადამიანთა შორის, რომლებიც ჭადრაკს კარგად თამაშობდნენ, დასახელებულია ილია ჭავჭავაძეც.
- 7720. განაჩენი:** როგორ დამთავრდა ბერბიჭაშვილის სასამართლო? _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №45, 6-12 ნომბ. _ გვ. 18-19.
გაზეთი აქვეყნებს გიგოლა ბერბიჭაშვილის მიმართ გამოტანილ საბოლოო განაჩენის ტექსტს.
- 7721. გელოვანი მირზა.** ილიას ობელისკთან: [ლექსი]. _ წიგნ.: გელოვანი მ. 100 ლექსი. _ თბ., 2006. _ გვ. 58.
- 7722. გოგოჭური ნიკო.** ბერბიჭაშვილმა ეტლის "დუგას" კი არა ილიას ესროლა! [ინტერვიუ] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №37, 11-17 სექტ. _ გვ. 38.
- 7723. გოგოჭური ნიკო.** ვინ იყო ვალიკო ბაქრაძე, რომელსაც ბერბიჭაშვილმა თავისი ცოლ-შვილის პატრონობა სთხოვა. [ინტერვიუ] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №34, 21-27 აგვ. _ გვ. 38.
- 7724. გოგოჭური ნიკო.** ილიას მკვლელობა 95 პროცენტით გავხსენი! [ინტერვიუ] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №46, 13-19 ნომბ. _ გვ. 49.
- 7725. გოგოჭური ნიკო.** რა მოხდა წიწამურთან 99 წლის წინათ? [ინტერვიუ] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №28, 10-16 ივლ.
პროფესორი ნ. გოგოჭური ეხმაურება ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გაზეთში გამართულ პოლემიკას. იგი რედაქციას სთავაზობს სასამართლოზე გიგლა ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმების ასლებს, რომლებიც მას კვბ-ს არქივებიდან დიდი წვალებით მოუპოვებია.
- 7726. გოგოჭური ნიკო.** ფილიპე მახარაძემ და მამია ორახელაშვილმა ნოე ჟორდანიას ბაქოდან დაურეკეს და დაპატიმრებული ბერბიჭაშვილი და ჯაში გაათავისუფლებინეს! [ინტერვიუ] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №31, 31 ივლ.-6 აგვ. _ გვ. 38.
გაგრძელება: №33, 14-20 აგვ. _ გვ. 38.
- 7727. გოგოჭური ნიკო.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (არქივის დოკუმენტები). _ "ოლე". _ 2006. _ №1, გვ. 27-36; №2, გვ. 34-45.
- 7728. გოგოჭური ნიკო.** "მე შაირი არ მეწადა". _ ჟურ. "ოლე". _ 2006. _ №4. _ გვ. 47-53.
ავტორი ეხმაურება გ. ყორანაშვილის წერილს, განმარტავს თავის პოზიციას ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ გ. ყორანაშვილი არაობიექტურად აკრიტიკებს მას.
- 7729. გურული ვახტანგ.** ილიადან ილიამდე. წიგნი პირველი: წმიდა ილია მართალი. / რედ.: მ. ვაჩნაძე. _ თბ: უნივერსალი, 2006. _ 82 გვ.

ნაშრომში განხილულია წმინდა ილია მართლის ზოგიერთი მსოფლმხედველობითი საკითხი. ნაჩვენებია მისი ბრძოლა ეროვნული ცნობიერების აღდგენის, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისა და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად.

7730. დამცველი ვერავინ დაიცვა. _ გაზ. "საქ. რესპუბლიკა" (ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №60). _ 2006. _ 17 ივნ., №116, 8-9 გვ.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის, ადვოკატ ოსიკო ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობის შესახებ.

7731. დარჩაშვილი ალიკა. როგორ ვერ მოკლეს ქართველებმა ილია. როგორ მოკლეს ქართველებმა ილია: [ლექსები]. _ წიგნ: დარჩაშვილი ალიკა. პასკვილი საქართველოზე. როგორ მოკლეს ქართველებმა ილია. _ თბ.: თობალისი, 2006, გვ. 108-109.

7732. დახუნდარიძე გულისა. გაზეთ "ასავალ-დასავალის" რედაქციას, ბატონ დიტო ჩუბინიძეს. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №41, 9-15 ოქტ. _ გვ. 40. წერილის ავტორი ადასტურებს ისტორიას ილიას საათის შესახებ, რომელიც თითქოს-და ფილიპე მახარაძეს აღმოაჩნდა.

7733. ევგენიძე ი. ილია და აკაკი. _ გაზ. "24 საათი". _ 2006. _ 30 დეკ., №292, - (ლიტერატურული ჩანართი "ილია ჭავჭავაძე_169", გვ. 6).

7734. ვასაძე თ. ილია ჭავჭავაძე: მგზავრის წერილები. განდევილი. _ წიგნ.: ვასაძე თ. ლიტერატურული ფრაგმენტები: მასწავლებლის მეგზური. თბ.: დიოგენე, 2006. _ გვ. 6-11.

7735. ილია ჭავჭავაძე. _ წიგნ.: საკითხავი წიგნი ქართულ ლიტერატურაში. X კლასი. წიგნი I / შემდგ.: ნანა კუცია; რედ.: რევაზ მიშველაძე. _ თბ.: მერიდიანი, 2006. _ 223-421.

7736. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი. _ წიგნ.: მუზეუმების შესახებ: კრებული / საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. _ თბ., 2006. _ გვ. 267, 286.

კრებულში მოცემულია მუზეუმების მისამართები და ტელეფონის ნომრები.

7737. ილიას მკვლელობის ახალი დეტალები: ინტერვიუ ისტორიკოს გურამ ყორანაშვილთან / ჩაიწერა თ. ახოზაძემ. _ ჟურ. "თბილისელები". _ 2006. _ №28.

პროფესორი გურამ ყორანაშვილი საარქივო მასალაზე დაყრდნობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ოხრანკა— ჟანდარმერიის მიერ იყო ორგანიზებული.

7738. იმნაიშვილი ვ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ილია ჭავჭავაძე. _ წიგნ.: იმნაიშვილი ვ. არდავიწყება მოყვრისა... (ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან). _ თბ., 2006. _ გვ. 149-166.

7739. კალანდარიშვილი გულნარა. ტრადიცია და თანამედროვეობა ახალ ქართულ ლიტერატურაში / რედ.: ნინო რამიშვილი. _ თბ.: ფონდი "თანამედროვეობა და მემკვიდრეობა", 2006. _ 320გვ.

წიგნის რამდენიმე თავი ეხება ილია ჭავჭავაძეს:

1) ბიბლიის ლიტერატურული ადაპტაცია ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში. წიგნის ამ მონაკვეთში (გვ. 45-52) მოცემულია ილიას შეხედულებანი ვახტანგ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ.

2) XIX საუკუნის 70-იან წლებში “მამათა” და “შვილთა” პოლემიკის ზნეობრივ-რელიგიური ასპექტები.

3) ქრისტიანული ტრადიციები ილიას შემოქმედებაში.

7740. კოტეტიშვილი დ. არჩვაძე ს. ილია ჭავჭავაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. _ ჟურ. “საქართველოს ბიბლიოთეკა”. _ 2006. _ №1. _ გვ. 30-32.

7741. მანსვეტაშვილი იაკობ. ”ილიას პურადობა”: [მოგონება]. _ გაზ. ”24 საათი”. _ 2006. _ 30 დეკ., №292, - (ლიტერატურული ჩანართი ”ილია ჭავჭავაძე_169”, გვ. 5).

7742. მანსვეტაშვილი იაკობ. მოგონებანი. მოთხრობა. პოემა. ლექსები / [შემდგენელი, წინასიტყ. ავტორი და გამომცემელი: დავით ცერცვაძე; რედ.: ნათელა ჭყობიძე. _ თბ., 2006. _ 284გვ. _ (ქართული მემუარული ლიტერატურა).

მოგონებებში დიდი ადგილი ეთმობა ილია ჭავჭავაძეს.

7743. მონიავა მანანა. ქართული ქრისტიანული კულტურის პარადიგმები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში. _ ჟურნალისტური მიგნანი. IX / პროფ. ნოდარ ტაბიძის რედაქციით. _ თბ., 2006. _ გვ. 26-42.

ნაშრომში განხილულია ილიას პუბლიცისტური წერილები: ”ოსმალის საქართველო”, ”აი ისტორია”, ”ლუარსაბ წამებული”, იასე ანდრონიკაშვილი” და სხვები. ავტორი საუბრობს ილიას პუბლიცისტური თხრობის მრავალფეროვნებაზე, აღმზრდელით ხასიათზე, მის ხატოვან ენასა და შეფასების კრიტერიუმებზე.

7744. მჭედლიშვილი მიხეილ. ოთხი ტყუილი ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით. _ გაზ. “ასავალ-დასავალი”. _ 2006. _ №25, 19-25 ივნ. _ გვ. 8-9.

წერილის ავტორი აკრიტიკებს ტარიელ სართანიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ილია ჭავჭავაძის მკვლევლობასთან დაკავშირებით.

7745. ოქროსცვარიძე ნ. “განდევილი” და “რამეთუ კაცი ვარ”. _ ჟურნ. “კრიტერიუმი”. _ 2006. _ №15. _ გვ. 154-156.

ილია ჭავჭავაძის პოემისა და გ. ებერსის რომანის შეპირისპირებითი ანალიზი.

7746. ჟორდანიას რევაზ. ეკონომისტმა ტარიელ სართანიამ მამაჩემის _ პროფესორ გივი ჟორდანიას ნაღვაწი მისიკურთა! _ გაზ. “ასავალ-დასავალი”. _ 2006. _ № 25, 19-25 ივნ. _ გვ. 8.

ავტორი ეხმაურება გაზეთ “ასავალ-დასავალში” (№23-ში) გამოქვეყნებულ ტარიელ სართანიას ინტერვიუს და აცხადებს, რომ ტ. სართანიამ მისი მამის გამოკვლევა მიითვისა.

7747. რაზიკაშვილი ზ. დიდებულია ქართული კლასიკური მწერლობა: ინტერვიუ სამშენებლო კომპანია “ ოლიმპიური ვარსკვლავის” პრეზიდენტთან, ზაზა რაზიკაშვილთან / ჩაიწერა ლ. ბაიდაურმა. _ გაზ. “24 საათი” _ 2006. _ 30 დეკ., №292, - (ლიტერატურული ჩანართი ”ილია ჭავჭავაძე_169”, გვ. 8).

საუბარი ეხება ილიას იუბილესათვის მზადებას.

- 7748. რატინი ირმა.** ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში: (ხუთი თხზულების ანალიზი). _ თბ.: უნივერსალი, 2006.
- ნაშრომის ავტორი მიზნად ისახავს მხატვრული დროისა და სივრცის სტრუქტურულ-ესთეტიკური ფუნქციის განსაზღვრას რეალისტურ პროზაში და მის თავისებურებათა გამოვლენას ი. ჭავჭავაძის, როგორც რეალისტი მწერლის, თხზულებებში.
- 7749. რა ხდებოდა გიგოლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე.** _ გაზ. “ასავალ-დასავალი”. _ 2006. _ №37, 11-17 სექტ. _ გვ. 38-39.
- გაზეთი აგრძელებს გიგოლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე მოწმეთა და ეჭვმიტანილთა დაკითხვების ოქმების გამოქვეყნებას.
- გაგრძელება: №38, 18-24 სექტ. _ გვ. 38-39.
- №39, 25 სექტ.-1 ოქტ. _ გვ. 38-39.
- №40, 2-8 ოქტ. _ გვ. 38-39.
- №41, 9-15 ოქტ. _ გვ. 40-41.
- №42, 16-22 ოქტ. _ გვ. 42-43.
- №43, 23-29 ოქტ. _ გვ. 42-43.
- №44, 30 ოქტ.-5 ნოემბ. _ გვ. 40-41.
- 7750. როდის შერაცხა წმიდანად ჩვენმა ეკლესიამ ილია (ჭავჭავაძე) მართალი?** _ გაზ. “ასავალ-დასავალი”. _ 2006. _ №31, 31 ივლ.-6 აგვ. _ გვ. 22.
- 7751. სართანია ტარიელ.** 99 წლის შემდეგ პროფესორი სართანია ხსნის ილიას მკვლელობას! ვინ იყო ვიღაც “იმერელი”, რომელიც დღემდე ყველას სერგო ორჯონიკიძე ჰგონია? [ინტერვიუ] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. _ გაზ. “ასავალ-დასავალი”. _ 2006. _ №23, 5-11 ივნ. _ გვ. 16-17.
- ტ. სართანიას მტკიცებით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან უშუალოდ დაკავშირებული იყო ფილიპე მახარაძე. ხოლო მისი უშუალო მკვლელი იყო არა გიგოლა ბერბიჭაშვილი, არამედ ერმილე დოლიძე.
- ინტერვიუსთან ერთად გაზეთი ბეჭდავს ფოტოებს, რომლებშიც აღბეჭდილია ილიას მკვლელობაში ეჭვმიტანილები; ეტლი, რომელშიც მოკლეს ილია; ყარამან ფაღავა და სერგო ორჯონიკიძე.
- 7752. სენსაცია ქართული პერიოდიკის ისტორიაში _ ილიას მკვლელის - გიგოლა ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმები პირველად “ასავალ-დასავალის” ფურცლებზე!..** _ გაზ. “ასავალ-დასავალი”. _ 2006. _ №28, 10-16 ივლ. _ გვ. 39.
- გაზეთი აქვეყნებს გიგოლა ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმებს, მის ჩვენებებს, რომლებიც მან 1940-1941 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს მისცა. ეს დოკუმენტები გაზეთ “ასავალ-დასავალის” რედაქციას გადასცა პროფესორმა ნიკო გოგოჭურმა.
- გაგრძელება: №29, 17-23 ივლ. _ გვ. 38-39;
- №30, 24-30 ივლ. _ გვ. 38-39;
- №31, 31 ივლ.-6 აგვ. _ გვ. 38-39;
- №32, 7-14 აგვ. _ გვ. 38-39;
- №33, 14-20 აგვ. _ გვ. 38-39;
- №34, 21-27 აგვ. _ გვ. 38-39;
- №35, 28 აგვ.-3 სექტ. _ გვ. 40-41;
- №36, 4-10 სექტ. _ გვ. 38-39.

- 7753. სიმაშვილი თ.** ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა, სოციალ-დემოკრატები და “ობრანკა”. – ჟურ. “კავკასიის მაცნე”. – 2006. – №15. – გვ. 11-27.
- 7754. ტყემალაძე თ.** რა იქნებოდა... – გაზ. ”24 საათი”. – 2006. – 30 დეკ., №292, – (ლიტერატურული ჩანართი ”ილია ჭავჭავაძე_169”, გვ. 8).
ავტორი გამოთქვამს სურვილს, რომ სოფელ კარდენახში დაიდგას მემორიალური სვეტი, რომელიც მიემდგვნებოდა ილიას ლექსს “ყვარლის მთებს”.
- 7755. ფეიქრიშვილი ჟუჟუნა.** ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა. – წიგნ: ფეიქრიშვილი ჟ. ქართული ენის მოამაგენი. – თბ: ჯანსუღ ღვინჯილია, 2006. – გვ. 7-1.5
- 7756. ფეიქრიშვილი ჟუჟუნა.** სახელთა აფიქსიური წარმოების ზოგიერთი თავისებურება ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში. – წიგნ: ფეიქრიშვილი ჟ. ქართული ენის მოამაგენი. – თბ.: ჯანსუღ ღვინჯილია, 2006. – გვ. 23-28.
- 7757. ქურდაძე შოთა.** ილია ჭავჭავაძის მოსაზრებანი “ვეფხისტყაოსნის” ტექსტუალური მასალის სწავლების შესახებ. – წიგნ.: ქურდაძე შ. დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური ეტიუდები. I. – თბ.: ფარნავაზი, 2006. – გვ. 143-149.
ავტორი საუბრობს “ვეფხისტყაოსნის” ტექსტობრივი სწავლების იმ პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ სისტემაზე, რომელიც წარმოდგენილია ილიას “გლახის ნაამბობის” მეხუთე თავში.
- 7758. ღვინჯილია ჯ.** “გმირის დამბადი დიდი საგანი”. – გაზ. ”24 საათი”. – 2006. – 30 დეკ., №292, – (ლიტერატურული ჩანართი ”ილია ჭავჭავაძე_169”, გვ. 2-3).
- 7759. ყორანაშვილი გურამ.** ახირებულობის, ტენდენციურობისა და ბოლმიანობის ნაზავი. – ჟურ. “ოლე”. – 2006. – №3. – გვ. 41-44.
წერილში ავტორი არ ეთანხმება ნიკო გოგოჭურის (ჟურ. “ოლე”, 2006, №1, 2) მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის გაშუქების საკითხს
- 7760. ყიფიანი მ.** კვლავ ილია ჭავჭავაძის “განდეგილის” შესახებ. – წიგნ.: ყიფიანი მ. ლიტერატურული წერილები. – თბ., 2006. – გვ. 45-54.
- 7761. ყიფიანი ნინო.** სს ”გაერთიანებული ქართული ბანკი და ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია. – გაზ. ”24 საათი”. – 2006. – 2 აგვ., №172, გვ. A 8.
წერილში ნათქვამია, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების მკვლევართა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის შექმნაზე (მთ. რედაქტორი გიორგი აბაშიძე). ამ პროექტის გენერალური სპონსორი გახდა სს ”გაერთიანებული ქართული ბანკი.
- 7762. შარაძე გურამ.** ილიას წმიდა სისხლმა გადაარჩინა XX საუკუნის ბოლშევიკურ-ათეისტური საქართველო, ზვიადის წმიდა სისხლი გადაარჩინს XXI საუკუნის მასონურ საქართველოს: [ინტერვიუ] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. – გაზ. “ასავალ-დასავალი”. – 2006. – №37, 11-17 სექტ. – გვ. 14-15.
გ. შარაძე საუბრობს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შესახებ.
- 7763. შარაძე გურამ.** მე გავაცოცხლებ ილიას უკანასკნელ მაჯისცემას! 2007 წელი ილია ჭავჭავაძის წლად უნდა გამოცხადდეს! [ინტერვიუ გურამ შარაძესთან]

/ ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №19, 8-14 მაისი. _ გვ. 9.

2007 წელს სრულდება ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 და მისი დალუპვიდან 100 წელი. გ. შარაძე გაზეთის საშუალებით მოუწოდებს ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს, რომ 2007 წელი, გამოცხადდეს ილიას წლად.

7764. შარაძე გურამ. სტალინს მუდამ ახსოვდა ილია ჭავჭავაძე და დიდ პატივს მიაგებდა! [ინტერვიუ გურამ შარაძესთან] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №23, 5-11 ივნ., _ გვ. 12-13.

გ. შარაძე საუბრობს ილიას ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის მის ურთიერთობაზე სტალინთან.

7765. ჩუბინიძე დიტო. დადიოდა თუ არა ფილიპე მახარაძე წიწამურთან მოკლული ილიას საათით? _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №37, 11-17 სექტ. _ გვ. 37.

წერილის ავტორს ესაუბრა ჟურნალისტი თინათინ სიყმაშვილი, რომელმაც გაიხსენა ბიძის ნაამბობი ფილიპე მახარაძის მიერ ილიას საათის მითვისების შესახებ.

7766. ჩუბინიძე დიტო. ვიცე-გუბერნატორი ბიბიკოვი: სოციალ-დემოკრატებს სიცოცხლეშივე არ გიყვარდათ ილია ჭავჭავაძე და ახლა მის დაკრძალვაზე დელეგაციეს აგზავნით? _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №38, 18-24 სექტ. _ გვ. 38.

წერილში საუბარია ილიას მკვლელობის გამოძიების სხვადასხვა დეტალზე.

7767. ჩუბინიძე დიტო. ზეგ, 99 წლის წინათ, წიწამურთან ილიას მოკლავენ!. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №35, 28 აგვ.-3 სექტ. _ გვ. 2.

წერილის ავტორი ილიას მკვლელობის შესახებ ესაუბრება საგურამოს მკვიდრს უმანგი შოთნიაშვილს.

7768. ჩუბინიძე დიტო. ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას საქართველო ფერმლებმა მოკლეს! _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №39, 25 სექტ.-1 ოქტ. _ გვ. 38.

7769. ჩუბინიძე დიტო. კიდევ ერთხელ "ჟელეზას" შესახებ, ანუ როგორ იკვრებოდა სასიკვდილო რკალი ილიას გარშემო. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №35, 28 აგვ.-3 სექტ. _ გვ. 40.

ავტორი ესაუბრა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელს, ქალბატონ ზეინაზ ლომჯარიას, რომელმაც განმარტა, თუ ვინ იყო "ჟელეზას" სახელით ცნობილი პიროვნება.

7770. ჩუბინიძე დიტო. რატომ არ დახვრიტა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა გიგოლა ბერბიჭაშვილი? _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №36, 4-10 სექტ. _ გვ. 38.

წერილში საუბარია ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ გიგოლა ბერბიჭაშვილის დაკითხვისა და გათავისუფლების შესახებ.

7771. ჩხეიძე როსტომ. ეკლიანი და პატარა გზა. _ თბ., 2006.

წიგნში დახატულია XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ტრაგიკული ბედი, ილია ჭავჭავაძის მოწამეობრივი აღსასრული და ამ ფაქტის შესახებ 26 ადამიანის მონათხრობი.

- 7772. ცინცაძე ე.** ილია ჭავჭავაძის ლექსის "ალაზანს" გაგებისათვის. _ გაზ. "24 საათი". _ 2006. _ 30 დეკ., №292, - (ლიტერატურული ჩანართი "ილია ჭავჭავაძე_169", გვ. 7).
- 7773. ცუცქერიძე შოთა.** ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის გამოძიების მასალები რეჟისორმა საშა მიქელაძემ ბაზარში იპოვა! [ინტერვიუ] / ესაუბრა ქეთევან ხამიცაშვილი _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №45, 6-12 ნოემბ. _ გვ. 34.
ინტერვიუში, რომელიც ძირითადად ეხება თეატრის საკითხებს, მოთხრობილია, თუ როგორ იპოვა საშა მიქელაძემ ბაზარში ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის მასალები.
- 7774. წერეთელი ნათელა.** ილია ჭავჭავაძეს: [ლექსი]. _ წიგნ.: წერეთელი ნ. დედაო ღვთისა (ლექსები, პოემები, რომანი). _ თბ.: საარი, 2006. _ გვ. 41
- 7775. ჯალიაშვილი მათა.** სიცოცხლის საიდუმლო: ლიტერატურული წერილები / რედ.: როსტომ ჩხეიძე. _ თბ.: წყაროსთვალი, 2006. _ 256გვ.
ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება სამი წერილი:
"მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა..." (ილია ჭავჭავაძის პოემა "ჩრდილის" მიხედვით) _ გვ. 3-7;
ლუარსაბ თათქარიძე _ ტრაგიკომიკური ნილაბი _ გვ. 8-12;
"მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის" (ილია ჭავჭავაძის "პოეტი") _ გვ.13-17.
- 7776. ჯალიაშვილი მათა.** ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში. _ თბ.: უნივერსალი, 2006.
წიგნში გაანალიზებულია ილია ჭავჭავაძის მოთხრობები, მწერლის დრო-სივრცე, როგორც მხატვრული დრო-სივრცის ერთ-ერთი ძირითადი პოზიცია, წარმოჩენილია მხატვრული დროის ზოგადი სტრუქტურა და მისი რეალიზების ფორმები.
- 7777. ჯორჯაძე მიხეილ.** ილია ჭავჭავაძის ბეჭდის განსაცვიფრებელი ისტორია, ანუ რა განაცხადა 1937 წელს იოსებ სტალინის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში გიგოლა ბერბიჭაშვილმა: [ინტერვიუ] / ესაუბრა დიტო ჩუბინიძე. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2006. _ №41, 9-15 ოქტ. _ გვ. 40.
მოგონებაში საუბარია, თუ როგორ დაიტრაბახა გიგოლა ბერბიჭაშვილმა სკოლის მოსწავლეებთან, რომ მას ხელზე ილიას ბეჭედი ეკეთა.

2007

- 7778. აბაშიძე ირაკლი.** სამოცი წლისთავზე: [ლექსი]. _ ჟურ. "მნათობი". _ 2007. _ №2. _ გვ. 8-9.
- 7779. არახამია ნანა.** ილია ჭავჭავაძის პოემა "განდეგილის" ტიპოლოგიურ-შედარებითი პარალელები მსოფლიო ლიტერატურიდან. _ ჟურ. "კულტურათაშორისი კომუნიკაციები". _ 2007. _ №1. _ გვ. 144-149.
ავტორი მიმოიხილავს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს პოემა "განდეგილის" პირველწყაროს შესახებ. მისი მიზანია, პოემის უცხოელ მწერალთა თხზულებებთან შედარების საფუძველზე არსებული ძირითადი მოსაზრებების დალაგება და მათი საფუძვლიანობის მეტ-ნაკლებად შემოწმება.
- 7780. ბერიაშვილი ეთერ.** "წიწამურიდან საგურამომდე..." _ ჟურ. "ჩვენი მწერლობა". _ 2007. _ №3. _ გვ. 47-49.

- რეცენზია ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ წიგნზე: ჩხეიძე როსტომ. ეკლიანი და პატარა გზა. _ თბ., 2006.
- 7781. გამსახურდია კონსტანტინე.** ილია ჭავჭავაძე. _ ჟურ. "ლიტერატურა და ხელოვნება". _ 2007. _ №1. _ გვ. 80-83.
წერილი დათარიღებულია 1922 წლის 10 სექტემბრით.
- 7782. გურული ვახტანგ.** არავინ წინასწარმეტყველი...: (პიესა ორ მოქმედებად) / რედ.: პროფ. ავთანდილ არაბული. _ თბ.: ინტელექტი, 2007. _ 142გვ.
- 7783. გურული ვახტანგ, ვაჩნაძე მერაბ.** გზა მოწამისა. წიგნი პირველი (1861-1907) / გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვა, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა. _ თბ.: არტანუჯი, 2007. _ 340გვ.
- 7784. გურული ვახტანგ.** არცთუ ისე კარგად დადგმული სპექტაკლი: ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1907-1909 წწ.). _ გაზ. "საქ. რესპუბლიკა". _ 2007. _ №147, 2 აგვ. _ გვ.3, 6.
- 7785. გურული ვახტანგ.** ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა. _ წიგნ.: თეოლოგია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული. თეოლოგიის კათედრა ხუთი წლისაა. _ თბ., 2007. _ გვ. 86-103.
- 7786. გურული ვახტანგ.** საუკუნის მკვლელობიდან ასი წლის შემდეგ. _ გაზ. "საქ. რესპუბლიკა". _ 2007. _ №142, 25 ივლ. _ გვ. 8-9.
ილიას მკვლელობის თაობაზე არსებული ვერსიების მიმოხილვა.
- 7787. გურული ვახტანგ.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1941-1942). _ გაზ. "საქ. რესპუბლიკა". _ 2007. _ №163, 23 აგვ. _ გვ. 4-5.
- 7788. გურული ვახტანგ.** "ვარდს გაეფურჩქნა კოკორი" (ილიასთან "ივერიაში"). _ წიგნ.: გურული ვ. იოსებ ჯუღაშვილის არჩევანი. _ თბ., 2007. _ გვ. 11-15.
წიგნის ამ მონაკვეთში საუბარია იოსებ ჯუღაშვილის ცნობილი ლექსის შესახებ. ავტორის მიზანია, ახსნას, თუ რატომ მიიტანა გამოსაქვეყნებლად ახალგაზრდა სტალინმა თავისი პირველი ლექსები სწორედ ილია ჭავჭავაძის "ივერიაში" და, ამავე დროს, რატომ გადაწყვიტა დიდმა მწერალმა თავისი გაზეთის ფურცლები დაეთმო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ყმაწვილისთვის.
- 7789. დოიაშვილი თეიმურაზ.** ეს არ არის საქართველო! (ციკლიდან "გალაკტიონი და ილია"). _ ჟურ. "ჩვენი მწერლობა". _ 2007. _ №11 (37), 25 მაისი. _ გვ. 27-29.
წერილში საუბარია ილიასა და გალაკტიონის შემოქმედებით პარალელებზე; გალაკტიონის ამავე სათაურის ლექსის ინტელექტუალური მიმართება ილიას წერილთან "ზოგიერთი რამ".
- 7790. ელბაქიძე თინათინ.** ყვარელი. ილიას საიუბილეო საღამო. _ წიგნ.: ელბაქიძე თ. სხვა და სხვა / რედ.: ანა ფირცხალაიშვილი. _ თბ., 2007. _ გვ. 7-8.
წიგნის ავტორი, საქართველოს რადიოს დიქტორი თინათინ ელბაქიძე, აქვეყნებს ყვარელში, ილიას საიუბილეო საღამოზე გამოსვლის ჩანაწერს, რომელშიც გამოყენებულია ილიასადმი მიძღვნილი აკაკი გაწერელიას ესეი და გიორგი ლეონიძის ლექსი.
- 7791. ვაჟა-ფშაველა.** ილია ჭავჭავაძის სახსოვრად: [ლექსი]. _ ჟურ. "მნათობი". _ 2007. _ №2. _ გვ. 3-4.

- 7792.** კარბელაშვილი ანდრე. ილია ჭავჭავაძე და ძმები კარბელაშვილები / რედ.: მზია ჩხაიძე. _ თბ., 2007. _ 9გვ.
- 7793.** კანკავა ცისანა. სწავლანი ილია ჭავჭავაძის “აჩრდილის” ტექსტის შესამეცნებლად: [საკითხავი ჰუმანიტარული კლასების მოსწავლეთათვის. ელექტრონული ვერსია]. _ www.literatura.iatp.ge
 გრიგოლ ხანძთელის სახელობის №1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის გამოცდილებიდან.
- 7794.** კუსრაშვილი რუსუდან. ილიას ტექსტის დათარიღებისათვის. _ ჟურ. “მნათობი”. _ 2007. _ №2. _ გვ. 90-95.
 ავტორი მსჯელობს ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი იმ პოეტური ნაწარმოების ახლებურად დათარიღების შესახებ, რომელთა თარიღიც დღემდე ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც კვლევის შედეგად მიღებული თარიღი.
- 7795.** ლეონიძე გიორგი: ილიას სურათზე: [ლექსი]. _ ჟურ. “მნათობი”. _ 2007. _ №2. _ გვ. 5.
- 7796.** მამარდაშვილი ნინო. ილიას კვლევა გრძელდება. _ ჟურ. ”ლიტერატურა და ხელოვნება”. _ 2007. _ №5. _ გვ. 56-59.
 წერილში საუბარია ”ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის” მნიშვნელობასა და მისი შექმნის აუცილებლობაზე. ნათქვამია, რომ ამ ენციკლოპედიის საავტორო უფლება მიენიჭა ”ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრს”, ხოლო პროექტის გენერალური სპონსორობა ითავა ბანკმა ”ვი თი ბი ჯორჯიამ”.
- 7797.** მანსვეტაშვილი იაკობ. ილიასადმი: [ლექსი]. _ გაზ. ”იაკობ მანსვეტაშვილი – 150”. დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა. _ 13 აპრილი. _ 2007 წელი. _ გვ. 6
- 7798.** მანსვეტაშვილი იაკობ. მოგონებანი. _ გაზ. ”იაკობ მანსვეტაშვილი – 150”. დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა. _ 13 აპრილი. _ 2007 წელი. _ გვ. 4-5.
 გაზეთში გამოქვეყნებულია იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებები ილია ჭავჭავაძისა და სხვა მისი თანამედროვე საზოგადო მოღვაწეების შესახებ.
- 7799.** ნიბლაძე ნატა. შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან...სასწაულებით. _ ჟურ. “ლიტერატურული პალიტრა”. _ 2007. _ №5 (32), მაისი. _ გვ. 139.
 თბილისის 151-ე საჯარო სკოლის მე-4ა კლასის მოსწავლეების მიერ “ლიტერატურულ კაფეში” გამართული ლიტერატურული საღამოს შესახებ, რომელიც ილია ჭავჭავაძის ხსოვნას მიეძღვნა.
- 7799¹** ნინიძე მაია. მხატვრული ნარატივი პუბლიცისტიკაში. _ ჟურ. ”სჯანი”. _ 2007. _ №8.
- 7799²** ნინიძე მაია. წმინდა ილია მართლის ნააზრევიდან. _ ჟურ. ”საპატრიარქოს უწყებანი”. _ 2007. _ №5.
- 7800.** ტაბიძე გალაკტიონ. წიწამურში რომ მოჰკლეს ილია: [ლექსი]. _ ჟურ. “მნათობი”. _ 2007. _ №2. _ გვ. 4-5.
- 7801.** ჩიქოვანი სიმონ. წიწამური: [ლექსი]. _ ჟურ. “მნათობი”. _ 2007. _ №2. _ გვ. 7.
- 7802.** ცინცაძე დ. ილიას მკვლელობის მთავარი ორგანიზატორები ცარიზმის მოხელეები იყვნენ. _ გაზ. “საქ. რესპუბლიკა”. _ 2007. _ 14 თებ., №28. _ გვ. 14.

წერილის ავტორის აზრით, ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის მოსურნე და მთავარი ორგანიზატორი მეფის რუსეთის ხელისუფლება იყო, რომელმაც ისარგებლა დაძაბული ურთიერთობით ილიასა და სოციალ-დემოკრატებს შორის და მკვლევლობა ისე მოაწყო, რომ საზოგადოებას ეჭვი მის ნაცვლად ილიას იდეოლოგიურ მტრებზე, სოციალ-დემოკრატებზე მიეტანა.

7803. ცინცაძე დ. წიგნი ერის დიდ შვილზე. _ გაზ. "საქ. რესპუბლიკა". _ 2007. _ 25 იანვ., №14. _ გვ. 14.

რეცენზია გივი ჟორდანიას წიგნზე "მარტვილობა მესიისა", რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლევლობას ეხება.

7804. ხელაია ნაზი, ლომთაძე ირაკლი. "გზითა მართლითა" (ანუ ილია ჭავჭავაძის პერსონოლოგიური პორტრეტი). _ თბ.: თბალისი, 2007. _ 600გვ.

ეს წიგნი ქართულ სინამდვილეში პირველი გამოკვლევაა არა მარტო ილია ჭავჭავაძის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების პერსონოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ზოგადად ქართული ლიტერატურის პერსონოლოგიური ანალიზისათვის. ნაშრომში საინტერესოდ წარმოსახება, როგორც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული დეტალების პერსონოლოგიური სპეციფიკა, ისე მისი ნაწარმოებების პერსონაჟებისა და ფაქტების პერსონოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევს ფსიქოლოგიისა და პერსონოლოგიის თვალსაზრისით თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურულ ბაზას.

7805. ხუბუა ჯაბა. "ასავალ-დასავალი" და გურამ შარაძე 2007 წელს ილია ჭავჭავაძის წლად აცხადებენ. _ გაზ. "ასავალ-დასავალი". _ 2007. _ №1, 25 დეკ.-7 იანვ. _ გვ. 9.

7806. ილია ჭავჭავაძე: ბიოგრაფია, შემოქმედება, გალერეა, ხელნაწერები, ამონარიდი, მოგონებები [ელექტრონული ვერსია]. _ www.23scool.caucasus.net